

8 05/
ა-80

სოციალიზმი

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეცხრე

№ IX

სექტემბერი, 1902

კ. ბერიძე

ტფილისი

საბჭოთაო-სოციალისტური რევოლუციისათვის

მ მ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი მეცხრე

№ IX

ს ე მ ტ ე მ ბ ე რ ი, 1902



ტ. ფილიასი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის კოლექციაში

1902

Доволено цензурою, Тифлисъ, 7 Октябръ 1902 г.

ს ე ნ თ ი

რუს-ოსმალის (1877—1878 წ.) უკანასკნელ ომის
დროის ისტორიული რომანი

რ ა ვ ვ ი ს ა

(თარგმანი სომხურიდან)

VII

აპრილს თან უფრო თბილი და ნათელი დღეები მოსდევდა. მთები ლამაზათ გადაპენტილიყო ფერად-ფერადი ყვავილებით, რომლებსგანაც ქურთის პატარა გოგოები თაიგულებსა ჰკრავდნენ და სომხის სოფლებში თითო ნატეხ პურზე ასაღებდნენ. სატაცური, არჯაკელა, სოკო და სხ. ისე მრავლათ იყო, რომ ქურთის დედაკაცები მთელ ვირის საპალნეს რამდენიმე გირვანქა ფქვილზედა სცვლიდნენ.

მოხუცი ხაჩოს შვილები უკვე მინდვრათ გასულიყვნენ და ხვნა-თესვას შესდგომოდნენ. ყველგან მუშაობა გაჩაღებულიყო; სოფელში ერთ ცუდა კაცს ვერ შეხვდებოდით, ყველა თავის სამუშაოთი იყო გართული.

დილა იყო. მოხუცის სახლში ქურები ლაღლადებდა: ზოგზე დიდრონი ქვაბებითა და ქოთნებით საჭმელებს ამზადებდნენ, ზოგზე პურს აცხობდნენ რძლები და მოსამსახურე დედაკაცები ქურებს გარს შემოხვევოდნენ და ერთს მოძრაობაში იყვნენ. სახლი საჭმელების სასიამოვნო სუნით ისე გაჟენთილიყო, თითქო ერთი დიდი სამზარეულოა და საჭმელებს მთელი ჯარის-

თვის ამზადებენო. მართლაც და გარდა მოხუცის მრავალ რიცხვოვანის ოჯახისა იქვე იკვებებოდნენ მისი მწყემსები, მუშები და მოსამსახურეები თავიანთი ცოლშვილით. მუდამ, ცის მარე დღე ქურები სულ ასე ხურდა და საქმელებიც მუდამ იმდენივე იხარშებოდა. მოხუცის გამრჯელ რძლებს ერთი წუთის მოსვენება არა ჰქონდათ: ყველაფერზე მათ უნდა ეზრუნათ, ყველაფერი იმათ უნდა გაეკეთებინათ.

ამას გარდა ოჯახში მრავალი სხვა საქმეცა ჰქონდათ. ერთი რძალი ფურებსა და ცხვრებს სწველავდა, მეორე მაწვნისთვის რძეს ადუღებდა, მესამე ყველს ადიდებდა, მეოთხე კარაქის მოსამზადებლათ სადღვებელს აქანებდა და სხ. იქვე, რძლების გარშემო, უთვალავი ბავშვები დახტოდნენ და ნორჩ ბატკან-ხბოებს ეთამაშებოდნენ. ოჰ, რა სასიამოვნოა ამგვარი სადა, სოფლოური ბედნიერების ყურება! ბავშვი და ბატკანი ერთათ დახტიან, ერთათ იზდებიან... გლეხისთვის ეს ორგვარი სიმდიდრეა: მათით მხიარულობს და მათითვე ამაყოფს...

ეზოს აღმოსავლეთის მხარეს, კედლის ძირას, რამდენიმე ასი ცალი ფუტკრის სკა იყო ჩამწყკრივებული. აპრილის მზის თბილი სხივები უხვათ დაჰქათქათებდა ზედა. ვიდრე რძლები თავიანთ საქმეში იყვნენ გართულნი, მოხუცი ხაჩო ჩამოუვლიდა სკებს და ფუტკარს კარებს უღებდა. ფუტკრები მაშინვე სიხარულით გამოფრინავდნენ გარეთ, მოხუცის გათეთრებულ თავს გარს ევლებოდნენ, ბზუოდნენ, ჟივჯივებდნენ, ფრიალებდნენ ასე რომ მათი ჟრიამულისაგან იქაურობას ზანზარი გაჰქონდა. იმოდენა ფუტკრებში იმისთანა ცელქებიც ერივნენ, რომლებიც მოხუცის კან-მაგარა სახეს ჰკბენდნენ. მაგრამ იგი სრულიად ტკივილს არ ჰგრძნობდა, მხოლოდ ხელით იგერიებდა და თან ღიმილით ეუბნებოდა: „აი შე ეშმაკო, შენა, შენთვის ხომ არა დამიშავებია რაო!..“

ამ დროს სტეფანიკა შორი ახლო იდგა და მამის ნაშრომნაღვაწს ცნობის-მოყვარეობით ათვალთვრებდა.

— წადი, შვილო, თორემ ფუტკრები დაგკბენენ, აფთხილებდა მამა.

— რატომ შენ არა გკბენენ? შეეკითხა შვილი.

— მკბენენ, მაგრამ ისე არა მტკივა.

— რატომ არა გტკივა?

— ჩემი ზორცი, შვილო, მათს ნეშტრებს დიდი ხანია შეეჩვია.

— დეე, ჩემიც შეეჩვიოს, ღიმილით უთხრა ყმაწვილმა.

მოხუცმა გაიცინა და თავის საყვარელი შვილი გულში ჩაიკრა.

ამ დროს სოფლის გზირი გამოჩნდა და მოხუცს მოახსენა, რომ ქურთ ფათთაჰ-ბეგს კაცი გამოუგზავნია და დაუბარებია, თუ მამასახლისს უნდა ვეწვიოვო. თან დაუმატა, რომ იქნება ჩქარა მოვიდეს, რადგან ამ ახლო-მახლო მთებში ნადირობსო. მოხუცს მხიარული სახე ნაღველზე შეეცვალა, თითქოს რაღაც შავი ღრუბელი გადაეფარაო, მაგრამ გზირს არაფერი შეატყობინა, თავი შეიმაგრა და უბრძანა: წადი მინდორში და სტუმრის დასახვედრათ რამდენსამე შვილს დამიძახე, შემდეგ მოდი და ცხენების საკვების სამზადისს შეუდეგო.

მოხუცის ოჯახისთვის ფათთაჰ-ბეგის წვევა იმდენათ ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ ოჯახში ყველამ კარგად იცოდა სტუმრის დასახვედრათ რა თავდარიგიც უნდა დაეჭირათ; ამიტომ რა წამსაც რძლებმა ეს ამბავი შეიტყვეს, მაშინვე რამდენიმე ბატკანი დააკვლევინეს და დიდი ქვაბებით ფლავის მომზადებას შეუდგნენ, რადგან კარგათ იცოდნენ, რომ ბეგს მხლებლებათ თან, სულ ცოტა, ერთი ოცი, ოც-დაათი კაცი მაინც ეყოლებოდა.

ფათთაჰ-ბეგი ქურთების ერთი ტომის წინამძღოლი იყო. ამიტომ ქურთები თავინთ ცხვარს სოფელ ო...ს მოსაზღვრე მთებზე აძოვებდნენ. სომხებისა და ქურთების მწყემსთა შორის ჩხუბი და უსიამოვნობა იშვიათი არ იყო, რადგან ქურთები ხან ცხვარს ჰპარავდნენ, ხან კიდევ საზღვარს გადმოსცდებოდნენ და საქონელს სომხების იალალზე აძოვებდნენ. მაგრამ ამგვარი ჩხუბი, დავიდარაბა ყოველთვის მშვიდობიანათ ბოლოვდებოდა, რადგან ქურთების წინამძღოლი ფათთაჰ-ბეგი ხაჩოსი არა თუ კარ-

გი მეგობარი იყო, არამედ ერთმანეთში ნათელ-მირონობაც ჰქონდათ. ბეგს ხაჩოს რამდენიმე შვილის-შვილი ჰყვანდა მონათლულად და ხაჩოც, სამაგიეროდ, ბეგის შვილების წინა დაცვეთის წესის ასრულების დროს ნათლიათვე იყო მიწვეული. ამ გვართ სომხის მემამულესა და ქურთების ბეგს შორის ძლიერი მეგობრული განწყობილება არსებობდა.

გარნა ბეგის მოსვლის ამბავმა რათ დაალონა ხაჩო? კრიჟანგი კაცი არ იყო, რომ ბეგისა და მისი ამალის მიღების ხარჯი დანანებოდა. მისი სახლის კარები, მამა აბრამის სახლსავით, ყველასთვის ღია იყო და არც ერთს დღეს გამვლელ-გამომვლელი მგზავრი არ ასცდებოდა. ხაჩო მუდამ სიამოვნებით იტყოდა ხოლმე, რომ უსტუმროდ პური არასდროს არ მიჭამიაო. „პურიო,—ამბობდა იგი,—ღვთის ბოძებულია და ღმერთსვე ეკუთვნისო; ამიტომ მითი ღვთისავე გლახაკნი უნდა იკვებებოდნენო“. მაშ რალამ დაალონა?..

დაძმარებულ-დაფიქრებული ხაჩო სახლიდან გარეთ გამოვიდა, ეზოს კარებთან გაჩერდა და სტუმარს ლოდინი დაუწყო. გლეხებმა რომ ხაჩო ეზოში შენიშნეს, მიუახლოვდნენ.

— ამბობენ, ბეგი მოდისო,—სთქვა ერთმა მათგანმა,—ვინ იცის, რა მუცლის ტკივილი აქვს?

— ქურთი რომ სომხის სახლში შედის, უთუოთ რაიმე მუცლის ტკივილი უნდა ჰქონდეს,—მიუგო ხაჩომ გულის ტკივილით.

გორაკების გასწვრივ შუბის წვერებმა გაიფლვა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი თვით ცხენოსანთა გუნდიც გამოჩნდა.

— მოდიან, —სთქვა ერთმა გლეხთაგანმა.

ხაჩომაც გაჰხედა იმ მხარეს, მაგრამ, რადგან შორს რიგინად ვერ ხედავდა, ვერა გააჩრია-რა.

— სწორეთ ისინი არიან,—დაადასტურა მეორე გლეხმა.

— აბა, ბიჭებო, ვიდრე ჩემი შვილები მინდვრიდან დაბრუნდებოდნენ, აქ დარჩით, ცხენები ჩამოართვით და ქერი და ბალახი დაუყარეთ,—უთხრა ხაჩომ იქ მდგომ გლეხებს.

ბეგი მოახლოვდა. თან ახლდა რამდენიმე ცხენოსანი და მრავალი სხვა-და-სხვა ჯიშის ძაღლი. ცხენოსნები მისი შორი თუ ახლო ნათესავები იყვნენ და ამალის მოვალეობას ასრულებდნენ. ბეგი მშვენიერ არაბულ ლურჯა ცხენზე იჯდა, რომლის შევერცხლილი მორთულობაც მზის სხივებზე ძალზე ბრწყინავდა. ბეგი თუმცა ორმოც წელს უკვე გადასცილებოდა, მაგრამ ისეთი ლამაზი შეხედულობისა და ისეთი ახალგაზდური ელფერის პატრონი იყო, რომ კაცს ეგონებოდა ოცდაათი წლის ჭაბუკიაო. თავიდან ფეხებამდე სულ აბრეშუმისა და ძვირფასი ბატისტის ტანისამოსში იყო გამოწყობილი. ტანისამოსი მთლად ოქროს ბუზმენტებით იყო ნაკერი; ოქროვერცხლში იყო ჩასმული აგრეთვე მისი იარაღიც.

ხაჩომ რომ ბეგი დაინახა, რამდენიმე ნაბიჯი წასდგა წინ და წყლის არხთან გაჩერდა. არხზე ხიდი იყო გადებული და ბეგს სწორეთ ამ ხიდზე უნდა გაეელო. მაგრამ ბეგმა ხიდს მხარი აუქცია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცხენს მათრახი ამოუტყლაშუნა და გახელებული ცხენი ვეებერთელა არხზე გადააფრინა. შემდეგ ერთხელ კიდევ საოცრად შეათამაშა და ხაჩოს წინ გაჩერდა.

— როგორ მოგწონს, ნათლია ხაჩომ?—ჰკითხა ბეგმა და თან ცხენის ლამაზ ფაფარს ხელი გადაუსო,—ცხენებს კარგად იცნობ, როგორია?

— ღმერთმა ავი თვალი აშოროს, მშვენიერი რამ არის. თვით ქოროლლისაც არა ჰყოლია ამისთანა ცხენი. ასლი შენი საკადრისია.—მიუგო ხაჩომ, ცხენს კისერსა და თვალეებზე ხელი გადაუსო და ჰკითხა ბეგს:

— სად გიშოვნია? შენ ამისთანა ცხენი არა გყვანდა?

— არზრუმის ვალისგან (გუბერნატორი) მივიღე ახლახან ფეშქაშათ,—მიუგო გახარებულმა ბეგმა:—ეს ცხენი მისი ორივე თვალის სინათლე იყო, მაგრამ, როგორც თავის კარგ მეგობარს, მე გამომიგზავნა; თითონაც ჰალეპოს შეიხისგან მიუღია ფეშქაშათვე.

— შვენიერი ცხენია,—გაიმეორა ხაჩომ.

ამ გვარი ქება-მოწონებით აღფრთოვანებულმა ბეგმა ცხენს მსორახი ერთხელ კიდევ ამოუტყლაშუნა, ცხენმა ეზოში საოცარი ხტუნვა-თამაში დაიწყო. ზედ ეტყობოდა, რომ ცხენს ბევრი კარგი თვისება უნდა ჰქონოდა და პატრონსაც რიგიანად უნდა სცოდნოდა ცხენების წრთენა-ვარჯიშობა.

ბეგი ცხენიდან გადმოხტა, აღვირი მსახურს გადასცა და უბძანა, რომ გაეტარ-გამოეტარებინა, რადგან ცხენი მთლათ ოფელში იყო გაწურული.

მასპინძელმა საპატიო სტუმარს ხელი გაუყარა და ასე ხელ-გაყრილები ოდაში (სასტუმრო) შევიდნენ, რომელიც უკვე ლამაზათ იყო მოწყობილ-დარაკრაკებული. იატაკი სპარსეთის ძვირფასი ხალებით იყო დაფენილი; კედლის ძირას რბილი მუთაქები და ბალიშები ჩაემწკრივებინათ. საკუთრათ ბეგისთვის-კი სავარძლის მაგვარი ლამაზი საჯდომი გაემართათ.

ხაჩომ სტუმარი დასაჯდომათ, იმ მხარეში მიღებულ ჩვეულებისამებრ, შემდეგი ზრდილობიანი სიტყვებით მიიწვია:

— ჩემი ოჯახი თქვენი ოჯახია; ჩემი თავი და თვალები თქვენი ფერხთა მტვერია; მეც თქვენი მორჩილი მოწა ვარ, ჩემი შვილები თქვენი ყმებია, მანდილოსნები — მოახლეები; მშვიდობა და ათასჯერ მშვიდობა თქვენი მობძანება, მთელი ჩემი ქონება თქვენი „ფეშქაშია“. მობრძანდით, მობრძანდით, გთხოვთ დაბრძანდით.

ბეგმა მადლობა გადაუხადა და, როცა ხაჩოს ერთმა შვილთაგანმა წითელი წულები დახადა, მივიდა და ჩამოჯდა მისთვის დამზადებულ სავარძელზე, რომელსაც ყველაზე საპატიო ადგილი ეჭირა. ბეგის გვერდით მისმა ორმა ბიძაშვილმა და რამდენმამე ახლო ნათესავმა დაიჭირა ადგილი. მის მსახურთა ერთი ნაწილი იქვე ოდაში იდგა, ქამრებში გამორჭობილ-დამბაჩებზე ხელი წაეწლო და ბატონს თვალებში შესცქეროდა. მეორე ნაწილი-კი გარედ დარჩენილიყო, რომ ცხენებისთვისა და მონადირე ძაღლებისთვის ეზრუნა. მასპინძელს არც პირუტყვები დავიწყებოდა და მათაც გულ-უხვად უმასპინძლდებოდა. ბეგი თუ მისი მსახურნი ყველანი ხმლებით, თოფებით,

დამბაჩებით, შუბებითა და ფარებით იყვნენ შეიარაღებულნი და, თუმცა მეგობრის სახლში არავითარი შიშიც არ მოელოდნათ, იარაღს მაინც არავინ იხსნიდა. ქურთი, შინ იყოს თუ გარედ, ომიანობაში თუ მშვიდობიანობაში, იარაღს არასდროს არ მოიშორებს. იარაღი ქურთის ტანის განუშორებელი სამკაულია.

ხაჩოს ზოგიერთი შვილები მინდვრიდან დაბრუნებულიყვნენ და წამდაუწუმ სახლში შედიოდ-გამოდოდნენ, რომ მამის ბრძანება შეასრულებინათ. უწინარეს ყოვლისა სტუმრებს პატარა ფინჯნებით დაუშაქრავი ყავა მოართევს.

— სად არის სტეფანიკა, რომ არსადა სჩანს? — იკითხა ბეგმა: — რალაც ჩვეულებად გადამექცა, რომ აქ ყოფნის დროს ჩემთვის ყავა სტეფანიკას მოჰქონდეს ხოლმე.

მასპინძელმა, გულზე მოწოლილი უსიამოვნება რომ არაფრით გასცეს, ბრძანა სტეფანიკასთვის დაეძახნათ.

— ცოტა ხნის უკან სტეფანიკაც გაჩნდა. უმანკო სახეზე სიხარულის ღიმი უქროდა. ბეგს მიუახლოვდა და ჩვეულები-სამებრ ხელზე აკოცა (ქურთების ტომთა წინამძღოლები ხელზე აკოცნიებენ ხოლმე უმცროსებს). ბეგმა აბრეშუმის მსგავს თმაზე ხელი გადუსო და უთხრა:

— იცი რა კარგი საჩუქარი მომიტანია შენთვის?

— ვიცი, უპასუხა აწითლებულმა სტეფანიკამ, — ლამაზი შვლის ნუკრია; ბალახი დავუყარე, მაგრამ არა სჭამს!

— ვერ უყურებთ, საჩუქარი კიდევ მიუღია? გამოეხმაურა ბეგი მასპინძელს.

— ვიცოდი, რომ ჩემთვის იქნებოდა და მიტომ ავიყვანე, მიუგო სტეფანიკამ.

— მაშ ახლა-კი წადი და იმასთან ითამაშე, — უთხრა ბეგმა. ყმაწვილმა თავი დაუკრა და გარეთ გამოვიდა.

— ძალიან ჭკვიანი ყმაწვილია, — თქვა ბეგმა სტეფანიკა რომ გარეთ გამოვიდა: — ვინ იცის აქ რომ მოვდივარ და საჩუქრათ არა მომაქვს-რა, როგორ მემდურის ხოლმე?

— გასამტყუნარი არ არის, ბეგო, თქვენ დაჩვიეთ, უთხრა ხაჩომ ნაძალადევი ღიმილით.

— ოჰ, ნათლია ხაჩო, ეს თქვენი მთები რა მთებია! — ლაპარაკი შესცვალა ბეგმა: — ყოველ ნაბიჯზე ნადირს წააწყდები; შვლები, ირმები და ჯეირნები სულ ჯოგებთ დადიან. ხობბებსა და ქედან-გვრიტებს ხომ თვლა არა აქვს! სტეფანიკას რომ ნუკრი მოვუყვანე, ჩემმა მწევრებმა ფეხდაფეხ დაიჭირეს. მაგრამ, რომ ნახოთ, რა მწევრები მყავს! ეხლახან ერთი წყვილი ზელანელების (ქურთების ერთი ტომია) წინა მძლოლისაგან მივიღე ფეშქაშათ; სამაგიეროთ ერთი წყვილი ჯორი გავუზზავნე. ეს სიტყვა-კი ჩვენში დარჩეს და ის ჯორები ეხლახან წავართვით მექქაში სალოცავათ მიმავალ სპარსელებს. სწორეთ საოცარი ძაღლებია! ისე გარბიან, რომ ადამიანი თვალს ვერ მოჰკრავს!

ბეგის სალაპარაკო საგანი სულ ძაღლები და ნადირობა იყო და დიდის აღტაცებითაც ლაპარაკობდა. ამ გვარ „სისულეზე“ ლაპარაკი თუმცა ხაჩოს თავს აბეზრებდა, მაგრამ მაინც მოთმინებით ისმენდა და შიგა და შიგ მოწონების სიტყვა-საც-კი ჩაურთავდა ხოლმე.

უკვე სადილობა იყო. ტახტზე სუფრა გაშალეს და ზედ დიდრონი ხონჩებით ფლავი და მთლიანათ შემწვარი ბატკნები დააწყეს. საჭმელებს მოჰყვა დოქებიტა და ხელადებით სხვა და სხვა გვარი ტკბილი შარბათები და მაწვნისაგან მომზადებული სასმელები, რომლებსაც დიდრონი კულებით შეექცეოდნენ. მავარი სასმელები-კი არ მოუტანიათ. ჭამა-სმა გახურდა.

— ჯერ ცხვარი საძოვრათ არ გაგირეკიათ? ჰკითხა ბეგმა მასპინძელს.

— არა ჯერა, — მიუგო ხაჩომ: — ჯერ ხნობით ამინდს ვერ ვენდობით; აპრილმა ბოლოს მოგიყიანება იცის ხოლმე. თვის გასვლას ველით.

— სითბო თუ სიცივე, ნათლია ხაჩო, ღვთის ხელშია; რაც მოსასვლელია, მოვა, — სთქვა ბეგმა. — ჩვენი ცხვარი ერთი კვირაც არის ბალახზე გავუშვით. მხოლოდ ეს არის, სურსათი

ძლიერ ჩქარა შემოგვაკლდა. რა ხანია მწყემსებს საქმელი პური არა აქვთ.

მასპინძელმა შეატყო, რის თქმაც უნდოდა და მიუგო:

— განა ჩვენი პური თქვენი პური არ არის? გვიბძანეთ ფქვილი რამდენია საჭირო და მე გამოგიგზავნით.

— ღმერთმა თქვენი ოჯახი მუდამ აშენებული ამყოფოს, უთხრა ბეგმა:— რა თქმა უნდა, რომ მაგრეა? ჩვენ შორის განსხვავება ვინ ჰპოვა? რაც რომ ჩემია— შენია, რაც რომ შენია— ჩემია. ასე არ არის, ნათლია ხაჩო?

— ჰაი, ჰაი, რომ მაგრეა...— ფქვილი რამდენი გამოგზავნით.

— ჯერ ხნობით ათი ხარის სპაღონე *) კმარა. როცა მოჩეხა, კიდევ წავიღებთ. თქვენი ბელლები ხომ ჯერ სავსეთაა?

დაღონებულმა მოხუცმა ძალ-დატანებით გაიღიმა და თანხმობის ნიშნათ თავი დაუკრა.

სადილი რომ გათავდა, სტეფანიკამ წყალი შეიტანა, ყველას ხელი დააბანა და შემდეგ ყველასვე ყავა მიართვა. ბეგმა იქ მდგომ მსახურებს უბრძანა (რომლებიც ჯერაც ისევ იქვე იდგნენ და ბეგის ბრძანებას ელოდდნენ), რომ გასულიყვენ და გარეთ მყოფ თავიანთ ამხანაგებთან ერთად პური ექამათ. მასპინძელს არც იგინი დაეწყებოდა და ეზოში დაფენილ ფარდაგებზე სუფრა გაეშალა. სასტუმროში ბეგი, მისი რამდენიმე ნათესავი და მოხუცი ხაჩო-ლა დარჩნენ. ლაპარაკი ახლა არზრუმის ვალისაგან ნაფეშქაშებ ბეგის ცხენზე ჩამოვარდა. ბეგი ცხენის ჯიშის კარგ თვისებებს ეხებოდა, ამბობდა, რომ მისი შთამომავლობის მოწმობები თვით გამოჩენილ ანთარის დრომდინაც-კი აღწევს, მოდგმით არაბული საუკეთესო ცხენებისგან მომდინარეობსო და სხვ.

*) სომხეთის ზოგიერთ ადგილებში ხეირიანი გზების უქონლობის გამო, საპაღონეს ხარებით იზიდებიან. თითო ხარის საპაღონე ფქვილი 10-15 ფუტს იწონს.

— მაგრამ ეს შვენიერი საჩუქარი ძალიან ძვირათ-კი და-
მიჯღდება! დაატანა ბეგმა ცხენის ამბავს.

— როგორ? შეეკითხა მასპინძელი.

— განა არ იცი, რომ ცხენის მომყვან ვალის მსახურს,
სულ ცოტა, ერთი ასი ოქრო მაინც უნდა მივცე?

ეხლა-კი მიუხვდა ხაჩო „მუცლის ტკივილს“ და კარგათ
გაიგო, რა აზრითაც მოსულიყო, მაგრამ როგორც იტყვიან
ხოლმე „სიტყვა ბანზე აადლო“ და მიუგო:

— მერე და რა უშავს, რომ მისცეთ? მაგნაირი ცხენის-
თვის ასი ოქრო ბევრი არ არის.

— ქურთს ფული ვინ მისცა?—წამოიძახა ბეგმა გაჯავრე-
ბული კილოთი:—ეგ წყეული ოქრო მხოლოდ თქვენ, სომ-
ხებში ბუდობს ხოლმე.

ეხლა-კი ლაპარაკში ჩუმათ მსხდომნი ბეგის ნათესავებიც
ჩაერივნენ. ერთმა მათგანმა სთქვა:

— ნუთუ თქვენც ფულისთვის დარდობთ, ბეგო?—განა
ნათლია ხაჩოს როდისმე გაუშვია, რომ ფულისთვის სწუხდე-
ბოდეთ?!..

— ღმერთია თავდები, რომ მართალს ამბობს,—სთქვა მეო-
რემ.

— ნათლია ხაჩო ძალიან კარგი კაცია,—დაუმატა მესამემ:
—მისი ბადალი სომხებში სხვა არავინ მოიპოვება.

მოხუცმა ხაჩომ დაატყო, რომ, წინააღმდეგ მისი სურვი-
ლისა და ნებისა, ასი ოქრო აჭკიდეს ბარგათ და, რომ არავი-
თარი ექვი არ ააღებოდა, მიუგო:

— ბეგს თვით ათასი ოქროსთვისაც-კი არ გავუტეხ გულს.

— ააშენოს თქვენი ოჯახი! ხმა მისცეს ქურთებმა.

მასპინძელი წამოდგა და კარში გავიდა; თავის უფროს
შვილს დაუძახა და უთხრა, რომ საიდუმლოთ წასულიყო სა-
ბძელში და იქ შენახული ოქროებიდან ასი ცალი მოეტანა.

— რათ გინდა, მამი? შეეკითხა შვილი.

— ეჰ, შვილო! არ იცი, ეს უსჯულონი რომ მოვიდნენ,
მარტო კამა-სმას არ დაგვჯერდებიან?—„დიშქირასიც“ (კბილე-
ბის ქირა) უნდა მივცეთ...

— აი ღმერთმა ამოაგდოს თქვენი ქოქი, თქვე დაწყევლილებო, თქვენა! სთქვა სიბრაზით შვილმა, საცალოს ხელი წამოაგლო და საბძლისკენ გასწია, ვითომდა ბზის მოსატანათ.

„ღიშქირასი“ კბილების ქირას ნიშნავს. ერთს დროს ქურთები სომხებისგან ამგვარ გარდასახადს იღებდნენ, როცა-კი სომხის სახლს ეწვეოდნენ და პურს შექამდნენ ხოლმე. მასპინძელი მოვალე იყო ეს გადასახადი გადაეხადნა, წინააღმდეგ შემთხვევაში დარბევა მოელოდდა. ეს ჩვეულება ახლა თუმც ისე აღარ იყო ხმარებაში, მაგრამ ქურთები ოქროებს მაინც იღებდნენ, მხოლოდ ეს არის მიღების საშუალება უფრო ზრდილობიან, მოქალაქობრივს წესზე შეცვლილიყო...

ვიდრე მოხუცი უკანვე შებრუნდებოდა, ოდაში ქურთებს შემდეგი ლაპარაკი ჰქონდათ.

— მოხუცმა რომ ოქროები არ მოიტანოს, ვუბრძანებ ამ სახლს ეხლავე ცეცხლი წაუკიდონ!—სთქვა ბეგმა გაჯავრებით.

— საჭირო არ არის,—ამუვიდებდა ერთი ნათესავთაგანი:— ხაჩო კეთილი სომეხია და მისი წყენა არაფერს შეგვმატებს. მისი სახლის კარები ჩვენთვის მუდამ ღია ყოფილა და რაცა გვდომნია, ყველაფერი წაგვიღია. ხაჩო კარგი კაცია, მისი პურმარილის დავიწყება კარგი არ არის.

ამ დროს კარები გაიღო და მოხუციც შევიდა; ოქროებით სავსე ქისა ბეგს წინ დაუდო და სთქვა:

— ღმერთია მოწამე, ამ ფულს ჩემი სულის საცხონებლათ ვინახავდი: იერუსალიმში უნდა წავსულიყავი სალოცავათ, რომ „მულდუსობა“*) მიმეღო, მაგრამ, ბეგო, შენი ხათრი ველარ გავტეხე.

— ღმერთს ნუ სცოდავ, ნათლია ხაჩო, მე კარგად ვიცი, რომ ბევრი გაქვს, ძალიან ბევრი!—მიუგო ბეგმა, ქისას ხელი დაავლო და დაუთვლელად ჯიბეში ჩაიღო.

*) სომხეთში ასეთი ჩვეულება აქვთ: ვინც იერუსალიმში სალოცავად ერთხელ მაინც ყოფილა, ყველას მულდუსს უწოდებენ. მთარ.

სალამო ხანი იყო. ბეგმა უბრძანა მსახურებს ცხენები შეეკაზმნათ, რომ გზას გასდგომოდნენ. ოდიდან გარეთ გამოვიდა და, ვიდრე ცხენებს გაამზადებდნენ, მასპინძელთან ერთათ ეზოში დასვირნობდა. ამასობაში შვლის ნუკრთან მოთამაშე სტეფანიკას მოჰკრა თვალი და მიუახლოვდა.

— კარგია? — ჰკითხა მან.

— კარგია, მაგრამ ძაღლებს ერთი ფეხი უტკენიათ; — არა უშავს-რა, მე მოვუჩიენ. საწყალს, ეტყობა ძალიანა სტკივა, რომ არაფერსა სჭამს! — უპასუხა ყმაწვილმა და თან ნატკენ ადგილს ხევეა დაუწყო.

— როგორც ვხედავ, სტეფანიკ, პირუტყვები ძალიან გყვარებია. ერთ კარგი ჯიშის კვიცს ავირჩიე და გამოგიგზავნი.

— ცხენები არ მიყვარს.

— მაშ რა გიყვარს?

— აი ამგვარი ნუკრები, ჯვირნები, მწყურები...

— ძალიან კარგი, ამას იქით რაც ნადირობის დროს ცოცხალი რამ გადაგვრჩება, სულ შენ გამოგიგზავნი.

მსახურთ შეატყობინეს, რომ ცხენები მზათ გახლავთო.

ბეგმა მასპინძელს მადლოვა გადაუხადა და ეზოს კარებისკენ გაეშურა, სადაც მისი ლამაზი ლურჯა ელოდდა. ბეგი რომ ცხენზე ჯდებოდა, აღვირი თვით მოხუც ხაჩოს ეჭირა; ეს იმას ნიშნავდა, რომ მასპინძელი საპატიო სტუმარს დიდ პატივსა-სცემდა. შეჯდა თუ არა ცხენზე, ქურთების წინამძღოლმა გძელი შუბი ხელში შეატრიალა, ცხენი კვლავ შეათამაშა, მასპინძელს უთხრა „მშვიდობითო“ და გაემგზავრა. მოხუცი დიდხანს იდგა ერთ ადგილს და მიმავალ ბეგს გაჰყურებდა. ნახა, რომ ბეგმა ხიდს კვლავ გზა აუქცია და ცხენი ხრამზე გადაახტუნა, თითქო ხიდს დასცინისო, რომელზედაც, მისი აზრით, მხოლოდ უშნო და ზარმაცი არსებანი უნდა დადიოდნენო. მოხუცმა დაინახა აგრეთვე ისიც, რომ ბეგის მახლობლად ჯაგიდან კურდღელი გამოხტა, ბეგი არწივის სისწრაფით უკან დაედევნა და საბრალო კურდღელს შიგ გვერდში ჩასცა

შუბი. მოხუცი ყველა ამას ჰხედავდა და თან შემდეგი ფიქრები ებადებოდა თავში: „ცისა და ქვეყნის სამართალი რათ არის ასე დადგენილი? ქურთს საქმელი პური არა აქვს, სომეხი კი ჰხნავს, თესავს, მკის და საზრდოს უმზადებს!.. ქურთი საჩუქრად მშვენიერ ცხენს იღებს, შეჯდება ზედ, სიამოვნებს; თავის ფერხთა ქვეშ თითქმის მიწას არყევს და ფულს კი სომეხი აძლევს... ის სომეხი, რომელსაც, ვირის გარდა, სხვა პირუტყვზე შეჯდომის ნებაც კი არა აქვსო“!..

VIII

კარგა შეღამებული იყო. მოხუცი ხაჩოს ყველა შვილები მინდვრიდან დაბრუნებულიყვნენ. დარბაზის ერთს კუთხეში ქონის ჭრაქი ენთო და თავისი მკრთალი სინათლით იქაურობას ოღნავ ანათებდა. მოხუცი და მისი შვილები სუფრას გარს შემოსხდომოდნენ და ჩუმათ, უხმოთ ვახშამს შეექცეოდნენ. სიჩუმეს დრო-გამოწევებით მხოლოდ მოხუცი არღვევდა. გაზაფხულის ნაზი ჰაერი დარბაზში შვენიერ სიგრილეს ავრცელებდა. შორი ახლო მინდვრიდან დაბრუნებული ცხვრის ბლავილი მრისმოდა. რძლები მწყემსებსა და მუშებს ვახშამს უმზადებდნენ. თითონ ჯერ პური არ ექამათ; როცა ყველას აქმევდნენ პურს, შემდეგ ყმაწვილ-ქალებთან ერთათ თითონაც ივახშმებდნენ. ცელქობისაგან მოქანცულ ბავშვებს-კი პური არც-კი მოგონებოდათ და ტკბილ ძილს მისცემოდნენ.

ვახშმის შემდეგ მოხუცის შვილები, უფროსის გარდა, თავიანთ საქმეს შეუდგნენ. გასაკეთებელი საქმე ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდათ: საქონლისთვის უნდა მიეხედნათ, ჯეჯილები მოერწყოთ (წყლით სარგებლობის ჯერი იმ ღამეს იმათი ყოფილიყო), წისქვილში საფქვაფი წაეღოთ... ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ათასი საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი.

სუფრა აალაგეს, მაგრამ ხაჩო აღვილიდან არ დაძრულა. მისი უფროსი შვილი, ჰაირაპეტა-კი ჩიბუხს უმზადებდა. მამა-შვილს შორის ღრმა სიჩუმე სუფევდა, თითქო მუდამ მხიარუ-

ლსა და დამწვიდებულ ოჯახს რალაც მწუხარების ღრუბელი გადაჰკვრიაო.

— ქურთებმა ფქვილი რამდენი წაიღეს? იკითხა მამამ, ჩიბუხი რომ ცოტა გააბოლა.

— სწორეთ თორმეტი საპალნე, მიუგო შვილმა გაჯავრებული კილოთი.

— თვით ბეგმა ხომ ათი ითხოვა?

— თითონ თორმეტი ხურჯინი მოიტანეს ძალიან დიდრონები და, იმ წყეულებმა, ისე დატენეს თითქო ნაღდი ფულს დაუთვლიათო.

— ვისი ხარებით წაიღეს?

— ჩვენი ხარებით. ღმერთს მადლობა შესწირეთ, თუ ხარები მაინც დაგვიბრუნეს. მეშინიან, ვაი თუ იმ ფქვილს ხარებიც თან შეატანონ.

— ბეგი მაგვარ უპატიოსნებას არ ჩაიდენს.

— ქურთთან პატიოსნებას რა ხელი აქვს? განა ცოტაჯერ მომხდარა, რომ საპალნესთან ერთათ ხარებიც ჩაეყლანათ? სწორე გითხრა, დღევანდელი ასი ოქროსი და თორმეტი საპალნე პურისთვის ისე არა მტკივა გული, როგორც იმისთვის, რომ პურს მუქთათ ვაძლევთ და ეს პურიც ჩვენი ხარებით უნდა წავულოთ და ჩავაბაროთ, რომ ქეიფი გასწიონ. ეს რა ღვთის რისხვაა ჩვენ თავს? არ ვიცი მაგ წყეულებმა როდემდინ უნდა გვარბიონ? მოდიან მიაქვთ, ყველაფერი მიაქვთ, და წადებული უკან ვეღარ დაგვიბრუნებია!.. სულ თხოულობენ, ყველაფერს თხოულობენ! არც სირცხვილი აქვთ და არც სიბრალული! თითქო ღმერთს იმიტომ გავუჩენივართ, რომ ქურთები ვაცხოვროთ!..

— არ იცი, რომ მაგრეა?—მიუგო მოხუცმა და ჩიბუხი უფრო მაგრა გააბოლა, თითქო გულზე მოწოლილი ვარამი ბოლს უნდა გააყოლოსო:—მაშ რაქნათ, შვილო? თუ ჩვენი ხელით, ჩვენი ნებით არ მივეცი, ძალით წაგვართმევენ. ეგეც კარგია, რომ თხოვნითა და შეგობრობის სახელით გვცარცვავენ...

— ავაზაკობას ჩვენ თითონ შევაჩვიეთ, მამი,— მიუგო შვილმა:— შეგვიძლია არ მივცეთ, მაშინ ქურთი იძულებული იქნება თითონაც იზრომოს და პური თავის ოფლით მოიყვანოს, მაგრამ ზარმაცობასა და ჩვენ ხარჯზე ცხოვრებას ჩვენ ვასწავლით, ჩვენ თითონ ვაჩვევთ.

— მართალს ამბობ, შვილო,— უთხრა მამამ ნაღვლიანათ:— მაგრამ ძნელია ერთბაშათ იმის მოსპობა, რაც მამა-პაპას ჩვენთვის გარდმოუცია. იმათ მიერ დათესილ უჭკუობის მწარე ნაყოფს ჩვენ ვიშკით. გამიგონე, შვილო, კარგათ მესმის რა ბრაზიც გინთია გულში, ვიცი, რომ ამგვარი მონობა ძალიან გაღონებს, გულს გიწყლავს,— მაგრამ მაინც გეკითხები: რა გაეწყობა, რის ქმნა შეგვიძლია? რასაც თხოულობენ, რომ არ მივცეთ, მტრათ გადაგვეკიდებიან. ერთიც ვნახოთ მთელი ცხვრის ფარა გაირეკეს მთიდან და წაიყვანეს, მერე რაღა ვქნათ? ვისთან უნდა ვიჩივლოთ? ვინ გვათხოვებს ყურს? ვინც ბოროტების დასათგრუნველათა და სიმართლის დასაცველათ არიან დანიშნულნი, ყველა ისინი, გუბერნატორიდანა და ფაშოდან მოკიდებული უკანასკნელ მუღირსა და გაიმაგამმდინ (მცირე მაზრისა (ВОЛОСТЬ) და მაზრის უფროსებია) სულ ავაზაკები არიან. ერთი ავაზაკი მეორის ძმა და მეგობარია და, როგორც იტყვიან ხოლმე, „ძალდი ძაღლის ძვალს არა სტეხს.“ თითონ შენი თვალით ნახე, რომ არზრუმის ვალიმ, ნაცვლათ იმისა, რომ ბორკილები გამოეგზავნა და ფათთაჰბეგისთანა ავაზაკი შეებოჭინებია ჩამოსახჩობათ,— დიად ბორკილების ნაცვლათ მშვენიერ ცხენს უგზავნის საჩუქრათ იმისთანა ბოროტ მომქმედს, რომლის წყალობითაც მთელი ჩვენი მაზრა სისხლითა და ცრემლითაა მორწყული, როდესაც ვალი, ქვეყნის მმართველი, ასე იქცევა, ჩვენი გულის ტკივილი სხვა ვილას უნდა შეეჩივლოთ?.. ერთი ღმერთი-ღა დაგვრჩენია, მაგრამ ჩვენი ხმა თვით ღმერთსაც-კი არ ესმის, ალბათ, იმიტომ, რომ ცოდვები ბევრი გვაქვს!..

შვილმა არა უპასუხა-რა, მამამ-კი განაგრძო:

— ჩვენ სომხები ვართ და ამ ჩვენ სომხის შუბლზე ღვთის რისხვაა დაწერილი. ჩვენ სახლებს ჩვენვე ვაქცევთ. დარღვეულ ერთობას, ღვარძლსა, შურსა, მტრობასა და ათასსხვა ამგვარს სიცუდეს იმ თავითვე დაუბუნდნია ჩვენს სულსა და გულში და ამ ცოდვების სასჯელი ჩვენვე გვაწვება კისრათ. ქურთი როდია დამნაშავე: ჩვენში რომ ერთობა ყოფილიყო, ჩვენ რომ გული გვქონოდა, სულელი და ზარმაცი ქურთი რას დაგვაკლებდა?..

მამამ კვალათ შვილს უბრძანა ჩიბუხი თუთუნით გავესო; შვილმა რომ ეს ბრძანება შეასრულა, უთხრა მამას:

— ჩვენ ექვსნი ძმანი ვართ, მამავ, შენ რომ რითიმე გენიშნებია, ჩვენ ექვსნი საკმაო ვიყავით თათთაჰბეგი თავის ოცდაათი ცხენოსნით სახლიდან გაგვერეკა. მაშინ ჩვენი ოჯახის ზღრუბელს ასე უსვინილისოთ ველარ შემოლახავდნენ.

— ეგ მეც კარგად ვიცი, შვილო, მაგრამ რა გამოვიდოდა? შეებრძოლებოდით, იქნება ერთი, ორი და ბევრიც დაგეხოცათ, მაგრამ ხვალ ქურთების მთელი ტომი დაგვეცემოდა და ყველას, ჩვენ სახლთან ერთად, მიწასთან გავვასწორებდა. რომელი სომეხი გამოვიდოდა მოსაშველებლათ? არც რომელი! პირ-იქით, იქნება ბევრს კიდევ გახარებოდა. ასეთია სომეხი, მაგრამ ქურთი ასეთი როდია! ერთ რომელიმე ტომს რომ ერთი წევრი მოუკლა, მთელი ტომი გადაგვემტერება. რათა? იმიტომ, რომ ერთობა აქვთ. ტომის ერთი წევრის სისხლი მთელი ტომის საკუთრებაა, თითქო ყველანი ერთი ოჯახის შვილები არიანო. ჩვენში? ჩვენში არის ამგვარი ერთობა? ყველ თავის დარდს ეწევა, ყველა საკუთარი პიროვნებისთვის იჭრობს და იღწვის. სხვას რაც უნდა მოუვიდეს, იმას რა ენაღვლებს, როდესაც თითონ მოსვენებითაა და ფრჩხილიც არასტკივა?!.. მაგრამ საბრალოებმა არ იციან, რომ ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვისაო“...

მოხუცი ხაჩო ნაკითხი კაცი არ იყო, მაგრამ ცხოვრებასა და გამოცდილებას ბევრი რამ ესწავლებია. მისი ბუნებრივი ქკუა ცხოვრების ტალღებს განევითარებია, ამიტომ მის

შინაარსი

	ბზ.
I— ხენთი . — რუს - ოსმალის (1877—1878 წ.) უკანასკნელ ომის დროის ისტორიული რომანი. რაფუფისა (თარგმანი სომხურიდან) ბ. ევანგულაფისა (გაგრძელება)	1
I— სამნი . — მ. გორკისა, თარგმანი ზალუმბორდგინაფისა. (გაგრძელება)	60
I— ტარას ზულბა . — (მოთხრობა) ნ. გ. გოგოფისა, თარგმანი ინ-ანისა (გაგრძელება)	87
IV— მაკაბე . — გერგინიუსისა (გაგრძელება)	1
V— უცხოეთის მიმოხილვა . — 1. რუსეთი და ჩინეთი, — 2. ალ-ზას ლორენი და საფრანგეთი. — 3. იტალია. — 4. სლოვენიები. — 5. კრამარეის წერილი. — 6. ერთი იუბილე	15
და მ ა ტ ე ბ ა . — საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე. — ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ჯ—სა	209—240

მსჯელობაში ხშირათ ისეთი ქეშმარიტება იხატებოდა, როგორც მხოლოთ კარგათ დაკვირვებულსა და ადამიანის ცხოვრების პირობების რიგიანათ მცოდნეს შეუძლია წარმოსთქვას. მოხუცმა განაგრძო;

— გარემოებას ისეთს მდგომარეობაში ჩაუყენებიათ, რომ სხვაფრივ თავის რჩენა არ შეგვიძლია: იძულებილი ვართ ვიწრომით, მოვინაგროთ და ჩვენი ოფლით ჩვენივე მტერი გამოვკვებოთ. სხვა ჩარა არა გვაქვს, ჩვენს მცარცველებთან მეგობრობა უნდა ვიქონიოთ. მართალია, ფათთაჰ-ბეგი გეძარცვავს, მაგრამ მისი მეგობრობა, გინდა თაღლითიც იყოს, უნდა მივიღოთ, უარს ვერ ვეტყვი.

— რატომ?—ჰკითხა შვილმა.

— მიტომ, რომ დიდი ავაზაკის მეგობრობა წვრილფეხა ავაზაკების ბრჭყალებისაგან გვიფარავს. ყველა ისინი ერთმანეთზე არიან გადაბმულნი. სხვა ტომის ქურთები რომ ხედავენ ფათთაჰ-ბეგი ჩვენთან კარგს განწყობილებაშია, ჩვენი ცხვრისა, საქონლისა თუ ჭირნახულის ხელის ხლებას ველარ ჰბედავენ; და თუ რამეს მოგვპარავენ, ბეგი ყველას პოულობს და უკან გვიბრუნებს.

— მერე მაგით რა გვემატება? სწორეთ რომ ვიანგარიშოთ, ერთი და იგივე გამოდის,—მიუგო შვილმა:—ფათთაჰ-ბეგი ერთს კვერცხს გვიბრუნებს და სანაცვლოთ ცხენი მიჰყავს. სხვას ნებას არ აძლევს, რომ ერთი ცხვარი მოგეტაცოს, თითონ-კი, როცა გაუჭირდება, ოქროებს ასობით გვართმევს. ჩვენ სწორეთ მისი საწველი ფურები ვართ: მხოლოთ მიტომ გვინახავს და გვიფარავს, რომ ჩვენი რძით თითონვე ჩაიტკბანუროს პირი...

— ყველა ეგ ქეშმარიტებაა, კარგად მესმის, შვილო,— მიუგო მამამ:—მაგრამ ისიც კარგათ უნდა გვესმოდეს, რომ ამნაირათ თავის რჩენას სომეხი ძველათგანვე შეჩვევია. რასაკვირველია, მე არაფერი ვიცი წიგნებში რა სწერია, მაგრამ აღრე უჩქილისის (სამსაყდარა) მონასტრის ვართაჰეტი (არქიმანდრიტი) მიაბობდა ხოლმე, თუ რამდენჯერაც-კი ჩვენ ქვეყანას მტერი

დაეცემოდა, სომხები იმის შავივრათ, რომ მტერს ცეცხლითა და მახვილით დახვედროდნენ, ძვირფასი საჩუქრებით გამოეგებებოდნენ ხოლმეო. მტრის მტრულათ დახვედრის ნაცვლათ ჩვენმა მამა-პაპამ დაქრთამვა გვასწავლა. მათვე გვასწავლეს ოქროვერცხლის ძლევა, რომ თავები ვიხსნათ ხოლმე...

— მაგრამ რა საჭიროა, რომ მუდამ მამა-პაპათა შეცდომებს მივდევდეთ?—სიტყვა გააწყვეტინა შვილმა.

— ძველი შეცდომების ერთბაშათ გასწორება ძალიან ძნელია, შვილო. ეს შეცდომები ჩვენში ასე წლების განმავლობაში დამკვიდრებულია და აღმოსაფხვრელათაც იმდენივე წლებია საჭირო. მოდი და ხალხს შეასმინე, რომ მტერთან სხვაფრივ უნდა მოიქცეს, რომ იგიც ჩვენსავით ადამიანია, მისი ტანი რკინისა არ არის, და როცა იარაღით აღჭურვილი მოდის ჩვენ გასაძარცვათ, იარაღითვე შეიძლება პასუხის გაღება. ერთი სიტყვით, თუ გინდა ათასი ამგვარები წაუკითხო, რა გგონია, ხალხი დაგიჯერებს? სრულიათაც არა: შენ ლაპარაკს სისულელეთ ჩასთვლის და შენც სულელს დაგიძახებს. ხალხის ამგვარი შეხედულობა ახალი არ არის: მამა-პაპათაგან აქვს მემკვიდრეობით გარდმოცემული...

შვილმა არა უპასუხა-რა. მამის სიტყვებში ისეთს ჭეშმარიტებას ჰპოვებდა, რომ მისი დარღვევა შეუძლებელათ მიაჩნდა. თან-კი იმასაც ფიქრობდა, რომ განა არ შეიძლება ხალხის ამგვარი რწმენა და შეხედულება როგორმე შეიცვალოსო? ამიტომ მამას ჰკითხა:

— კარგი. ვთქვათ ჩვენ მამა-პაპას ამ გზით უვლია და ჩვენც მათს მაგალითს მივდევთ, მაგრამ განა ეს გზა არ უნდა შევცვალოთ, როდესაც ვხედავთ, რომ დაღუპვისკენ მივექანებით? განა საჭირო არ არის ხალხმა გაიგოს, რომ შემცდარ გზაზე დამდგარი?

— საჭიროა, მაგრამ ვინ უნდა ჩააგონოს? მაგ როლის ისინი უნდა ასრულებდნენ, ვისაც ხალხის დარიგებისა, გზის ჩვენებისა და საქმის ჩაგონების მოვალეობა უკისრნია. მაგას ჩვენი მღვდლები, ჩვენი ვართაპეტები უნდა ასრულებდნენ, მაგრამ

ამის ნაცვლად სულ იმას გაიძახიან: „მარჯვენა ლოყაში რომ სილა გაგარტყან, მარცხენაც მიუშვირო!“.. მაგას უნდა ასრულებდნენ ჩვენი შვილების მასწავლებლები, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელ მაზრაში ერთ რიგიან მასწავლებელს ვერ შეხვდები.

— მაგაზე კი ვერ დაგეთანხმები, მამი,— მიუგო შვილმა: — ქურთს არც მღვდელი ჰყავს, არც ვართაპეტი და არც მასწავლებელი, მაგრამ ის მაინც კარგად იცის, თავის მსგავს ადამიანებს როგორ უნდა მოექცეს. ვინ ასწავლა, რომ უიარალო აღმიანი ბრმა ქათამსა ჰყავს, ვინც შეხვდება, თავში წაუტილებს?

— მართალია, ქურთს მღვდელი, ვართაპეტი და მასწავლებელი არა ჰყავს, მაგრამ სამაგიეროდ ჰყავს შეიხი, რომელიც თუმცა სულიერი მამაა, მაგრამ თითონაც იარაღს ატარებს, თავის სამწყსოს მიუძღვის და უიარალო ხალხის ქონებას იტაცებს. იგი თავის დღეში არ იტყვის, რომ ამგვარი საქმე ცოდვაა. ჩვენი მღვდლები კი რას ქადაგებენ?

შვილი ხმას არ იღებდა. მამამ განაგრძო:

— ყველა ამ უბედურობათა მიუხედავათ სანუგეშებლად ის მაინც დაგვრჩენია, რომ რა გინდ ბევრი მოგვპარონ, რა გინდ ბევრი გვარბიონ, ჩვენი ბელლები მაინც სავსეა; ქურთებს კი საქმელი ჰურიც არა აქვთ.

— მამი, ეს ანდაზა იცით? „ქურდი სახლს ვერ აიშენებს, მაგრამ სხვისას კი დააქცევსო“. თუმცა ქურთი არა ხნავს, არა სთესავს, არა მკის, სახლში ჰურიც არა აქვს და მუდამ მშიერიცა,— მაგრამ გამრჯეო სომეხს ართმევს და იმასაც მშიერს სტოვებს. მაგალითისთვის ჩვენი ოჯახი ნუ მოგაქვს ხოლმე, მამაე, კარგათ იფიქრე, რომ იმისთანა სომეხიც ბევრია, რომელსაც ქურთის წყალობით საქმელი ჰურიც კი არ მოეპოვება.

— ეგ მართალია, შვილო, მაგრამ ერთი სხვა გარემოებაც არის, ისიც უნდა ვიცოდეთ. ცხვრებს ხომ ჰხედავ? იმდენს კვლენ, იმდენს იტაცებენ, მაგრამ მაინც მრავლდებიან და უთვალავ ფარებს წარმოადგენენ. მგელი კი, რომელიც ცხვრის

მტერია და დიდ ვნებასაც აყენებს, მუდამ მშიერია და არცა მრავლდება. მგლის ფარები სადმე შეგხვედრია? მგელი მტაცებელია: დღეს რომ ერთი ცხვარი იგდო ხელში, შეჭამა, გაძლა, ხვალ აღარ იცის, მუცელი რითი გაიძლოს. მუდამ დღე ნადირობით უნდა ირჩენდეს თავს, მაგრამ ყოველთვის ხომ ბედი არ გაუღიმებს? ვინც ნადირობით ცხოვრობს, ერთს დღეს რომ მაძლარია, მეორე დღეს სიმშლით კუჭი ეწვის. ქურთი მგელია, ჩვენ კი, შვილო, ცხვრები ვართ...

მოხუცი ამგვარი სადა, უბრალო ენით არკვევდა იმ კითხვას, რომელსაც მეცნიერები „ჩუმ, მშვიდობიან კულტურულ ბრძოლას“ ეძახიან....

— მე მგონია, მამავ, — მიუგო შვილმა, — იმ ცხვრებს რომ მწყემსები და მფარველები არა ჰყოლოდათ, მგლები ერთსაც აღარ გაუშვებდნენ, და ფარების შედგენაც შეუძლებელი იქნებოდა. დიად, ჩვენ ცხვრები ვართ, მაგრამ უმწყემსო ცხვრები კი როდესაც ბედს ჩვენთვის წილად ამ გვარი ხვედრი ურგუნებია, მგლებისაგან სახსნელად ერთი რამ არის საჭირო, — რომ ჩვენც მგლებსავეთ ბასრი კბილები და კლანჭები გვქონდეს...

PK

არზრუმისა და ბიაზეთის შემაერთებელი გზა იმავე დროს ერთათ. ერთი საქარავანო გზაა ტრაპიზონიდან სპარსეთში მიმავალი. სწორედ ამ გზის ერთს მხარეს, ხეობაში, ქურთების ერთი ტომის კარვები იყო ჩაწყვილებული. კარვების სიმრავლეს მშვენიერი მწვანე მინდორი მთლად დაეფარა და ერთი შეხედვითვე შეატყობდით, რომ ქურთები ბლომად უნდა ყოფილიყვნენ. მახლობელი მთის კალთები ცხენების ჯოგებით, ცხვრის ფარებითა და საქონლის ნახირებით იყო შეფენილი, რაც იმ მწყემსი ხალხის სიმდიდრესა და კარგ ყოფა-ცხოვრებას ამტკიცებდა.

შუა ღამე მოტანებული იყო, როდესაც ხაჩოს სახლიდან დაბრუნებული ფათთაჰ-ბეგი და მისი ამაღლა ხსენებულ კარვებს

მიადგენენ.—ბეგი სწორედ იმ ქუროების წინამძღოლი იყო.—
ზოგიერთ კარვის წინ ცეცხლი ჯერაც ისევ გუგუნებდა და მისი
ალი მიდამოს ლამაზ სინათლესა ჰფენდა. ცეცხლზე ზოგი რძეს
ადუღებდა, ზოგი კი საქმელსა ხარშავდა. ბეგი რომ თავის ამა-
ლით ხსენებულ ადგილს მიუახლოვდა, ძაღლებმა საშინელი
ყეფა ასტეხეს და აქეთ-იქიდანაც გაისმა გამაფრთხილებელი ხმე-
ბი ლამის გუშაგებისა, რომლებიც ერთმანეთს ცხენოსნების
მოახლოვებას ატყობინებდნენ. ბეგის გუნდის მხრიდანაც იმ
გვარივე ხმა გასცეს და ამ გვარად გუშაგებმა მაშინვე შეიტყეს
ცხენოსნების ვინაობა. ბეგი იმ კარვისკენ გაეშურა, რომელიც
ვალისაგან ფეშქაშის მომტან კაცისთვის იყო მომზადებული.
იგი ოსმალეთის მოხელეთაგანი იყო, ხნიერი და მრავალ ავკა-
ცობის გამოცდილების ქარცეცხლში გატარებული, ერთხანათ
ვანის მხარეს მუდირის თანამდებობას ასრულებდა, მაგრამ წრეს
გადასული მოქრთამეობისა გამო გადაეყენებიათ.

— ძალიან დიდხანს მალოდინებთ, ბეგო, — უთხრა მუდირ-
მა, როდესაც ბეგი მის კარავში შევიდა, და თან ფეხზე წამო-
დგა: — მინდოდა ამ საღამოს წავსულიყავი.

— შეიხის მზემ, ძალიან მოუთმენელი კაცი ყოფილხართ, —
სიკილით მიუგო ბეგმა: — მიკვირს დედი თქვენის მუცელში
ცხრა თვე როგორ გასძელით? ერთმანეთის ნახვით ჯერ რი-
გიანათ არ გაემძღარვართ, რა მიგაჩქარებთ? ან იქნება ჩემმა
ქოხმა თავი მოგაბეზრათ?

— სრულიათაც არა, თქვენი სტუმართმოყვარეობა ჩემ-
თვის ძლიერ სასიამოვნოა: თუ-კი ოდესმე სამოთხის ღირსი გა-
ვხდებოდი (რის იმედიც ნაკლებათა მაქვს), ვისურვებდი, რომ
ის სამოთხე თქვენი ბინა ყოფილიყო.

— კარგი, კარგი! კარგათ ვიცი ოსმალების ხასიათი: აყ-
როლებულ ქალაქებში ცხოვრებას შეჩვეულან, დილიდან სა-
ღამომდინ რბილ ბალიშებზე გორავენ, ყალიონს აბოლებენ და
ყავას შეექცევიან. ჩვენში-კი სათქვენო არაფერია. ვთქვათ მეც-
კი დამნაშავე ვარ, რომ წესიერათ ვერ მოვალხინეთ. ან-კი

რა ექნა? ნადირობა. თქვენ არა გყვარებიათ და ჩვენს მთებში-კი სხვა გასართობები არ არის.

მუდირმა კვლავ მომართა ოსმალოთა ჩვეულებრივი სააღერსო სიტყვების (კომპლიმენტების) ქამანჩა და მიუგო:

— ერთი თქვენი სახის შეხედულობა ჩემთვის ყველა სიამონებზე მაღლა დგას! სამუდამოდ ბედნიერთა ჩავთვლი ჩემთავს, რომ თქვენი ნახვის ღირსი გავხდი. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, ბეგო, რომ თქვენი უმორჩილესი მონა თავისუფალი არ არის და არც თუ დრო-ჟამია მის ხელთ. ვალიმ ვადა დამიდო, რომ ათ დღეზე მეტი არ დავიგვიანო.

— ვალის მივწერ, რომ მე თითონ შევაგვიანეთ; თქვენ ხომ იცით, რამდენათ ჰატივსა სცემს ჩემ სიტყვას?

— როგორ არ ვიცი? ვალი თქვენ თავს არაფერზე გასცვლის. თქვენს სიტყვას მარგალიტზე ძვირათ აფასებს და ყველასთან იმას გაიძახის, რომ სულთანს ფათათაჰ-ბეგისთანა ყოჩალი და ერთგული მთელ ქურთების წინამძღოლთა შორის არაფინ მოეპოვებაო. ამიტომაც არის, რომ პირველი ხარისხის მეჯიდიეს ორდენზე წარგადგინა.

ბეგის ვაჟკაცურ სახეზე ირონიულმა ღიმილმა შეითამაშა და დაცინვით მიუგო:

— ეგ რალაც ორდენებია, მე სრულიათაც არ მიყვარს; ეგ მხოლოდ ქალების სამკაულია და სხვა არაფერი.

— მაშ რა გიყვართ?

— ოქროს მეჯიდიები.*)

— ეგეც იქნება, ბეგო, ვალი ძალიან კარგი თვალით გიყურებთ. ხომ ნახეთ, რომ ხაზინიდან ჯამაგირი დაანიშნინა თქვენთვის, როგორც საზღვრისა და ამ მხრის შვიდობიანობის დამცველისათვის? მან შეასრულა თქვენი თხოვნა, რომლითაც გასურდათ, რომ ამ მხარეში არც ერთი მუდირი და გაიმგამი არ ყოფილიყო და ყველა თანამდებობა თქვენ ჩაგბარებოდათ. ერ-

*) „მეჯიდიე“ ერთსა და იმავე დროს ორდენის სახელიც არის და ოქროს ფულისაც.

თი სიტყვით, რაც გითხოვნიათ, ყველაფერი შეუსრულებია და არც ერთი თქვენი თხოვნა არ გაუტეხია.

— აკი მეც მუდამ მადლობელი ვარ მისი?

შიგნით რომ ეს ლაპარაკი იყო, ბეგის მსახურები ქოხს გარს შემორტყმოდნენ, მიწაზე დამსხდარიყვნენ და სულ სხვა გვარ ბაასით ერთობოდნენ. ყოველი მათგანი თავის სიყოჩაღეს იკვებდა, ამდენი კაცი მომიკლავს, ამდენი ავაზაკობა ჩამიდენია, ამდენი და ამდენი ქალი მომიტაციაო და სხ...

— ოსმანას თავზე იმდენი ბალანი არც-კი აქვს, რამდენიც ცხვარი მოუპარავს, ამბობდა ომარი.

— შენმა მზემ, შენ ხომ ძალიან კეთილი სული ბძანდები! — მიუგო ოსმანამ: — რამდენიც მე ცხვარი დამიპარავს, იმდენი შენ სომხის ქალი გეყოლება მოტაცებული.

— შაბანას სომხის ქალები არ უყვარს, ძალიან მტირალეები არიანო, გაიძახის. — ჩაერია ლაპარაკში ერთი სხვა.

— მართალია, თქვა შაბანამ, — იმ წყეულთა გული თითქო შუშისა არისო, რამწავ ხელს წაავლებ, მაშინვე იმსხვრევა, ჩვენსას-კი, ღმერთს გეფიცებით, სწორეთ ქვის გული აქვს: თუნდა თვით მგლისა ან სხვა რომელიმე მხეცის კლანჭებში ჩავარდეს, თავის დღეში არ იტირებს. მე ვერ ამიტანია, როდესაც ქალები ტირიან, თითქო ცრემლები მარტო იმათთვის ვაჩენილიყოს...

— ერთიც კიდევ ისა, — სიტყვა გააწყვეტინა ერთმა ქურთმა, რომელიც ხნით ყველაზე უფროსი იყო: — ეგ ურწმუნონი თავის დღეში სჯულზე ხელს არ იღებენ! როგორც იცით, სამი სომხის ქალი მყავს; ღვთის წინაშე ძალიან იშვიათათა ვცემ, მაგრამ მაინც ვატყობ, რომ ჩუმათ რალაც ლოცვებს ბუდბუდებენ ხოლმე. მხოლოდ ერთ რამეში არიან კარგები: ხარის ტოლად საქმეს აკეთებენ და არც ჩვენ ქალებსავით ბევრი სძინათ.

— ოჰ, რა კარგი რძლები ჰყავს მოხუც ხაჩოს! — წამოიძახა ერთმა აღტაცებით: — ის სომეხი რომ ბეგის მეგობარი არ იყოს, უეჭველად ერთ-ერთ რძალს მოვიტაცებდი.

მსახურთა ლაპარაკი ძაღლების ატეხილმა ყეფამ შესწყვიტა. შორიდან კვლავ მოისმა ღამის გუშაგთა გამაფრთხილებელი ხმა. ზოგიერთ მსახურმა იარაღს ხელი დაავლო და, საიდანაც ხმაურობა მოისმოდა, იქით ვაეშურა. როდესაც მიახლოვდნენ, შემდეგი ვედრების ხმა მოესმათ: „—თუ ღმერთი გწამთ, ბეგთან მიგვიყვანეთ—სათხოვარი გვაქვს რამე“... მსახურები რომ ღროით არ მიშველებოდნენ, საბრალოებს ძაღლები გასწეწავდნენ. ღამე შეუძლებელია, ქურთების ბინას მიუახლოვდე: გუშაგის გაღესილი შუბი ისე მოულოდნელად გეტაკება, რომ ვერც კი მოიფიქრო, საიდან რა გამოტყვრა.

უცნობნი რამდენიმენი იყვნენ. მსახურებმა მიიყვანეს იმ ქოხთან, რომელშიაც ბეგი და მისი სტუმარი იყვნენ. ბინის წინ ანთებულ სანათურზე გამოჩნდა, რომ ვაქრები და საქონლის მზიდავი ჩარვადრები ყოფილიყვნენ. ზოგს თავი ჰქონდა შეხვეული, ზოგს ხელი და ზოგს სხვა; კრილობებიდან სისხლი ჯერაც არ შესწყდომოდათ.

ბეგმა გარეთ ატეხილ ხამაურობას ყური მოჰკრა, მსახურს დაუძახა და ჰკითხა:

— რა ამბავია?

— რამდენიმე ვაქარს თქვენთან სათხოვარი აქვს, ამბობენ ქარავანი გაგვიძარცვესო.

ბეგს მხიარული სახე მოედრებოდა, მაგრამ, თითქო არაფერიო, თავი შეიმავრა და უბრძანა, რომ ვაქრებისთვის დაეძახნა.

— საკვირველი საქმეა!—მიუბრუნდა მუდირს, —„ჩემ მიწაზე“ არასდროს ამ გვარი უწესოება არ მომხდარა; ეხლა არ ვიცი ეს როგორ ყოფილა, რომ მაგათი ქარავანი გაუძარცვავთ?

ბეგს ჩვეულებად ჰქონდა მთელ იმ ადგილებისთვის, რომელზედაც მისი ტომის ქურთები ესახლნენ, „ჩემი მიწა“ ეწოდებინა, თუმც ქურთებს ერთი მტკაველიც არ ეკუთვნოდა და ყველანი, მოხეტიალე ბოშებივით, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ.

— ყაჩაღობა ყველგან ხდება, — მიუგო მუდირმა მშვიდობიანად: — უყაჩაღო ქვეყანა არ იქნება. ცაშიაც კი გაჩნდნენ ეშმაკები, არზრუმში დღე არ გავა, რომ ვალისთან მომჩივანი არ მოვიდეს.

მუდირის ცბიერებისგან ბეგს გული მიეცა და სთქვა:

— მერწმუნეთ; მუდირო, შეიხის თავს გაძლევ თავდებათ, აქაურობას ისე ვინახავ, რომ „ჩემ მიწაზე“ ცის ფრინველსაც კი არ შეუძლიან თავისუფლად იფრინოს. მიკვირს, რომელმა წყევლმა გაძარცვა ეგ საბრალოები!..

დაჭრილი და სისხლში მოსვრილი ვაჭრები შევიდნენ ბეგთან; ერთი მათგანი, რომელიც უფრო სუბუქად იყო დაჭრილი, წარსდგა წინა და ბეგს მოახსენა:

— თქვენ ფერხთა სათაყვანებლად მოვსულვართ, ბეგო! მაღლა ღმერთს ვიცილობთ და დაბლა თქვენ. წინასწარმეტყველის (მაჰმადის) გულისთვის დაგვეხმარე! ჩვენ ერთი საწყალი ვაჭრები ვართ, ქარავანი გაგვიძარცვეს, ჩვენი ამხანაგების მეტი წილი დახოცეს, დანარჩენებს ხომ თქვენი მაღლიანი თვალით ჰხედავთ თქვენს წინაშე, — დაჭრილები არიან და დიდხანს ვეღარ იცოცხლებენ.

დაჭრილებმა ფეხზე დგომა ვეღარ შესძლეს და იქვე ჩაიკეცეს, კარგა მყოფები კი ფეხზე იდგნენ.

— რა ადგილას გაგძარცვეს? — ჰკითხა ბეგმა.

— აქვე, მახლობელ მთებში. ქარავანი გზიდან დაირეკეს და ერთს ყრუ დელეში ჩააფარეს, იქ ყველანი გაგძარცვეს და ჩვენ კი ხრამში ჩაგვყარეს. შემდეგ ცალებს ხსნა დაუწყეს და, რაც კარგი რამ იყო, ყველაფერი წაიღეს.

— რა დრო იყო?

— ასე შუადღე იქნებოდა. იმ ხრამში საღამომდინ ხელფეხ შეკრული ვეყარენით. ბოლოს ღმერთმა გადმოგვხედა, ერთმა ჩვენთაგანმა, როგორც იყო, ხელფეხი გაინთავისუფლა და შემდეგ ჩვენც ყველას შეგვიხსნა ხელფეხი; უამისოთ ყველანი სიმშლით დავიხოცებოდით და მხეცთა ლუკმა შევიქნებოდით.

— სადაურები ხართ? ქარავანი საიდან მოდიოდა, ან საით უნდა წასულიყო?— განაგრძო ზეგმა გამოკითხვა.

— თქვენი მორჩილი მონანი სპარსელი ვაჭრები გახლავან; ქარავანი ტრაპიზონში დავასაპაღონეთ, იქამდინ კი საქონელი ზღვით იყო მოტანილი კოსტანტინეპოლიდან. ამ ადგილამდინ მშვიდობიანათ მოვაწიეთ, გზაში არავითარი ხიფათი არ შეგვმთხვევია; აქედან უნდა სპარსეთში გავსულიყავით, მაგრამ აღარ დაგვცალდა და აი ეს უბედურება შეგვმთხვევა. ჩვენი ქარავანი სულ ძვირფასი საქონლით იყო დატვირთული, მაგრამ ავაზაკებმა აღარაფერი გაუშვეს: რაც უნდოდათ, წაიღეს რაც არა და— ცეცხლს მისცეს.

— შეიხის მზემ, ამ გვარ მტარვალობას პირველათ ვხედავ, მიუბრუნდა ბეგი მუდირს, რომელიც ვაჭრების ნაამბობს დიდი ყურადღებით ისმენდა.

— ყაჩაღები ვერ იცანით? ჩაერია მუდირი ლაპარაკში და ვაჭრებს გამოკითხვა დაუწყა.

— როგორ ვიცნობდით? მიუგო ვაჭარმა, — ყაჩაღებს პირი-სახე აკრული ჰქონდათ, მარტო თვალები-ღა უჩანდათ. ჩვენც თვალები აგვიკრეს და საქონლის ცალებს ისე დაუწყეს ხსნა. მხოლოდ ეს-კი შევნიშნეთ, რომ ქურთები იყვნენ.

— რამდენი სული იქნებოდა? ჰკითხა კვლავ მუდირმა.

— ასე ორმოც-ღა-ათი.

— რომელ მხარეს გაიქცნენ?

— ვერ შევნიშნეთ. აკი მოგახსენეთ, რომ თვალები აგვიკრეს და ხელ-ფეხ შეკრულები ხრამში ჩაგვყარეს-მეთქი?

— კმარა!— ჩაერია ლაპარაკში გაჯავრებული ბეგი, რომ მუდირის გამოკითხვას ხელი შეუშალოს: — ახლა-კი ყველაფერი ცხადია.

შემდეგ ვაჭრებს მიმართა და უთხრა:

— ახლა წადით და მოისვენეთ. თუ ყაჩაღები ჩვენი მხრის ქურთებზე არიან, უეჭველათ აღმოვაჩინეთ და მაშინ თქვენი ერთი ნემსიც-კი არ დაიკარგება. სხვა მხრიდანაც რომ იყვნენ გადმოსულნი, მაშინაც ვიპოვნი. თქვენ არხეინათ იყავით, მე არა-

ვის შევარჩენ, რომ „ჩემ მიწაზე“ ჰაგვეარი უკანონობა ჩაიდინოს.

ვაქრები თავს უკრავდნენ და მის სიკოცხლეს ლოცავდნენ.

— კრპო! მიუბრუნდა ბეგი ერთს მსახურთაგანს:— ეს კაცები შენ სადგომში წაიყვანე და ისეთი პატივი მიეცი, როგორც ღვთის სტუმრის საკადრისი იყოს. საჩქაროთ ექიმს დაუძახე, რომ ყველას ქრილობა შეუხვიოს. შენ გაბარებ მაგათ, თუ რამე დაგიკლია, იცოდე ცოცხალი არ გადამრჩები...

ვაქრებმა კვლავ დალოცეს ბეგი, მადლობა გადაუხადეს და გარეთ გამოვიდნენ.

ვაქრები რომ გამოვიდნენ, ბეგი სტუმარს მიუბრუნდა და უთხრა:

— ხედავთ, პატივცემულო მუდირო? აი, ამგვარი ამბები ხდება, მოდი ეხლა და გაიგე, მაგათი საქონელი რომელ ეშმაკსა და ქაჯს წაუღია? დარწმუნებული ვარ, რომ ის ყაჩაღები ჩვენი მხრის ქურთები არ იქნებიან. ყაჩაღებს საშინელ სასჯელს ვაყენებ, ამიტომ ჩემი შიშით ამ გვარ ავკაცობის ჩადენას ვერაფერს ვაბედავს. მაგრამ რა ექნა? სხვა და სხვა მხრიდან მოდიან, ხშირათ სპარსეთიდანაც-კი, და ჩვენს მიდამოებაში ყაჩაღობენ. აბა ვინ რას იცნობს, როდესაც სპარსელი ქურთის ტანისამოსშია. გამოწყობილი? ამგვარი შემთხვევები ხშირათ ხდება და თავ სამტვრევი გვიხდება. მაგრამ მაინც უნდა ვეცადო, რომ ეგება ყაჩაღები როგორმე შევაპყრობინო.

— ახმედ! მიუბრუნდა თავის ბიძაშვილს, რომელიც მთელი ხნის განმავლობაში გაჩუმებული იჯდა:— ამ საათშივე გაუძებ ჩვენ მამაცთაგან რჩეულ ოც კაცს. ჯერ იქ წადი, სადაც ქარავანი გაუძარცვავთ, რომ კვალი აიღო. იმ ახლო-მახლო მყოფ მწყემსებს გამოჰკითხავ, ყაჩაღები ხომ არ უნახავთ. ერთი სიტყვით, ბოროტ-მომქმედთა აღმოსაჩენათ ყოველგვარი საშუალება იხმარე! შენ დარიგება არც-კი გინდა, ყველაფერი კარგად იცი. მე ვერ მოვითმენ, რომ „ჩემ მიწაზე“ მძარცველობა ხდებოდეს! ეს ხომ ჩემი სახელის დამცირებაა!..

ახმელა მაშინვე გზას გაუდგა ბეგის ბძანების ასასრულე-
ბლათ.

— ახმელა ისეთი აღლოს პატრონია, რომ თუ ყაჩაღები
ძალიან შორს არ წასულან, უეჭველათ იპოვნის, სთქვა ბეგმა.

— ეტყობა... მიუგო მუდირმა მრავალ მნიშვნელოვან
კილოთი.

შუა ღამე გადასული იყო. ბეგმა ბრძანა, რომ ვახშამი
მოეტანათ. ჭამეს, სვეს, შემდეგ ბეგმა სტუმარს „ღამე მშვიდო-
ბისა“ უსურვა და თავის ქოხისკენ გასწია დასაძინებლათ.

გარნა მუდირს დიდხანს არ ჩასძინებია, რალაც ფიქრებში
იყო გართული...



ბეგის საკუთარი სადგომი (ქოხი) ორი განყოფილებისა-
გან შედგებოდა, ერთი საქალებო იყო, მეორე-კი სასტუმრო.
კარავის მოყვანილობა სულ სადა იყო, როგორც საზოგადოთ
ყველა მწყემსი ქურთების კარვები. ორიოდე ბოძზე გადა-
კრული იყო შავი შალი, რომელსაც მისივე მოახლეები ქსოვ-
დნენ.

ბეგი სასტუმროში შევიდა. მსახურს უბძანა, რომ ფარდე-
ბი ჩამოეშო და თითონ გარეთ გასულიყო. იჯდა ისე მარტო
და კარებს მისჩერებოდა, თითქო ელის ვისმეო. ჭერში ჩამო-
კიდებული ღამფა ბოლავდა და იქაურობას მკრთალად ანათებ-
და. საქალებო განყოფილებიდან ჩამი-ჩუმიც არ მოისმოდა,
ეტყობოდა, ყველას ეძინა.

უცებ კარავში გაჩნდა კრპო, სწორედ ის კრპო, რომელ-
საც ბეგმა გაძარცული ვაჭრები ჩააბარა, რომ უხვათ გამას-
პინძლებოდა.

— შენმა სტუმრებმა მოისვენეს?—ჭკითხა ბეგმა და თან
რალაც ეშმაკური ღიმილით შეხედა მსახურს.

— ჩემი კეთილი ბატონის წყალობითა და შეწევნით მო-
სვენებით არიან...—მიუგო მელაძეა ქურთმა,—სჭამეს, სვეს,

დაგლოცეს და დაიძინეს; იქნება სიზმარში მაინც ნახონ, რომ საქონელი ებოვნოთ...

— «კვდარი ჯოჯოხეთიდან ველარ ბრუნდება»... — სთქვა ბეგმა სიცილით. — საქონელი სად შეინახეთ?

— ჩვენ სოფელში, კოჭლი ალოს სახლში.

— კარგი რამეებია?

— ამ გვარი საშოვარი ღმერთს ჩვენთვის არასდროს არ მოუციცა, ბეგო — ოქრო, ვერცხლი, აბრეშუმი და მრავალი შალეული, ერთი სიტყვით, რა გინდა სულთა და გულო, რომ იქ არ იყოს?

— სოფელში შესვლის დროს ხომ არავის უნახევხართ?

— ვის უნდა ვენახეთ? სოფელში კაცი აღარ დარჩომილა, ყველა თავის საქონლით იალალზეა წასული. მხოლოდ რამდენიმე სომხის ოჯახია დარჩომილი. ისინიც, დაღამდება თუ არა, შიშისაგან გარეთ ველარ გამოსულან: სხედან კარ-ჩაკეტილში, მისდებენ თავსა და სძინავენ.

— საქონელი სად შეინახეთ?

— აკი გითხარით, ალოს სახლში მეთქი? იმ ბებერი მგლის სახლს სწორედ ათასი სამალავი ექნება, ერთი მათგანი კარგად გამოვჭედეთ და კარები დავკეტეთ. ისეთი ადგილია, რომ თვით ეშმაკიც კი ვერ მიაგნებს. აი გასაღებიც მოვართვით, — სთქვა ესა და ორი გასაღები გადასცა.

— არა უშავს-რა, ალო ჩვენი ერთგულია, — შენიშნა ბეგმა: — ამ გვარ სამსახურს პირველად არ გვიწევს.

კრპომ რომ ნადავლის დაბინავების ამბავი ვაათავა, შემდეგ აუწერა, როგორც დასცემოდნენ ქარავანს, როგორ გაეძარცვათ, ვის რა სიყოჩაღე გამოეჩინა და სხ.

— იცოცხლე, კრპო, იცოცხლე! შენს გმირობას ყოველთვის ვაფასებ ხოლმე, — მიუგო ბეგმა: — როდესაც მაგ უმსგავსს აქედან მოვიშორებთ (სიტყვა მუდირს შეეხებოდა), ნადავლს გავყოფ და ყველა თქვენგანი ღირსეულ წილს მიიღებს.

კრპომ თავი დაუკრა და არა სთქვა-რა.

— მაგრამ მე ერთი აზრი მაწუხებს,— განაგრძო ბეგმა და თან ამოიოხრა:— ნეტა ეს საქმე ეხლა არ მომხდარიყო, ვიდრე ეს კაცი აქ არის.

— მუდირის გამოთ ამბობ?

— ჰო, მუდირისა.

— ფიქრიც არ არის,— სთქვა კრპომ სიცილით:— მუდირ-ეფენდი აქედან ისეთი პატივითა და ფეშქაშებით გავისტუმროთ, რომ აქედან კმაყოფილი წავიდეს. თან ორი მხედარი დავადევნოთ უკან, ისე რომ, ვიდრე არზრუმში შევიდოდეს, თავი გაუქექყონ და ჩვენი მიცემული ფეშქაშები უკანვე მოიტანონ. ამ გვარად მუდირ-ეფენდი ვალისთან ველარ მიაღწევს და ველარც აქ ნანახსა და გაგონილს უამბობს. კარგი ფიქრი არ არის, ბეგო?

ბეგმა პასუხი მაშინვე არ მისცა, ჩუმად რაღაცას ფიქრობდა.

— მკვლელობა, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის საზღვარ გარედ მოხდება, არზრუმის მახლობლად,— დაუმატა კრპომ:— მაშინ ცოდო შორს იქნება და ჩვენზე იქვსაც ვერავინ შემოიტანს.

— საჭირო არ არის,— მცირე სიჩუმის შემდეგ მიუგო ბეგმა,— თუ ვალი შეიტყობს რამეს, მე სხვაფრივ დავამშვიდებ და გაჩუმდება...

თითქო ახალი რამ გაახსენდაო, კრპომ ხელი თავის განიერ უბეში ჩაიყო და ხელცახოცში გახვეული ლამაზად მოქანდაკებული ვერცხლის ყუთი გამოიღო, ბეგს გადასცა და უთხრა:

— ეს კი ველარ გაჭუშვი ალღოს სახლში, პატარა რამ არის და ვაი თუ დაკარგულიყო.

ბეგმა ყუთი გააღო, შიგ თავ-თავის ადგილას სხვა და სხვა გვარი ქალების სამკაული ეწყო— ძვირფასი ქვებით მოქედლი ბეჭდები, საჭურეები, სამაჯურები და სხ.

— ამის პატრონი ერთი ურია იყო, ამბობდა თუ ეგ ნივთეულობა კოსტანტინეპოლში გავაკეთებინე ერთი სპარსელი

თავადისთვის, რომელსაც ქორწილი ამ ზამთარს უნდა გადაეხადნაო, — დაცინვით სთქვა კრპომ: — საბრალო პატარძალი ხელცარიელი დარჩება! ურია ძალიან ბევრს ჭინჭყოლობდა, რომ უკან დაგვებრუნებია, მაგრამ დავამშვიდე და ხმა ჩაიწყვიტა.

კრპოს ლექსიკონით „დამშვიდება“ მოკვლას ჰნიშნავდა. ეხლა კი წადი, კრპო, და შენ სტუმრებს „კარგი პატივი“ მიეცი, — უბძანა ბეგმა: — დილით მოვიფიქრებთ, როგორც უნდა მოვიქცეთ.

ავაზაკების უფროსმა თავი დაუკრა და გარედ გამოვიდა. მკითხველი მიხვდებოდა, რომ კრპო სწორედ იმ ყაჩაღების უფროსი იყო, რომლებმაც ვაჭრების ქარავანი გადაცვეს, იმ ვაჭრებისა, რომელთაც ეხლა თვით „უმასპინძლებოდა“. ის ყაჩაღების გუნდი კი ეკუთვნოდა სწორედ იმ ფათათაჰ-ბეგს, რომლის მფარველობისა და დახმარებისათვისაც მიემართნათ გაძარცვულ ვაჭრებს, იმ იმედით, რომ ბეგი მართლაც მშვიდობიანობის მცველი და საზღვრების მფარველი იქნებოდა.

კრპოს გამოსვლის შემდეგ, ბეგი დიდხანს იჯდა და წინ დაწყობილ ძვირფას ნივთიერებს დაჰყურებდა. თითონაც ვერ გამოერკვია, თუ ის ძვირფასი სამკაული ისე ძლიერ რად იზიდავდა. „ამ ყუთს არზრუმის ვალის გავუგზავნი, ამაზე შესაფერს საჩუქარს სხვას ვერ ვიშოვნის“, ჰფიქრობდა გუნებაში, მაგრამ უცებ აზრი შეიცვალა, თითქოს მის მეხსიერებაში ისეთი არსება გაღვიძებულა, რომელიც მთელ ქვეყანას ურჩევნიაო. „არა, არა! ეს ძეწკვი სწორედ „მის“ ლამაზ უელს უნდა ამშვენებდეს: მხოლოდ „მისი“ მშვენიერი მაჯებია ღირსი ამ ძვირფასი სამაჯურებისა და „მისი“ საოცარი თითებიც სწორედ ამ ბეჭდებისათვისაა შექმნილიო“, — გატაცებული გაიძახოდა ბეგი.

სიყვარულის ყოვლად შემძლებელ ძალას ეს ველური-ადამიანი გამოეცვალა, გაეპატიოსნებია და უფრო მიმზიდველ არსებად გარდაექმნა. სიყვარული პირუტყვს უფრო ამხეცებს, ახელებს; ადამიანს კი გულს უფრო ურბილებს, უნაზებს, და ბეგიც ამ ჟამად სწორედ ამით განირჩეოდა მხეცებისაგან.

ეს სამკაული „მისთვის“ და მხოლოდ „მისთვის“ უნდა შევინახო!..

ალტაცებას ბეგი იმგვარ დავიწყებამდის მიეყვანა, რომ უკანასკნელი სიტყვები ხმა მალლა წამოიძახა და სრულიად ვერ შეჰნიშნა, როდესაც საქალებო განყოფილების მხრიდან ფარდა აიწია, ბეგს ვილაც მიუახლოვდა და, უძრავი ძეგლივით ამართული, მის ალტაცებულ სახეს დააშტერდა. იგი მისი ახალგაზდა ცოლი, სილამაზით განთქმული ხურშიდა იყო. ის მშვენიერი არსება იმ წამს ისე გაფითრებულიყო, რომ სიკვდილს დამსგავსებოდა. თავის ქმრის ზურგს უკან სულთა-მხუთავით ატუზულიყო, თითქო ეს არის სული უნდა ამოართოსო. ბეგმა რომ უკან მიიხედა და ეს სურათი დაინახა, თავ-ზარბ დაეცა.

რამდენსამე წამს ცოლ-ქმარნი ერთმანერთს ისეთი თვალით უცქეროდნენ, თითქო ერთმანეთი ხმალიში გაუწვევიათ და მახვილის დასაკრავად მარჯვე დროს ეძებნო.

სამკაულით სავსე ყუთი ჯერაც ისევ ბეგის წინ იდო. ცოლმა ოდნავ თვალი გადაავლო, გვერდი აუარა და კარვის მეორე მხარეს მუთაქაზე ჩამოჯდა. ის ძვირფასი ნივთები ყველა ქალს ჭკუიდან გამოიყვანდა, მეტადრე ქურთის ქალს, რომელიც ყოველ ბჭყვრიალა საგნის დანახვის უმაღვე ბავშვივით იღრიჭება ხოლმე.—ხურშიდას-კი ყველა ეს იმ უბრალო შუშის ნამტვრევებად ეჩვენებოდა, რომლის ბასრი წვერებიც გულს უწყლულებდა.

ბეგმა მღელვარება შეამჩნია და ჰკითხა:

— რას ჯავრობ! აქედან წილს შენც დაგიდებ.

— მე არა მინდა-რა, ჩემთვის მხოლოდ ერთი სამარეა საჭირო! აკანკალებული ხმით წამოიძახა ქალმა.

ლამფის მკრთალი შუქი სწორედ მის გაფითრებულ სახეს ეცემოდა და ის სახე იმ აღშფოთებისა და გაჯავრების დროს ისე ჰშვენოდა, თითქო ანგელოზის სახეაო.

— რა მოხდა, ხურშიდ! ჰკითხა ბეგმა ნაზი ხმით,— ცუდი სიზმარი ხომ არ გინახავს?

— მე სიზმარი არ მინახავს; კარგად ვხედავ, რაც ცხადად ჰხდება ჩემ თვალ წინ...

ბეგს ექვიც კი ვერ შეეტანა, რომ მის მიერ ჩადენილ ყაჩაღობას, ბოროტ-მოქმედებასა და საშინელ სისხლის ღვრას ხურშიდას გაჯავრება შესძლებოდა, რადგან იცოდა და დარწმუნებულიც იყო, რომ იგი, როგორც ყოველი ქურთის ცოლი, მოსვენებას არ მისცემდა, ბეგს რომ ავაზაკობაზე ხელი აეღო. მაშასადამე, მისი გაწყრომის მიზეზი სხვა რამ უნდა ყოფილიყო.

ხურშიდა ბეგის ერთათ ერთი ცოლი იყო, თუმცა, როგორც მაჰმადიანს, ნება ჰქონდა რამდენიმე ცოლი ჰყოლოდა. მიზეზი, რომ ბეგმა მეტი ცოლი აღარ შეირთო, მარტო ქურთებში გავრცელებული ნაკლებ ცოლიანობის ჩვეულება არ იყო. ხურშიდა ქურთების შეიხის ქალი იყო, იმისთანა გავლენიანი კაცისა, რომელიც ქურთების ყველა ტომების სულიერი მამა იყო და რომლის ერთი სიტყვაც-კი ჰკმაროდა, რომ რომელიმე ტომის თვით სახელოვანი წინამძღოლიც კი თანამდებობიდან ჩამოეხდინებინა. და იმის მიზეზიც, რომ ბეგს ის თანამდებობა ეჭირა, სწორეთ მისი სიმამრი იყო. ამიტომაც შეიხის ქალის შემდეგ მეორე ცოლის შერთვა ხურშიდას კეთილშობილი ჩამომავლობის ნამდვილი უებღალვა იქნებოდა. აი სწორეთ ეს სავალალო ფიქრები წარმოუდგა თვალწინ, როდესაც ბეგმა ცოლის დაღონებული და გაჯავრებული სახე დაინახა.

ბეგი თავის გულის ძგერას ამჟამათ პრაქტიკული თვალთ უყურებდა, მისი სულიერი მხარე-კი თითქმის სრულიად გადავიწყდებოდა. შეუძლებელათ მიაჩნდა ხურშიდას სიყვარული სხვა ქალის სიყვარულზე გაეცვალა, რადგან მისი ცოლი შეიხის ქალი იყო. მაგრამ წინ მდებარე ძვირფას ნივთეულს რომ ხელ-ახლათ თვალი გადაავლო, თვალი წინ დაეხატა ისევ ის მშვენიერი არსება, რომლისთვისაც რამდენიმე წუთის წინ იმ სამკაულს ამზადებდა.

ცოლის გაწყრომის მიზეზს მიხვდა ბეგი. გული იმ გვარი ველური სიბრაზით აევსო, როგორც მხოლოდ სიყვარულით გახელებულ მხეცთა სჩვევიათ ხოლმე.

— რა გინდა ჩემგან, ხურშიდ? უთხრა მან გრძნობიერი კილოთი.

— მე ვითხოვ, რომ ჩვენი ქორწინების უღელი დარღვეულ იქმნას, — მიუგო ხურშიდამ დინჯათ: — დღეიდან შენი მეუღლეობა აღარ შემიძლია, დილაზე ცხენზე შევჯდები და მამიჩემის სახლში წავალ.

— რათა, რისთვის?

— მე ვერ მოვიხმენ, რომ შეიხის ქალის ცოლობას ვილაცხ ბილწი სომხის ქალი იზიარებდეს.

— ის იგრე მეყოლება, როგორც შენი მოახლე.

— მოახლეები იგრეც ბევრი მყავს.

— თუკი მიყვარს?

— რამდენიც გინდა გიყვარდეს, მაგრამ ეგ სიყვარული იაფათ-კე არ დაგიჯდება...

— რას მიზამ?

— ეგ მე ვიცი.

— რა, მეძუქრები კიდევ? ზეზე წამოვარდა ბეგი, — უმსგავსლა... ამ საათში ქიასავით ფეხ-ქვეშ ვაგსრესავ!

— ადგილიდან არ დაიძრა! ხელაგ?.. წამოიძახა ქალმა და დაემაზა დაუმიზნა.

ბეგს თავ-ზარი დაეცა. ცოლის მხრივ ამგვარ გადაქრილ ნაბიჯის არ მოელოდდა. თავში ფიქრები ისე აერ-დაერია, რომ ერთხანათ გაშტერებული იდგა უმოძრაოთ, თუმცა ქამარზე ჩამოკიდებულ ხანჯალზე-კი ხელი ეკიდა.

ამ დროს საქალებო განყოფილებიდან ახლათ გაღვიძებული ბავშვის ტირილის ხმა მოისმა. ეს ხმა სწორეთ მშვიდობიანობის მომასწავებელი ხმა იყო, რომელმაც გაანჩხლებული ცოლ-ქმარი დააწყნარა. მშობლიურმა სიყვარულმა დედაკაცური შურისძიება დასძლია, ხურშიდა მტირალი ბავშვისკენ გაეშურა და ბეგს მხოლოთ ესლა უთხრა: „ჯავრს მაინც ამოვიყრიო.“

X I

მამასახლს ხაჩოს მეუღლეს უკანასკნელი შეზღობის, სტეფანის, დაბადების შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. ხაჩოს სამუდამოთ ქვრივათ დარჩა, თუმცა მისი ჰასაკის გლეხი უცოლოთ არ რჩება ხოლმე. ოჯახის მოვლა-პატრონობაში განსვენებულის ადგილი მისმა უფროსმა რძალმა სარამ დაიჭირა, რომელსაც მთელ სოფელში ქუჩიანი და კარგი მეოჯახის სახელი ჰქონდა გავარდნილი. რჩევისთვის ხშირათ თვით მოხუცი ხაჩოც-კი მიმართავდა ხოლმე, რძლები ხომ სავსებით ემორჩილებოდნენ მის ავტორიტეტს.

ერთს დილას, როდესაც სახლში ყველა ჩვეულებრივ საქმეში იყო გართული, წყლიდან მომავალი, მხარზე კოკა აკიდებული მოახლე შევიდა სარასთან და ყურში წასჩურჩულა:

— კარში ვილაც ქურთის ქალი დგას და გეძახის.

— აქ დაუძახე, — უთხრა სარამ, — ხომ ხედავ საქმეში ვარ გართული?

— შინ არ შემოდის, ამბობს — ძალიან საჭირო საქმე მაქვსო. მიუგო მოახლემ.

სარამ გარეთ გამოვიდა და კარებთან ვილაც ქურთის ქალს შეეხეჩა. უცნობი მალალი ტანის იყო, გამხდარი, ფერმკრთალი, მაგრამ მარილოანი სახის მექონე.

— ცოტა მოშორებით წავიდეთ, აგერ იმ ხეებთან, იქ არავინ სჩანს, უთხრა უცნობმა ქალმა და ხელი შორეულ ხეებისაკენ გაიშვირა.

სარამ რომ უცნობის ანთებულ თვალებს შეჰხედა, უნებურად გულში რალაც ეჭვი დაებადა და გაიფიქრა: „ეს ველური ქალი ისე შორსა და მიყრუებულ ხეებისაკენ რად მიწვევსო?“

— შინ შემოდი, უთხრა სარამ და თან ხელი მოჰკიდა, — შევიდეთ ეზოში, თუ გინდა, რომ შენი სიტყვები არავინ გაიგონოს, ჩუმად და მიყრუებული ადგილები ჩვენ ეზოსაც ბევრი აქვს.

უცნობი აღარ აუხირდა და უსიტყვოთ დაემორჩილა; სარამ წაიყვანა ეზოს ერთ კუთხეში, რომელიც თუთის ხეებით იყო დაბურული.

— აი, აქ დავსხდეთ, — უთხრა მან. — გეტყობა, ხეები ძალიან გყვარებია.

დასხდნენ ერთად ატეხილ ბალახზე.

— ეხლა, ჩემო ლამაზო, — უთხრა სარამ მეგობრული კილოთი და თან ხელი დაუჭირა, — მითხარი, რა გაქვს სათქმელი?

— ჯავოა გამოგზავნილია ხურშიდ ხანუმისაგან (ქალბატონი). ხურშიდას ხომ იცნობ? ის ჯავოს ქალბატონია. მუდამ დღე ჯავო ღმერთს მადლობას სწირავს, რომ ისეთი კარგი ქალბატონი ჰყავს. იგი ჯავოს არა სცემს და ჰამაც ხშირად ძველ ტანისამოსს აჩუქებს ხოლმე. მაგრამ ვინ იტყვის, რომ ძველია? აი ხომ ჰხედავ, სულ ახალია? ყველა ეს სულ ქალბატონის ნაჩუქებია. ერთხელ რომ ჩაიცოს, მეორედ აღარ იცვამს, ძველიაო, ამბობს.

მართლაც და ქურთის ქალი საკმაოდ სუფთათა და — შეიძლება ითქვას, — მდიდრულად იყო ჩაცმული. გარნა სარას მისი აბდა-უბდა ლაპარაკიდან არა გაუგია-რა, რადგან ისე ლაპარაკობდა, როგორც მესამე პირი. მხოლოდ ის გაიგო, რომ ქალს სახელად ჯავო ერქვა, რომ იგი მოახლე იყო იმ ხურშიდასი, რომელსაც თითონაც კარგად იცნობდა, როგორც თავიანთი მეგობრის ფათათაჰ-ბეგის მეუღლეს. მაგრამ რისთვის ინუ რა საქმეზე იყო გამოგზავნილი ეს ნახევრად ველური ქალი? ეს აზრი სარას მოსვენებას არ აძლევდა. და რადგან გაუთლელი ქურთის ქალების ხასიათი კარგად იცოდა, ამიტომ ნება მისცა, რომ მოსვლის მიზეზი თავისებურად გამოეთქვა.

— შენი სახელი ჯავოა, არა? რა ლამაზი სახელია!

— დედა ჩემი ჯავაჰირს მეძახდა, მაგრამ ქალბატონმა ჯავო დამარქვა: ჯავაჰირი ძალიან გავრძელებულიაო.

— მაშ მეც შენი ქალბატონივით ჯავოს დავიძახებ: — ჯავო ქალო, ჩემთან რომ გგზავნიდა, ქალბატონმა რა დაგაბარა?

მაგრამ ქალს პირ-და-პირ პასუხის მიცემა უძნელდებოდა; უეჭველია მის თავში სხვა-და-სხვა აზრები დომნალივით იყო არეული და მათი რიგზე დალაგება ვერ მოეხერხებინა; არ იცოდა წინ რომელი ეთქვა და უკან—რომელი. ბოლოს, როგორც იყო უპასუხა:

— ჯავოს ქალბატონს წუხელ აღასთან ჩხუბი მოუვიდა. — ასე კი ნუ მიყურებ? ჯავო ბალდი აღარ არის, ძალიან ეშმაკი ქალია. — ალა რომ ქალბატონს ეჩხუბებოდა, ჯავო ფარდას უკან იყო დამალული და ყველაფერს ყურს უგდებდა. ოჰ, ქალბატონი როგორ იყო გაჯავრებული! თმას იგლეჯდა, ტანისამოსს იფხრეწდა. აფსუს ის ტანისამოსი! ჯავო ველარ ჩაიცივამს!..

სარამ შეატყო, რომ ამ ჩერჩეტა ქალს ტანისამოსი ძალიან ჰყვარებია და უთხრა:

— ჯავომ ხომ კერვა იცის? დააკერებს და ისე ჩაიცივამს.

— კერვა? როგორ არ იცის? ამ თითებს ხომ ჰხედავ—მარჯვენა ხელის თითები უჩვენა:— ოჰ, ეს თითები ჯავოს დედან ნემსით რამდენჯერ დაუჩხვლეტია და თან უთქვამს: „შე დასამიწებელო, კერვა ისწავლეო!“

— ვხედავ, რომ ყოჩალი ქალი ხარ, ეხლა ეს მიაამბე: ალა ქალბატონს რად ეჩხუბებოდა?

— ალა ამბობდა—მეორე ცოლი უნდა მოვიყვანოვო; ქალბატონი ეუბნებოდა— არა, არ უნდა მოიყვანოვო. თუ მეორე ცოლს მოიყვან, თავს ჩამოვიხრჩობო. განა ეს ცოლვა არ არის? ხურშიდასთან ქალი სად იპოვება? მეორე ცოლი რაღად უნდა?

ბუნდი გამოცანა თან-და-თან ირკვეოდა.

— ხურშიდას ცალი და ბადალი არავინ არის, — მიუგო სარამ: — მაგრამ ეხლა ის მითხარ, ჯავო, მეორე ცოლად ვინ უნდა მოიყვანოს?

— ალამ რომ მეორე ცოლი მოიყვანოს, ქალბატონი მოკვდება და ჯავოც თან გადაჰყვება...

სთქვა მსახურმა ქალმა და თვალები ცრემლით ავესო.

— მაინც ვინ უნდა მოიყვანოს? ხელ-მეორედ შეეკითხა მოთმინებიდან გამოსული სარა

— შენ ჯერ ისა მკითხე, ქალბატონმა ჯავო შენთან რად გამოგზავნა და ჯავოც მაშინ გეტყვის, ვინც უნდა მოიყვანოს.

— კარგი, რისთვის გამოგზავნა?

— ლამე რომ ჩხუბი მოუვიდათ, მეორე დღით ქალბატონმა მითხრა: „ნათლია ხაჩოს სახლში წახვალ, სარას დიდ მოკითხვას მოახსენებ, ჰკითხავ, როგორა ბრძანდება და ეტყვიო... (ოჰ, სულ გადამავიწვდა, რომ მეთქვა „როგორა ბრძანდებით“ მეთქი!)“

— არა უშავს-რა. სხვა რა გითხრა ქალბატონმა?

— ქალბატონმა მითხრა: „სარას ერთ მიყრუებულ ადგილს გაიხმობ და ეტყვიო... (აი, ამიტომ გეუბნებოდი იმ ხეებისკენ წავიდეთ მეთქი, იქ ჩუმი ადგილია).“

— აქაც მიყრუებულია, ჩვენი ლაპარაკი არავის ესმის. რა გითხრა ქალბატონმა?

— ქალბატონმა გთხოვთ, რომ სტეფანიკა აქაურობას ჩქარა მოაშორეთ და სხვა ქვეყანაში წაიყვანოთ. თუ კაცები არა გყავთო, — სთქვა ქალბატონმა, — მე მოგცემთ კაცებს და სადაც გინდათ, იქ წაიყვანეთო. ეს რომ მითხრა, ჯერ კარგად ვარ გათენებულიყო. — დაიფიცეო, ჯავო, მითხრა ქალბატონმა, — რომ ყველაფერს საიღუმლოდ შეინახავ და არავის ეტყვით. ჯავომაც შეჰფიცა.

შემდეგ ქალმა უამბო ქალბატონი როგორ დამუქრებოდა „მოგკლავ, თუ ვისთვისმე გითქვამსო“ და დაუმატა, რომ ქალბატონისაგან ძალიან მეშინიან, რადგან მართლა შეუძლია მომკლასო. მე თითონ ჩემი თვალით ვნახე, რომ ერთი მოსამსახურე ქალი მოჰკლავ, მაგრამ რისთვის მოჰკლა — ჯავო ამას თავის დღეში არ იტყვისო...

გარნა საბრალო სარას მეტი აღარა გაუგია-რა: სტეფანიკას სახელის ხსენების უმალ თითქო მენი დასცესო, თავზარი დაეცა და ის იყო კიდევ წაიქცეოდა, ქურთის ქალის ღონიერ მკლავებს რომ არ შეეკავებინა. თუმცა გულუბრყვილო ქა-

ლისთვის სარას გულშეღონების მიზეზი ვაუგებარი იყო, მაგრამ იმდენი-კი იგრძნო, რომ ნაამბობი მისთვის ძლიერ საძიძო უნდა ყოფილიყო. ამიტომ დაშვილება დაუწყა.

— სარა ნუ იღარდებს. ვიდრე ჯაფოს ქალბატონი ცოცხალია, ნებას არ მისცემს, რომ ალამ ამ სახლიდან ქალი წაიყვანოს.

— ვინ ქალი? — ჰკითხა ცოტა გონზე მოსულმა სარამ: — ჩვენ სახლში ჰასაკ მოსული ქალი არავინ არის.

— ალამ იცის, რომ სტეფანია ქალია.

ამ დროს სტეფანია ეზოში დადიოდა და შველრის ნუკრს საქმელს აძლევდა. ეს სწორედ ის ნუკრი იყო, რომელიც რამდენიმე დღის წინად ბეგმა მოუყვანა. ყმაწვილის შემენიერ სახეს მზის სხივები მოჰფენოდა და მისი ღერწამი ტანი შორიდან ლამაზ სანახაობას წარმოადგენდა. სარამ ჯაფოს ანიშნა და უთხრა:

— ხედავ? ეგ არის სტეფანია. აბა კარგა უსინჯე, ეგ ქალია? მაგ გვარი სიცრუე ვის უთქვამს ლისთვის?

— ლისთვის ერთ თქვენს ქურთ მსახურ ქალს უთქვამს, მწყემსი ჰილოს ცოლს. ქალბატონი ამბობდა, რომ იმ საძაგელს დავახრჩობინებო.

— ჰილოს ცოლს ტყუილი უთქვამს. სახლიდან ბევრი რომ მოგვბარა, ამიტომ დავითხოვეთ და აი ეხლა ეს ტყუილიც მოუგონია.

სარამ შენიშნა, რომ ეს გულუბრყვილო ქალი არც იმდენად სულელი იყო, როგორც თითონ ეგონა. ვარდა ამისა, როცა ნახა მისი გულწრფელი ერთგულება ქალბატონისადმი, რაც საზოგადოთ ნახევრად ველურ მსახურ ქალებს სჩვევიათ, — ქალბატონთან რამდენიმე სიტყვა დასაბარა: „ჩემ მაგივრად დიდი მოკითხვა გარდაეცი შენს ქალბატონს და უთხარი — „ქეიფზე როგორ ბრძანდებით-თქო“. მაღლობა მოახსენე იმ ცნობებისთვის, რომლებიც შემატყობინა აგრეთვე მოახსენე, რომ ტყუილად გიფიქრიათ, ვითომ სტეფანია ქალი იყოს, მაინც შენ თხოვნას ავასრულებთ და სტეფანიას სხვაგან გავგზავნიოთ

თქო“. ბოლოს დაუმატა: „ძალიან გულისთ მინდა თქვენინახვა და გთხოვთ თქვენ თითონ როგორმე მოაგვაროთ, რომ ვინახულოთ ერთმანეთი და ამ საქმეზე საიდუმლოდ მოვილიბარაკოთ თქო“. სარამ რომ ეს დავალება დააბოლოვა, ჰკითხა:

— ჩემო ჭკვიანო, ჯავო, შეგიძლია რაც გითხარი ყველაფერი ქალბატონს უნაკლოდ გარდასცე?

— ჯავოს მკრელი გონება აქვს, ჯავოს არა დაავიწყდება-რა,— მიუგო მან და თან მოსწავლე ბავშვივით სარას ნათქვამს იმეორებდა, თუმცა შიგა-და-შიგ შეცდომები შეუურია და წინადადებებიც თავისებურად წინ და უკან დააწყო.

სარამ შეცდომები გაუსწორა და ჯავომ თავისი გაკვეთილი რამდენჯერმე გაიმეორა.

— ეხლა ჯავო სწორედ ისე ამბობს, როგორც სარამა სთქვა,— წაიდუღუნა თავისთვის ქურთის ქალმა,— ჯავო გზაში რამდენჯერმე კიდევ გაიმეორებს და აღარ დაავიწყდება.

— მერე და სხვამ რომ გაიგონოს?— შენიშნა სარამ.

— ჯავო ისე უჭკუო არ არის, ჯავო გუნებაში გაიმეორებს.

უცებ ქალმა ცას შეჰხედა, ნახა, რომ მზე საკმაოდ გადახრილიყო. ფეხზე წამოდგა და სთქვა, რომ დაგვიანება აღარ შემიძლია, რადგან აღას კარვებამდინ დიდი გზა მაქვს გასავლელი.

— მოიცა, ჯავო, შენ კარგი ქალი ხარ, უნდა მოგიტანო რამე.

სარა სახლში შევიდა. ამ დროს სტეფანიკამ (რომელიც ისევ ნუკრის თამაშობაში იყო გართული) მარტო მდგომი ქურთის ქალი შენიშნა, მიუახლოვდა და უთხრა:— მიდიხარ?

— მზეს ხომ უყურებ? ჩქარა დაღამდება. მიუგო ქალმა და თან მზისკენ ხელი გაიშვირა.

— ჩვენსა მოხველი და ქამით კი არაფერი ქამე? უთხრა სტეფანიკამ.

— ვუი, ჯავოს დაავიწყდა, რომ მშიერია! ჯავოს დღეს არა უჭამია-რა.

— წავალ საჭმელ რამეს მოგიტან.

სტეფანიკას გულ-კეთილობა ქურთის ქალს ისე მოეწონა, რომ თავი ველარ შეიმაგრა, გადაეხვია და გულიანიდ ჩაჰკოცნა. სტეფანიკა შინისაკენ გაქანდა და ცოტა ხნის უკან ლავაშებში გახვეული თაფლი და კარაქი მოუბრუნინა.

— აჰა, დაჯექი და ქამე.

— ჯავო ქამითაც კარგად წავა.

ამ დროს სარაც გამოჩნდა. ხელში მშენიერი წითელი თავ-მოსახვევი ეჭირა, რომელიც ქურთი ქალისათვის თავის საუკეთესო მოსართავს შეადგენდა. ჯავოს ყოველ-გვარი ზრდილობა დაავიწყდა, დანახვის უმაღვე ბავშივით მივარდა და ხელიდან გამოსტაცა. იმ წამსვე თავზე მოიხვია და, თითქო სარკეში უნდა ჩაიხედლოსო, სარასა და სტეფანიკას წინ აეტუზა და ჰკითხა:

— ახლა ჯავო ლამაზია, არა?

— ძალიან ლამაზია, მიუგეს სარამ და სტეფანიკამ.

— მაშ აბა აკოცეთ ჯავოს.

სარა გადაეხვია და აკოცა.

— შენცა, სტეფანიკა.

სტეფანიკამაც სარას მაგალითს მიჰბაძა.

— ახლა კი ჯავოს ჯერია.

გულ-უბირყვილო ქურთის ქალმა ორივე გულ-წრფელად გადაჰკოცნა და თავის გზას გაუდგა.

სარამ მხოლოდ ქურთის ქალის წასვლის შემდეგ იგრძნო, რა საშინელი ამბავიც შეატყობინეს. სტეფანიკა ისევ იქვე იდგა და აზრდაც არ მოსდიოდა, რა უბედურება მოელოდა. სარას მიუახლოვდა, ბავშივით მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

— ქურთის ქალები სულ ასე უჭკუოები რად არიან?

— არა, შეილო, უჭკუოები არ არიან, — მიუგო სარამ მშობლიური გრძობის კილოთი: — მხოლოდ აღზრდა-პატრონობა ისეთი აქვთ, როგორც მთაში აღზრდილ პირუტყვს.

— როგორც ჩემ ნუკრსა, არა, სარა? — გააწყვეტინა სტეფანიკამ: — აი, რამდენი ხანია, ვაქმევ, ვასმევ, ბევრჯელ გულში ვიკრავ და კიდევ ვკოცნი ხოლმე, მაგრამ მაინც არ ვუყვარვარ! ახლოს რომ მივალ, შორს გამიბრბის.

სტეფანიკა რომ ამ სიტყვებს ამბობდა, სარა გულ-კეთილ ყმაწვილს დააკქერდა და თვალები ცრემლით აევსო. დღევანდლამდინ ჯერ ისეთი ცნობის მოყვარე თვალით არ გაუსინჯავს მისი ნაზი სახე, მისი ლერწამივით მოყვანილი ტანი, რომელიც ყმაწვილობის განხორციელებულ სილამაზეს წარმოადგენდა. სახე მიიბრუნა და ცრემლი ისე მოიწმინდა, რომ სტეფანიკას არ შეენიშნა.

ყმაწვილი კი ისევ ქურთის ქალის ფიქრში იყო გართული.

— იცი, სარა, საწყალი მშიერი ყრფილიყო? ამბობდა, დღეს არა მიქამია-რაო. წაველი, ლავაშებიც მოვუტანე, კარაქი და თაფლიც, ვსთხოვე, რომ აქვე დამჯდარიყო და ეჭამა, მაგრამ აქ არა ქამა. მერე კი ვნახე, რომ ქამით მიდიოდა. ეჩქარებოდა თუ, არა, სარა?

— ჰო, ეჩქარებოდა. ძალიან შორი ფეხა აქვს გასაველი.

— სად უნდა წავიდეს?

— ავერ იმ ლურჯ მთებს ხომ ჰხედავ? სწორედ იქ მიდის

— მერე ხომ დაუღამდება? იმოდენა მთები როგორ უნდა გადაიაროს, ისიც ფეხით, მარტოდ-მარტო, უამხანაგოთ!.. — სარა, განა არ ეშინია?

— არა, შეილო, არ ეშინიან: ეგენი დაჩვეულები არიან. მგლის ლეკვს რისა უნდა ეშინოდეს?

სარას ვიღამაც დაუძახა და ამიტომ ლაპარაკიც შესწყვიტეს.

საბრალო დედაკაცმა მთელი დღე მწარე ფიქრსა და დარდში გაატარა. დამთვრალი და გონება არეულ ზღაპრიანივით დადიოდა და არ იცოდა რას აკეთებდა: საჭირო საგნის ნაცვლად სულ სხვას იღებდა, საითკენაც უნდა გაეფლო, იქით არ მიდიოდა, ხშირად შეცდომები მოსდებოდა და ერთვად ოხრავდა.

მთელი დღე შფოთვისა და მოუსვენრობაში გაატარა. სტეფანიკა რომ დაობლდა, დედის შაგიერობას სარა უწევდა: თავის ძუძუთი ჰკვებავდა და თავის კალთაში ზრდიდა. ამიტომაც იყო, რომ თავის შვილებში არ არჩევდა. და აი, ეხლა ჩუდავდა, რომ საბრალო სტეფანიკას უბედურობა თავზე დასტრიალებდა. ვისთვის ეთქვა? როგორ გამოემყლანებინა ყველა ის, რაც ქურთის ქალისაგან გაიგო? კარგად იცოდა და დარწმუნებულ იყო, რომ ბეგის სურვილისა და წაძლილის ამბავს მოხუცი ხაჩო ვეღარ აიტანდა, რადგან მისი გული ისედაც უკურნებელი იყო დაკოდილი. მეორე მხრივ სარა იმასაც ფიქრობდა, რომ დათარვაც არ იქნება, პირიქით უფრო ცუდია; უნდა ვეცადნეთ, რომ მოსალოდნელი უბედურება თავიდან როგორმე ავიცილოთო. გარნა ვრისთვის უნდა გაემყლანებინა?

მთელი დღე სულ ამის ფიქრსა და საგონებელში იყო, მაგრამ მაინც ვერა გადასწყვიტა-რა. საღამოზე რომ ცოლი და ქმარი მარტო დარჩნენ, ქმარმა ჰკითხა:

— სარა, დღეს როგორღაც სხვანაირად შეჩვენებინა; რა ამბავია, ავად ხომ არა ხარ?

— ცოტა თავი მტკივა, მაგრამ არაფერია, გაივლის, — მიუგო ცოლმა. საბრალოს არ უნდოდა იმ უსიამოვნო ამბით ქმრისთვისაც გული მოეკლა.

— შუბლზე ცოტა ძმარი წაისვი.

— ყველაფერი ვცადე...

სარა თან-და-თან ნიადავს ამზადებდა, უნდოდა ქმრისთვის ყველაფერი შეეტყობინებინა, მაგრამ არ იცოდა, როგორ დაეწყო. ბოლოს მიწეში თვით ჰაირაპეტამ მისცა.

— დღეს ვიღაც ქურთის ქალი ყოფილა აქ, ვინ იყო? — ჰკითხა ქმარმა.

— ფათთაჰ-ბეგის ცოლის, ზურშიდას მოახლე იყო.

— როცა კი ის საძაგელი ბეგი ანუ მისი კაცები ჩვენსა გაჩნდებიან, ყოველთვის რაღაც უბედურობას მოველი ხოლმე. ოჰ, როდის იქნება, რომ მაგ საძაგელთა ფეხი ჩვენი ოჯახიდან ამოიკვეთოს!.. — სიბრაზით წარმოსთქვა ჰაირაპეტამ.

— მაგრამ რაც აქამდინ ხარალი და შეწუხება მოუყენებიათ, ღვთის მოწყალებათ უნდა ჩავთვალოთ...— მიუგო ცოლმა სევდიანად.

ჰაირაპეტას ფერი ეცვალა. სარამ რომ ეს შენიშნა, უთხრა:

— ყოველი უბედურობა ადამიანისთვის არის გაჩენილი... რა ექნათ? რასაც ღმერთი გვიგზავნის, მოთმინებით უნდა ავიტანოთ...

საბრალოები! ყოველ ტანჯვა-ვაებას, რაც კი ამ ქვეყნად გამოუცდიათ და ან გამოსცდიან, სულ ღმერთსა და მხოლოდ ღმერთს აწერენ და ამ გვარად ყოველ გვარ უბედურობაში ნუგეშსა ჰპოვებენ!.. თითქო უბედურობათა გამომგონი ღმერთი ყოფილიყოს!..

— რა ამბავია? — ჰკითხა შიშისაგან თავ-ხარ დაცემულმა ქმარმა, — რა მოხდა?

სარა მოუყვა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო, რაც ქურთის ქალმა შეატყობინა. საბრალო ჰაირაპეტას სახე ხან უყვითლდებოდა, ხან უწითლდებოდა; სახის გამომეტყველებაც ამგვარადვე ეცვლებოდა. სულიერი გრძნობები დომხალივით ერთმანეთში არეოდა. სახეზე ხან სასოწარკვეთილება ეხატებოდა, ხან ზიზღი, ხან გაცეცხლება და ხან-კი ჩუმი ნაღვლიანი სიბრალული...

— ამას მე დიდი ხანია ველოდი... — წარმოსთქვა ჰაირაპეტამ, ცოტა რომ სული მოიბრუნა — საბრალო მამა! ეს რომ გაიგოს, ვეღარ აიტანს...

— მეც მთელი ღღე სულ მაგაზე ფიქრობდი, — სთქვა სარამ: — ვერ აიტანს, უეჭველად თან გადაჰყვება.

ცოლ-ქმარ შუა სიჩუმე ჩამოვარდა; ორივე იმის ფიქრში იყო — რა ექნათ, როგორ მოქცეულიყვნენ.

— ეს ამბავი მამას უნდა დავუმალოთ, — სიჩუმე დაარღვია ჰაირაპეტამ.

— ძმებთან დამალვა კი არ იქნება, — მიუგო სარამ.

— ძმებს შევატყობინებ.

— მაშ დროს დაკარგვა აღარ იქნება, ამაღამვე შეატყო-

ბინე, — აჩქარებდა სარა; — ყოველი წუთი ძვირად გვიღირს; რაც მოსაგვარებელი გაქვთ, ჩქარა გააკეთეთ, ვინ აცის ხვალ რა მოგველის?

ჰაირაპეტას ძმები ზოგი შინ იყო, ზოგი კი მინდვრიდან ჯერაც არ დაბრუნებულ იყო. წამოდგა, ცოლი დაარიგა, რომ ვიდრე ძმებთან მოილაპარაკებდა, რძლებისთვის არა ეთქვა-რა. შინ მყოფი ძმები თან გამოიყოლა და გარეთ გამოვიდა. გზაში უთხრა, რომ ძალიან საჭირო საქმე მაქვს, მხოლოდ ეს არის ყველა ძმები უნდა შევიკრიბნეთო. მოსალაპარაკებლად თავინთ წისქვილის მახლობელ ტყეში ერთი ყრუ ადგილი აირჩიეს, რადგან სახლში ხელს შეუშლიდნენ და, გარდა ამისი, იქნება ლაპარაკში თვით მოხუციც ჩარეოდა.

ყველანი რომ შეიკრიბნენ, ჰაირაპეტა წარდგა წინ და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. უთქმელადაც ცხადია, რა მწარე შთაბეჭდილებას მოახდენდა ნათქვამი. ყველა გაქვევებულსავით იდგა, ერთის სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა. იმდროს მათი მდგომარეობა სწორეთ იმ ბელურა ჩიტების მდგომარეობას მოგაგონებდათ, რომლებიც მუშაობის შემდეგ ათასობით ხის ტოტებს შეჰფარებიან; არცა შიათ, არცა სწყურიათ, მხიარულებენ, ჟივჯივებენ და მთელ ტყეს სიცოცხლის ელფერსა სდებენ. უცებ საიდანღაც ქორი გაჩნდება და იმოდენა ჩიტების გუნდს ხმას აკმენდინებს...

ძმებიც სწორეთ ამგვარსავე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, როდესაც ფათთაჰბეგის სახელი და მისი ბოროტი განძრახვა გაიგონეს.

— ეგეც თქვენი ქურთის მეგობრობა! — სთქვა ერთმა მათგანმა: — ბეგი ჩვენი შვილების ნათლიაა და ეგეც-კი ჩვენ პურმარილს ივიწყებს!..

— მგელსა და ცხვარს შუა მელიასა და ქათამს შუა განა მეგობრობა იქნება? წარმოსთქვა გაჯავრებული ხმით ჰაირაპეტამ. — გარნა ჩვენ ცხვარზედაც უხეირონი ვართ და ქათამზედაც... ცხვარს ჩლიქები მაინც აქვს, ხშირათ მტერს პასუხს მითი აძლევს... ქათამსაც ასხია ბასრი კლანჭები, ხანდახან ფხაქ-

ნის ხოლომე... ჩვენ-კი ჩვენივე თავის დასაცველათ არაფერი გაგვაჩნია!.. ჩვენ მხოლოდ კაცობრიობის ჭუჭყი ვართ, მეტი ხორცი, რომელიც უნდა მოშორდეს, რომ კაცობრიობა არაწახდეს, არ დაეცეს.

ეს სიტყვები ისეთი რიხითა და სიმწარით წარმოსთქვა, რომ ძმები შიშის ზარმამ აიტანა.

— რა ვართ ჩვენ? განაგრძო იმავე კილოთი: — მხოლოდ ბეჯითი და საქმიანი მუშეები!.. და ამით მოგვაქვს თავი, მაგრამ ვირი, ცხენი, ხარი და კამეჩი ჩვენზე უფრო ჯანიანებიც არიან და საქმესაც მეტს აკეთებენ... ჩვენ მხოლოდ მუშა პირუტყვები ვართ და სხვა არაფერი... ქურთის შუბი უფრო დიდ საქმეს აკეთებს, ვიდრე ჩვენი შრომის მოყვარე სახნის-საკვეთი. ჩვენ ვშოულობთ, ისინი-კი სჭამენ... ჩვენ ლამაზ ქალებს ვზრდით და ჩვენი ქალების სიყვარულითაც ისინი სიამოვნებენ... რაც რომ კარგია, რაც რომ ლამაზია, ჩვენთვის არ არის დანიშნული... ჩვენ მხოლოდ უხეირო, ულაზათო, გვრჩება ხელში, რადგან რაიმე კარგის ღირსნი არა ვართ...

— რამდენიმე დღოს წინათ, — განაგრძო მან — ამგვარი ლაპარაკი თვით მამასთანაცა მქონდა, ცდილობდა დავერწმუნებოდა, რომ ჩვენი მდგომარეობა არც ისე ცუდია, როგორც ჩვენა გვგონია, და მშგალითისთვის ჩვენი ოჯახი მოჰქონდა. ის-კი ავიწყდებოდა, რომ ქურთების ერთი მცირე გუნდი, ერთი იმათი თავდასხმა საკმაოა, რომ მთელი ჩვენი ავლა-დიდება მიწასთან გასწორდეს. მოდი ეხლა შენა და უთხარი, რომ შენი საკუთარი სახლიდან უნდა გაიტაცონ, წაიყვანონ შენი საყვარელი ქალი, შენ თვალე დაჭყეტილი შორიდან უნდა უცქეროდე და სიტყვის შებრუნების ნებაც-კი არა გქონდეს!.. — ეს არის ჩვენი კარგი მდგომარეობა?! ამგვარი მდგომარეობა მხოლოდ სომეხს, უსირცხვილო და ყოველგვარ ფაფქოვარეობას მოკლებულ სომეხს შეუძლია მოითმინოს!.. აბა წადი, სცადე და ვეფხვს ქლანქებიდან ლეკვი გამოჰგლიჯე: ერთ წუთსაც არ დაახანებს და იქვე თავის ბინის წინვე ნაქერ-ნაქერათ გაქ-

ცევს. — ქურთიც ასეთია, მაგრამ ჩვენ რანი ვართ?... არაფერი, არარაობა!..

ჰაირაპეტას სიტყვებმა ზოგი მათგანი ისე აღაშფოთა, რომ ერთხმად გადასწყვიტეს წინააღმდეგობა გაეწიათ, დახოცილიყვენ და სტეფანიკა-კი ქურთის ხელში არ ჩაეგდოთ.

— მაგიტ მიზანს ვერ მივალწევთ, — მიუგო გამოცდილმა ჰაირაპეტამ: — თავს შევაკლავთ, დავიხოცებით და სტეფანიკას - კი მინც ხელში ჩაგდებენ...

— დეედავიხოცნეთ! — წამოიძახა ერთმა მათგანმა, აპომ, — ჩვენი დის გაუპატიურებლს მინც ვეღარ ვნახავთ და სამარეში დამშვიდებულნი ვიქნებოთ...

ამის წინააღმდეგი აზრისანიც აღმოჩნდნენ.

— რა კკუა იქნება, რომ გავიყოლიტნეთ, ისიც ერთი ქალის გულისთვის, და ჩვენი ცოლშვილი უპატრონოთ დავტოვოთ — თქვა ერთმა რომელსაც ოჰანას ეძახდნენ. — ამ საქმეში მე ხელოები დამიბანია. ერთი და არა გვყავს? დეე ეგეც ნუ გვეყოლება — ეს არც თუ ისე დიდი უბედურება იქნება. იმის გულისთვის რათ უნდა დავიღუპნეთ?

ერთმა სხვა ძმამაც (რომელსაც ჰაკო ერქვა სახელათ) იმავე თვლით შეხედა სტეფანიკას ბედს და ოჰანას აზრს გამოესარჩლა:

— ამ საქმეში მე არავითარ უბედურებასაც არ ვხედავ, ჰირ იქით, ძალიან კარგიც იქნება, რომ თათთაჰბეგისთანა სიძე გვყვანდეს: ყველა სომეხს ჩვენი შიში ექნება, მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვკირდება, — დაუმატა მან: — აბა ჩვენი მეზობელი მუკო რა კაცია? სახლში საჭმელი პურიც კი არ აქვს, მაგრამ, რადგან მისი ქალი ერთ ქურთსა ჰყავს ცოლათ, ლაპარაკსაც კი ვერ ვუბედავთ, ისე გვეშინია მისი. ერთი მეტი სიტყვა რომ ვუთხრათ, თავის სიძეს გზებს ასწავლის, ისიც ადგება, ერთს ღამეს თავს დაგვეცემა და ჩვენსავე სახლში ყელებს დაგვჭრის. განჯ რომ ხელსაყრელია ამისთანა სიძის ყოლა?

ამ სიტყვებმა მოთმინებიდან გამოიყვანა აპო, რომელიც წინააღმდეგობის მომხრე იყო და გაიძახოდა, რომ თავები გაიწიროთ და ჩვენი და კი უპატიურობას ავაცილოთო.

— იესო ქრისტეს მადლმა, ჰაკო, შენ სწორედ ჭკუა დაგკარგვია!— წამოიძახა მან;— ეგ რაებს ამბობ? მაგას თვით დამთხვეული გიჟიც-კი არ იტყვის! მხოლოდ იმისთვის, რომ სოძხებს ჩვენი შიში და პატივისცემა ექნებათო, სარწმუნოებას უნდა ვუღალატოთ და ჩვენი საყვარელი და უსჯულოსა და ურწმუნო ქურთს ჩავუგდოთ ხელში?.. წყეულიმც იყოს ამგვარი პატივისცემა!.. შენ არ იცი, რომ პირში იქნება მართლა პატივიცა გვცენ, მაგრამ გულში კი ყველა წყევლა-კრულვას შემოგვითვლის? მუკომ რომ თავის ქალი ქურთს მისცა, მერე ვის უყვარს იგი? ეგ სხვა საქმეა, რომ მისი შიში აქვთ: ბევრს ძაღლისა და მგლისაც ეშინია...

ერთი ძმა, რომელიც აქამდინ ჩუმად იყო და ლაპარაკში არ ერეოდა, თავისი ჩვეულებრივი სარწმუნოებრივი ფილოსოფიით წინააღმდეგა აპოს აზრს და დასამტკიცებლად შემდეგი საბუთები მოჰყავდა: ღვთის განგებას ვერვინ შესცვლის და რაც მოსასვლელია, უნდა მოვიდესო. ღმერთს ქურთი ქურთათ გაუჩენია, სომეხი—სომხად; ქურთისთვის იარაღი მიუცია, სომხისთვის კი ბარიო. ერთი მეორის ადგილს ვერ დაიჭერს, ყველაფერი ღვთის ნებააო. ბოლოს სიტყვა შემდეგი მაგალითით დააბოლოვა: „ყვაფი ძალიან გულითაც ისურვებდა, რომ ფარშევანგის ფრთები ჰქონოდა, მაგრამ ვინ მისცემს. ღმერთს ერთი ისე შეუქნია, მეორე-კი—ასეო.“

— შენ გავიწყდება, ძმაო—უპასუხა აპომ, — რომ ყვაფი და ფარშევანგი სულ სხვა და სხვა მოდგმის ტრინველებია, მაგრამ ქურთი და სომეხი-კი ორივე ადამიანებია. ქურთს იარაღი ღმერთის მუცლიდან როდი დაჰყოლია. იგიც ისეთივე შიშველი და სუსტი არსება იბადება, როგორც სომეხი. ყველაფერს ღმერთს რას ახვევ თავზე? განა ქურთისთვის იარაღი ღმერთს მიუცია, რომ მოვიდეს, გაგვჟლიტოს, ჩვენი ქალები დაირეკოს და წააიყვანოს? ასეთ საცოდავებათა და მხდლებათ განა ღმერთმა

გარდაგვიქმნა? ღმერთი ამ საქმეში არ ერევა: ჭკუა და გონება იმიტომ მოგვცა, რომ რაც კარგი და სასარგებლოა, ის ავირჩიოთ. ეხლა რომ წახვიდე და აიმ წყალში გადავარდე, ღმერთი როდი შეგაყენებს: შენი თავის დამლუპველი შენვე იქნები...

ყველაზე უფროსი ძმა, ჰაირაპეტა, ძმების აზრთა შეჯახებას გაჩუმებული უგდებდა ყურს. იგი მზათ იყო აღდგარიყო და აპოსთვის შუბლზე ეკოცნა, მაგრამ დანარჩენი ძმების წყენას მოერიდა.

— ხომ ხედავთ, — თქვა მან სევდიანათ: — ექვსი ძმა ვართ შეკრებილი, მაგრამ ერთმანეთისა ვერა გაგვიგია-რა და ვერც შევთანხმებულვართ! მაგრამ რამდენად ძნელი უნდა იყოს მთელი ხალხის, მთელი ერის შეერთება?!.. ვიდრე ჩვენ ასე დარღვეული, შეუთანხმებელი ვიქნებით, ჩვენი მდგომარეობაც ასეთი იქნება... კისერში წაგვითავაზებენ, პირში მოგვაფურთხებენ; ცოლს, ქალს საქონელს, მამულ-დედულ წაგვართმევენ... ჩვენ-კი იძულებული ვიქნებით ყველა უპატიურობა, ყოველ გვარი ტანჯვა-ვაება მოვითმინოთ და საცოდავი პირუტყვივით ვიმუშავოთ ჩვენივე მტრისთვის, რომ მან კმაყოფილებითა და ბედნიერებით იცხოვროს!.. თან ღმერთს მადლობას უნდა ვწირავდეთ, რომ სიცოცხლეს მაინც გვარჩენენ და ნებას გვაძლევენ უბრალო ქვემძრომივით დედამიწაზე დაგბობდავდეთ!..

თავისი სიტყვები ჰაირაპეტამ ღრმა მწუხარებით დაათვა. ბოლოს ძმებს წინადადება მისცა, რომ სტეფანიკა სახლიდან გაემორებიათ და დროებით წმ. იოვანეს მონასტერში შეეფარებინათ. შემდეგ როცა საშუალება მოგვეცემა, ავდგეთ და რუსის საზღვარს გავაცილოთ, იქ-კი, რუსის სამფლობელოში თავისუფალი იქნებაო.

ოჰანა და ჰაკო არც ამ წინადადებაზე დაეთანხმენ და უპასუხეს:

— ეგ ხომ ისევ ბეგის სურვილის წინააღმდეგობა იქნება. ეწყინება და ჯავრს ჩვენზე ამოიყრის.

თავის მხრივ წინადადება მისცეს, რომ სტეფანიკა სახლშივე დაეტოვებიათ და ისევ იმავე სიტყვებს იმეორებდნენ — რაც ღმერთს უნდა ის იქნებოდა, ღვთის დაწერილს, ღვთის დარდგენილს კაცი ვერ მოშლისო და სხ... .

ზოგი-კი იმ აზრის იყო, რომ მამისთვის შეეტყობინებიათ და, ვითარცა სახლის მამა და ოჯახის უფროსი, როგორც იგი გადასწყვეტდა, ისე მოქცეულიყვენ. ამგვარად სჯა-ბაასი უფრო გრძელდებოდა და რაიმე გარდაწყვეტილებას-კი ვერ დასდგომოდნენ.

მათს თათბირში უცებ საზიზლარი ბუ ჩაერია. მახლობელ ტყიდან მისი უბედურობის მომასწავებელი ხმა მოისმა და ყველა შიშის ზარმა აიტანა.

— გესმით, ჩვენ მართალს ვამბობდით! — წამოიძახეს ოპანამ და ჰაკომ, — აგერ ჩვენი სიტყვის სიმართლეს თვით ბუცკი ამტკიცებს, — სტეფანიკის დამალვას თუ გაპარებას ცუდი შედეგი მოჰყვება.

ჰაირაპეტა და აპო თავიანთ რწმენაზე მტკიცეთ დარჩნენ. გათავდა კრება, მაგრამ გადაწყვეტით-კი ვერაფერი გარდაწყვიტეს.

XIII

მაგრამ ეს როგორ მოხდა, რომ ვაჟი სტეფანიკა ქალათ გარდაიქცა?.

აუხსნათ ეს გამოცანა, რომლის გასაღებიც ერთს პატარა სამწუხარო ამბავშია დაფარული.

მოხუცი ხაჩოს სახლის ეზოს ერთ მიყრუებულ ადგილას ერთი საფლავი იყო, რომელსაც ოთხი ალვის ხე ჰქონდა შემორიგებული. ზედ არც ჯვარი იყო, არც ქვა და არც თუ რაიმე წარწერა. საფლავი მხოლოდ ოდნავ იყო აცილებული მიწას, ტაბლის მსგავსათ ოთ-კუთხათ მოყვანილი და გაჯით გალესილი. ხშირათ, როდესაც ხმაურობა მისწყდებოდა და ყველაფერი ღამის წყვდიადით იყო მოცული, მოხუცი ხაჩო

მიდიოდა ამ საფლავთან, დაემხობოდა ზედ და მწარე ცრემლს აფრქვევდა. სახლის დანარჩენი წევრნიც რაღაც მწუხარებით ჩაუვლიდენ ხოლმე გვერდზე, თითქო მთელი ოჯახის ბედნიერება აქ დაუმარხავთო. ვინ იყო იქ დამარხული?

ხაჩოს ერთი ქალი ჰყავდა, რომელსაც სახელათ სონა ერქვა და რომელიც სტეფანიკას ძალიან წააგავდა. სონა რომ თექვსმეტი წლისა შეიქმნა, ყოველ მხრიდან მთხოვნელები მოსდიოდა, მაგრამ მარტო იმისთვის-კი არა, რომ მდიდარი ოჯახის ქალი იყო, არამედ უფრო იმისთვის, რომ მეტის მეტი ლამაზი რამ იყო. მამა დიდ არჩევანში იყო, არ იცოდა თავისი ქალი რომლისთვის მიეცა. გარნა სონას ბედნიერებას ბოლო ერთმა სამწუხარო შემთხვევამ მოუღო. ერთხელ მწვანოილეულის მოსაკრებათ მინდვრათ გავიდა და მას შემდეგ უკან აღარ დაბრუნებულა. მის დაკარგვის მიზეზს ბევრნაირათ ხსნიდენ: ზოგი ამბობდა წყალში დაიხრჩოვო, ზოგი გაიძახოდა მგლებს შეუჭამათო, ზოგი ცრუმორწმუნოებით იმასაც-კი ამტკიცებდა, რომ ავი სული დახვედრია და იმას გაუტაცნიაო, ზოგი-კი ქურთებს აბრალედა. ბევრი ეძებეს, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ დედა-მიწამ, ვერას გახდნენ, დაკარგული ქალის კვალსაც-კი ვერ მიაგნეს, თუმცა მამა დიდ საჩუქარს იყო დაპირებული, ვინც სწორე ამბავს შეატყობინებდა.

ამასობაში რამდენმამე კვირამ განვლო.

ერთ დღეს მოხუცის სახლს ერთი ჯოროსანი ქურთი მიაღდა, რომელსაც ცხენ-წინ კუბო ჰქონდა შემოდებული.

ქურთის ნაამბობიდან სჩანდა, რომ უბედური ქალი მინდვრიდან გაეტაცნა ერთ ქურთ აზნაურს, რომელიც, მართალია, ჩამომავლობით არც იმდენათ გამოჩენილი იყო, მაგრამ თვის ტომთა შორის ცნობილი იყო, როგორც უპირველესი ბოროტ-მომქმედი. სონამ ამ საზიზლარი კაცის კლანჭებიდან თავის დასაღწევათ რომ სხვა ვერაფერი გამოიხაზა, თავშალს რა-

მდენიმე ოქრო *) ჩამოხსნა და ქურთის ერთ ბებერ დედაკაცს მისცა, რომ მისთვის საწამლავი ეშოვნა. ოქროებით თვალელებ აბმულმა ბებერმა თხოვნა შეუსრულა და სონა საწამლავით გარდაიცვალა. ქურთებმა თავიანთ სასაფლაოზე დამარხვა არ ისურვეს, რადგან განსვენებული სულის ამოსვლამდე სულიმას გაიძახოდა თურმე, „მე ქრისტიანი ვარ, სარწმუნოებას არ გამოვიცვლიო.“ ამ გვართ გვამი დაუმარხავი რჩებოდა. ამ გარემოებით ერთმა ქურთმა ისარგებლა და, როდესაც ქალის ვინაობა შეიტყო, აიღო და ხაჩოს სახლში მიიტანა იმ იმედით, რომ ჯილდოს მიიღებდა.

უბედურ ქალის გვამს ნაკლებ ფანატიკურათ არც თუ სომხის სამღვდლოება მოეპყრა. რადგან საბრალოს თავი მოეწამლა, გაუნდობლათა და უზიარებლივ მომკვდარიყო, ისიც ურჯულოს ხელში, — ამიტომ ღვდლებმა ნება არ მისცეს, რომ სომხის სასაფლაოზე დაემარხათ (ამგვარ ფანატიკოსობას ბევრგან შევხვედრივარ. საკვირველი ის არის, რომ მღვდლების ასეთს შეხედულობას ბრბოც ეთანხმება). აი სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ მამის სახლის ეზოში იყო დამარხული. რაც ეკლესიამ გასწირა, უკუ აგდო — ოჯახმა შეუსრულა და თავის უბეში მიისვენა...

თავადაც ცხადია, ამგვარი უბედურება მოხუცის ოჯახს რა სიმწარესაც მოჰგვრიდა. გარნა უბედურობა ამით არ დაბოლოვებულა. სონას დედამ, რეჰანამ საყვარელი ქალის უბედურება ვეღარ აიტანა, დღე-დღეზე ჩამოხმა, ჩამოყვითლდა და სტეფანიკას დაბადების შემდეგ-კი სულიც განუტევა. ამ შემთხვევამ სტეფანიკას ბედ-იღბალზედაც-კი განსაკუთრებული გავლენა იქონია. თუმცა ვაჟის სახელითა და ტანსაცმლითა

*) ალაშკერტისა და საზოგადოთ ოსმალეთის სომხეთის სოფლის ქალები ერთ გვარ თავშალს ხმარობენ, რომელიც მთლათ ფულებით არის მორთული; თუ მდიდრები არიან, ოქროს ფულს ხმარობენ, თუ ღარიბები — ვერცხლისას.

ზრდიდნენ, მაგრას ნამდვილათ-კი ქალი იყო. სახელოდაც ლალა ერქვა. მაგრამ რა იყო მიზეზი, რომ ვაჟურათა ზრდიდნენ?

სონას სიკვდილმა მოხუცს ისეთი სამწუხარო შთაბეჭდილება დააჩნია, ისეთ ცრუ-მორწმუნეთ გარდაქმნა, რომ როდესაც სტეფანია დაიბადა, სულ იმას გაიძახოდა—ამასაც სონას ბოლო მოელისო. მისი ეჭვი უადგილო არ იყო, რადგან მრავალი მაგალითი თავის თვალთა ჰქონდა ნახული, რომ მაჰმადიანების მიერ გასათხოვარი ქალის მოტაცება ჩვეულებრივ ამბათ გარდაქცეულიყო. ამიტომ მამამ გადასწყვიტა, რომ სტეფანია ვაჟად ყოფილიყო ცნობილი და ვაჟის სახელით აღზრდილიყო, ვიდრე გასათხოვრობის ჰასაკს მიაღწევდა. ამავე აზრის იყო თვით საბრალო დედაც, რომელიც ჩქარა გარდაიცვალა და მისი აღზრდა აღარ დასცალდა. ეს საიდუმლო მთელ ოჯახში სასტიკად იყო დაცული. გარემეთა შორის მხოლოდ სამმა იცოდა—სოფლის მღვდელმა, ნათლიამა და ბებიამ; ეს უკანასკნელი კარგა ხანია გარდაცვლილიყო.

ლალა—ამის შემდეგ სტეფანია ხშირად ნამდვილი სახელით უნდა ვახსენოთ—ამ ჟამად თექვსმეტი წლისა იყო. სოფლის ქალისთვის ეს ისეთი წლოვანებაა, რომლის შემდეგაც სახლში დიდხანს აღარ ინახვენ. ამიტომ ხაჩოც ფიქრობდა მის გათხოვებას. მაგრამ საქმის სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ ლალა ყველასგან ვაჟად იყო ცნობილი და, რაღა თქმა უნდა, მთხოვნელიც არავინ მოუვიდოდა. გარდა ამისა, მამას უნდოდა, სასიძო უცხო ქვეყნელი ყოფილიყო, ჯვარი გადაეწერათ და წაეყვანა, რომ ნაცნობთა შორის ლალას ქალობის დაფარვის ეშმაკობა არ გამომჟღავნებულყო, თუმცა იმ ქვეყანაში ამ გვარი შემთხვევა იშვიათი არ იყო. მაგრამ ამ გარემოების შესაფერი სასიძო სად უნდა ეშოვნა?

მამას თვალთ ეჭირა ერთ კაცზე, რომელიც თავის თავს თომას-ეფენდის უხმობდა. ისეთი ყბელი, მატყუარა, ტანდაბალი და მრგვალი რამ იყო, რომ ადამიანის გარდა ყველაფერს ემსგავსებოდა. ვინ იყო ან სადაური? არავინ იცოდა; მისი სიტყვით კი ვითომ კონსტანტინეპოლელი იყო და იქ გამოჩე-

ნილი ნათესავეებიცა ჰყავდა. ლალას ძმებს ეს მაიმუნი ჭირვით ეჯავრებოდათ, იმიტომ კი არა, რომ წრეს გადასული გონჯი შეხედულობისა იყო, არამედ უფრო იმიტომ, რომ საშინელი ხარბი და გულქვა რამ იყო. — სომხის საზოგადოებას შორს გაურბოდა, სულ ოსმალურად ლაპარაკობდა, და ერთთავად მუდირთა, გაიზავამთა და ქურთის ბეგებში ეგდო. მათი სახელით მოჰქონდა თავი და სოფლის სომხებსაც მათივე სახელით ემუქრებოდა. თომას — ეფენდი სახაზინო მულთეზიმი იყო, რაც სახელმწიფო ხარკებისა და გადასახადების მოძკრებს ნიშნავდა.

გლესთათვის მულთეზიმს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ცრუ-მორწმუნეთათვის სულთა-მხუთავს, ჯოჯოსა და ეშმაკს, ესე იგი იმგვარ საგნებს, რომლებსგანაც გლესს თავზარი ეცემა და შიშით გული უცახცახებს. მაგრამ რისგანაც გლესს შეტად ეშინიან, იმას უფრო მეტ პატივისა სცემს. გლესებში რომ ეშმაკი გამოცხადებულიყო, ზიზლის ნაცვლად პირფერობას დაუწყებდნენ. ადამიანი ყოველთვის ასე მოქცეულა და ასეც იქცევა. ველურობის დროს ადამიანი კეთილსა თუ ბოროტ სულს ერთნაირად სცემდა თავყანს, ორივეს მსხვერპლსა სწირავდა. საკვირველი ის არის, რომ ბოროტს სულს უფრო მეტი მსხვერპლი ხვდებოდა წილად, ვიდრე კეთილს. „კეთილი ხომ ჩვენია, — ფიქრობდა ველური ადამიანი, — ბოროტი უნდა მოვიმადლიეროთ, რომ ვნება არ მოგვიტანოს...“

ეს გარემოება რომ თვალ-წინ ვიქონიოთ, ადვილად მივხვდებით, თომას-ეფენდი ხაჩოს ოჯახში ისე რად იყო მიღებული, როგორც ერთი პატივცემული ნაცნობთაგანი. მოხუც ხაჩოს მუდმივი დამოკიდებულება ჰქონდა ეფენდისთან, რადგან სოფლის მამასახლისი იყო და, როგორც სოფლის თავი და როგორც თანამდებობის კაცი, ხარკებისა, გადასახადებისა და გლესის ნამუშავერის „მეათედის“ აკრებაში შველოდა. ამიტომაც იყო, რომ თომას-ეფენდის მამასახლისის სახლში მუდმივი მისვლა-მოსვლა ჰქონდა, ხშირად მთელი კვირაობითაც კი რჩებოდა და თანამდებობისამებრ ხარკებს აგროვებდა. სოფლის მამასახლისის „ოდა“ ამგვარ სტუმრებისთვის ნამდვილ სასტუმ-

როს წარმოადგენს. გაიმავამი გინდა, მუდრიი, „სასულიერო ნაყოფის“) მომკრები ვართაპეტი, უკანასკნელი ზაფთია (პოლიციელი) და თითქმის უკანასკნელი მათხოვარიც კი სულ „ოდაში“ მიიწევს.

იმ სამწუხარო თათბირის მეორე დილას, რომელიც ძმებს წისქვილის მახლობელ ტყეში ჰქონდათ, სოფელ ო...ში გაჩნდა თომას-ფენდი თავისი განუშორებელი ორი პოლიციელით. ამჟამად იმისთვის მოსულიყო, რომ ცხვარსა და სხვა პირუტყვებზე გადასახადი დაენიშნა, რადგან უკვე გაზაფხული იყო და გლეხები საქონელს იალაღზე მიერეკებოდნენ. მოხუცი ხაჩო და ფენდი სოფელში საქმეს მორჩენილიყვნენ და სახლისკენ მიეშურებოდნენ. მე მგონია სულთან კონსტანტინეპოლის ქუჩებზე ისეთი სიამაყით არ გაივლის, როდესაც ჩვეულებრივ პარასკეობით აია-სოფიოს მეჩეთში მიდის ხოლმე სალოცავად, როგორც ეს პატარა კაცუნა სოფ. ო...ს ქუჩებზე დადიოდა. მუცელ გამობერილი დადიოდა, ცხვირს მალლა იწვედა და წამდა უწუმ აქეთ-იქით იხედებოდა—აბა რამდენი ხალხი მიკრავს თავსაო. ტანზე ყვითელი ღილებით აჭრელებული მუნდირი ჩაეცვა და ყველას არწმუნებდა, რომ ვეზირისგანა მაქვს მიღებულიო.

მამასახლისის ოდაში რომ შევიდა, ყავის მოტანას აღარ მოუცადა, უბრძანა ჩქარა შემოეტანათ და თითონვე შეუკვითა სადილისთვის რაც უნდა მოემზადებინათ. რომელ სახლშიაც კი სახაზინო ხარკების მკრებავი შედის, თავის თავს სახლის უფროსათა სთვლის და თუ ვინიცობა სახლის პატრონებმა სურვილი არ შეუსრულეს, ძლიერ სასტიკად ეპყრობა.

ტახტზე დასხდნენ თუ არა, მოხუცმა ხაჩომ მიმართა:

— ფენდი, ის საბრალო გლეხი დღეს სულ უბრალოდ გაალახვინეთ.

*) „სასულიერო ნაყოფს“ სომხეთში სამონასტრო მამულებზე გაწერილ ღალასა თუ სხვა გარდასახადებს უწოდებენ.

— სკდებით, მამასახლისო, — უპასუხა მან კატის ხმით: — გლესს ცემა უნდა და ლაზათიანი ცემაც. „ვირს ვიდრე არა სცემო, საპალნეს არ წაიღებსო“, ნათქვამია.

— კეთილი, მაგრამ გლესი რომ არა სტყუოდა?

— ტყუოდა თუ არა, ეგ სულ ერთია. დღეს თუ არა ჰქონდა-რა დანაშაული, ხვალ ექნება. მოლა მასრადინას არაკი არ გაგიგონია? ერთმა მისმა ვირმა თოკი აწყვიტა და გაიქცა. იმის ნაცვლად, რომ უკან გამოსდგომოდა, დაეჭირა და დაე-საჯნა, მეორე ვირთან მივიდა და ცემა დაუწყო, რადგან საბ-რალოს პირველი ვირივით თოკი არ აეწყვიტა და თავის ადგი-ლას იდგა. ჰკითხეს მოლას: „მაგ საწყალმა რა დაგიშავა, რომ მაგრე უწყალოდა სცემო?“ მოლამ მიუგო: „თქვენ რა იცით: ამან რომ თოკი აწყვიტოს, იცით როგორ გაიქცევაო?“...

— მაინც ამას ვიტყვი, ეფენდი, რომ გლესი არა სტყუოდა. დანამდვილებით ვიცი, რომ მისი ცხვრების მეტი წილი ქურ-თებმა გაიტაცეს, — უთხრა მოხუცმა იმის დასამტკიცებლად, რომ დამნაშავის ნაცვლად სრულიად უდანაშაულო ვირი არ უნდა ისჯებოდეს.

— ეგ მეც კარგად ვიცი, მამასახლისო, რომ ქურთებმა ცხვრები მოსტაცეს, — მიუგო ეფენდიმ წყნარად: — მაგრამ მე რომ ამისთანა ანგარიშებს ყური დავუგდო — „წყალი მოვარდება და წისკვილს წაიღებსო“ — მაშინ სახელმწიფო ხარჯი ჩემი ჯი-ბიდან უნდა ვიხადო. წარსული წლის სიაში იმ გლესის სახე-ლით ასი სული ცხვარი სწერია, მეც ამიტომ ასის ხარჯსა ვთხოვ; და თუ იმ ასი ცხვირიდან 50 ან 60 ცალი ქურთებს გაურეკიათ, მე რა მენადვლება? ქურთები ყოველ დღე იპარა-ვენ, თუ კაცები არიან, ნუ მოაპარინებენ.

— ცოტა შებრალება უნდა იქონიოდ, ეფენდი, — მიუგო ხაჩომ: — გლესს მხოლოდ იმ ცხვრის ხარჯი უნდა მოსთხოვოთ, რაც ნამდვილათა ჰყავს; — ის მოვალე არ არის, რომ დაკარ-გულისა, დახოცილისა და მოპარული ცხვრის ხარჯსაც იხდი-დეს.

— მე როგორ დავრწმუნდე, რომ მართლა მოუპარავთ? — მიუგო ეფენდიმ გაჯავრებული ხმით: — გლახს შეუძლიან ცხვრები დამალოს და მე კი მითხრას — დავკარგეო, მომპარესო, დაიხოცნენო... ვინ მოსთვლის, ათასი ამგვარი მიზეზი შეუძლიან მოიგონოს.

მოხუცმა აღარა უთხრა-რა.

— მაგრამ, მამასახლისო, როგორც გეტყობათ, ჯერ ის ახალი ფირმანი არ გინახავთ, რომელიც ახლახან სულთანმა გამომიგზავნა. რომ იცოდეთ შიგ რეები სწერია, მაგრე აღარ ილაპარაკებდით.

ამ სიტყვების თქმის უმაღვე უბიდან ერთი დიდი პაკეთი ამოიღო, პაკეთიდან კიდევ ერთი შეკრული ქალაღდები და სიფთხილით ფურცვლა დაუწყო; ბოლოს მსხვილი და ფერადი ასოებით დაბეჭდილი ერთი დიდი თაბახი წითელი ქალაღდი გახსნა და ხელში მიაჩეჩა:

— აჰა, წაიკითხე!

მოხუცმა სხვილ ასოებს გაშტერებით ცქერა დაუწყო. (რაც დიდია და ან რაც რომ სხვილია, ტეტიასთვის ყველა საკვირველია). თათრული კითხვა რომ სცოდნოდა, ადვილად მიხვდებოდა, რომ ის უშველებელი წითელი ქალაღდი სხვა არა იყო-რა, გარდა სათეატრო აფიშისა, რომელიც ერთი მსახიობი ქალის საბენეფისოდ იყო დაბეჭდილი.

— მამასახლისო, — შენიშნა თომას-ეფენდიმ: — ხონთქარის ფირმანს ასე უზრდელად არ ეპყრობიან: ფირმანს რომ ხელში აიღებენ, ჯერ აკოცებენ და შემდეგ კითხვას შეუდგებიან.

მოხუცმა აკოცა და დიდი მოკრძალებით უკანვე გარდასცა.

— გლახებს ათასჯერ ვუმეორებ, ახლა ასეთი ბრძანებაჲ, ხარჯებმა მოიმატეს მეთქი, მაგრამ ვინ გაიგონა? მაინც თავისას გაიძახიან, — სთქვა ეფენდიმ რალაც განსაკუთრებული სიცხარით: — მეც კაცი ვარ, მოთმინებიდან გამოვდივარ და ცემას დაფუწყებ ხოლმე. არჲ, ვირი ხომ ვირია, მაგრამ თუ ერთხელ ტალახში ჩაიფლა, თუ გინდა კისერი მოსტეხო, მეორედ იქით

ველარ გაატარებ. მაგრამ ამ გლეხებს ვირის ჭკუაც კი არა აქვთ (თომას-ეფენდის ჩვეულებად ჰქონდა და მაგალითებსა თუ შედარებებს სულ ვირების ცხოვრებიდან იღებდა).—ყური დამიგდე, მამასახლისო, ერთი ამბავი უნდა გაიმბო. შენ ხომ კარგად იცი, რომ ალაშქერტის მაზრის მრავალი სოფელი ჩემ ხელშია? ერთი სოფლის გლეხს პური მოემკა, გაელეწნა და დარკვეული ხორბალი იქვე კალოზე დაეგროვებინა. შემატყობინა, თუ პური აარწყვევინეთ და მეთელი წილი აიღეთო. მეთელის ნაცვლად ნაღდი ფული მოვთხოვე. იცი რა მიპასუხა? ფულის მოცემა არ შემძლიაო და დაუმატა: „თქვენ მხოლოდ ხორბლის აღების უფლება გაქვთ და ამიტომ თქვენი კუთვნილი ხორბალი მიიღეთო.“ (მე ვერ მოვითმენ, რომ ბრიყვი და გაუთლელი გლეხი უფლებაზე ლაპარაკობდეს).—გუნებაში ვთქვი: დედას აგიტირებ, მე გაჩვენებ უფლება რაც არის მეთქი. ხორბალი არ ავიწყე და ისე გავუშვი. მოვიდა წვიმა, სისველისგან ხორბალი გაღივდა, დაღპა და მთლათ გაფუქდა. მიველი და ვუთხარი: ჩემს უფლებას არ გადავხდები, მომეცი ჩემი საკუთნო ხორბალი მეთქი. მაგრამ რა უნდა მოეცა, როდესაც ხორბალი ტალახის გროვით გადაქცეულიყო?—მაშ მეთელის ნაცვლათ ფული მომეცი მეთქი, ვუთხარი. არც ფული ჰქონდა. ჯერ ერთი ლაზათიანათ ვაცემინე, მერე ვუბრძანე, რომ ხარები გაეყიდნათ და ისე მივიღე ჩემი ფული. მას აქვთ ის გლეხი ისეა დარბილებული, რომ კვერცხით საფსე გოდორი რომ აჰკიდო, ერთს არ გასტეხავს. დამინახავს თუ არა, ერთი ვერსის სიშორეზე გაჩერდება და მძიმეთ თავს მიკრავს ხოლმე.—აი მაგათ ასე უნდა მოექცეს ადამიანი.

— მერე შებრალება აღარ არის?—ჰკითხა ხაჩომ ისეთი ჩუმი ხმით, თითქო ეშინია და არ უნდა, რომ მისი ნათქვამი სხვამ გაიგოსო.

— რა არის სიბრალოული?—მიუგო ხარჯის მკრებავმა დაცინვით:—მმართველობა სხვაა და სიბრალოული—სხვა. ორმოცი წელიწადია ამ სოფლის მმართველი ხარ და მაინც სწორეთ ვერ გავიგია, როგორ უნდა იქცეოდე. წელან ხომ გაიგე მო-

ლა მასრადინას არაკი ვირების შესახებ, ახლა კიდევ ერთს სხვა მაგალითს გეტყვი: ერთი ფაშა მაზრის მმართველათ დანიშნეს; რა წამს თანამდებობა ჩაიბარა, მაშინვე არც აცივა, არც აცხელა, დააჭერინა რამდენიმე კაცი, როგორც დამნაშავენი, გამოუძიებლათ ციხეში ჩამწყვდევენა და თავებიც-კი დააყრვენა. იქნება იმ კაცებს არავითარი დანაშაულიც არა ჰქონდათ, მაგრამ ფაშას რამდენიმე კაცი უნდა შეემუსრა, რომ ხალხს მისი შიში ჰქონოდა. აი რას ნიშნავს მართვა-გამგეობა? ხალხს ვისიმე შიში უნდა ჰქონდეს. მეც რომ იმ გლეხს ისე არ მოვქცეოდი, მისი ხორბალი რომ არ გამეოხრებინა, კაცის აღვილას აღარც მეორე გლეხები ჩამამადებდენ და იმის შემდეგ მეც ჩემი სურვილისამებრ ველარ ვიმოქმედებდი.

თომას-ეფენდი თავის ავკაცობაზე ისე არხეინათ ლაპარაკობდა, როგორც რომელიმე ქურთი თავის ავაზაკობას იქადის ხოლმე. ამ სომეხსა და ფათთაჰ-ბეგ შორის რა განსხვავება იყო?—მარტო ისა, რომ პირველი მურდალი, მელაძუა მყვლეფავი იყო და მეორე-კი — გულადი და პირდაპირი ავაზაკი.

აი ამ ორ არსებათა შორის ერთ ერთის ბედს უნდა შეერთებოდნა საბრალო ლალას ბედ-იღბალი. მაგრამ იმას-კი აღარავინ კითხულობდა თვით ლალას ვილასთვის უძგერდა გული?..

ბ. კვანტულაგი.

(შემდეგი იქნება).

„ს ა მ ნ ი“

მ. გორკისა

თარგმანი ივ. პოლუმორდინოვის მიერ

ყველა ამ შემთხვევების შემდეგ მეტად შესამჩნევად გამოეცვალა ილოს ხასიათი. წინათ მხოლოდ სკოლის ამხანაგებს ერიდებოდა ხოლმე, რადგან ვერ იქმნა და ვერ მოახერხა მათთან შერიგება და ვერ მოინდომა მათთან დაახლოვება, მაგრამ სახლში კი სანაცვლოდ ყველას ენდობოდა და ყველას უმეგობრდებოდა, უფროსების ყურადღება მას სასიამოვნოთ მიაჩნდა. ეხლა კი ყველას ჩამოეცალა და დამჯდარი ხასიათის კაცად გამოიყურებოდა, რაც მის წლოვანებას არ შეჰფეროდა. სახის გამომეტყველება მკაცრი გაუხდა და ტუჩებ მოკუმშული, წარბებ შექმუხვნილი ბეჯითად აღევნებდა თვალ-ყურს უფროსების ქცევა-ცხოვრებას და იმათ ლაპარაკს ყურს უგდებდა. მას აწუხებდა, სულს უხუთავდა მარტო ერთი მოგონებაც კი იმისა, რაც პაპა ერემეის სიკვდილის დღეს ნახა, და ეგონა პეტრუსასა და ბიძასთან ერთად მეც მიმიძღვის მოხუცთან დანაშაულიო. იქნება, მომაკვდავმა მოხუცმა რომ დაინახა თავისი მძარცვავნი, გაიფიქრა, რომ ილომ თუ მიუტანა პეტრუსას ფულის ამბავიო. ეს აზრი უცბათ, მოულოდნელად დაებადა ბავშვს თავში და ნაღვლით და ვარამით ააგსო მთლად მისი არსება. ეს აზრი მუდამ სდევნიდა ილოს და ეს

*) იხ. „მოამბე“ მე-9 №-რი.

იყო, სხვათა შორის, იმის მიზეზი, რომ უფრო მეტის ეჭვით დაუწყო ცქერა ხალხსა. როცა შენიშნავდა რამე ცუდს საქციელს სხვის ცხოვრებაში, ცოტა მოეშვებოდა გულზე, მოეფონებოდა, თითქოს მისი დანაშაული მოხუცის წინაშე ამითი შემცირდებოდა. ცუდს კი ბევრსა ჰხედავდა ხალხში. მიკიტან პეტრუსას ეზოში ყველა ქურდს და მკვდრის მძარცვავს ეძახდა, მაგრამ პირში კი ყველა ელაქუცებოდა, თავს უკრავდა პატივისცემით და პეტრე იაკიმის უძახდა. მატაცას კი ყველა აგინებდა, ლანძღავდა და თუ დათვრებოდა, მუჯღუგუნებს არა ტყავდნენ და სცემდნენ კიდეცა ხოლმე. ერთხელ მთვრალი მატაცა სამხარეულოს ფანჯრის ძირში დაჯდა და მხარეულმა ქურჭლის ნარეცხი წყალი თავზე გადაასხა... ყველა კი სარგებლობდა მისი შრომით, კეთილი გულით და დაჯილდოებაზე კი, სასყიდელზე არავინა ჰფიქრობდა, ეს იყო მხოლოდ, რომ გინება და ცემა-ტყეპა არა შურდათ მისთვის. პეტრე ფიშკა, თავისს დამბლად დვარდნილ ავადმყოფ დედაკაცს გააბანებდა ხოლმე. პეტრუსა დღესასწაულების წინ სამიკიტნოს მოავლენინებდა ხოლმე და, რასაკვირველია, ესეც უსასყიდლოდ, ტერენტის პერანგებს უკრავდა. საცოდავი უარს არავის ეუბნებოდა, ყველაფერს უსაყვედუროდ და კარგად აკეთებდა, მას ავადმყოფების და ბავშვების მოვლა-ყურის გდება ძლიერ უყვარდა...

ილო ჰხედავდა, რომ ყველაზე უკეთესი მუშაკი ეზოში პერტიშკა—ყველას აბუჩადა ჰყავდა ავდებულის და მხოლოდ მაშინ შენიშნავდნენ იმას, როცა მთვრალი იყო და მუზიკით ხელში ან სამიკიტნოში იჯდა, ან და ეზოში დაეხეტებოდა და სასაცილო მხიარულ სიმღერებს დამღეროდა. მაგრამ იმის დანახვა კი, თუ ცოლს როგორ უვლიდა, რა ფრთხილად და ფაქიზად ამოჰყავდა დამბლად დვარდნილი ცოლი სარდაფიდან, როგორ აძინებდა ბავშუს, როგორ ჰკოცნიდა, ან მის გასაცინებლად როგორ იღრიჯებოდა და იღმიჭებოდა, ამის დანახვა კი არავის უნდოდა. არავინ არ უყურებდა იმას, როცა მოქანცულ-მოძალადე მერქმე, სიცილ-ხუმრობით მაშოს საქმლის კეთებას ან სახლის მოვლას ასწავლიდა და მერე გვიან

ნობამდის, ცხრათ მოხრილი, იჯდა და ძველ მოსვრილ-მოთხვრილ ჩექმებს აკერებდა.

მჭედელი რომ სატუსალოში წაიყვანეს, დააპატიმრეს, მის უპატრონოთ დარჩენილ შვილზე არავის უფიქრია, არავის გაუცხელებია თავი, ისევ საწყალი პერფიშკას გარდა. იმან იმ დღესვე გადიყვანა თავისთან პაშკა და ობოლი ბავშვი კაი ხანია, რაც ტყავებს უღობობს წყალში, ოთახს უგვის, დუქანში გარბის პურისთვის, კვასისთვის, ხახვისთვის და სხვ. დღესასწაულებში ყველა ჰხედავდა მას მთვრალსა, მაგრამ ის კი აღარავის ესმოდა; რომ მეორე დღეს გამოფხიზლებული ცოლს ეუბნებოდა:

— დუნია, მაპატიე! მე ხომ იმიტომ არ ვსვამ, რომ დღუბულ-დაკარგული ლოთი ვიყო... მთელი კვირა ვმუშაობ... მუშაობ... მოგწყინდები და გადაჰკრავ!..

— მერე განა გამტყუნებ მე? ღმერთო! მე მხოლოდ მებრალეები!..— ხრინწიანის ხმით, თითქო ვიღაც არჩობსო, ეუბნებოდა ცოლი.— შენა გგონია მე არა ვხედავ შენ ტანჯვამოთმინებასა? შენ ჭირად გაუჩენივარ მე ღმერთსა. ბარემ მოვკვდე მაინცა დროზედ!.. ცოტათი მაინც გამენთავისუფლებინე!..

— ღმერთს ნუ სცოდავ! მე არ მიყვარს ეგრე რომ დაიწყებ ხოლმე ლაპარაკსა. მე ვარ შენი მტანჯველი და არა შენ ჩემი!.. და იმიტომ კი არა, რომ ბოროტი ვიყო, არა, იმიტომ რომ სუსტი ხასიათისა ვარ. აი, გადავსახლდეთ როდისმე სხვა უფრო უკეთესს ქუჩაზედ და სულ მთლად შეიცვლება მაშინ ჩვენი ცხოვრება... კარებიც სხვანაირი გვექნება... ფანჯარაცა... და სხ. ფანჯრები ქუჩისკენ გვექნება. გამოვჭკრათ მაშინ ქაღალდის წალი და მივაკრათ ფანჯრის შუშას. მოვა და მოვა მუშტარი! საქმე ჩარხივით დატრიალდება!..

ილომ დაწვრილებით იცოდა პერფიშკას ცხოვრება, ის კარგათ ჰხედავდა, რომ საწყალი ყინულ ქვეშ მოყოლილ თევზსავით იმტვრევდა თავსა, რომ გაჭირვებიდან გამოსულიყო და ადამიანური ცხოვრება დაეწყო და მეტად მოსწონდა ილოს.

ისა, რომ გაჭირვებული პერფიშკა მაინც ყველას ეხუმრებოდა, მხიარულობდა და ჩინებულად უკრავდა ბუზიკას.

პეტრუსა იჯდა დუქანში, დილიდან საღამომდის ნარდს თამაშობდა, ჩაისა სვამდა და მოსამსახურეებს ეჩიჩინებოდა. ერემეის სიკვდილის შემდეგ ტერენტი მალე მიაჩვია დახლში ვაჭრობას და თითონ ეზოში დაბრძანდებოდა სტვენით და ყოველი მხრიდან ათვალიერებდა სახლსა, ხანდისხან მუშტის კაკუნითაც კი სინჯავდა კედლებსა.

ბევრს კიდევ სხვა რასმეს ამჩნევდა ილო, მაგრამ ყველა ეს მეტად საძაგელი და თავის მომბეზრებელი იყო და ხალხს უფრო აძულებდა და აშორებდა მათ. ზოგჯერ იმდენი შთაბეჭდილება და აზრი მოუგროვდებოდა თავში, რომ პურივით მოჰშივდებოდა ხოლმე ვისთანმე ლაპარაკი, ვისთანმე მათი გაზიარება, მაგრამ ბიძასთან ლაპარაკი არ უნდოდა: ერემეის სიკვდილის შემდეგ კუზიანსა და მის შორის დიდი კედელი აღიმართა, რომელიც უშლიდა ბავშვს წინანდებურად თავისუფლად და გულახდილად ბიძასთან მიახლოვებას. იაკობიც ვერაფერს ურჩევდა, საგულისხმიეროს ვერას ეტყოდა, რადგან ისიც განცალკევდა და თავისებურად სცხოვრობდა.

მოხუცის სიკვდილმა ისიც ძლიერ დაალონა. ხშირად იგონებდა ხოლმე მას ცრემლ-მორეული წუწუნით.

— ეჰ, რა მოწყენილი ვცხოვრობთ!.. პაპა ერემეი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ზღაპრებს გვეტყოდა; ზღაპარზედ კარგი არაფერია! მერე რა ზღაპრები იცოდა იმ დალოცვილმა და!..

— იმან ყველაფერი იცოდა, — ჩაფიქრებული იტყოდა ხოლმე ილო. ერთხელ იაკობმა საიდუმლოთ უთხრა ილოს.

— გინდა—ერთი რამე გაჩვენო?

— მინდა!..

— ჯერ დაიფიცე, რომ არავის ეტყვი!..

— ღმერთმანი, არავის ვეტყვი!..

— ღმერთი გამიწყრეს და შემარცხვინოს თქო, სთქვი!..

ილომ გაიმეორა ფიცი და მაშინ იაკობმა ძველ ცაცხეთან მიიყვანა, მოხსნა ხეს ერთ ადგილას მიდგმული ქერქი და მიუ-

თითა ილოს მისკენ. ეს იყო კაი მოზდილი ფულურო, ფერად-ფერადი ქალღმერთით და ჩვრებით მორთულ-მოკაზმული; ფულუროს სიღრმეში პატარა თითბრის ხატი ესვენა და წინ წმინდა სანთლის ნამწვი ერქო.

— ნახე?—ჰკითხა იაკობმა და ისევ მიაგლო ქერქი.

— ვნახე... რისთვის არის მერე?

— ეს სალოცავია!..—აუხსნა იაკობმა;—ლამლამობით გამოვიპარები ხოლმე, ავანთებ სანთელს და ვლოცულობ... ხომ კარგია?

ილოს მოეწონა ამხანაგის აზრი, მაგრამ იმ წუთშივე მოისაზრა ამ საქმის საშიში მხარე.

— მერე სინათლეს რომ დაინახვენ? ისე გაგცოცხავს მამაშენი, რომ...

— ღამე ვინ დაინახავს? ღამე სუყველასა სძინავს და ქვეყანაზე სიჩუმე მეფობს... მე პატარა ვარ და დღე ჩემ ხმას სად გაიგონებს ღმერთი... ღამე კი გაიგონებს... არა?

— არ ვიცი!.. იქნება გაიგონოს!..—წარმოსთქვა ჩაფიქრებულმა ილომ და თან ამხანაგის დიდ თვალება და გადაფიქრებულ სახეს უყურებდა.

— შენც ილოცავ ხოლმე ჩემთან?—დაეკითხა იაკობი.

— მერე შენ რა გინდა სთხოვო ღმერთსა?—იმ დროსვე დაეკითხა ილო და ორთავემ გაუღიმეს ერთმანეთს.

— მე იმაზედ ვილოცავ, — დაიწყო ილომ:—რომ ჭკუა მომცეს ღმერთმა... და რომ სუყველაფერი შექონდეს, რაც კი მომინდება!.. შენა?

— მეცა...

მაგრამ ცოტა რომ დაჰფიქრდა, განმარტა იაკობმა:

— მე ისე მინდოდა ლოცვა... უარარაოდ... მარტო იმიტომ, რომ მელოცა, მეტი არაფერი!.. დანარჩენი იმის ნება იქნებოდა!.. რაც უნდა, ის მომცეს... მაგრამ შენ რაკი ეგრე გინდა, მეც ეგრე ვილოცავ!..

— კარგი, — სთქვა ილომ.

მათ აქვე ჰირობა შეჰკრეს, რომ ამალამვე დაეწყათ ლოცვა და ცოტა ადრე დაწვინენ, რომ შუალამისას გამოღვიძებოდათ. მაგრამ ვერც იმ ღამეს და ვერც მეორე ღამეს და კიდევ ბევრ სხ. ღამეებს ვერ გაიღვიძეს. მერე სულ სხვა შთაბეჭდილებანი გაუჩნდნენ ილოს და სალოცავი მთლად მიავიწყეს.

იმ ცაცხვზედვე, რომელშიც იაკობმა სალოცავი გაიმართა, პაშკა წყალწყალებს და ჭივჭივებს ხაფანგებს უგებდა. საცოდავს გაუმწარდა ცხოვრება, ჩამოხმა, გაყვითლდა და თვალეებს გარეულ, დამფრთხალ მხეცსავით აფეთებდა. ეზოში სარბენად ვილა მოაკლიდა: მთელი დღეები სულ პერფიშკასთან მუშაობდა და მხოლოდ დღესასწაულებში თუ დაინახავდნენ ხოლმე ამხანაგები პაშკას, როცა მეჩქემე დათვრებოდა და ჰქეიფობდა ხოლმე. პაშკა ეკითხებოდა ხოლმე მათ—სკოლაში რას გასწავლიანო და თითქმის ყოველთვის შუროთ იქმუხვნებოდა, როცა იმათ ლაპარაკში ჰხედავდა უპირატესობას.

— ძაან კი ნუ იქიმებით, — მეც ვისწავლი, დამაცალეთ!...

— სწორედ მაგისი იმედი გქონდეს, რომ პერფიშკამ გაგიშვას!..

— მე გავიქცევი რა, — გაბედულად ეუბნებოდა პაშკა.

მართლაც, არ გასულა ამ ლაპარაკის შემდეგ დიდი ხანი, რომ ერთს დღეს პერფიშკა ეზოში დადიოდა და სიცილით უამბობდა ილოს:

— ჩემი შეგირდი ხომ გამექცა ის წყეული, ისა!.. ალბად, არ მოეწონა ტყავების მეცნიერება!..

წვიმიანი, ჟინჯლიანი დღე იყო. ილომ გაბარჯგვნულ პერფიშკას შეხედა, მერე მოღუშულ-ჩამობნელებულ ცასა და შეეცოდა საწყალი მოუსვენარი ამხანაგი. ისინი ფარდულის ქვეშ იდგნენ და სახლს შეჰყურებდნენ. ილოს თვალში სახლი თან-და-თან დაბლდებოდა, თითქოს დროთა ვითარების სიმძიმის ქვეშ იზნიქება და დედამიწაში ძვრებოდა. მისი ძველი ნექნები უფრო-და-უფრო მეტად ჰყოფდნენ თავსა, თითქოს ნახევარ საუკუნით მოყოლილი ტლაპო გალართხულა მის კედლებში და ძალა აღარ მოსდევს მის შესაკავებლად. მას,

მთვრალის ყვირილის, მწარე გულსაკლავ სიმღერების და ათასგვარ ღრამების და ბოროტების მოწამეს, უბედურებებით გაყენთილს, დანჯღრეულს, მუდმივი ფეხების ბრახუნით დაზიანებულს სიცოცხლის ძალა აღარ მოსდევდა და ნელა, შეუმჩნევლად ჩადიოდა სამარეში და სიცოცხლის ჩაქრობის წინა წუთებში ნაღვლიანად უყურებდა ქვეყანას ფანჯრების ჩამქრალი შუშებით.

— ეჰ! — მწარედ ამოიოხრა მეჩექქემ: — საცაა დაიშლება ეს ძველი გოდორი და სოკო მიწაზე გაიფანტება. გავხობდებით აქ მცხოვრებნი სადმე... და სხვაგან მოვიძებნით სოროებს!.. ვიპოვნით და სხვანაირად დავიწყებთ ცხოვრებას... ფანჯარაც სხვანაირი გვექნება, კარებიც და ასე გასინჯე, — ბაღლინჯოებიც კი სხვები დაგვკბენენ!.. ეჰ, მალე მაინც მოხდეს ყველა ეს, თორემ მეტად მომბეზრდა მე ეს ღორების ღორული სასახლე... თუმცა მივეჩვიე კიდევ!

მაგრამ მეჩექქე ტყუილად ოცნებობდა. სახლი კი არ დაინგრა, მედუქნე პეტრუსამ იყიდა. ორი სამი ღლე ყიდვის შემდეგ პეტრუსა ფაციფუციტ დადიოდა ეზოში, სინჯავდა და ჰქექავდა ამ ნახევარზედ დამპალ, განადგურებულს ხე-ტყეს. მერე დაიწყეს აგურის და ხე-ტყის ზიდვა, შემოაველეს სახლს ხარახოები და სამი თვე გაბმით ჰკვენესოდა და ჰგმინავდა ცულისა და ჩაქუჩების სიმძიმის ქვეშ. ხერხავდნენ, სჩხავდნენ, ლურსმებს არკობდნენ, ლაწა-ლუწით, ძველ დამპალ ნექნებს მტვრის აფორიაქებით აძრობდნენ, უდგავდნენ ახლებს და ბოლოს ახალი მიდგმული შენობით გაგანიერებული შეალამაზეს და შეაკეთეს. ეხლა ის მედგრად, წელში გასწორებული იდგა ადგილზედ, თითქოს ახალი ფესვები გაუშვა დედამიწის გულში და იმან გაადიდგულაო. ქუჩის მხარეს, იქვე, ფარდულის ქვეშ პეტრუსამ დიდი მწვანეთ შეღებილი თუნუქი დაჭკიდა, რომელზედაც ოქროს ასოებით წააწერინა:

„მსიანულა თავშესაფარი ზ. ა. ფილიპონოვის ძეგლობებისა“.

— შიგნიდან კი მაინც დამპალია! — სთქვა ერთხელ პერფიშკამ. ილომ გაიგონა ეს და თანაგრძნობით გაუღიმა. ეს გაახლებული სახლი იმასაც სიცრუეთ ეჩვენებოდა. იმან პაშკა მოიგონა, რომელიც სხვაგან სცხოვრებდა იმ უმად და სხვა რამეებს ჰხედავდა. ილოც მეჩქემესავით სხვა ფანჯრებზედ, კარებზედ და სხ. პირებზედ ოცნებობდა... ეხლა უფრო ცუდი იყო ამ სახლში ცხოვრება, ვიდრე წინათ. ძველი ბებერო ცაცხვი მოსკრეს და მის გვერდით ჩუმი, მიყუჩებული კუთხე გაჰქრა, იქ ეხლა რაღაც შენობა იდგა. ბავშვების სხვა საყვარელი ადგილებიც გაჰქრნენ, სადაც წინად იკრიბებოდნენ და ჭუკჭუკებდნენ ხოლმე. მხოლოდ სამკედლოს ადგილს, ნაფოტების და უვარგი გადაყრილი საქონლის ხროვის იქითა მხარეს გაკეთდა ეხლა კარგი მიყუჩებული კუნჭული, იქ ჯდომა საშიში იყო, რადგან მუდამ საველის თავ-გაჩეხილი და ხელებ გაფარჩხული ცოლი ელოდებოდა ხოლმე ბავშვებს.

პეტრუსამ ეხლა ტერენტის პატარა ოთახი მისცა დუქნის დარბაზის გვერდით — მას საზოგადო დარბაზისაგან თხელი ფიცრული ჰყოფდა და თუმცა შიგნიდან მწვანე ნახატი ქალაღი იყო გაკრული, არყის სუნი, ბოლი და ყოველი ხმაურობა, ყოველი ფაჩი-ფუჩი დარბაზიდან თავისუფლად ისმოდა. ეს ოთახი უფრო სუფთა და მშრალი იყო, ვიდრე მისი წინანდელი სადგომი სარდაფი, მაგრამ მაინც ისა სჯობდა. მისი ფანჯრები მეზობელ სახლის უფერულ კედელს მისჩერებოდნენ და, რასაკვირველია, ეხლა არც ზეცა მოსჩანდა, არც მზე და არც ვარსკვლავები, სარდაფის ფანჯრიდან კი რომ დაეჩოქა კაცს, ამას სუყველფერს დაინახავდა...

ტერენტიმ იასამანის ფერი „ბლუზა“ და ზეიღამაც პიჯაკი ჩაიცვა, რომელიც ისე ეკიდა მხრებზედ, თითქოს ყუთისთვის გადუცვამთო, და დილიდამ საღამომდინ დახლში იდგა. ეხლა ხმელი, დამსკდარი ხმით „თქვენობით“ ელაპარაკებოდა ხალხსა და დახლიდამ ერთგული ძაღლის თვალით გამოიყურებოდა, რომლისთვისაც პატრონს სარჩო მიუბარებია და ისიც სდარაჯობს და ჰყარაულობს მას. ილოც რუხის ფერი მაუდის ბლუზა

უყიდა, წაღები, ჰალტო და ქუდი და როცა ყველა ეს ჩაიცვა ბავშვმა, მას მოხუცი ერემეი მოაგონდა. ის თითქმის სრულიად აღარ ელაპარაკებოდა ბიძას და მისი ცხოვრება ნელის ნაბიჯით ერთ-ფერად და უგემურად მიიზღაზნებოდა. თუმცა ხან გამოშვებით მას არა ბავშვური გრძობანი და აზრები ებადებოდნენ, მაინც გულზედ მძიმე ლოდსავით რაღაც აწვა, აჩობდა და სულს უხუთავდა მას. უფრო და უფრო ხშირად აგონდებოდა მას სოფელი; ეხლა კი ცხადათა ჰგრძობდა, რომ იქ უკეთესი იყო ცხოვრება: იქ უფრო მყუდროობაა, მარტივი და მოსაგები ცხოვრება. მოაგონდნენ კერქენის ხშირი ტყეები განდევილი ანტიპას ამბებერ, რასაც ბიძა ტერენტი უამბობდა ხოლმე. წინად ანტიპას მოგონება პაშკას გაახსენებდა. სადაა ეხლა? იქნება ისიც ტყეში გაიქცა, გასთხარა მღვიმე და სცხოვრობს თავისთვინ. ზუზუნებს და ჰკენესის ტყეში ქარიშხალი, ღმუიან მგლები და თუმცა შემარძწუნებლად საშიშია ყველა ეს, მაგრამ მაინც სასიამოვნოა მათი მოსმენა. ზამთარში კი, კაი დარში, იქ ყველაფერი ჰბზინავს, ვერცხლებრივ თეთრათ ანათებს და ისეთი სიჩუმეა, რომ შენი ფეხის ხმის მეტი არაფერი გესმის, თუ დასდიხარ და თუ უნძრევლივ სდგეხარ, მარტო შენი გულის ძგერა-ლა აღწევს შენ ყურთა სმენამდინა.

ქალაქში კი გამუდმებული ღრიანცელი და უაზრო ფაციფუცია. ლამეცკი მუდმივი ხმაურობაა: მღერიან, ჰყვირიან და შველას ითხოვენ, ჰკენესიან და ეტლების რახა-რუხით ფანჯრების შუშებსაც კი ზანზარი გააქვთ. სკოლაში პატარები ჰყვირიან და ცელქობენ, დიდრონნი ღრიალგებენ, — იგინებიან, ჩხუბობენ და ლოთობენ. ყველა ეს არამც თუ აწუხებს ადამიანსა, ხანდისხან აშინებს კიდევ. ხალხი გაფუჭებულია — ან გაიძვერანი პეტრუსასავით; ან ბოროტნი საველივით, ან არა და პერფიშკასავით, ბიძა ტერენტისავით და მატიცასავით უვარგისნი — არც ბოროტნი და არც კეთილნი... მეჩქმე ყველაზედ მეტად აკვირვებდა ილოს თავის უაზრო ქცევით და სადაგელი ყოფაქცევით.

ერთხელ, დილა ადრიანად, ილო რომ სკოლაში წასვლას აპირებდა, მოვიდა პერფიშკა უძილო, პირ-დაუბანელი და დახლის წინ გაჩერდა. მარცხენა თვალი უთამაშებდა და ებჟუტებოდა, ქვედა ტუჩი, როგორღაც სასაცილოთ ჩამოშვებოდა. ტერენტიმ შეხედა, გაუღიმა და სამ კაპეიკიანი ჭიქა გაუვსო არყით; ეს მისი ჩვეულებრივი ზომა იყო. პერფიშკამ აკანკალებულის ხელით აიღო ჭიქა და გადაყლურწა, მაგრამ არც შეიგინა და არც არა შეატანა-რა, როგორც ჩვეულებათა ჰქონდა. ის ისევ გაშტერებით დააცქერდა თავისი ნახევრად მოხუჭული თვალით ტერენტის, მარჯვენა კი უძრავი ჰქონდა, თითქო იმით არაფერსა ჰხედავსო.

— ეგ რა დამართენია თქვენ თვალსა?-დაეკითხა ტერენტის. პერფიშკამ მოიფშენიტა თვალები, ხელს დახედა და უცბათ ხმა მალლა, გარკვევით წარმოსთქვა:

— ავდოტია პეტროვნა, ჩემი ცოლი გადიცვალა...

— ნუ თუ მართლა?—გაკვირვებით შეეკითხა ტერენტი, მიბრუნდა ხატისკენ და პირჯვარი გადისახა.

— ღმერთმა აცხონოს!

— ჰა? დაეკითხა პერფიშკა და თან ისევ ჩაჰკვირებოდა ტერენტის სახეს.

— ღმერთმა აცხონოს, მეჩქი!

— დიახ... გადიცვალა!..—სთქვა პერფიშკამ. მერე მიბრუნდა უცბათ და გავიდა.

— სულელი!..—შეწუხებული თავის ქნევით ჰბუტბუტებდა ტერენტი. სკოლაში მიმავალ ილოსაც როგორღაც არ მოეწონა პერფიშკას ქცევა.. წასვლის წინ ერთი წუთით შეიბინა ილომ სარდაფში მიცვალებულის სანახავათ. იქ ბნელოდა და საშინელი სივიწროე იყო. ზეილამ დედაკაცები ჩამოსულიყვნენ და კუნჭულში მიკუნჭულნი, სადაც ლოგინი იყო, ნახევარი ხმით ლაპარაკობდნენ. მატიცა რაღაც კაბას აზომავდა მაშოს და ეკითხებოდა:

— ილღიებში ხომ არ გიჭერს?

მაშოს კი ხელები გაეპარქყა და გაბმით ეუბნებოდა:

— ჰოოოო!..

მეჩექმე მაგიდაზედ იჯდა მოკაკული, ქალს უყურებდა და თვალი ისევ ისე უთამაშებდა. ილომ მიცვალებულის თეთრ გაბერილ პირისახეს შეხედა, მოაგონდა მისი შავი თვალეზი, დახუჭულები ეხლა სამუდამოთ, და საშინელს ცუდ გუნებაზე, დაღონებული წავიდა სკოლაში...

სკოლიდამ კი რომ დაბრუნდა და შევიდა დუქანში, პერფიშკა მუზიკას უკრავდა და ზედ დამღეროდა:

ექს! ჩემო საუფარელო;
 რად ამომგლიჯე გული,
 და რა მხრისკენ გასტურდნე,
 მითხარ, ნეტავ, ბედერული!

— ეხ... დედაკაცებმა გამომადგეს! დაიკარგე, შე ბოროტო, უგრძობელო, უბუნებო ადამიანო! შე ლოთ-ფაშა, შენაო... მე არა ვჯავრობ... მე მომთმინო კაცი ვარ... მაგინე, მცემე!.. მხოლოდ მაცხოვრე ცოტა!.. ერთიბეწო!.. ეჭე, ძმებო! რიგიანი ცხოვრება ყველას უნდა, — აი რაშია საქმე! გული და სული ყველას ერთნაირი აქვს: ვანკასაც და იაგორასაც!...

ის ვინა ჭკადებს?
 რას ელადებს?
 სდუმდე, ნუ სწუხარ,
 ხმელ ქერქის დეჭვა
 შენ წილად შეგხვდა.

სახის გამომეტყველება მეტად მხიარული ჰქონდა პერფიშკას; ილო ზიზლით და შიშის კრძალვით უყურებდა. მას ელვასავით იმ აზრმა გაუელვა თავში, რომ ღმერთი არ აპატიებს მეჩექმეს ცოლის სიკვდილის დღეს ასეთ საქციელს და სასტიკათ დასჯისო. მაგრამ პერფიშკა მთვრალი იყო და მეორე დღეს მიცვალებულს ქანაობით და ღიმილითაც კი მისდევდა.

ყველანი ჰკიცხავდნენ, ავინებდნენ, ერთმა ვიღამაც კისერში წაართყა...

— დასწყევლოს ღმერთმა!..— ეუუბნებოდა საღამოზედ ილო ამხანაგს:— პერთიშკა ჰა? სულ ურჯულო ყოფილა!

— ეშმაკმა წაიღოს იმისი თავი!— გულცივათ უპასუხა იაკობმა.

ილო წინათაც ამჩნევდა, რომ იაკობი ერთი ხნიდამ მეტად შეიცვალა. ის თითქმის სულ აღარ გამოდიოდა ეზოში სასეინოთ, მუდამ შინ იჯდა და თითქოს ერიდებოდა კიდევ ილოს. პირველად ილოს ეგონა, ჩემი კაი სწავლა შეშურდა და შინა ზის და გაკვეთილებს ამზადებსო. მაგრამ, როგორც გამოჩნდა, სწავლასაც თურმე უკლო; მასწავლებელი სულ იმაზედ ჰლანძღავდა, რომ უბრალო რამეები აღარ გესმის და სადღაცა ხარ ჰკუთითო. პერთიშკას შესახებ წარმოთქმულ აზრმა სრულიადაც არ გააკვირვა ილო: იაკობი თითქმის ყოველთვის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა სახლში ცხოვრებას, მაგრამ ილოს მოუუნდა გაგება—რა ემართება ჩემ ამხანაგს და რამ შესცვალა ესე შესამჩნევათ მისი ხასიათიო—და დაეკითხა:

— შენ როგორ გამოიცივალე ამ ბოლოს დროს? იქნება ჩემთან მეგობრობა აღარ გინდა?

— მე? არ მინდა? რას მიჰქარავე?— შეჰკივლა გაკვირვებულმა იაკობმა და უცბათ აჩქარებით უთხრა:

— იცი... წადი შინ... წადი და მეც ამ საათში მოვალ... რა გვაჩვენო!..

სთქვა და მოჰკურცხლა, ილო კი ცნობის-მოყვარეობით გატაცებული თავის ოთახში წავიდა. იაკობმაც მალე მოიბრინა შემოსვლის უმალ კარი მიჰკეტა, ფანჯარასთან მივიდა და უბიდან რაღაც წითელი წიგნი ამოიღო.

— აქ მო!— ჩუმად და მედიდურად უთხრა ილოს და თან ტერენტის ლოგინზე მოიკეტა, ილოს კი თავისს გვერდით უჩვენა ადგილი. მერე გახსნა წიგნი, მუხლზედ დაიღო და ფითის ტარებით დაიწყო კითხვა:

„და... შორს შეუდრეკელმა გმირმა შენიშნა მთა... ზეცას მიპბჯენოდა მისი მწვერვალი და შუაში რკინის კარები ჰქონდა. მისი ვაჟკაცებრივი გული გამბედაობის ცეცხლით აღიგზნა... აღმართა შუბი და გულის შემადრწუნებელის შეკვივლებით ამოჰკრა რაშს დეზები და ელვასებრ სისწრაფით გაჰქროლა წინ... და თავისს უზომო, უსაზღვრო ღონით დაეძგერა კარებს. ერთი საშინლად დაიქუხა... კარების რკინები გაიფანტნენ ჰაერში... და იმავე დროს გამოჰკრთა მთიდან ცეცხლი, ბოლი და გაისმა ძლიერი ხმა... რომელმაც შესძრა და შეაძრწუნა დედამიწა და მთიდან კლდე-ღრემ დაიწყო გმირის ფეხებს ქვეშ ცვინვა. „ჰა! მოხველი... შე საბრალო!.. მე და სიკვდელი დიდი ხანია გელოდებოდით!“.. ბოლით თვალეზ ახვეული გმირი“...

— ვინ არის ეგა?—ჰკითხა გაკვირვებულმა ილომ.

— ჰა?—მისცა პასუხი და გაფითრებული, აღელვებული სახე მოაშორა წიგნს.

— ეგ გმირი ვინაა-მეთქი?

— ეს ისეთია... ცხენზე ზის... და შუბი უჭირავს... სახელად შეუდრეკელი რაული ჰქვია... მას ვეშაპმა საცლო მოსტაცა... მშვენიერი ლუიზა... ეჰ, შენ ყური დამიგდე...— მოუთმენლად დაუყვირა იაკობმა.

— კარგი, კარგი, განაგრძე!. დაიცა,—ვეშაპი ვილაა?

— ვეშაპი ფრთიანი გველია... და ფეხებიანი... კლანჭები რკინისა აქვს... სამი თავი... და ყოველი მათგანი ცეცხლებს აფრქვევენ—გესმის?

— ჰეი, შენი ჰირიმი!..—სთქვა გაკვირვებით თვალეზდაქყეტილმა ილომ:—თუ ეგრეა... აბა აჩვენებს იმას სეირსა!..

— დაიკარგე ერთი და!

მჭიდროთ მიკრულნი ერთმანერთთან ბავშვები ცნობის-მოყვარებით, ვნებათა ღელვით და საოცარი სულის და გულის გამბობი სიხარულით შესცურდნენ ახალს, საოცნებო ცხოვრებაში, სადაც უზარმაზარი დევები და ბოროტი ვეშაპები გულადი გმირების ხელ ქვეშ იხოცებოდნენ და სადაც ყველა-

ფერი მშვენიერი, ლამაზი და აღმაფრთოვანებელი იყო და რაც სრულიად არ წააგავდა ერთგვარს და ერთფერ თავმომამბეზრებელ ცხოვრებას. მასში არ იყვნენ სულ მუდამ მთვრალნი და არყით გაჟღენთილნი პატარა დაგლეჯილ-დაფლეთილი კაცუნები და ნახევრად დამპალი შენობების ნაცვლად ოქროვერცხლით მბრჭყვინავი სასახლეები და მიუვალი რკინის ციხეები და კოშკები თავისს გმირულად აღმართულ წვეროკინებით ზეცას ებჯინებოდნენ. ისინი სცურავდნენ ფანტაზიით შექმნილ საუცხოვო ქვეყანაში და მათ ზურგს უკან კი „ბუზიკას“ ჭყვიტინი გაუდიოდა და მეჩქმე პერფიშკა გარკვევით მოსთქვამდა:

სიკვდილის შემდეგ არ წამიფანენ მე კშმაკები,
თუ სიტყვებითვე ისე დაფთვები,
რომ მამეჯანდენ ტარტარსებს
და წამიჭირენ ეელში კლანჭები.

— არა, ძმებო?! გაუსვი! ღმერთს მხიარულები უყვარს!

„ბუზიკა“ სცდილობდა დასწეოდა მეჩქმის წკრიალა ხმას, მაგრამ ვერ ასწრობდა და იხრჩობოდა ხმებით, მეჩქმე კიდევ, თითქო „ბუზიკას“ გასჯიბრებიაო, აჩქარებული, გარკვევით დასძახოდა სათამაშო საცეკვაო სიმღერას:

ნუ სწუხარ, რომ ბავშობიდან
არ გამთბარხარ არც ერთხელა,
მაკვდები და ჯოჯოხეთში
სულ იძახებ: მცხელა, მცხელა!

ყოველი ტაეპი შექეზების ღრიალით და ხარხარით ჰბლოვდებოდა. ბუზიკის ხმა ქურჭლის წკარუნს უერთდებოდა და ფეხის ხმა, სკამების, მაგიდების რახა-რუხი და ხალხის გუგუნნი,—ყველა ეს იხლართებოდა, იქსოვებოდა ერთი მეორეში და ზამთრის ქარ-ბუქის ხმას მოგაგონებდათ ტყეში.

პატარა ოთახში კი, რომელიც ამ ხმაურობის გრგვინვისა და ქუხილისაგან თხელი ფიცრებით იყო გასაზღვრული, ორი,

წელში მოხრილი, ბავშვი წიგნს ჩასცეცებოდა და ერთი მათგანს ნელის ხმით ჩურჩულებდა:

„მაშინ ქახრაკსავით მოუჭირა გმირმა რკინასავით მაგარი და შეუდრეკელი მკლავები ვეშაპს და შიშისა და ტკივილისაგან შეწუხებულმა ვეშაპმა ქუხილსავით დაიგრგვინა...“

ამ წიგნს სხვები მოჰყენენ „გუაკი ანუ დაუჯაბნელი ერთგულება შეუდრეკელი თავადი ფრანციელ ვენეციანის და მშვენიერის ხელმწიფის ასულის რენცივენას ისტორია“, და ნამდვილი ცხოვრების შთაბეჭდილებებმა ილოს გულში გმირებს და მათ სატრფიალო ქალებს დაუთმეს ადგილი. მეგობრები რიგრიგით იპარავდნენ დახლიდან თითო აბაზს და წიგნები არ აკლდათ. მათ „იაშკა სმერტენსკის“ თავგადასავალიც გაიგეს, აღტაცებაში მოდიოდნენ „იაპანია თათარკა მ-ჯირითე“-თა და დან-და-თან უფრო-და-უფრო შორდებოდნენ სასტიკ, უფერულ ცხოვრებას და იმ სფერაში სცურავდნენ, საცა ხალხი მუდამ ამსხვრევდა განგების ბოროტ ბორკილებს და ბედნიერებას მუდამ ახწევდა. დიდი ხანი იცხოვრეს მათ ასე, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ილოს ხსოვნამ მხოლოდ ერთი შემთხვევა შენიშნა და აღბეჭდა.

ერთხელ პერფიშკა რიდაცისთვის დაიბარეს პოლიციაში. პერფიშკა ადელვებული წავიდა, მაგრამ მხიარული დაბრუნდა და თან პაშკა გრაჩევი მოიყვანა. პაშკა ისევ ისეთი ცოცხალი გამომეტყველი თვალებით იყურებოდა, მხოლოდ მეტის-მეტად გამხდარიყო, სახე გაჰყვითლებოდა და, ცოტა არ იყოს, სიამაყე მოჰკლებოდა. მეჩქემე ღუქანში მოიყვანა და თვალების თამაშით მოჰყვა:

— აი, ბატონებო, თითონ პავლუხა გრაჩოვი გაახლეთ! ეს არის ეხლა ჩამობრძანდა ეტაფით ქალაქ პენზიდან... აი როგორი ხალხი იბადება ეხლა, შინ კი არა ზის და ბედს ელოდება, წამოდგება თუ არა, უკანა ფეხებზედ თითონ მიდის და ბედს დაეძებს!

პაშუა მის გვერდით იდგა, ცალი ხელი დაგლეჯილი შალვრის ჯიბეში ჩაედო და მეორეს კი ცდილობდა როგორმე გაენთავისუფლებინა მეჩქემის ხელიდამ და თან მტრულად შეპყურებდა. ვილაცამ ბავშვის გამათრახება ურჩია პერფიშკასა, მაგრამ უკანასკნელმა უპასუხა:

— რათა? იაროს, იქნება მართლა ბედს წააწყდეს.

— მგონი, მშვიერიც არის ეგ საწყალი და!— მიხვდა ტერენტი, მიაწოდა პურის ნატეხი და უთხრა:

— აჰა, გამომართვი, პაშუა!

ბავშვმა დაუჩქარებლივ ჩამოართვა გაწოდებული პური და გავიდა დუქნიდამ.

— ფიიუუ!— დასტვინა მეჩქემემ მიმავალ ბავშვსა— ისევ წამრძანდა! მშვიდობით, მშვენიერო არსებავ!

ილომ, რომელიც თავისი ოთახის კარებში იდგა აქამდინ და დუქანში მომხდარ სცენას თვალს ადევნებდა, წაავლო პაშუას ხელი და თავისს ოთახში შეითრია, მაგრამ სანამ ფეხს შესდგამდა, პაშუა ერთ წუთს შეჩერდა და როცა შევიდა, ექვის თვალით მიმოავლო ოთახს თვალი და მკაცრად დაეკითხა:

— რა გნებავს?

— გამარჯობა!..

— კარგი, გაგიმარჯოს!..

— დაჯექი!..

— რათა?

— ისე.. ვილაპარაკოთ!..

გრაზოვის ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქმულმა კითხვებმა და მისმა მოუხეშავმა ხმამ ცოტა არ იყოს შეაკრთეს და არიეს ილო. მას უნდოდა გამოეკითხნა— სად იყო მთელი ზაფხულის განმავლობაში, რა ნახა და რა გამოსცადა. მაგრამ პაშუა ჩამოჯდა სკამზე და გაბედული სახით ილუკმებოდა და თითონ იძლეოდა კითხვებს:

— გაათავე სწავლა?

— ამ ზაფხულის გავათავებ!

— მე კი გავათავე კიდევცა!..

— ღმერთმანი?!— დაუჯერებლად შეჰყვირა ილომ.

— მა რა გეგონა? მე ვგრე ვიცი!

— მერე სად ისწავლე?

— სატუსალოში, ტუსალებმა მასწავლეს!...

ილო მიუახლოვდა, პატივისცემით შეხედა მის გამხდარ სახეს და ჰკითხა:

— დიდი ხანი იჯექი იქა? ცუდია განა?

— სრულიადაც არ არის ცუდი!.. ვიჯექი კი ასე ოთხ თვემდის... მე ხომ ერთ სატუსალოში არ ვიყავი... ბევრი მოვიარე სხვა-და-სხვა ქალაქებში... მე იქ დიდკაცებს მივეკედლე... ქალბატონებიც იყვნენ იქა... მერე ისეთი, რომ.. ნამდვილი ბატონები! სხვა-და სხვა ენებზე ლაპარაკობდნენ... მე ოთახს ვულაგებდი და ვუწმენდდი ხოლმე იმათა! უჰ, ისეთი მხიარულები იყვნენ ის ოხრები, რომ... ტყუილად კი არ არიან ტუსალები!

— ავაზაკები იყვნენ?

— ნამდვილი, სუთთა წყლის ქურდები, —ამაყად წარმოსთქვა პაშკამ. ილომ თვალები დაახამხამა და უფრო მეტი პატივისცემა იგრძნო პაშკასადმი.

— რუსები იყვნენ?

— ზოგი ურია იყო... ხალხი იყო, რომ პირველი ხარისხისა!.. ისეთები იყვნენ, ძმაო, რომ უჰ! სუყველასა სცარცვადნენ! დაიჭირეს და ციმბირში უკრეს თავი!

— შენ როგორღა ისწავლე?

— ვთხოვე: მასწავლეთ მეთქი და მასწავლეს...

— წერაცა და კითხვაც?

— წერა ცუდათ, მაგრამ კითხვა — რამდენიც გინდა! მე ეხლა ბევრი წიგნი მაქვს წაკითხული!..

წიგნებზე ლაპარაკმა გამოაცოცხლა ილო.

— მე და იაკობიც ვკითხულობთ ხოლმე. მერე რა წიგნებსა ვკითხულობთ, რომ იცოდეთ!..

ამის შემდეგ მოჰყვნენ და დააყარეს ერთმანერთს წაკითხული წიგნების სახელები, მაგრამ პავლემ მალე ამოიოხრა და სთქვა:

— თქვე ოხრებო, თქვენ უფრო მეტი წავიკითხავთ! თქვენი წიგნებიც უფრო კარგები არის. მე კი მარტო ლექსებს ვკითხულობდი... ბევრი ჰქონდათ, მაგრამ კარგები მარტო ლექსებით იყო დაწერილი!..

მოვიდა იაკობი, გადმოყარა გაკვირვებით თვალები და გაიცინა.

— რა იყო, ცხვარო,— მიეგება პაშკა:— რა გაცინებს?

— ჰო!.. სად იყავი აქამდინ?

— საცა შენ ვერ მიხვალ შენ სიცოცხლეში!..

— იცი,— უთხრა ილომ ამხანაგს:— ამასაც უკითხავს წიგნები...

— ჰე? — სთქვა იაკობმა და იმ წუთსვე მეგობრულად დაელაპარაკა პაშკას. სამთავენი რიგზედ ჩამომწკრივდნენ და დაიწყეს უკავშირო, ჩქარი და მეტად საინტერესო ლაპარაკი.

— უჰ, მე ისეთი რამეები ვნახე, რომა... ვერც კი გიამბობთ!— ამყად და აღტაცებით ამბობდა პაშკა:— ერთხელ, ორი დღე და ღამე არაფერი მიქამია... სულ არაფერი განა! ტყეში მეძინა... მარტო.

— საშიშია?— დაეკითხა იაკობი.

— წადი, დაიძინე,— გაიგებ! ერთხელ კიდევ კინალამ ძაღლებმა გამთათრეს... ყაზანში ვიყავი... იქ ძველი დაუღვავთ ერთი კაცისთვის... რომელიც თურმე ლექსებსა სწერავდა... იიი! ვეებერთელა რამ იყო!.. ფეხები აი რამოდენა ჰქონდა! მუშტი შენი თავისოდენა. იაკობ, მეც დავიწყებ მერე ლექსების წერას, მე ცოტა ვისწავლე კიდევცა და!..

ის უცბად მოიკუმშა, ფეხები შეიკეცა, ერთ წერტილს ჩააჩერდა და სახე-მოღუულომა წარმოსთქვა აჩქარებით:

ქუჩაში ხაღხი შიდას

შადარა და მოსილი,

სთხროვო რამ, მოგაძახებს:

„წადი იქით, მომედილი!“

მან გაათავა, შეხედა ბავშვებს და ჩუმად ჩაჰქინდრა თავი. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოც ილომ დაარღვია სიჩუმე და ფრთხილად დაეკითხა:

— ეგ განა ლექსია?

— არ გესმის, რომ ლექსია?—დაუყვირა გაბრაზებულმა პაშკამ:—ხომ გესმის მოსილი, მომცილდი,—ლექსია, მაშ რა არის?

— ლექსია, მარა?—აჩქარებული დაემოწმა იაკობი:—შენ სულ ეგრეთი ჩაციება იცი ხოლმე, ილო!

— მე სხვაც ბევრი შევადგინე, — მიუბრუნდა იაკობს გამხნევებული პაშკა და იმ წუთშივე მიახალა:

ღრუბლები გაიჟღინთვნენ,
მიწა გახდა სოველი,
შემოდგომას მკელის
აი ეხლა უოველი.

და რთხ სშირად იცკვება
უოველს წამში ტარსი,
მე არა მაქვს არც შეშა
და არც ტანისმოსი.

— ნახე!?!— შეჰყვირა იაკობმა.

პაშკას სახე გაუწითლდა და თვალები ისე მობჟუტა, თითქოს საიდანაც კომლი მოხვდა და შეაწუხაო.

— მე დიდ ლექსებსაც შევთხზავ ხოლმე!—იკვებოდა პაშკა:—ძნელი როდია! მიდიხარ და შენიშნავ სახლსა—სახლები, ტყე—ტყეები!.. ან არა და სიხარული—სიყვარული!... თავის თავად გამოდის ლექსი!...

— ახლა რაღას გააკეთებ?—დაეკითხა ილო.

პაშკამ მიიხედ-მოიხედა თვალების ხამხამით, ცოტა ხანს ჩუმად დაჰყო და ნელის ხმით, გაუბედავთ სტკვა:

— რაც იქნება!..

მაგრამ იმ საათშივე დაუმატა გადამწყვეტი კილოთი:

— მერმე— ისევ გავიქცევი!...

ჯერ ხანობით კი მეჩქემესთან დარჩა და საღამოობით მასთან იკრიბებოდნენ ხოლმე ბავშვები. იმათ სარდაფში არც ყვირილი და არც გინება არ ისმოდა, როგორც ტერენტის ოთახში, და ამიტომ აქ ყოფნას არჩევდნენ. პერფიშკა ათასში ერთხელ თუ მოვიდოდა ხოლმე სახლში— მან სუყველოფერი გააჰყიდა, რაც კი მოეძებნებოდა, ლოთობაში შესჭამა და ახლა დადიოდა და სხვა მეჩქემეებთან დღიურად მუშაობდა. თუ სამუშაოს ვერ იშოვნოდა— დუქანში იჯდა. ის ეხლა ნახევრად ტიტველი, ფეხშიშველი დადიოდა და ილღიაში მუდამ თავისი საყვარელი ძველი ბუზიკა ეჭირა; თითქო შეესისხლხორცა მას, პატრონმა ჩასდო მასში თავისი მხიარული სულის ერთი ნაწილი და ერთმანერტს დაემსგავსნენ— ორთავე დაგლეჯილი, გახუნებული და ორთავენი მშფოთფარი კილოებით და სიმღერებით იყვნენ სავსენი. მთელი ქალაქის ხელოსნობა იცნობდა პერფიშკას, როგორც სახუმარო და ლოთობაშური სიმღერების დაუშრეტელ წყაროს. ყველა სახელოსნოში სასურველ სტუმრათ ითვლებოდა, ყველას უყვარდა ის, ყველა პატივსაცემდა და მიზეზი კი ამისთანა თანაგრძნობისა და კეთილი განწყობილებისა ის იყო, რომ მუშა ხალხის მძიმე და ერთგვარ ცხოვრებას თავის სიმღერებში და შაირებში ასხვაფერებდა და ალამაზებდა.

თუ იშოვიდა რამდენიმე გროშს, ნახევარს თავისს ქალს მისცემდა ხოლმე— ამაში რხატებოდა მთლად მისი ზრუნვა. პატარა გოგო სრული ბატონი იყო თავისი ზვედრისა და ბედისა. ის ძალიან წამოიზარდა, შავი ხუჭუჭი თმა მხრებამდინ დაეშვა, კუნაპეტსავით შავი თვალები უფრო დაუდიდრონდნენ და გამხდარი დედაკაცის გამომეტყველობა ეძლეოდა. სუსტი, მაგრამ მარდი გოგო მშვენვირად ჰპატრონობდა თავისს პატარა სოროს. სამხერხაოსთან და შენობებთან ნაფოტებს, ბურბუშელას აგროვებდა და რალაცის ხარშვას სცდიდა ხოლმე— შუადღემდინ ყოველ დღე კაბა აწეული, დაქლავებული, მკვარტლით მოსვრილი, და სველი დაფუსფუსებდა. სადილს რომ მოი-

ხარშავდა, ოთახს მოუვლიდა, პირს დაიბანდა, სუფთა კაბას ჩაიცვამდა, ფანჯარასთან მიჯდებოდა და ან საცვლების, ან ტანთსაცმელის დაკერებას მოჰყვებოდა ხოლმე. ამ ჯღანების კერვას წვრილის სუფთა ხმით დამღეროდა და თავისი მოძრავი, ცოცხალი აგებულებით გალიაში მომწყვდეულ ფრინველს მოაგონებდა ადამიანსა.

მასთან ხშირად დადიოდა მატია და თეთრ პურს, ჩაი-შაქარს მოუტანდა ხოლმე. ერთხელ ცისფერი კაბაც კი აჩუქა მაშოს. მაშო ისე ექცეოდა სტუმარს, როგორც სახლის მასპინძელს და დიდ ადამიანს შეჰფეროდა: ის იმ საათში თეთრ თუნუქის სამოვარს დასდგამდა, მისთავაზებდა მატიას ცხელ ჩაის და სმის დროს გააბამდნენ ბაასს, მასლაათს და პერფიშკას აგინებდნენ ხოლმე. მატია გაჯავრებული იგინებოდა, მაშო კი უგესლოთ იმეორებდა მხოლოდ მის სიტყვებს წვრილის ხმით, თითქო მარტო იმიტომ, რომ სტუმრისთვის არ ეწყენებინა დამასპინძლის მოვალეობა დაეცვა. სუყველაფერში, რაც კი უნდა ეთქვა თავის მამის შესახებ, სიბრალოელი იხატებოდა.

— ეჰ, ვინ არ იცის, რომ თუ ვაჟკაცი ლოთობას მიჰყოფს ხელს, იმისგან აღარაფერი ხერი აღარ გამოვა,—მსჯელობდა ხოლმე მაშო. და ამასთან მამას მხიარულება უყვარს... ის ხომ იმიტომ სვამს მხოლოდ, რომ ნაღველი მოიშოროს... დედა, რომ ცოცხალი იყო, მაგდენს არა სვამდა....

— იი, გაუხმეს მაგას გული!—გუგუნებდა მატია და მკაცრად იღუშავდა სახეს:—რა? დაავიწყდა იმ სახელ გასაწყვეტსა, რომ პატარა ბაღლი დარჩა? საძაგელი, ჩაძაღლდეს, რომ მიწა მივაყარო სიამოვნებით.

— იმან იცის, რომ მოვიზარდე და მე თითონ შემძლიან ყველაფერის... გაკეთება— ეუბნებოდა მაშო.

— ეჰ, ღმერთო, ღმერთო!—ამოიოხრებდა მწარედ მატია:—რა ამბავია, რა ხდება ქვეყანაზედ? ვინ იცის, რა მოელის გოგოს? მეცა მყავდა შენსავით პატარა გოგო!.. სახლში დავტოვე ხოროლში... და ისე შორს არის ის ვერანა ხოროლი,

რომ გზას ვერც გავაგნებ აქედამ... არავინ იცის, რა უწერია კაცსა!.. სცხოვრობს, სცხოვრობს და.. სამშობლოც კი ავიწყდება, სად არის...

მაშოს ძალიან მოსწონდა მისი ყურის გდება, მისი ბოხი ხმა, დიდი სახე და დიდრონი თვალები და მიუხედავად იმისა, რომ მატრიცას თითქმის მუდამ არყის სუნი ამოსდიოდა პირიდან, მაშო მაინც არ ერიდებოდა; შეაცოცდებოდა მუხლებზედ, მაგრა ჩაეკვროდა კუჭსავით გამოშვერილ გულში და ჩაჰკოცნიდა ხოლმე მსხვილ ტუჩებში. მატრიცა დილაობით შემოიფლიდა ხოლმე მაშოსთან, საღამოობით კი ბავშვები იკრიბებოდნენ. ისინი ქალაღდს თამაშობდნენ და უფრო ხშირად წიგნს ჩაუსხდებოდნენ ხოლმე. მაშოც დიდის ცნობის-მოყვარეობით უგდებდა ყურს წიგნის კითხვას და საშინელ ადგილებზედ ჩუმად შეჰკივლებდა კიდეცა ხოლმე.

იაკობი ეხლა უფრო მეტს ზრუნავდა გოგოსთვის, სანამ წინათა. ის მუდამ ათრევდა სახლიდან პურსა, ხორცს, ჩაი-შაქარს, ლუდის ბოთლებით ნავთსა და ხანდახან ფუფსაც მოუტანდა ხოლმე თუ წიგნებს რამე გადარჩებოდა. ის შეჩვეული იყო უკვე ამგვარ ცხოვრებას და როგორღაც შეუქმნევლად სჩადიოდა ყველა ამას და მაშოც ისე უყურებდა მის ზრუნვას, თითქო მოვალე ყოფილიყოს მის ზრუნვა-შენახვაში.

— იაშა! — ეტყოდა ხოლმე მაშო: — ნახშირი აღარა გვაქვს!

— კარგი!

და ცოტა ხნის შემდეგ ის ან ნახშირს მოათრევდა, ან ფუფს აძლევდა და დინჯად ეუბნებოდა:

→ წადი, იყიდე!.. ვერ მოვიპარე!

ერთხელ ასპიდის დაზგა მოიტანა იაკობმა და საღამოობით წერა-კითხვის სწავლება დაუწყო გოგოს. საქმე ზღაზნით მიდიოდა — გაჭიანურდა, მაგრამ ორი თვის შემდეგ მაშოს ყოველი ასოს გამოცნობა და დაწერა შეეძლო.

ილოც შეეჩვია მათს ამგვარ განწყობილებას, მაგრამ, საზოგადოთ, ეზოში სხვაც არავინ ამჩნევდა მას. ხშირად, ამხანაგის მონდობილებით თითონ ილოც იპარავდა ხოლმე რასმე ან სამ-

ზარეულოში, ან დუქანში ღმერთების სარდაფში მოაკუხსტუხებდა. იწოდებოდა ძალიან მოსწონდა შავგრემანი წვრილი გოგო, ისეთივე აბოლი, როგორც თითონ იყო, და უფრო ძლიერ კი ის მოსწონდა, რომ ჰგონებოდა გოგო ყველაფერს თითონ იკეთებდა, მართლაც სცხმყოფობდა და მოზღდილსავე ჰგონებოდა სახლში. მას უყვარდა, როცა გოგო იცინოდა ხოლომე და ყოველთვის სცდმობდა რაგორმე გვეცინებინა მაშინ და თუ ვერ მოახერხებდა, გაბრაზდებოდა და აჯავრებდა ხოლომე გოგოს. თუ ვერაფერი შეეძლო, შეეტრუხებოდა თანაირად! იმ დროს უფროსნი ებრაელები იყვნენ და მათ უყვარდა ის თვალებს მობეჭეტებდა და ეტყობოდა: ცხოველად — ტარტაროზო!

სიტყვან სიტყვით ჩქარად მივიდოდნენ, რომ მართლაც წაიხსებოდნენ. მაშინ მალე გაშვებდებოდა და ეცემოდა ხოლომე ცხვირ-პირის ჩამოსაჭარბება, მაგრამ ილია სიცილი-ხარხარით გაეცემა ხოლომე ნასიამოვნებდა. ილია იმდენი იმდენი იმდენი, ქალწილის თამაშობის დროს, ილიამ ქურდობაში დაიჭირა მაშინ და გაანჩხლებულა დაუყვირა: აბა, გაიხსენებ იაშკას საყვარელია! ილია მანამდე უცხოვრობდა თუ ილია იმდენი იმდენი იმდენი სიტყვას დავსძინა, რომლის მნიშვნელობა მას ესმოდან კიდევ. იმ დროს იაკობიც იქ აყოლო მან ჯერ გაიცინა, მაგრამ როგორც შემხინდა, რომ მის მეგობარს წყენით სახე დაეღრჩა და თვალბეჭეტებდა მისი შეითამაშეს, გაჩუმდა და გაჭვითრდა. მერე უცბათ წამოხტა, ეცა ილიას გაარტყა სწრაფად, მერე სწვდა ილიაში და ძირს გადმოაგორა. ყველა ეს ისე მოულოდნელად ილია უცბათ მოხდა, რომ ილიამ ვერც კი მოისაზრა რას უშვებოდნენ და, რასაკვირველია, ვერც მოახერხა თავის დასაცავად. მაშინ კი როცა ტკივილით და წყენით დაბრმავებულ ილიას მოულოდნელად გასწია იაკობისკენ და დაუხახახა: ილია ხარგან, თუ ვინაა შენ — თუ ვინაა შენ — აბა, გაჩერდნ! მერე შენ გაჩვენებ.

— აბა, გაჩერდნ! მერე შენ გაჩვენებ. ილია კონკრეტულად ილია მანაშკარა ილია, რომ იაკობმა მაგიდასთან მიმდგარიყო და საბრალოთ შექიტიებდა მაშინ მისულოყო სახლში და ტირილით ეუბნებოდა: თუ ვინაა შენ — თუ ვინაა შენ —

— ილაშქრები მაგის ამხანაგის ბოროტებასა და სიძაგელით...
 ეგენი სუყველანი ეგრეთი ბოროტები ყოფილან... მაგას მამა
 ციმბირში ჰყავს... და ბიძა კუზიანი!— მაგასაც კუზი გაეზღე
 ბა! ჰი, შე ბრიყვო, შენა!— გაბედულად უყვიროდა ილოს.—
 საძაგელო!.. მეკონკე შენა! აბა მოდი! მოდი რაღა? ისე და-
 გაკაწრებ ეგ გასიებული ცხვირ-პირი, რომა! აბა, ერთი ფეხი
 გადმოდგი!?

ილო არ გაინძრა. იმან საძაგელათ იგრძნო ფაფი, მტირალ-
 ლი იაკობი რომ დაინახა, და გოგოსთან ჩხუბი არ უნდოდა,
 ის კმ დიდის საამოვნებით წაეჩხუბებოდა— ეს ცხადი იყო— აკი
 იმიტომაც იწვევდა ჯანხუბრად. ილო ცივად გავიდა სარდაფი-
 დამ და ჯი ხანს დადიოდა ეზოში თივისა თავის უმადური.
 მერე პერფიშკას სახლს მიუახლოვდა და ფრთხილად ჩაიხედა
 ფანჯარაში, იაკობი ქალაქს ეთამაშებოდა კიდევ თავისს მე-
 გობარს. მაშოს გაფხრთხული ქალაქი პირთან მიეტანა და
 ჩუმად იცინოდა, იაკობი კი თავისს ქალაქებს ჩასცეცებოდა
 და გაუბედურათ ხან ერთ ქალაქს წაავლიებდა ზელს, ხან მეო-
 რესა. ილო მეტად დაძმარდა, იმან კოტა კიდევ მიიარ-მოიარა
 ეზოში და მერე გაბედულად გასწია სარდაფისკენ.

— მეც მიმიღეთ!— უთხრა იმან და მაგიდას მიუახლოვდა.
 გული უცახცახებდა, სახე ანთებული ჰქონდა და ფვალე-
 ბი ძირს დაეშვა, იაკობი და მამო ხმას არ იღებდნენ.

— მე აღარ შევიგინებ, ისე!.. ღმერთმანი, აღარ შევიგი-
 ნები!— სთქვა ილომ და შეხედა ფრთავს.

— ეჰ, კარგი დაჯექი!— უთხრა მაშომ.
 იაკობმა კი მკაცრათ დასძინა:

— რეგვენო! პატარა ხომ აღარა ხარ, აქ უნდა გესმოდეს,
 რასაც ამბობ..

— არა ჩვენ ყველანი ვერ დავუპატარებოდ ვართ!— და
 სცხო მუშტი მაგიდაზედ და დაიყვირა მაშომ:— და კიდევ იმი-
 ტომ არ უნდა ვამბობდეთ ცუდ რასმეებსა.

— კარგი კი მომარტყი, აი!— საყვედურით უთხრა ილომ
 იაკობსა.

— ახი იყო! ნუ ივინები... მიაძახა გაჯავრებულმა მაშომ.

— კარგი, კარგი! მე ხომ არა ვჯავრობ... მე თითონვე ვარ დამნაშავე...—გამოტყდა ილო და დარცხვენილმა იაკობს გაუღიმა:—შენც ნულარ მოიგონებ, კარგი?

— კარგი! დაიჭი ქალალდი...

— ტარტაროზი!—სთქვა მაშომ და ამითი დასრულდა სუყველაფერი.

ერთს წუთს უკან ილოც წარბებ შეკმუხვნილი ჩახერგებოდა ქალალდს. ილო ყოველთვის ისე დაჯდებოდა, რომ ის მიდენილიყო მაშოსთან: მეტად უყვარდა, როცა მაშო წააგებდა და მთელი თამაშობიჭ დროს ის სულ იმის ცდასა და ფიქრში იყო, რომ როგორმე მაშო დაერჩინა „დურათა“. მაგრამ გოგო კარგადა ჰთამაშობდა და ყველაზედ უფრო ხშირად იაკობი აგებდა.

— ჰი, შე გამოყრუებულო!—გულ-მტკინეულად ეტყოდა ხოლმე მაშო:—ისევ შენ დარჩი „დურაკი“.

— ეჰ, გაიკარგონ ერთი ეს ქალალდები! მომწყინდა! მოდი ისევ „კამჩადალელი“ ვიკითხოთ!

გამოათრევდნენ სცენაზედ დაგლეჯილ, მოთხვრილ წიგნს და დაიწყებდნენ უბედურად, შეყვარებული „კამჩადალელის“ ტანჯვა-ვაების ამბავის კითხვას.

პაშუკა გრაჩევი რომ ჩაუკვირდა იმათ ცხოვრებას, გამოცდილი კაცის კილოთი სთქვა ერთხელ:

— თქვე ოხრებო, კარგათა სცხოვრობთ, იცი!

მერე იაკობს და მაშოს შეხედა და ღიმილით, მაგრამ დაბეჯითებით დაუმატა:

— ეგრე იცხოვრეთ! და მერე შენა, იაკობ, მაშო ითხოვე ცოლად... ღმერთმანი!..

— სულელი!..—სიცილითა სთქვა მაშომ და ოთხთავემ გადინარხარეს.

როცა ან გაათავებდნენ წიგნის კითხვას, ან მოსწყინდებოდათ კიფხვა, პაშუკა თავისს თავგადასავალს მოუყვებოდა ხოლმე, რომელიც წიგნებზედ ნაკლებ საინტერესო არ იყო.

— როცა გავიგე, რომ უპასპორტოთ აღარსად წამესვლებოდა, — ეშმაკობა დავიწყე. მოვკრავდი თუ არა თვალს პოლიციელს იმ საათში ფეხს გავუჩქარებდი ხოლმე, მითომც გაგზავნილი ვარ და საქმეზედ მივეჩქარები, ან არა და ავეტორლიალებოდდი რომელიმე გლეხს, მითომ ან ბატონია ჩემი, ან მამა ან სხ... პოლიციელი შემომხედავდა და გამიშვებდა... სოფლებში კარგია, იქ სულ არ არიან პოლიციელები: მარტო ბებერი კაცები, დედაკაცები და ბავშვები არიან, სხვები სამუშაოთ მიდიან ხოლმე მინდორში. დამეკითხებიან — ვინა ხარო? გლახა... ვისი ხარ? არ ვიცი... საიღამ? ქალაქიღამ... მორჩა და გათავდა! მასმევენ და მაქმევენ კარგათ. მიდიხარ ისე, როგორც გინდა: გინდა გაიქეცი, გინდა მუცელზედ იხობე... ირგვლივ ტყეებია... ფრინველები მდერიან, ჭიკჭიკობენ, სიამოვნებით გაჰფრინდებოდი იმათთან, რომ შეიძლებოდეს, თუ მაძლარი ხარ — აღარაფერი გინდა და მიდიხარ განუწყვეტლივ, თითქო ვიღაც მიგათრევს წინაო... როგორც დედას მიჰყავს ხოლმე თავისი ბალღი. ხანდახან კი რამდენი ხანი ვყოფილვარ მშიერი, ფიუ! იქამდინ მივიდოდა ხოლმე საქმე, რომ წელები დამეწოდნენ — ისე გამოამიხმებოდა ხოლმე ეს ვერანა მუცელი! მიწასაც კი შესჰამ ამ დროს! თავი ამერვოდა ხოლმე... მაგრამ შავიერად, როცა იშოვნი პურსა და კბილებს ჩაუსომ, იიფ! არც ძილი გინდა, არც დასვენება, ილუკმები და ილუკმები. კარგი იყო. მაგრამ სატუხსალოში, რომ მოვხვდი, მაინც გამეხარდა... ჯერ კი შემეშინდა, მაგრამ მერე მიხაროდა კიდევ! პოლიციელებისა ძალიან მეშინოდა. ასე მეგონა, დამიჭერენ და იმდენს მომაყოლებენ, რომ სულს გამაგდებინებენ-მეთქი! ის კი ისე მსუბუქად მომიახლოვდა და მტაცა კისერში ხელი! მე მაღაზიის წინ ვიდექი და საათებს ვსინჯავდი... სულ საესე იყო მაღაზია საათებით: ოქროსი, ვერცხლისა და ათასნაირი. მტაცა და რომ მოვრთე ღრიალი, იმან მომილაქუცა: ვინა ხარ და სადაურთიო? მეც ავდექი ღ უთხარი, ხომ სულ ერთია, გაიგებდნენ და... იმათ ყველაფერი იციან და ვერაფერს გამოაპარებ... პოლიციაში წამიყვანა... იქ ვიღაც-ვიღაცეები იყვნენ... სად მიდიხარ? ვმოგ-

ზაურობა-მეთქი... ხარხარობენ... მერე სატყუარალოში წამიყვანეს... იქაც სულ იცინოდნენ. მერე ხომ იქ ვილაც ბატონებმა ფაფისთან დამტოვეს... ოჰო! რა ოხრები იყვნენ!

ბატონებზე ოხვრითა და გაკვირვებითი ნიშნებით ლაპარაკობდა ხოლმე პაშკა, როგორც ეტყობოდა, ძალიან გაეკვირვებინათ, მაგრამ მზთი გარეგნობა კი წაშლილიყო იმის ხსოვნაში. პაშკა ერთი თვის შემდეგ ისევ დაიკარგა. პერფიშკამ გაიგო მერე, რომ შორს სადღაც ერთ ქალაქში სტამბაში შესულიყო და იქ სცხორებოდა. ისე რომ რომ ეს ამბავი გაიგონა, შურის ამოძიებდა და იაკობს უთხრა:

— ეჰ, როგორც გვეტყობა, მე და შენ აქ დავმუშავდებით ამ ვერანა ქალაქში...

... (შემდეგი იქნება) ...

ტარას ბულბა

მოთხრობა ავტორი: გ. გოგოლისა.

VI*

ძლივის-ძლივობით მოძრაობდა ანდრია ამ შხრილში და მისდევდა ტომრებით დატვირთული თათრის ქალს. „მაღე სამ ნათლეს, დავინახავთ,“ შეჰქნენა შხის მაჩვენებელმა: „მივუახლოვდით იმ ადგილს, საცა სანათი დავდგი.“ და მარხლაც შავდ კედლები თხრილისა თითქოს ცოტ-ცოტათი გაშუქდა, წვერა მიაღწიეს პატარა მოედანსაც, სადაც ნიში უნდა ყოფილიყო; კედელთან მიდგმული იყო ვიწრო პატარა მაგიდა; საკურთხეველი ტრაპეზის მზგავსად და ზედ მთლად გაცვეთილ-გახუნიებული ხატი იყო დასვენებული კათოლიკეთა ღვთის მშობლისა. წინ ჩამოკიდული პატარა ვერცხლხს ლამპარი ხატს რდნავ ანათებდა დაიხარა თათრის ქალი და მიწაზე დატოვებული სპილენძის წვერით და მალალი სანათი ზიღო, რომელსაც შაყაში, ჩხირი და ჩასაქრობი ზედვე ეკლას შეწყვიტა, ზიღო თათრის ქალმა სანათი და ლამპარზე მოუკადა. სენათლემ იმატა; შიღიოდნენ ასე ერთად ჰერარდო dalle notti სურათებით ვით ხან ძლივწად განათებულნი, ხან დამრდილულნი. ნორჩი და ჯანსაღობით და ახალგაზრდობით აღსავსე მშვენებელი სახე რაინდისა თანამგზავრ თათრის ქალის დაუძლიერებულ და გადა-მკრთაღწეულ სახესთან შედარებით აღიდა წინააღმდეგობას

წარმოადგენდა. თხრილი ახლა უფრო განიერი იყო, ასე რომ ანდრიას წელში გასწორებაც შეეძლო. ყურადღებით სინჯავდა ანდრია ამ მიწის კედლებსა, რომლებიც კიევის გამოქვაბულებს ძლიერ აგონებდნენ. როგორც კიევის გამოქვაბულებშიც, აქაც მრავლად იყო კედლებში გამოჭრილი ადგილები, სადაც კუბოები იდგა; ადგილ-ადგილ პირდაპირ კაცის ძელებიც მოჩანდნენ, დროთა ვითარების გამო მთლად დარბილებულ-ნავლად ქცეულნი. ეტყობოდა აქაც ჰყოლოდათ წმიდა კაცები, რომლებიც ქვეყნის მაცდურობა-მწუხარებასა და ქარიშხალს გაურბოდნენ, თავს აქ იმაღლავდნენ. ადგილ-ადგილ სინესტისაგან მთლად წყალი იყო დაგუბებული. იძულებული იყო ანდრია ხშირ-ხშირად შემდგარიყო, რომ თანამგზავრ ქალს, რომლის დაღლილობაც თან-და-თან მატულობდა, დასვენება შესძლებოდა. პატარა პურის ნატეხმა, რომელიც ვითომდა მოსასურიელებლად შესჰამა გზაზედ, საჭმელს გადაჩვეული კუჭი უფრო აატკია. ამის გამო ხშირად რამდენისამე წამით სრულიად უძრავად იდგა ხოლმე, რომ ტკივილს გადაეგლო.

ბოლოს მიაღწენ ერთს პატარა რკინის კარებს. „მადლობა ღმერთს, მივედით,“ წაილაპარაკა სუსტის ხმით თათრის ქალმა და ხელი ამართა დასაკაკუნებლად, მაგრამ მკლავში ღონე აღარა ჰქონდა. დაჰკრა ღონიერად ანდრიამ კარებსა და გაისმა გუგუნის ნიშნად იმისა, რომ კარებს იქით დიდი ცალიერი ადგილი იყო. გუგუნის ხმა თან-და-თან იცვლებოდა, ალბად, მაღალს თაღებში. ორის წამის შემდეგ დაიჩხარუნა გასაღებებმა და როგორც სჩანდა, კიბეზე ვილაცა ჩამოვიდა. ბოლოს გაიღო კარებიც; მისულთ შეეგება ვიწრო კიბეზე მდგომი ბერი, რომელსაც ხელთ გასაღებები და სანთელი ეჭირა. ანდრიამ რომ კათოლიკე ბერი დაინახა, უნებურად შედგა, რადგან ცსაშინლად სძულდათ ყაზახებსა და უფრო სასტიკად და შეუბრალებლად ეპყრობოდნენ, ვიდრე ურიებსა. ბერმაც ცოტა უკან დაიხია, ზაპოროჟელი ყაზახი რომ დაინახა; მაგრამ თათრის ქალმა რაღაცა უთხრა და დაამშვიდა. ბერმა სანათი მიუნათა, კარები ჩაიკეტა, აიყვანა მაღლა კიბეზე და მონასტრის

მალალს, ბნელს ეკკლესიაში შეიყვანა. ერთის მალალ შანდღე-
ბიან საკურთხეველის წინ მუხლოთ მოეყარა მღვდელსა და ჩუმაღ
ლოცულობდა. მის გვერდით აქეთ-იქით დაჩოქილები იღვგენ
ორნი ახალგაზრდა კლიროსანნი ცის ფერის მანტიებით, რო-
მლებსაც ზემოდგან თეთრი კრუჟევიანი შემზეტკები ჰქონდათ
წამოსხმული და უკმევდნენ. ევედრებოდა მღვდელი, რომ
ღმერთს სასწაული მოევილინა: ეხსნა ქალაქი; სულით დაცემუ-
ლნი გაემხნევებინა, მოთმინება მოენიჭებინა, განედევნა მა-
ცდური, რომელიც დრტვინავდა და სულმოკლეობასა, შიშსა
და ცრემლს ჩასჩურჩულებდა ქვეყნიურს უბედურებას. რამდენ-
სამე აჩრდილის მსგავსს დედაკაცს მუხლოთ მოეყარა და წინ
მდგომს სკამებსა და საზურგულებს დაჰყრდნობოდნენ; რამდენ-
ნიმე კაციც ისევე ნაღვლიანად მიჰყრდნობოდა მუხლ-მოყრილი
სვეტებსა და კედლის ბურჯებს, რომლებზედაც გვერდის თა-
ღები იყო დამდგარი. საკურთხეველის ზემოდ დაყოლილი ფერად-
შუშებიანი ფანჯარა განთიადმა ვარდის ფრად გააშუქა და
გამონაკრობმა სხივებმა მტრედის ფრად, ყვითლად და სხ.
ფრად გაანათა იატაკი და ბნელი ეკკლესია. უცბად განათდა
მთლად საკურთხეველიც და მისი შიგნითი კედლები; საცეცხ-
ლურიდან აღკმეული კვამლი ცისარტყელასებრ გაშუქებულ
ღრუბლად დარჩა ჰაერში. ანდრია განცვიფრებული შეჰყურებ-
და ეკკლესიის ბნელა კუთხიდან ამ სინათლის სასწაულს. ამ
დროს დაიგრგვინა არღანმა და მთელი ეკკლესია დიდებულმა
ხმამ მოიცვა. ხმა თან-და-თან მობოხდა, გაძლიერდა, მჰაქე
გრგვინვად გარდაიქცა და შემდეგ ციურ მუსიკასავით წყნარად
მალლა-მალლა გაიბნა თაღებში, გაწვრილდა, როგორც ნორჩ
ქალწულთა ხმა; ბოლოს ისევ დაიგრგვინა, მობოხდა და მიჩუმ-
და. დიდხანს არ შემწყდარა ეს გრგვინვის ხმა ეკკლესიის თა-
ღებში და ანდრიაც პირ-დაღებული ჰკვირობდა ამ დიდებულს
მუსიკასა.

იგრძნო ამ დროს ანდრია, რომ ვიღამაც კალთა დასწია.
„დროა!“ უთხრა თათრის ქალმა. გაიარეს შეუმჩნეველად ეკკლე-
სია და იქვე ეკკლესიის წინ მოედანზე გავიდნენა განთიადს

უკვე საკმაოდ გაეშუქებინა ცა: მზე ამოსვლაზე იყო. ოთხ-
 კუთხი მოედანი მთლად ცალიერი იყო; შუაგულ მოედანზე
 ისევ ხელ-უხლებლად იდგნენ ხის მაგიდები, სადაც ამ ერთის
 კვირის წინ, ვინ იცის, საჭმელსა მყიდიდნენ მოუკირწლავი
 ქუჩა მშენებარი ტალახით იყო მოფენილი. მოედნის გარშემო
 ქვითა და თხიბთ ნაშენი ორთ-სართულიანი პატარა სახლები
 იყო, ხის ყოჩებიცა და ბოძებით, რომლებიც ხიფვე იყვნენ
 ჯვარედინად დაკაფშირებულნი, როგორც საერთოდ იმ დროს
 იშენებდნენ სახლებსა და როგორც ეს ახლაც შეიძლება ნახოს
 ადამიანმა. ლიტვისა და პოლონეთის ზოგიერთს ადგილებში
 ზემოდან ყველას მაღალი ჩარდახებით ეხურა. მრავალის სასუნთქ
 და სასმენ თანჯრებითა ერთგ-მხარეს, თბთქმის ეკლესიის მახ-
 ლობლად, ყველაზე მაღლა იდგა სულ სხვანაირი შენობა,
 უთუოდ ქალაქის მაგისტრატი ან სხვა რამ დაწესებულება მთავრ-
 რომისა. შენობა ორ-სართულიანი იყო და ზემოდან ფრ კამა-
 რად ბელვედერზე ჰქონდა დადგმული, სადაც გორიგი დარაჯი
 იდგა; ჩარდახში დიდი დროის გაჩვენებულ იყო დატანებული.
 მოედანე მთლად უსიცოცხლოდ, მკვდრად გამოიყურებოდა;
 მაგრამ ანდრეას ოღნავე კენესაი შემოესმა ოთქოს. მიმოავლო
 თვალი და შეჰნიშნა, რომ მოედნის მეორე მხარეზე ორი დაუ-
 სამი კაცო იწვა მიწაზე თბთქმის სრულებით უძრავად. უფრო
 ჭაუშტერა თვალი ანდრეასა და უყურადღებოდ დაუწყო ცქერა,
 რომ გაერჩია, ექნა, თუ მკვდრები იყვნენ, რომ ამ დროს
 რადასაც რბილს ფეხი წამოჰკრა. ეს იყო მკვდარი ქალის, უფრო
 ურის შვამე. ფტხოზობა და ხალგაზღაუნდა კოფრილიყო, თუმცა
 დაუძლიერებულ და დასახინებულ სახეზე ეს აღარ ეჩნებოდა.
 თავზე წითელი აბრეშუმის თავშალი ჰქონდა მოხვეული; ყურ-
 ში ორი არიგად თაღლითი მარგალიტი ჰქონდა ვაკეთებული.
 ორი თუ სამი გრძელი ჩაწულთი ულუღი გამხმარს, ძარღვებ
 დაქიმულს ყელზე გადმოჰშლოდა. გვერდით ეწვა ბავშვი, რომ
 მელსაც გამშრალ და გამხმარ მუძუსათვის, წაველო ხელი და
 სტრახისაგან მთლად მოეგრიხა თიფებით, რომ რძე ვერ ეპოფ-
 ნა. ბავშვი ახლა აღარც ტიროდა, აღარც ყვიროდა: მხოლოდ

ოდნავ მფეთქავ მუცელზედ-ლა. შეატყობდა აღაძიანი, რომ ჯერ კიდევ არ მომკვდარიყო, სულსა ჰლევდა. ქუჩებში რომ შეუხვიეს, აქ უცებ ვილაცა შემოილილი დაჰხვდათ, რომელმაც, დანახა თუ არა პური, სტაცა გამმაგებულმა ხელი და შეჰყვირა: „პურიო!“ მაგრამ ძალა აღარა ჰქონდა. ჰკრა ხელი ანდრიაძა და შემოილილი მიწაზე გაიშალა. შეებრალა ანდრიაძს გიჟი და, ერთდ პური გადაუფდო, რომელსაც მაშინვე ცოფიან ძაღლივით ეცა იგი; დაღრღნა, დაჰკბინა პური გიჟმა და დაკრუნჩხულმა საშინელის ტანჯვით დალია აქვე სული, რადგანაც პურს უკვე გადაჩვეულნი იყო თითქმის. ყოველს ფეხის გადადგმაზე შიმშილისაგან დახრცილთ ჰხვდებოდნენ. თითქოს ტანჯვა სახლში ველარ აუტანიათო, ბევრი ქუჩაში გამოსულიყო. იქნება მასაზრდოებელი რამ ჰაერმა მინც მოგვივლინოსო. ერთის სახლის კარებთან ბებერი მიმჯდარიყო, მაგრამ ვერავინ შეატყობდა—ეძინა, მომკვდარიყო თუ თავდავწყებას შისცემოდა; მძინებე მანც სრულიად აღარა შესმოღარა და ველარასა ჰხვდავდა, ჩაეკიდდა თავი და იჯდა ერთსა და იმავე ადგილას უძრავადა. მეორე სახლს ჩარდახიდვან კიდევ თოკი იყო ჩამოშვებული და ზედ ჩამომღრჩვალ კაცის დამოკვარი გვამი ეკიდა: საბრალოს შიმშილობის სატანჯველი ველარ აეტანა ბოლომდის და ასე ითავის ნებით მკვლელობა ემჯობინებინა.

შიმშილობის ასეთი საზარლობა რომ ნახა, ველარ მოითმინა ანდრიაძა და დაეკითხა უთათრის ქალს: „მეუ-თუ ველარათურით ვერ მოახერხეთ თავის დარჩენა? კაცს რომ გაუჭირდებოდა, ყველაფერი უნდა სქამოს, რასაც წინად იზიზღებდა, — შეუძლიან სჯულით აღკრძალული ცხოველებიც კი სქამოს; ერთი სიტყვიც, ყველაფერი გამოიყენოს საზრდოდ.“

„სულ ყველაფერი ზაგვითაფდა,“ უპასუხა თათრის ქალმა: „ველარასფერს ცხოველს: ვერც ცხენს, ვერც ძაღლს, ვერც თავის ქალაქში ველარ იპოვით. ქალაქში დიდის ხნის საგზალოდ არას დროს არა გვქონია: ყველაფერი სოფლებიდან შემოღობოდა.“

„მერე, ასე შიმშილით სწყდებით და კიდევ ქალაქის დაცვასა სცდილობთ და ფიქრობთ?“

„ჰო, იქნება მოურავს კიდევაც გადმოეცა ქალაქი, მაგრამ გუშინ დილით ბოჯაკაში მყოფმა პოლკოვნიკმა შავარდენი გამოუშვა ბარათით და გვაცნობა, რომ ქალაქი არ დაგვენებებინა: ქალაქის გასანთავისუფლებლად მოედევარ ჩემის რაზმით, მაგრამ მეორე პოლკოვნიკსაც ველი, რომ ორივენი ერთად წამოვიდეთო. ახლა იმათ ყოველს წამს ელიან... აგერ, სახლშიაც მოვედით“.

ანდრიამ შორიდანვე დაინახა სახლი, რომელიც გარეგნობით სხვებს არაფრითა ჰგავდა. როგორც ეტყობოდა, სახლი იტალიელ ხუროთ-მოძღვრის ნაშენი უნდა ყოფილიყო. სახლი ლამაზის თხელი აგურით იყო ორ-სართულად ნაგები. ძირის სართულის ფანჯრები შავის ქვით იყო მალლა შეკრული. ზემო სართული მთლად პატარ-პატარა კამარებისაგან შესდგებოდა, რომელიც გაღვრეიას წარმოადგენდა. კამარებს შუა და აგრეთვე სახლის კუთხეებში, ყველგან საგვარეულო გერბები იყო გამოკიდული. შეღებილ აგურით ნაკეთები გარეთი განიერი კიბე მოედანზე ჩამოდიოდა. კიბის ქვეით, აქეთ-იქით, იდგათითო დარაჯი, რომელნიც ცალის ხელით ერთნაირად წათებს დაჰბჯენოდნენ, ხოლო მეორეთი ჩამოკიდული თავი შეემარგებინათ; ამ რიგად უფრო ქანდაკებასა ჰგვანდნენ, ვიდრე ცოცხალ არსებათ. არც ეძინათ, არცა სთვლემდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, რომ გრძნობით ველარასფერსა ჰგრძნობდნენ. ყურადღება არც კი მიუქცევიათ, კიბეზე ვინ ავიდა. კიბის ზემოთ ძვირფასად მოართული და თავით ფეხთამდე შეიარაღებული ჯარის-კაცი დაჰხვდათ, რომელსაც ხელში ლოცვანი ეჭირა. ჯარისკაცმა თითქოს მიაპყრა თავისი დაღლილი დაუძლურებული თვალები, მაგრამ თათრის ქალმა რაღაცა უთხრა და ჯარისკაცმაც ისევ გადაშლილს ლოცვანს დაუწყო კითხვა. აგერ, შევიდნენ ისინი პირველს, საკმაოდ მოზრდილს ოთახში, რომელიც ან მიმსვლელთა მისაღები ან წინა ოთახი უნდა ყოფი-

თან მჯდომ ჯარის-კაცებით, მსახურებით, მწერლებით, მეღვინეებითა და სხ. კარის მხლებლებით, რაიცა მაჩვენებელი იყო პოლონელ დიდებულისა, სამხედრო კაცისა, ან მესაკუთრემემამულის ხარისხისა. ოთახში ჩამქრალი სანთლის სუნი იდგა, ორი კი ჯერ ისევ ენთო ვეებერთელა, ოთახის შუაგულ მდგომ, კაცის სიმაღლე საშანდღეებში, თუმცა დიდი ხანი იყო განიერ ფანჯრიდან დილის სხივები უკვე აშუქებდნენ. ანდრიას უნდოდა პირ-და-პირ განიერ მუხის კარებისაკენ გაეწია, რომელიც საგვარეულო გერბებითა და სხვა ამოჭრილ სურათებით იყო შემკული, მაგრამ თათრის ქალმა სახელს დასწია და გვერდის კედელში გამოჭრილ პატარა კარებზე მიუთითა. ამ კარებით კარიდორში გავიდნენ და შემდეგ აქედან ოთახში, რომელსაც ანდრიამ ყურადღებით დაუწყა სინჯვა. ფანჯრის დარაბის ჯუჯრუტანიდან შემოპარულს სხივს ზოგი რამ უკვე გაენათებინა: მაყვლის ფერი ფარდა, მოოქვრილი გრეხილი კედელი და მხატვრობა კედლისა. თათრის ქალმა ანდრიას აქ მოცდა სთხოვა, თითონ კი მეორე ოთახში შეაღო კარები, საიდანაც ლამპრის შუქმა შემოანათა. ანდრიას ჩურჩული და წყნარი ხმა შემოესმა, რამაც მთლად მოშალა ტანში. დაინახა ღია კარებიდან, როგორ გაიეღვა სწრაფად ტან-წერწეტმა ქალმა გრძელის მშვენიერის, მალლა შემართულ ხელზე გადმოგდებულის ნაწნავით. გამოვიდა თათრის ქალი და უთხრა შესულიყო. აღარ ახსოვდა ანდრიას, როგორ შევიდა და როგორ მიიხურა კარები. ოთახში ორგან ენთო სანთელი; ხატის წინ ლამპარს ეკიდა; იქვე, კათოლიკეთა ჩვეულებისამებრ, მაღალი მაგიდა იდგა საფეხურებით, რომ ლოცვის დროს მუხლთ მოეყარათ. მაგრამ ანდრია ამას არ ეძებდა. შემობრუნდა და მეორე მხარეს დაინახა ქალი, რომელიც რაღაც სწრაფის მოძრაობის შემდეგ თითქოს გაქვავებულ-გაცივებულიყო. ეტყობოდა ბიოქოს, რომ მთელი მისი არსება მზად იყო შემოსულს სცემოდა და მოჭხევოდა, მაგრამ უცბად გაჩერებულიყო. ანდრიაც ისრევე განცვიფრებული დარჩა. არ ეგონა, თუ ასე ჰნახავდა: ეს ის არ იყო, რომელსაც წინადა სცნობდა; წინანდელს აღარა

უგვანდა-რად მაგრამ ერთი-ორად მშვენიერად საუცხოვერსო, ვიდრე უწინ; მაშინ თითქოს რაღაც აკლდა, დაუმთავრებელი იყო, ხალხ კი წარმოადგენდა ნაწარმოებს სრულს, უნაკლოს, რომლისუფლისაც მხატვარს შემქმნელს უკანასკნელად დაეწო მრთა და გაემშვენებინა. ის იყო მშვენიერი, ქარაფშუტა ვახს- თხოვარად ქალი; ეს კი მთლად ფიფქვიანი-გაშლილი, ღამაზი დედაყაცი მის მატლა აწეულს თვალეში სრულად გრძობა იხატებოდა და არა ნაწყვეტი და ნიშანი გრძობისა. ჯერ კიდევ სრემოლები არა შექმნიდნო და სულის გაბმსქვალის, სველი ბრწყინვალე ხოლო ყრკალხვით შემოჰქნოდა თვალებს; გული, ყელი და მხრები მშვენიერებისათვის დანიშნულს ფარგალში მოჰქცეოდა, სრულდებოდა განვიფარებოდა თმები, წინად რომ სტბუქ ხუჭუჭებათა აქონდა ასახეზე დაყრილი, ხალხს სქელს ნაწნავს წარმოადგენდა, რომლის ერთი ნაწილიც ჩაწნული აქონდა, ხოლო მეორე მკლავზე გადმოეგდო და გულ-მკერდზე მშვენივრად გადმოჰშროდა. თითქმის ყოველივე სახის მოხაზუ- ლობა გამოსცვლოდა, ტყუილად სცდილობდა ეპოვნა თუნდაც ერთი ფიჭოვანი, რომლებსაც დღემდის კოცნებით ატარებდა თავისთან, ტყუილად ხველარც ერთ მათგანს ვერ ჰპოვნა მართა- ლია, მეტად მიმკრთალებულიყო, მაგრამ მომხიბლველი მშვე- ნიერება მაინც არ დაეჩრდილა, მირიქით, რაღაცა მიმხიდვე- ლი და მომჯადოებელ-მძლეველი გრძობა მისცემოდა, ანდრიაშ უცები რაღაცა მოწინებითი შხში იგრძნო და უძრავად გაჩერდა. ქალიც, ფტყობოდა, ასრევე შეკრთა, ალო-ლონითა და ვაჟკა- ცობით აღსავსე, ხალგაზდა ყაზახი რფმოდანიხაბა ხავისს წინ მდგომი ღთვითონ ეს უძრავობა ტანისა ამხელოდა, რომ მეტად თვეისუფალი და მარდი ღუნდა ყოფილიყო, თვალს ნათელს, ნიშანი მაგარ ხასიათისა, გაბედულად გადაქნალო ხავერდით წარბები, ქალწულებრივის ცეცხლით აღსავსე, მხისაგან გარუ- ჟული, ლოყები და აბრეშუმხვით მშხინავი შავი პატარა ულვა- შები, ყოველივე შეფარდებული იყო ამ ძალ-ლონესთან, იმეტიდნო, არ აღმოძის მადლობა გარდაეჩხადო, დიდ-სულო- ვანო რაინდო, მიუგო ქალმდაკანკალებულისა ხარხვით წკრდა-

ლახმით, „მხოლოდ ღმერთს შეუძლიან მადლი მოგაგოს“ მე
კოხსუსტს დედაკაცსა და ბავალები ძირს დააშტერა;
თოვლის ზეწრებივით ვადმოეფინენ. ზედმშვენიერი გრძელ
წამწამებთან ქუთუთოჭები; მთელი მომხიბლველი სახე დაპხარა
ბოლოს და წითლად გაუღვივდა, ანდრიამ პასუხად ვერა მოა-
ხერხარახ უნდოდა ყოველივე რაც შეეძლო ედო, ამოეშა-
ლა; ამოეშალა ისრევე მხურვალედ, როგორც გული უგრძობ-
და, მაგრამ არ შეეძლო იგეგმოს, რომ რაღამაც პირი შეუკ-
რა — ხმა წაერთო: იგრძნო, რომ მას, ზურსაში და ბრძოლი-
სათვის აღზრდილს, ამ გვარს სიტყვებზე პასუხის მიცემა არ
შეეძლო და სწინლად განროსხდა რად დაჰყვანასეთი ბუნება
ყახახისა. ამ დროს ორწინში შემოვიდა თათრის ქალი, მას უკვე
დაეჭრა რაინდისაგან მიტანილი პური და ოქროს ტაბკეთ ქალ-
ბატონს მხარტვა, ქალმა ვერ მოახლეს შეჭედლა, ამერმე პურს,
შემდეგ ანდრიას ბევრი, ბევრი რამ ითქვა მაშინ რომის თვა-
ლებით ეს წეტარი და ტკბილი, მოუძღოურებდა და სისუსტის
გამომეტყველი შეხედდა, რომ არ შეეძლო თავისი გრძობები
გაეზიარებინა, უფრო გსაგებდნენ ანდრიასათვის, ვიდრე
მქვერმეტყველური ლაპარაკი ანდრიას უცებ თიფქოს რალაცა
მოეშვა გულიდან, თავი თავისუფლად იგრძნო. აქამდის გა-
მოუთქმელმა სულიერმა მოძვრობამ და გრძობამ ჯთავი-
სუფლობა იგრძნო და ისიც უნდა აღმოაჩინა და უშრეტელ სიტყვათა
წყაროდ ვადმოეხეცქა, რომ ამ დროს უცებ ლამაზი თათრის
ქალს მიუბრუნდა და შეუფოთებელი დაევიცხა: „დედას? დუ-
დას წაუღე?“ თათრის ამოძინებში ანდრიამაც აინგა, იტყუებდა
„დედასა სძინავსა“ ღმერთს ათონს მარცხ თქონს მსგავს
„მამას?“ დანა თუფა შეეფიქრა, მოხედა მისი იმის მუ-
ცადი მივართვი და ბრძანა რომ მალეობის გადასახდელად
თვითონ მოვა რაინდთან. ბრძანა ათონს ან მსგავსდნონ მითა
თათრის ლამაზმა პური და პირთან მიიტანა. გამოუთქმელის
სიტკბოებით ადვენებდა თვალს ანდრია, როგორა სტეხდა პურს
იგი თავისის ბროლის თითებით და როგორა სკამდა. მაგრამ

ამ დროს უცებ ქუჩაში ნანახი, შიმშილისაგან გაცოფებული კაცი მოაგონდა, რომელმაც, შესჭამა თუ არა ლუკმა პური, იქვე, იმის თვალ-წინ, განუტევა სული. მთლად გაფითრდა მაშინვე ანდრია, სტაცა ქალს მკლავში ხელი და შესძახა: „კმარა! მეტს ნუღარა სჭამ! დიდი ხანია აღარ გიჭამია, მოგწამლავს.“ და ქალმაც მორჩილებით დაუშვა ხელი ძირს, დასდო პური ტაბაკზედ და ბავშვივით თვლებში დაუწყო ცქერა. ან-კი ვისი სიტყვა გამოსთქვამდა, რაც... მაგრამ არც ერთს კალამს, არც ერთს მხატვრის ფრთას, არც ერთს მექანდაკისა საკვეთს და არც ერთს ყოვლად ძლიერს სიტყვას არ შეუძლიან გამოსთქვას და გამოხატოს ის, რაც ხან-და-ხან ქალწულის თვალში აღიბეჭდება ხოლმე და რა გრძნობით და ლმობიერებითაც ქალწულისავე თვალში შემაცქერალი ახალგაზრდა აღიესება ხოლმე.

„დედოფალო!“ შეპყვირა სულიერის მღელვარებითა და გრძნობებით აღვსებულმა ანდრიამ: „რა გსურს, რა გინდა?— მიბრძანე! შემომიკვეთე, რაც კი ამ ქვეყნად საძნელო რამ გეგულება და წამს აგისრულებ! შემომიკვეთე ისეთი რამ, რის შესრულებაც კი არც ერთს ადამიანს არ შეუძლიან და მე ვიკისრებ მისს გაკეთებას, თავს არ დავინდობ. დავიღუპები, დავიღუპები! და გეფიცები წმინდა ჯვარს, შენთვის ამას არად მივიჩნევ, ტკბილად მეჩვენება... მაგრამ როგორ ტკბილად, ამისი გამოთქმა არ შემიძლიან! სამი სახლი მაქვს, მამიჩემის ჯოგების ნახევარიც ჩემია, დედაჩემსაც, თუ რამე მიუტანია მამისათვის, ან მის ჩუმად შეტუნახია, ყველაფერი ჩემთვისა აქვს შენახული, ჩემია. ყაზახებში ჩემისთანა იარაღი სულ არავისა აქვს: მარტო ერთს ხმლის ტარში საუკეთესო ცხენის ჯოგსა და სამი ათასს ცხვარს მაძლევენ. ყველა ამაზე უარს ვიტყვი, დავწვავ, წყალს მივცემ, გადავყრი, თუ კი ერთი სიტყვითაც არის მომთხოვ, ან მაგ შავის წარბების შეთამაშებით მანიშნებ! მაგრამ, ვიცი, იქნება სისულელესაცა ვროშავ უადგილოდ, ვიცი, არ შემფერის მე, ბურსასა და ზაპოროჟიეში აღზრდილს ლაპარაკი იქ, სადაც მეფენი და თავადნი, საუკეთესო დიდე-

ბუღბი იკრიბებიან ხოლმე ვხედავ, რომ შენ სულ განსხვავებულნი ქმნილება ხარ, ჩვენ არა გვეგვხარ, სხვა კეთილშობილთა ცოლნი და ქაღნი ვერ შეგედრებიან. მონადაც კი ვერ გამოგადგები; მხოლოდ ციურ ანგელოსთუ თუ შეუძლიანთ შენი სამსახური.“

გატაცებითა და განცვიფრებით ისმენდა ქაღ ამ გულწრფელსა და გულითადს სიტყვებს, სულის სიღრმიდგან ახალგაზღობის გრძობითა და ძალით აღმომჩქეფარეს, თვითონუელი სიტყვა; გულის სიღრმიდგან ამოღებულთ, ძალღონით რყო აღსაესე. მშვენიერმა ქაღმა ჭახე წინ გადმოხარა, თმები უკან გადაიყარა და ოღნავ პირგატებული დიდხანს შეტყუებდა ასე. მერე რიღასიც თქმს უნდოდა, მაგრამ უცბად შედგა. მოაგონდა, რომ სხვა იყო დანიშნულება რაინდისა, რომ მამა, ძმებრ და მთელი მისი ძამშობლო შურის მაძიებლები შეიქმნებოდნენ, რომ საშიშნი და სასტიკნი იყენენ ქაღას ალყად შემორტყმულნი ზაპაროფონთ, რომ ქაღასიც და სველანი შიმშილით უნდა ამოწყვეტილიყვნენ და თვალები უცებ კრემლით აეესო. დიდხანს აჯდა ასე, უკან თავგადაგდებულთ, თან ქვეთვბ ტუჩისათვის თოვლივით თეთრი კბილები ჩაეკიდა ზითქაღს ეს არის რაღაცა შხამიან ქვემძრომის კბენა იგრძნოვო და ჭახიდგან ცხვირსახოცს აროციღრებდა, რომ ეს მისი მკმუნვარება და ნაღველი ანდრიღს არა შეენძნა იტოვებდო მითხაროვ ერთი სიტყვა მიხხარაქ შეევედრა ანდრიღ და ატლასივით სუფთათ ხელი ფაღმართვა მაშინვე მგზნებარე ცეცხლმა დაურბინა ანდრიღს ძარღვებში და უჯრძობლოდ მღებძარე ქაღის ხელს ეტურო მოუჭირა ხელი. ქაღი კი სდუმდა და იჯდა ისევ ისე ცხვირსახოც აფარებულთ უქრფადა. „მითხარ, რაღა ხარ აგრე მტაწყენილი? რაღა ხარ აგრე დაღონებული?“

გადაწვდო უცებ ქაღმა ცხვირსახოცი, გადიწია თვალბზე გადმოყრილი გრძელი თმები და დაბრალისის კილოთი აფაუწყო აღაპროკი, წყნარად, ჩუმად, იმავე რტყად, რტყდო

მშვიდსა და წყნარს ლამეში წაშოუსისინებს ხოლმე ქარი წყლის პირად სქლად აყრილს ლერწამსა: გაიშრიალებენ, გაჰზმუვლებენ და მოწყენილად, წმინდად გაისმის ხოლმე რაღაცა ხმა, რომელსაც გამოურკვეველად, ნაღვლიანად ყურს უგდებს ხოლმე შეჩერებული მგზავრი. მგზავრს ამ დროს აღარც მიღეული საღამოს პირი ოზიდავს, არც შორიდან მონადენი მხიარული სიმღერა ხალხისა, არც საღლაც შორს მიმავალ ურმის რახრახი.

„ღირსი არა ვარ, განა, მუდმივის სიბრალულისა! უბედური არ არის, განა, ჩემი ამ ქვეყნად მშობელი? მწარე ხვედრი არა მხვდა, განა, წილად? შეუბრალებელი და მკაცრი ჯალათი არ ხარ, განა, ჩემთვის შენ, ჩემო ბედო? ყველამ ჩემ ფერხთ წინ მოიხარა ქელი: საუკეთესო თავად-აზნაურებმა, უმდიდრესმა ბატონებმა, გრაფებმა და უცხოელმა ბარონებმა, ერთი სიტყვით, მთელის ჩვენის სარაინდოს საუკეთესო წარმომადგენლებმა. ყველას ვუყვარდი და დიდ ბედნიერებად ჩასთვლიდნენ, რომ ჩემის სიყვარულის ღირსნი გამხდარიყვნენ. საკმარისი იყო მენიშნებინა ხელით და უმშვენიერესი და ულამაზესი, როგორც სახით, ისე გვარიშვილობით, ჩემი მეუღლე შეიქმნებოდა. მაგრამ არც ერთის მათგანით, მკაცრო ბედო, გული ჩემი არ მოჰხიბლევია; სამაგიეროთ, ჩვენის ქვეყნის უკეთეს დიდებულთ გვერდი აუხვიე და უცხოასათვის, ჩვენის მტრისათვის ამიძგერევი გული. ყოვლად წმიდაო, დედაო ღვთისაჲ, რა ცოდვისა და დანაშაულობისათვის მღევნი ასრე დაუნდობლად და უწყალოდ? სიცოცხლე ჩემი სიმდიდრესა და კმაყოფილებაში გავატარე; საუკეთესო და ძვირფასი სასმელ-საჭმელი მიმკობდა სუფრას. და რისთვის ყველა ეს? ნუ-თუ იმიტომ, რომ ბოლოს შეუბრალებელის შიმშილით მოვმკვდარიყავი, რაც სამეფოში უბრალო გლახასაც კი არა ჰხვდება ხოლმე წილად?

კიდევ არაფერი, რომ ასეთი საზარელი ხვედრი მქონია: არ მაკმარევი, რომ უკანასკნელად უნდა ვიხილო, როგორის ტანჯვი და მძიმეობა მოხუცი დედა და მამა, რომელთა სახსენ-

ლადაც ოცჯერ გაეწირავდი სიცოცხლეს, და სიკვდილის წინად და მალირსე და გამაგონე სიტყვები სიყვარულისა, რომელიც ჯერ არსად გამომიცდია. მომწიე იმ დღეს, რომ სატრფოს სიტყვებს გული მთლად დაეღარა, ისედაც მწარე ხვედრი უფრო გამმწარებოდა, ახალგაზრდობის ნორჩი სიცოცხლე უფრო გამსაცოდავებოდა, სიკვდილი უფრო საზარლად მჩვენებოდა და მომაკვდავს, მკაცრო ბედო ჩემო, და,—მაპატიე ცოდვა ჩემი,—ყოვლად წმიდა ღვთის მშობელო! უფრო მეტი მესაყვედურნა თქვენთვის.“

და რო გაჩუმდა, საშინელი უიმედობის გრძნობა აღებეჭდა სახეზედ: მოღრუბლულ და მოწყენილ შუბლიდგან მოყოლებული დაღვრემილ და ნამტირალევე თვალებამდე, რომლებზედაც კრემლი რუსავით სდიოდა და ზედვე აშრებოდა გახურებულს ლოყებზედ, ყოველივე სახის მოხაზულობა თითქოს ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ამ სახემ ბედნიერება არ უწყისო!“

„სად გაგონილა ქვეყანაზედ, როგორ შეიძლება,“ ეუბნებოდა ანდრია: „რომ ულამაზესსა და უკეთესს ქალთაგან ასეთი მწარე ბედი ჰხვდეს წილად, როცა იგი შობილია მად, რომ დედამიწაზე რაც კი რამ უმჯობესია, ყოველივემ მის წინ მოიხაროს ქედი. არა, შენ არ მოჰკვდები!, სასიკვდილო არა ხარ! გეფიცები ჩემის დაბადების დღესა და ყველაფერს, რაც კი ჩემთვის ძვირფასია,—რომ არ მოჰკვდები! მაგრამ, თუ მაინცა და მაინც ასე მოხდება და ვეღარასფრით—ვერც ძალით, ვერც ლოცვითა და ვაჟკაცობით—თავიდგან ვერ ავიცილებთ ამ მწარე ხვედრს, მაშინ ერთად დავიხოცნეთ; მაგრამ უწინ მე მოვკვდები შენ წინ, შენის მშვენიერ მუხლთა წინ, დეე, მკვდარი გაგვაშორონ ერთმანერთს.“

„ნუ ატყუებ, რაინდო, ნურც შენს თავს,—ნურც მე“, ეუბნებოდა ქალი ანდრიასა და მშვენიერს თავს წყნარად აქნევდა: „ვიცი, ჩემდა სამწუხაროდ, და ვიცი ძალიან კარგად, რომ შენ ჩემი სიყვარული არ შეგიძლიან; ვიცი ისიც, რა მოვალეობა

და აღთქმაცა გაქვს: მამა, მეგობარნე, სამშობლო სხვად გიწვევენ, ჩვენ კი—მტრები ვართ.

„რას ვაქნევ მამას, ან მეგობრებს და სამშობლოს?“ მიუგო ანდრიამ, თავი მარდად შეარხია და ვერხვივით გაიშალა წელში. „რაკი აგრეა, მაშ, აგრე იყოს: აღარავინ არა მყავს! არა!“ გაიმეორა იმავე ხმით და იმავე გვარის ხელის მოძრაობით, როგორითაც უღრეკი და გაუტეხელი ყაზახი გამოჰხატავს ხოლმე საზოგადოდ თავისს გარდაწყვეტილებას ისეთ საქმეზე, რაც იშვიათი და შეუძლებელი იქნებოდა სხვისათვის. „ვინ სთქვა, რომ ჩემი სამშობლო უკრაინაა? ვინ მამცა იგი სამშობლოდ? სამშობლო ის არის, რასაც ჩვენი სული დაეძებს, რაც ყველაზე მეტად შეუყვარებია. ჩემი სამშობლო შენა ხარ! აი, ჩემი სამშობლო! ვატარებ ფულით ამ ჩემს სამშობლოს, ვიდრე ცოცხალი ვიქნები და ვნახოთ: გაბედოს, აბა, რომელმამე ყაზახმა ამ სამშობლოს გულიდან ამოგლეჯა! ყველაფერს გავყიდი და გავსწირავ, ყველაფერს გავატიალებ ასეთ სამშობლოსათვის!“

ქალი ერთს წამს თითქოს გაქვავდა მშვენიერ ქანდაკებასავით და უცქეროდა თვალეში, შემდეგ უცებ ქვითინი აუვარდა და ქალის მშვენიერ სისწრაფით, ზოგორსაც მხოლოდ უსახდვროდ დიდ-სულოვანი, გულჩვილი დედაკაცი გამოიჩინს ხოლმე, თავისი თოვლისაყით თეთრი, მშვენიერი ხელები ყელზე მოჰხვია, ატირდა. ქუჩაში ამ დროს რაღაცა გაურკვეველი ყვირილი გაისმა, რომელსაც დაფ-დაფისა და საყვირის ხმა მოჰყვა; მაგრამ ანდრიას ეს ხმა არ გაუგია: ჰგონებდა მხოლოდ ქალის მშვენიერი ბაგენი სუნნელოვანს სისაბოძს როგორა ჰგენდნენ სუნთქვის დროს, როგორ უსველებდა პირისახეს ქალის სახიდან ჩამოხადნებ დარუებული ცრემლი და ჩამოშლილი, გრძელი სუნნელოვანი, აბრეშუმივით რბილი შავი თმა, როგორ შემოჰხვეოდა გარშემო, შიგ. როგორ გაბმულიყო. თანამე წაგოს ძორიძენს თე ასიოთეზ იოუას თოტეგმნენ ნო ამ დროს მათთან შეიკრბინა გახარებულმა თათრის ქალმა. „დაგვიხსნეს, დაგვიხსნეს!“ ჰყვიროდა იგი თავ-დაფიწყებული. „ჩვენები ქალაქში შემოვიდნენ, პური, ხორბალი და ფქვილი

მოიტანეს, ხელ-ფეხ შეკრული ზაპოროჟელები მოიყვანეს! მაგრამ ზრც ერთს მათგანს არა გაუგია, ვინ „ჩვენები“ შემოვიდნენ ქალაქში, რა მოიტანეს და ვინ ზაპოროჟელებს გაუკრეს ხელ-ფეხი. არა-ქვეყნიურის სდტკბოთი და გრძნობით აღსავე ანდრია დატკონა ლოყაზე დაყრდნობილს კეთილ სუნ ნელოვან ქალისა ბაგეთ და ისინი ტკბილად შეეწებნენ ქალის ბაგენი იმავე გრძნობით შეეგებნენ და ამ შეერთებულს კოცნაში გამოიხატა ის გრძნობა, რომელსაც ადამიანი თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გამოცდის ხოლმე.

დაიღუპა ყაზახი! დაიღუპა მთლად საყაზახო სარაინდოსათვის! ველარა ჰნახავს ველარც ზაპოროჟეს, ველარც მამის სახლს, ზერც ეკკლესიას! ველარც უკრინა ჰნახავს თავისს მამაცს შეიღოს, მის-ღა სახსნელად შეიარაღებულს. მოხუცი ტარასო მთელს მუჟს კატარა თმას ამოიგლეჯს და დასწყევლის დღესა და უშს, რადესაც თვისდა სამარცხვინოდ ასეთი შეილი მიეცა.



ზაპოროჟელთა ბანაკში დიდი ხმაურობა და მოძრაობა იყო. პირველად ზერავის ვერ მოყფიქრა ქალაქში ჯარი საბადან შევიდა. ბოლოს გამოდგა, რომ ქალაქის გვერდის კარებთან მდგომი მთელი პერეიასლავის კურენი საშინლად გამობორუულიყო არყით. მაშასადამე, საკვირველი აქ აღარა იყო-რა, რომ ნახევარც მათგან მთლად გაეყლიტათ და მეორე ნახევარიც, ვიდრე ყველანი გაიგებდნენ ამ ამბავს, ხელ-ფეხ გაკრული ტყვედ წაეყვანათ. სანამდის ამ ხმაურობაზე გაღვიძებულნი მახლობელი კურენები იარაღს მოჰკრდებდნენ ხელს, ჯარი უკვე ქალაქის კარებს შიგნით იყო და უკანა წყობა, ჯვრისა წარმარად მისეულს, ნახევრად გამოთხიზლებულსა და ნაშპინარეს ზაპოროჟელებს შროფის სროლით იგერიებდა.

ბრძანება გასცა კოშევიმ ყველა შეკრებლიყო. მოვიდნენ ყველანი, შემოავლეს წრე, მოჩხადეს ქუდები და სული განაბეს. შემოდგა მაშინ ცოშევი და სთქვა: „ჰხელავთ, რა

მოხდა, ძმანო პანოვე, ამ ლამეს; ჰხედავთ, სასმელმა საღამდის მიგვიყვანა! ნახეთ, როგორ შეურაცხვეყო მტერმა! ეტყობა თქვენი წესი ესა ყოფილა: რაკი ულუფას მოგიმატებთ კაცი, იქამდის გამოიბრუყებით, რომ ქრისტეს მხედრობის მტერი არამც თუ მარტო შარვალს გაგაძრობთ, თქვენ წინ ცხვირცემინებით გასივდება და თქვენ კი მაინც ვერას გაიგებთ“.

ყაზახები თავ-ჩაკიდულნი იდგნენ, როგორც ღამნაშავენი; მხოლოდ მარტო ნეზამაიკის კურენის ატამანმა კუკუბენკამ ამოიღო ხმა. „მოიცა, ბატო!“ უთხრა მან: „თუმცა კანონში არ არის—წინააღმდეგი უთხრას ფინმე, როცა კოშევოი მთელის ჯარის წინ ლაპარაკობს, მაგრამ საქმე აგრე არ არის და ამიტომაც თქმა საქიროა. უსამართლოდ უსაყვედურებ მთელს საქრისტიანო ჯარს. სიკვდილის ღირსნი იქნებოდნენ მართლა ყაზახები, რომ ლაშქრობაში, ომისა ან რაიმე მძიმე სამუშაოს დროს დამთვრალიყვნენ. ჩვენ კი უსაქმოდ ვისხედით, ქალაქის წინ ტყუილად ვეყარენით. მარხვა და სხვა რამ ქრისტიანული მოთმინება არა ყოფილა: მაშ, როგორ იქნება, რომ უსაქმო კაცი არ დაითროს? აქ არავითარი ცოდვა არ არის. სჯობს ისევ ვუჩვენოთ მტერს, თუ უღანაშაულო ხალხზე თავდასხმა რა არის. აქამდის კეთილები ვიყავით, მაგრამ ახლა ისე გავლახოთ, რომ ფეხის ქუსლებს ვეღარ მიათრევდნენ შინ“.

მოეწონათ ყაზახებს კურენის ატამანის სიტყვა და თითქმის ყველამ თავი მაღლა ასწია; ბევრმა კი მოწონების ნიშნად თავიც დაიქნია და ჩაილაპარაკა: „კარგა სთქვა კუკუბენკამ!“ კოშევოის ახლა იქვე ახლოს მდგომი ტარას ბულბა გამოეღობარაკა: „რაო, კოშევოი, კუკუბენკამ მგონი მართალი სთქვა? შენ რაღას იტყვი?“

„რას ვიტყვი? აი, რას: ნეტარია ამისთანა შვილის მშობელი მამა: დიდი სიბრძნე არ უნდა იმას, რომ ადამიანმა საყვედური ვისმე უთხრას, იმას კი, რომ ადამიანის უბედურებაზე არ იცინოს და გაამხნევოს, გული გაუმაგროს, მართლა სიბრძნე დაერქმის; უბრალოდ რომ როგორმე ვთქვათ, ასეთი გამხნე-

ვება დეზების მზგავსი რამ არის, ამხნევებს ისრევე, როგორც ცხენს დეზი. მე თვითონ მინდოდა ასეთი სანუგეშო სიტყვა მეთქვა, მაგრამ კუკუბენკა ადრევე მიჰხვდა“.

„კომშევილიმაც კარგა თქვა!“ გაისმა აქა-იქ ზაპოროელოთა შორის. „კარგი სიტყვაა!“—გაიმეორეს სხვებმა. მაღალ გათეთრებულლებმაც თავი დაიქნიეს, ქალარა ულვაში ჩაუკრეს ერთმანერთსა და ჩუმად ჩაილაპარაკეს: „კარგა ითქვა სიტყვაო!“

„ყური დამიგდეთ, პანოვე!“ განაგრძო კომშევილი: „სიმაგრეების აღება, ფოფხვა და უცხოელთა, ნემცების ხელოვნებით ძირის თხრა—ისევე მტრისათვის დაგვილოცნია! ეს არც ზრდილობაა, არც ჩვენი, ყაზახთა, საქმე. თუ იმას ვიფიქრებთ ახლა, რომ მტერი ქალაქში დიდი საგზლით არ შევიდა, ურმები ძაან ცოტა ჰქონდათ როგორღაც... ქალაქში ხალხი დამშეულია,—მაშასადამე, სულ უცბად შესქამენ, ცხენებისთვისაც თივას, არ ვიცი, ციდან თუ ჩამოაწვდის რომელიმე მათი წმიდანი ორთითითა... ეს კი, მარტო ღმერთმა უწყის. ქსენძები ხომ სიტყვით არიან ბარაქიანნი. პურისთვის იქნება თუ თივისთვის, უთუოდ გამოვლენ ქალაქიდანა. მაშინ გაიყვებით სამად და სამრიგად დაეწყობით, ქალაქის კარებისაკენ მიმავალ სამ გზაზედ. უმათავრეს კარებ წინ დადგება ხუთი კურენი, დანარჩენებთან სამ-სამი. დიადკოვსკი და კორსუნკი კურენები ჩასაფრებულნი იქმნებიან! პოლკოვნიკი ტარასიც ჩასაფრდება თავისის რაზმით! ტიტარევსკისა ო ტიმოშევსკის კურენი სათადარიგოდ იდგება მარჯვენა მხარეს! შჩერბინოვსკი და ზემო-სტებლიკოვსკი—მარცხნივ იდგება! და ამოირჩიეთ თქვენში, ვინც უფრო მეტად გააბრაზებს და გულს მოაყვანინებს მტერსა! ლიახი ცოტა თავქარიანია: ლანძღვას ვერ მოითმენს და შეიძლება დღესვე გამოვიდნენ გარეთა. კურენების ატამანებმა ყველამ თავ-თავისი კურენი დაათვალიერეთ: თუ ვისმე რამე გაკლიათ, პერეიასლავსკი კურენის მონარჩენიდან შეავსეთ. ყველაფერი დაათვალიერეთ ხელ-აბლად! გამოსაფხიზლებლად თითო ფიალა არაყი მიეცით კაცის თავზე და თითო პური. მაგრამ ყველა უთუოდ გამაძლარი იქნება გუშინდლით; სიმართლე უნდა სთქვას კაცმა.

იმდენი უჭამიათ, რომ მიკვირს სწორედ, რატომ არავინ გასკდა წუხელ. მაგრამ აი, კიდევ ერთი ბრძანება: თუ რომ ვინმე ურია-მელვინე გაჰბედავს და მიჰყიდის ყაზახს არაყსა, მივაკრავ ზედ შუბლზე ლორის ყურსა და ძაღლივით ფეხებით ჩამოვკიდებ და ჩამოვახრჩობ! ახლა, ძმებო, საქმეს შეუდევით, საქმესა!“

ასე აძლევდა განკარგულებას კოშევოძს. ყველამ დაბლად თავი დაუკრა და ქუდ-მოხდილებმა გასწიეს თავის ურმებისა და თაბუნისაკენ და მაშინ-ღა დაიხურეს ფულები, როცა კარგა შორს გავიდნენ. ყველა მზადებას მოჰყვა: დაუწყეს სინჯვა ხმლებსა და დაშვებს, თოფის წაშალი ტომრებიდან სასწრაფოებში ჩაჰყარეს, მიაგორებდნენ და სდგამდნენ ურმებსა და თან ცხენებს ირჩევდნენ.

ტარასი რომ თავის რაზმისაკენ წავიდა და სულ იმას ფიქრობდა, სად უნდა წასულიყო ანდრია: „იქნება ისიც სხვებთან ერთად მიძინარე დაიჭირეს პოლონელებმა და ტყვედ წაიყვანეს? მაგრამ არა, ანდრია ჩეთი არ არის, რომ ცოცხალი ვისმე ტყვედ დაჰნებებოდა. მოკლულს ყაზახებშიაც არსადა სჩანდა. ფიქრმა წაიღო ტარასი და ვერ შენიშნა, როგორ გაუსწორდა თავის რაზმსა და ვილაცა დიდუჩანს როგორ ეძახდა სახელსა. „ვინ მიძახნის?“ მისცა ხმა ბოლოს, ფიქრიდან რომ გამოერკვა და ყურით მოჰკრა. ტარასის წინ იანკელს ურია იდგა.

„ბატონო პოლკოვნიკო, ბატონო პოლკოვნიკო!“ ეძახდა ურია აჩქარებულად და თან ხმა უწყდებოდა. თითქოს რაღაც დიდი საქმე უნდა აუწყობოდა. „მე, ბატონო პოლკოვნიკო, ქალაქში გახლდით!“

„შეჰხედა ტარასმა ურიასა და გაიკვირვა, რომ მამოქურდალს უკვე მოესწრო ქალაქში შესვლა: მერე, რა შემთხვევა შეგიყვანა?“

მოვუდექი სიგრილით! ვზახე-ლა გავყავი სახლებში ხელი, რადგანაც მინდოდა ჩქარა შემეტყო, რა ხმაურობა იყო, რატომასკლიდნენ გოგონებს გაუთენებლივ. ავიღე და პირდაპირ ქალაქის კარებთან შევიბინე, სწორედ იმ დროს, უკანა ჯარი რომ შედიოდა შიგვ. ვნახოთ—რაზმს წინ მიუძღვის ჩემი ნაცნობი პანი ხლოუნუი გალიანდოვიჩი; კამის წლის წინად ასე ოქრო ვაგსესხე, ავიღე და გავყვევი უკან, ვითომ ვალის გასანაღდებლად და მასთან ერთად ქალაქში შევედი.“

„როგორ, ქალაქში შეხვედრ და ვალიც გინდოდა გაგენაღდებინა?“ ჩაეკიჯხა ბუღბა: „მერე, არ უბრძანა, რომ იქვე ძალღივით ჩამოეხრჩვიო?“

„ღმერთმანო, მართლაც უნდოდათ ჩამოვეხრჩვიო,“ ეუბნებოდა ურია: „იმისმა ბიჭებმა კიდევაც დამიჭირეს და ყელში თოკი მოამბეს, მაგრამ შევეხვეწე პანსა და ვუთხარი, რამდენსაც გინდა დაგაცი მეთქი; თან აფუთქვი, კიდევაც გასესხებ, თუ სხვა რაღანდებისაგან ვალიც ღლებაში დამეხმარები მეთქი; პანს ხლოუნუის კი,—ყველაფერს გიამბობ, ბატონო—ერთი ოქროც არ უქყავის ჯიბეში. მართალია, სახლები და სასახლ-კარები ბლომადა აქვს, აგრეთვე ოთხი ციხე-დარბაზი და მინდორი უკლოვამდე, მაგრამ გროშები კი მასაც, ყაზახივით, სრულიად არ უქყავა ჯიბეში. ახლაც ბრესლაველმა ურიებმა შემოსეს და აახეს იარაღი, თორემ ომში ვერ გამოვიდოდა. სეიმშიაც იმიტომ არ იყო...“

„მერე, რას აკეთებდი ქალაქში? ჩვენები ნახე?“

„როგორ არა! ჩვენები იქ ბევრი არიან: იცკა, რახუმი, სამუილო, ხაივალახი, მეიჯარადე-ურია...“

„წყალსამც წაულია ე ძაღლები!“ შეჰყვირა გაბრაზებულმა ტარასმა: „რა ძაღ თქვენი ურიების ჯილაგი მე მეპრინება? მე ჩვენებს, ზაპოროჟელებს, გეკითხები.“

„ჩვენი ზაპოროჟელები არავინ მინახავს, პანის ანდრიას მეთქი“.

„როგორ, ანდრია ნახე?“ შეჰყვირა ბუღბამ. „მერე, სად ნახე? სარდაფში? ხაროში? პატივ-აყრილი? შეკრული?“

„ვინ გაჰბედავდა და შეჰკრავდა ჰანს ანდრიასა? ახლა ის ისეთი წარჩინებული რაინდია... დალიბუგ, ვერც კი ვიცანი! სამხრეებიც ოქროსი აქვს, სახელურებიც, ქუდიც და სამკერდულიც; სარტყელიც ოქროსი აქვს; ერთი სიტყვით, მთლად ოქროში ზის. როგორც გაზაფხულზეა ხოლმე, მზე რომ გამოანათებს, ბოსტანში ყველა ჩიტები ბურტყულსა და ჭიკჭიკს მოჰყვებიან, ბალახს კიდევ საამო სუნი უდის ხოლმე, ისე ჰანი ანდრია მთლად ოქროში ზის, ეღვარებს. მოურავს ცხენიც საუკეთესო მიუცია; მარტო ცხენი ეღირება ორასი ოქრო.“

ბულბა მთლად გაქვავდა. „მერე, რათ ჩაიცვა სხვისა ტანისამოსი?“

„იმიტომ, რომ უკეთესია, იმიტომ ჩაიცვა. თვითონაც ცხენით დადის, სხვებიც დადიან; თვითონაც ასწავლის, მასაც ასწავლიან, როგორც უმდიდრესს ჰოლონელს ბატონს!“

„მერე, ვინ აიძულა?“

„მე ხომ არ მითქვამს, აიძულა ვინმემა-მეთქი. განა, ბატონს არ მოეხსენება, რომ თავისის ნებით გადავიდა იმათ მხარესა?“

„ვინ გადავიდა?“

„ვინა და ჰანი ანდრია.“

„სად გადავიდა?“

„სადა და, იმათ მხარესა; ანდრია ახლა იმათია.“

„სტყუი, შე ღორის ყურავ!“

„როგორ იქნება, რომ ვტყუოდე? სულელი ვარ, განა, ვტყუოდე? ჩემსავე საუბედუროდ ვიტყუო? განა, არ ვიცი, რომ ბატონის წინ ტყუილისათვის ურიას ძალღივით ჩამოახრჩობენ?“

„მაშ, როგორც შენი ლაპარაკიდგან გამოდის, სამშობლო და სარწმუნოება გაუყიდნია?“

„მე ხომ ეგ არ მითქვამს, რომ გაეყიდნოს რამე: ვთქვი მხოლოდ, იმათ მხარეს გადავიდა-მეთქი.“

„სტყუი, ეშმაკო ურიავ! ასეთი საქმე ჯერ საქრისტიანო ქვეყანაში არა ყოფილა; სტყუი, შე ძაღლო!“

„დღე, კართ წინ ბალახი ამომივიდეს (გამიოხრდეს სახლი), თუ ვტყუოდე. დღე, ჩემის დედ-მამისა და პაპა-ბებების საფლავი იყოს ყველას საფურთხებელი, თუ ვტყუოდე. თუ ბატონს ჰსურს, კიდევაც მოვახსენებ, რად გადავიდა პანი ანდრია იმათ მხარესა?“

„რათ გადავიდა?“

„მოურავს მეტად ლამაზი ქალი ჰყავს. ღმერთო წმიდაო, რა ლამაზია!“ და ეცადა, როგორც კი შეეძლო, თავისის სახით გამოეხატა ეს სილამაზე: ხელები გაფარჩხა, თვალი ჩაჭუტა და პირი გვერდზე მოიქცია, თითქოს ეს არის რაღაცა უნახავს გემოთაო.

„მერე, რომ ლამაზი ქალი ჰყავს?“

„მერე და, იმისთვისა ქნა ესა, იმის გამო გადავიდა იმათ მხარესა. რაკი კაცს ვინმე შეუყვარდება, დამბალს ფეხსაცმელის ძირს დაემზგავსება,—მოჰხრი, მოიღუნება“.

ძლიერ დააღონა ბუღბა ამ ამბავმა. მოაგონდა, რა ძლიერი იყო გავლენა სუსტის დედაკაცისა, რომ ბევრი ძლიერი ადამიანი დაუღუპნიათ, რომ ანდრიასაც რბილი ხასიათი და ბუნება ჰქონდა ამ მხრივ და გაქვავებულივით დიდხანს იდგა ასე ერთს ადგილასა.

„ყური დამიგდე, ბატონო, ყველაფერს გიამბობ“¹, ეუბნებოდა ურია: „როგორც კი ხმაურობა შემომესმა და დავინახე ქალაქის კარებში შედიოდნენ, მაშინვე ერთ ასხმა მარგალიტსა ვტაცე ხელი, ვინ იცის რა შემთხვევაა, იქნება დამჭირდეს, ქალაქში ბევრი ლამაზი თავად-აზნაურის ქალი და რძალია-მეთქი; მართალია, საჭმელი არა აქეთ-რა, მაგრამ ამას კი მაინც იყიდიან-მეთქი. და როგორც კი ხორუნუის ბიჭებმა გამიშვეს, მაშინვე მოურავის სასახლის წინ მდებარე მოედანს მივაშურე, რომ მარგალიტი როგორმე გამეყიდნა. მოახლე თათრის-ქალს ყველაფერი გამოვკითხე: მაშინვე ქორწილს გადაიხდიან, როგორც კი ომი გათავდება, პანმა ანდრიამ ზაპოროჟელების გარეკვა აღუთქვიაო“.

„მერე, იქვე არ მოჰკალი ი ეშმაკის შვილი?“ შეუყვირა ბულბამა.

„რისთვის მომეკლავ? თავის ნებით გადავიდა. იმისი რა ბრალი იყო? იქ უჯობდა და გადავიდა“.

„მერე, პირდაპირ ნახე შენი თვალით?“

„ღმერთმანი, პირდაპირ! ისეთი ჩინებული მეომარია, რომ ყველასა სჯობია! ღმერთმა აღღვეგრძელოს, მაშინვე მიცნო; და როგორც კი მივედი, მითხრა...“

„რაო, რა გითხრა?“

„მითხრა,—მაგრამ ჯერ თითო დამიქნია, მერე მითხრა: „იანკელა!“ შე კიდევ—„პანე ანდრია-მეთქი!“ „იანკელა! უთხარ მამაჩემს, ჩემს ძმას, ყაზახებს, მთლად შაპოროელებს, უთხარი ყველას, რომ ჩემთვის ამას იქით მამა, ძმა, ამხანაგი აღღვრასთერიანა, რომ ყველას ვებრძვი, ყველასაო!“

„სტყუი, ეშმაკის იუდავ!“ დაუყვირა მოთმინება-დაკარგულმა ტარასმა. „სტყუი, შე ძაღლო! შენ არ იყავ, ღვთისაგან წყეულო, რომ ქრისტე გაჰყიდე! მოგკლავ, შე სატანავ! მომწყდო, თორემ აქვე გაგაციე!“ დაჰყვირა ტარასმა და ხმალი იშიშვლა, შეშინებულმა ურიამ მაშინვე მოცოცხა, როგორც კი მისს გამხმარსა და წვრილს მუხლებს შეეძლო. დიდ-ხანს მირბოდა ასე უკან მიუხედავად ყაზახების თაბუნზე და მერმე ტრიალს მინდორზე, თუმცა ტარასი უკან სრულიადაც არ გამოჰკიდებია: დროზე მოიფიქრა, რომ უგუნურობა იქნებოდა თავისი ბრაზი უდანაშაულო კაცზე გაეხეთქა.

ახლა-ლა მოაგონდა ტარასს, რომ წარსულს ღამეს ანდრია ვიღაცა დედაკაცთან ნახა თაბუნში და ქალარასთავი ჩაჰკიდა. მაინც არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ასეთი სამარცხენო საქმე მისს საკუთარს შვილს დაჰმართვოდა, რომ რჯული და სული გაეყიდნა.

ბოლოს წაიყვანა თავისი რაზმი და ტყეში ჩასაფრდა, რომელიც ყაზახებს ჯერ კიდევ არ გადაეწვათ. შაპოროელები, ცხენოსნები და ქვეითები, სამ წყობად გამოვიდნენ და დადგენ გალაფნის კარებებ წინ, სამ გზაზედ. ერთი მგორეს მიჰყვნენ

კურენები: ჴმანისა, პოპოვიჩისა, კანევისა, სტეზლიკისკისა, ნეზამაიკოვსკისა, გურგუზივისა, ტიტარევისა, ტიმოშევსკისა. მხოლოდ პერეიასლავის კურენი არ იყო. გადაუსვენს ზორბად ყაზახებმა და დაკარგეს იგი: ზოგმა ხელ-ფეხ შეკრულმა გამოიღვიძა მტრის ხელში, ზოგს კი სულაც აღარ გამოუღვიძნია, ისე მიესვენა ცივს დედამიწას; თვირონ ატამანი ხლიბი დედის-შობილა იყო ლიახების ბანაკში.

ქალაქში ყაზახთა მოძრაობა შეიტყეს. ყველა მაშინვე თხრილს ეცა: გადმოდგნენ თხრილზე პოლონელი, ერთი მეორეზე ლამაზი, რაინდები. ბატვიით თეთრ ფრთებიანი სპილენძის ქუდები მზესავით უელვარებდათ. სხვებს სუბუქი, მტრედის-ფერი და ვარდის ფერი, გვერდზე ჩაკეცილ ციანი ქუდები ეხურათ. ტანთ სახლებ-გადაგდებული, ოქრო-მკედიტ ნაკერი კაბები ეცვათ, ზედ ყაითან დავლებული; ხმლები და იარაღი ძვირფასად ჰქონდათ ოქრო-ვერცხლში მოქედილი, ზრქ შეძენაც პანებს მეტად ძვირად უჯდებოდათ ხოლმე. ბევრი კიდევ სხვა მოკაზმულობა ჰქონდათ. წინ იდგა მედიდურად ოქროთი მოკაზმულ წითელ ქუდიანი ბუდეაკოვის პოლკოვნიკი. უზარმაზარი, მაღალი, სქელი და მძიმე იყო პოლკოვნიკი და ძვირფასი ტანისამოსი ძლივსა სწვდებოდა. მეორე მხარეს, თითქმის გვერდის, კარებთან, იდგა მეორე პოლკოვნიკი, ტანათ დაბალი, მთლად გამხმარი კაცი; მაგრამ პატარა, გამჭრიახი მისი თვალები ხშირად ამოსულ წარბებ ქვეშ ცოცხლად გამოიყურებოდნენ, მარდად ტრიალებდა და თავისის გამხდარი ხელით აქეთ-იქით რიგს უჩვენებდა, განკარგულებას აძლქვდა. ტანათ თუმც პატარა იყო, მაინც ეტყობოდა, რომ ბრძოლის საქმე კარგად უნდა სცოდნოდა. პოლკოვნიკის შორი-ახლოდ იდგა გრძელი, მეტად გრძელი, ხშირ-უღვაშებიანი ხორუნჯი? სახეზე სდწითლე არ აკლდა და ეტყობოდა მაგარი სასმელები, ქეიფი და დროს გატარებდა უყვარდა. მრავალნი კიდევ სხვა თავად-აზნაური იდგა იმათ შემდეგ; ზოგი ამათგანი თავის ფულით შეიარაღებულიყო, ზოგი ხაზინის ხარჯით, ზოგს კი ურიებისათვის დაეგირავებინა თუ მამა-პაპათა ციხე-დარბაზში კი-

დევ რამ გააჩნდათ და ისე ამხედრებულობენ. ბევრი იყო ამათში სენატორთა პურის მქამელიც, რომელთაც ვითომ-და პატივის გულისათვის ჰპატიებდნენ სადილებზე და შემდეგ კი იმათსავე სუფრიდგანა და ბუფეტებიდგან იპარავდნენ ვერცხლის ფიალებს; ამ რიგად დღევანდელ გაპატიოსნების შემდეგ, ხვალ რომელისამე პანის ეტლს უსხდნენ ხოლმე კოფოზე და ცხენებს მიერეკებოდნენ. ყოველგვარი ხალხი იყო აქ ბლომად. სხვა დროს რომ დასალევადაც კი ფარა არსად გააჩნდათ, ახლა ისინიც გამოწყობილნი და შეიარაღებულნი იყვნენ.

ჩუმად იდგნენ ყაზახები ქალაქის კედელთან. არავის მათგანს ტანზე ოქრო არ უჩანდა: მხოლოდ ხმლების ტარები და თოფები თუ ჰქონდათ ზოგიერთებს ოქროთი შეჭედილი. ომის დროს მდიდრულად გამოწყობა არ უყვარდათ ყაზახებსა: უბრალო იყო მათი ტანთსამოსი და ჯავშანი და უბრალოვე, შავი ცხვრის ფაფახები ეხურათ თავზე.

ზაპოროჟელთა წყებიდგან ორი ყაზახი გამოვიდა: ერთი ჯერ სულ ახალგაზრდა, მეორე უფრო ხნიერი, ორივე სიტყვა მკვახე, ენა-შხამიანი, საქმითაც არა ნაკლებ მოხერხებულნი: ოხრიმ ნაში და მიკიტა გოლოკოპიტენკო. ამათ გამოჰყვა თან დემიდ პოპოვიჩი, ჯმუხი ყაზახი, დიდის ხნის სეჩის მცხოვრები, ადრიანოპოლში ნამყოფი და თავისს სიცოცხლეში ბევრის მნახველ-გამომცდელი: ცეცხლში კინალამ დაიწვა და სეჩში მთლად გატრუსულ-გაფისული თავი მიიტანა; მაგრამ მალე ისევ გამოკეთდა პოპოვიჩი: გაეზარდა თმა ყურთ უკან და კუბრივით შავი, ხშირი უღვაშები ამოუვიდა. მწვავე და მკვახე ლაპარაკიც ძალიან ეხერხებოდა პოპოვიჩს.

„კაბები კი ძან ქრელი და ლამაზები აცივათ, მაგრამ, ნეტა, თუ ძალაც შესწევთ?“

„გაჩვენებთ თქვენს სეირს!“ უყვიროდა ზემოდგან ჩასხმული პოლკოვნიკი: „ყველას გაგთოკავთ! გირჩევენიათ მოიტათ, ხალოპებო (მონებო), იარალი დაჰყარეთ, ცხენები მოგვეცით. ხომ ნახეთ, თქვენები როგორ გაფთოკე? გამოუყვათ ერთი და თხრილიდგან დაანახვეთ დაჭერილები!“

და გათოკილი ზაპოროჟელები თხრილზე გადმოახედეს. ყველაზე წინ კურენის ატმანი ხლიბი იდგა, უშარვლოთ და უზემოდ საცვლოდ,—ისევე შიშველი, როგორც დაეჭირათ ნასვამი. შერცხვა ატმანს თავისსავე ყაზახებისა, რომ ასე შიშველი იდგა და ძალლივით მძინარე წაიყვანეს ტყვეთ და თავი ჩაჰკიდა. იმ ღამეს ხლიბს თმა სულ მთლად გასთეთრებოდა.

„ნუ სწუხარ, ხლიბ! გამოგიხსნით!“ უყვიროდნენ ქვეიდან ყაზახები.

„ნუ სწუხარ, მეგობარო!“ გამოეხმაურა კურენის ატმანი ბოროდატი: „შენი ბრალი არ არის, რომ შიშველი დაგიჭირეს: უბედურობა ვის არ ეწვევა; მაგრამ სირცხვილი მაგათ, რომ არ დაირცხვენეს და არა მოვახვიეს-რა, ეგრე შიშველი გამოგიყვანეს.“

„როგორც გეტყობათ, მძინარე ხალხზე ძან უნდა იმარჯვებდეს ე თქვენი ჯარი!“ გასცქეროდა თხრილს გოლოკოპიტენკო და ეუბნებოდა.

„მოიცათ, დაგაქრით მა ჩუბებსა!“ უყვიროდნენ ზემოდან.

„ნეტა, ერთი მაჩვენა, როგორ დაგვაქრიან ჩუბებს!“ ამბობდა პოპოვიჩი, იმათკენ პირ-შებრუნებული; მერე მობრუნდა თავისებისაკენ და შესძახა: „იქნება ლიახები მართალსაც ამბობენ: აიმ ფაშე-გასიებულმა რო გამოიყვანოს, ყველა გამარებული იქნება“.

„რატომ გგონია, რომ გამარებული იქნება?“ დაეკითხნენ ყაზახები, რაკი იცოდნენ, რომ პოპოვიჩს უთუოდ გულმოსაფხანი რამ ექნებოდა სათქმელად გამზადებული.

„და ისე, მთელს ჯარს ფაშეს უკან დაჰმაღავს და ეშმაკიც ველარ მიაგნებს ვერც ერთს მათგანსა!“

ყაზახებმა ყველამ გულიანად გადიხარხარეს; დიდ-ხანს აქნევდა კიდევ ზოგიერთა მათგანი თავსა და ამბობდა: „ჰეი, ე პოპოვიჩი! რაკი ვისმე ყბას დაადგამს, ერიდე...“ მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ამ „ერიდეს“ შემდეგ, ყაზახებს აღარ უთქვამთ.

„კედელს მოჰშორდით, კედელს!“ შეუძახა კოშევოიმი. როგორც ეტყობოდა, ლიახებმა ეს ველარ მოითმინეს და პოლკოვნიკმა ხელი დაუქნია.

ის-კი იყო დაიხიეს ყაზახებმა, რომ უცებ თხრილნიდნენ თოფი დაუშინეს. თხრილთან ყველა დაფაცურდა, თვითონ ჭალარა-შერთული მოურავიც გამოჩნდა ცხენით. გაიღო გალავნის კარები და გამოვიდა ჯარი. პირველად გამოვიდნენ ცხენოსანი ნაკერი გუსარები, ამათ მოჰყვნენ ჯავშნიანები, მერმე შუბ-აბჯროსნები, შემდეგ სულ სპილენძის ქულძანები; ამათ მოსდევდნენ ცალკე საუკეთესო თავად-აზნაურნი, ყველა თავინებურად ჩაცმულნი. არ უნდოდათ ამაყს შლიახტიჩებს (აზნაურებს) დანარჩენ ჯარს წყებაში გარეშულიყვნენ და ვისაც თავისი ჯარი არ ჰყვანდა, მარტოდ მოდიოდნენ თავისი მხლებლებით. მერმე ისევ ჯარი მოსდევდათ და ბოლოს ხორუნჟი: ხორუნჟის უკან ისევ ჯარი მოდიოდა და შემდეგ ზორბჭ, ჩასხმული პოლკოვნიკი. მთელი ჯარი რომ გამოვიდა, ბოლოს ჯამოვიდა დაბალი პოლკოვნიკიც.

„ნებას ნუ მისცემთ წყებებელ დადგენს, ნუ!“ ყვიროდა კოშევოიმი, ყველა კურენებო ერთად მიესიქნით! კარებებს თავი დაანებეთ! ტიტარეცკი კურენი გვერდიდან მიესევა! დიადკივსკი მეორე მხრიდან! კუკუბენკა და ჰალფოდა, თქვენ უკანოდან მოუარეთ! გაფანტეთ, რაც კი შეიძლოთ, გაშალეთ!“

და ყაზახებიც ყველა მხრიდან მიესივნენ, გრიეს, აბნიეს ლიახებზე და თვითონაც აირივ-დაირივნენ. თოფის სროლაც კი აღარ აცალეს: პირდაპირ ხმლებსა და შუბებზე მიდგა საქმე. შეჯგუფდნენ ყველანი და ყველას მიეცა შემთხვევა, თუ კი შეეძლო, თავი ეჩინა.

სამი უბრალო მეომარი აჩნა დემიდ ზოპოვიჩმა და ორიც საუკეთესო შლიახტიჩი გადმოავდო ცხენიდან, თან ჩქახოდა: „აი, კარ ცხენები! ასეთ ცხენებს დაჭემაღლი რამდენი ხანიაო.“ და ცხენებს შორს, მინდვრად მიერეკებოდა, თან უძახდა ყაზახებს—დაეჭირათ. შევარდა მერმე ისევ მეომართან გუნდში და ცხენებიდან ჩამოყრილ შლიახტიჩებს შეუტია; ერთი მოკლა,

მეორეს ყელზე ქამანი მოსდო, მიიბა უნაგირზე და მინდვრისაკენ გაითრია, თან ჩამოჰხსნა ძვირფას ტარიანი ხმალი და ქამრიდან ოქროვით სავსე ქისა.

ახალგაზრდა და მამაცი ყაზახი კობიტაც ერთს, მთელს ჯარში ცნობილს, მეომარს შეება და დიდ-ხანს იბრძოდნენ. შეექმნათ ხელჩართული ბრძოლა. ის კი იყო აჯობა კობიტამა და ბასრი, ოსმალური დანა დააჭირა გულში, რომ ცხელ-ცხელი ტყვია მოჰხვდა საფეთქელში. დასცა ამ რიგად სახელოვანთქმულმა, ლამაზმა, ვილაც დიდის თავადის გვარის რაინდმა კობიტა. ალვის ხესავით მოხდენილად დააქროლებდა იგი თავის აბჯრიანს ცხენსა. ბევრნიად იჩინა თავი ამ კეთილშობილმა და დაამტკიცა თავისი გმირობა: ორი ზაპოროჟელი შუა გააპო; ცნობილი ყაზახი ფედორა კორჟი ცხენიანად ძირს დასცა, ცხენს თოფი დაუხალა და შუბი რომ ცხენს იქით გაატარა, ყაზახამდე მიაწვდინა. ბევრს გააგდებინა თავი და ხელი და დასცა კობიტა ყაზახი, საფეთქელში ტყვია გაუტარა.

„აი, ამასთან მინდა ვცადო ჩემი ძალ-ღონე!“ შესძახა ნეზამაიკის კურენის ატამანმა კუკუბენკამ. მიუშვა ცხენი, წამოუარა უკანიდანა და ისეთის არა-ადამიანურის ხმით დაჰკივლა, რომ ახლო მდგომნი ყველანი შეაკრთო. უნდოდა ლიახს ცხენი უცბად შემოებრუნებინა და პირ-და-პირ დაჰხვედროდა მტერსა, მაგრამ ცხენმა იურჩა: ამ საშინელის კივილით დამფრთხალი ცხენი გვერდზე გადახტა და კუკუბენკამაც მოასწრო თოფი დაეხალა. ცხელმა ტყვიამ ლიახს ბეჭებში გაუარა და ცხენიდან გადმოვარდა. არ უნდოდა კიდევ დაჰმორჩილებოდა მტერსა და სკდილობდა იარაღი ეხმარა, მაგრამ ჩასცა თავისი მძიმე დაშნა კუკუბენკამ გადაფითრებულს პირში ლიახსა, ორი კბილი გადმოაგდებინა, ენა შუა გაუჭრა, ჩამტვრია კისრის ძირად სახახე ხერხემლის ძვალი და მიწაში ჩაეჩქო. ასე მიაჭედა სამუდამოდ ცივს დედამიწას ლიახი. კეთილშობილმა აზნაურის სისხლმა შადრევანივით მალლა ამოასხა ალის ფრად და ოქროთი ნაკერი, ყვითელი ბჭყვრიალა ტანთსაცმელი მთლად შეუღება. კუკუ-

ბენკამ კი თავი მიანება და თავისის ნეზამთიკელებით ახლა სხვა გუნდში შეერია.

„ეჰ, ოხრად დასტოვა ასეთი ძვირფასი მოკაზმულობა!“ ჩაილაპარაკა უმანის კურენის ატამანმა ბოროდატიმ და გასწია იქით, სადაც კუკუბენკასაგან მოკლოლი შლიახტიჩი ეგდო. „შვილი შლიახტიჩი მოვკალი ჩემის ხელით, მაგრამ არც ერთს მათგანს ასეთი ძვირფასი სამკაული არა ჰქონიაო“. წაიტყუა ოქროვერცხლმა ბოროდატი და დაიხარა, რომ ძვირფასი აღკაზმულობა შეეხსნა: ამოართო თვითმოელვარე, ძვირფასის ქვებით მოჭედილი ოსმალური დანა, შემოჭხსნა ქამრიდან ოქროებით სავსე ქისა და გულიდან წმინდა საცვლების აბგა, რომელშიაც ძვირფასი ვერცხლეული და ქალის ხუჭუჭები ჰქონდა სახსოვრად შენახული. ვერა გაიგო-რა ბოროდატიმ, როგორ მძეკრა ამ დროს უკანიდან წითელ-ცხვირა ხორუნჯი, რომელიც ერთხელ უკვე გადმოეგდო ცხენიდან და სახსოვრად კარგი ხიშტიც ეთავაზებინა. მოუქნია რაც ძალი და ღონე ჰქონდა და დაუსვა ხმალი მოხრილს კისერზე. სიკეთე არ აჩვენა ყაზახს ვერცხლთმოყვარეობამ: გადაგორდა თავი და უთავო ტანი ბოროდატისა ძირს დაეცა, დედამიწა იგრგვლივ წითლად შედგება. მოღრუბლულმა მრისხანედ გასწია ზეცისაკენ ყაზახის სულმა და თანა ჰკვირობდა, რომ ესე უცბად გაჰშორდა მისს მაგარს ტანსა. ვერ მოასწრო ხორუნჯიმ, ატამანის თავი ჩუბით (თმით) უნაგირზე მიება, რომ იქვე მკაცრი შურის-მაძიებელი გაუჩნდა.

როგორც ცაზე განრთხმული ქორი შემოავლებს ხოლმე წრესა, უცბად შედგება და გზის პირად მორაკრაკე მამალ მწყერს ისარივით დაეცემა, ისე დაეცა უცბად ხორუნჯის ტარასის შვილი ოსტაპი და კისერზე თოკი მოსდო. დაუსისხლდა მთლად ისედაც წითელი სახე, როგორც კი უწყალო მარყუჟი ყელს გაეჭირა. ხორუნჯიმ მაშინვე დაშხაჩას იკრა ხელი, მაგრამ დადუნებულმა მაჯამ სწორედ სროლა ველარ შესძლო და ტყვიამ უბრალოდ გაჰქრა მინდორში. შეჭხსნა ოსტაპმა იქვე ხორუნჯის უნაგირს აბრეშუმის ყაითანი, რომელიც ტყვეების

შესაკერვლად დაჰქონდა ხოლმე თანა, თავისისავე ყაითანით გაუკრა ხელ-ფეხი, მიიბა წვერი უნაგირზე, გაითრია ასე მინდვრად და დაუწყო ძახილი უმანის კურენის ყველა ყაზახებს, რომ თავისის ატამანისათვის უკანასკნელად პატივი ეცათ.

გაიგეს თუ არა უმანელებმა, ატამანი ბოროდატი მოგვიკლესო, ყველამ მაშინვე ბრძოლას თავი ანებეს და გვამის წასაღებად გაეშურნენ; თან იქვე გამართეს ბჭობა, მოადგილედ ვინ ამოერჩიათ. ბოლოს სთქვეს: „ან კი ბჭობა რა საჭიროა? ბუღბას შვილს ოსტაპზე უკეთესს ატამანს ვის ამოვირჩევთ: მართალია ყველაზე უმცროსია, მაგრამ გონიერება მოხუცისა შესწევსო“.

მოიხადა ქული ოსტაპმა, გადუხადა მადლობა ამხანაგ-ყაზახებს, რომ ასეთის პატივის ღირსადა სცნეს; არ იუარა არც ახალგაზღობით, არც ნორჩის ჭკუით, რადგანაც, იცოდა, ომიანობის დროს ეს არ შეჰფეროდა და პირდაპირ მებრძოლთა გუნდისაკენ გასწია თვისის მეომრებით და დაუმტკიცა ყველას, რომ ტყუილად არ ამოირჩიეს ატამანათა. მიხვდნენ ლიახები, რომ საქმე ძალიან გაუჭირდებოდათ, დაიხიეს და გადირბინეს მინდორი, რომ მეორე ბოლოში შეკრებილიყვნენ. ანიშნა დაბალმა ჰოლკოვნიკმა ქალაქის გალავნის კარებთან მდგომს ახალს ოთხასს. კაცსა და დაუშინეს ტყვია ყაზახებსა. მაგრამ ბევრი არ უზარალებია: ტყვია ყაზახების ხარებს ჰხვდებოდა, რომლებიც გაშტერებულნი გასცქეროდნენ ბრძოლასა. შეჰბლავლეს დამფრთხალმა ხარებმა, ეცნენ ყაზახთა ბანაკსა და ურმები მილეწ-მოლეწეს, ბევრი ფეხ-ქვეშ გათელეს. ამ დროს გამოვიდა საფარიდან თავისის რაზმით ტარასი და ყიჟინით მიესია. იბრუნა პირი ყიჟინისაგან დამფრთხალმა საქანელმა, ეცა ახლა ლიახების რაზმებსა, გადმოყარა ცხენოსნები, გაჰფანტა და მთლად ფეხ-ქვეშ გათელა.

„თქვენი მადლობლები უნდა ვიყვნეთ ხარებო!“ იძახდნენ ზაპოროჟელები: „ლაშქრობაში ხომ გვშველოდით და გვემსახურებოდით, ახლა სამხედრო სამსახურიც გავვიწიეთო!“ და

ახლის ძალ-ღონით მტერს მიესივნენ. ბევრი დახოცეს მტრის ჯარიდან მაშინ და ბევრმა ისახელა თავი: მეტელიცამ, შილომ, ორთავე პისარენკომ, ვოვტუზენკომ და ბევრმა სხვამ. ნახეს ლიახებმა, რომ საქმე ძალიან ცუდათ იყო, ააფრიალეს დროშა და დაუძახეს კარი გაეღოთ. გააღეს ქრაჭუნით რკინით შეჭედილი გალაენის კარები და დაღალულ-დაქანცული, მოუძღურებული, გამტვრიანებული ცხენოსნები ცხვრებივით შელალეს შიგა. ბევრი ზაპროჟელი გამოეკიდა უკან ლიახებს, მაგრამ ოსტაპმა უმანელები არ გაუშვა და უთხრა: „შორს იყავით, შორს, გალაენის კედლებიდანა! ახლო მისვლა არ ივარგებს“. და მართლაც, შევიდნენ თუ არა, დაუშინეს გალაენიდან, რაც კი რამ მოხვდათ, ყველაფერი და ბევრს ყაზახს ანანეს გამოდევნება. ამ დროს ოსტაპთან მივიდა კოშევი და შეაქო: „ახალია ეს თქვენი ატამანი, მაგრამ ნაცადისა და ხნიერისავეთ უძღვის ჯარსაო“. მიიხედა ამ დროს მოხუცმა ბუღბამ და დაინახა, რომ უმანელების წინ ცხენზე იჯდა მისი შვილი ოსტაპი, ჩაკეცილი ქუდი გვერდზე მოექცია და ატამანის „პალიცა“ ხელთ ეჭირა. „ჭხედავთ, რა მოხდენილია!“ ჩაილაპარაკა ბუღბამ. გაიხარა მოხუცმა ბუღბამ და ყველა უმანელებს შადლობა გადაუხადა, რომ იმის შვილისათვის ასეთი პატივი ეცათ.

ყაზახებმა თავის ბინებისაკენ გასწიეს, ლიახები კიდევ კაბებ დაგლეჯილები გადმოდგნენ თხრილზე. ბევრს ძვირფასს ტანთსაცმელზე სისხლი შეჭმობოდა, სპილენძის ლამაზი ქუდები მთლად მტვრითა ჰქონდათ გაგანგლოულები.

„რაო, შეგვეკარით?“ უყვიროდნენ ქვემოდან ზაპროჟელები.

„გიჩვენებთ მე თქვენა!“ ეძახოდა ზემოდან ისევ სქელი პოლკოვნიკი და თოკს უჩვენებდა; მაგრამ მაინც არ ისვენებდნენ და გაგანგლილ-დაწყვეტილები ემუქრებოდნენ ზემოდან, თან ვინც კი უფრო ენა-მკვახეები იყვნენ, არავინ დაიშურა ორივე მხრიდან თითო-ოროლა სიტყვა.

ბოლოს გაიყარნენ მეგრძოლნი. ზოგი დასასვენებლად წამოწვა, ზოგმა იარებზე მიწა დაიყარა და შესახვევად მტრის-

გან წამოღებულ ხელსახოცებსა და ძვირფასს ტანისამოსს და-
უწყო ფხრეწა. სხვებმა კიდეც, ვინც არ დაღლილიყო და ვი-
საც შეეძლო, დახოცილების გვამები მოაგროვეს და მიწას მია-
ბარეს: დაშნებითა და შუბებით უთხრიდნენ დახოცილთ სამა-
რეს; მიწას კიდეც ქუდებითა და კალთითა ჰყრიდნენ. დალა-
გეს, როგორც რიგია დახოცილთა გვამები და ახლად ამოღე-
ბულივე მიწა მიაყარეს, რომ ყვავ-ყორანსა და მტაცებელს
არწივებს არ ამოეჩიქნათ თვალები. ლიახების გვამები კიდეც,
როგორც მოხვდათ, მიაბეს ათობით გიჟს ცხენებს და გაუშვეს
მანდვრად. თან მისდევდნენ დიდს მანძილზე და მათახებს
სცემდნენ, რომ უარესად დამფრთხალიყვნენ. მიჰქროდნენ გა-
გიჟებული ცხენები კვლებსა და გორახ-ბორცვებზე, ორმოებ-
სა და რუებზე და მთლად გასისხლიანებულ, გაგანგლილს გვა-
მებს მიწას ახეთქებდნენ.

შემოუსხდნენ საღამოზე ყველა კურენები გარშემო ცე-
ცხლსა და დიდ-ხანს ლაპარაკობდნენ, ვის რა შეეძინება, თავი
რით ისახელა, რომ შემდეგს თაობას საამბობლად დარჩენოდა.
დიდ ხანს არ დაუძინიათ ყაზახებსა, მაგრამ ყველაზე მეტსა ფხიზ-
ლობდა მოხუცი ტარასი და ფიქრობდა, თუ რასა ნიშნავდა,
რომ მტრის ჯარში ანდრია არსადა სჩანდა. იქნება დაირცხენა
იუდამა და თავისების წინააღმდეგ არ გამოვიდა საომრად,
ან ურიამ მოატყუა და მტერს ხელში ტყვეთ ჩაუვარდა? მაგ-
რამ აქვე მოაგონდა, რომ ანდრია მეტად უზომოდ იყო ქა-
ლის სიტყვის მორჩილი და გულ-რბილი და დაღონდა; თან
ფიცი დასდო გულში, რომ ანდრიას გადამბირებელს პოლიაჩ-
კას მაგრერს გადაუხდიდა. აასრულებდა კიდეც ფიცსა: არად
მიიჩნევდა მისს სილამაზეს, დაითრევდა სქელის, მშვენიერის
ნაწნავებით და ასე შემოატარებდა მთელს შინდორსა და ყაზა-
ხებს. მთლად დაეხევებოდა და დაეჟეჟებოდა დასისხლიანებულ-
გამტვრიანებული მომხიბლველი მთის მწვერვალთა თოვლივით
თეთრი გულ-მკერდი, მხრები. ნაწილ-ნაწილად დაჰკუწავდა
მთლად მისს მშვენიერს ტანს... მაგრამ ის კი აღარ იცოდა ბულ-
ბამ—ხვალინდელი დღე რას უმზადებდა—დავიწყებას მიეცა და

ბოლოს ჩაეძინა კიდევ. დიდ-ხანს ლაპარაკობდნენ კიდევ ყა-
ზახები და მთელს ღამეს, ცეცხლის პირად მყოფს დარაჯს თვა-
ლი არ მოუხუჭნია, ყოველ მხრივ ფრთხილად ეჭირა თვა-
ლი.

ინ-ანია

(შემდეგი იქნება)

მ ა კ ბ ე ტ

გერგინუსისა *)

პოეტმა მისცა ამ კუდიანებს ძალა, აცთუნონ ადამიანები, მოატყვილონ ორ აზროვან წინასწარმეტყველობით, კიდეც გამოსცადონ ისინი (მსგავსათ სატანისა იობის წიგნში) გაჭირვებით, უბედურებით, ქარიშხალით და ავათმყოფობით; მაგრამ ამ კუდიანებს არა აქვთ შეძლება ფატალისტურათ ძალა დაატანონ ადამიანის ნებას. მათი დაპირება და წინასწარმეტყველება სრულს თავისუფლებას აძლევს ადამიანს სამოქმედოთ. კუდიანები არიან მხოლოდ უბრალო განხორციელება შინაგანის ცთუნებისა. ისინი ჩნდებიან ქუხილით და ჰქრებიან ჰაერში, არიან განხორციელებული ვნება, გრძნეული დები იმდენათ, რამდენათ ჩვენ თვითონ საკუთარ გულში ვატარებთ ჩვენს ბედს. როდესაც მაკბეტი შეხვდება მათ, იგი კი არ უნდა შეებრძოლოს რაიმე გარეგან ძალას, არამედ მხოლოდ საკუთარს შინაგან ბუნებას. კუდიანები წარმოადგენენ მის ბუნების ბოროტს მხარეს, რომელსაც ვერ ვამჩნევთ მის სახეს; მაკბეტს ებადება მეფური პატივმოყვარეობა იმიტომ კი არა, რომ ვინმე გარედან აგონებდეს ამას, ცთუნება იღვიძებს მასში და იღებს გრძნობად სახეს იმიტომ, რომ ასეთი პლანები დიდი ხანია თვლემდა მის გულში. თვითონ მის არსებაშია ის ბოროტი ძალები, რომლებიც მოეჩვენებიან მას პატივ მოყვარეობის ლანდებათ; გამოე-

ცხადებიან მაშინ, როდესაც მიაღწია უმაღლესს ბედნიერებას, პატივს და გამარჯვებას. ამბოხების მოსპობის შეწყობით იგი უფრო მაღლა დგას, ვიდრე სუსტი ღუნკანი, რომელსაც არ ძალუძს მოეშველოს თავის თავს; კავდორას თენის ხარისხის მიღებამ კიდევ მოუმატა მას ძლიერება და შემთხვევა მისცა ეფიქრნა, თუ რამდენათ უკეთ შეასრულებდა თვითონ მოლა-ლატის როლს, ვიდრე ეს მოახერხა წინანდელმა კავდორის თენმა, რომელიც ესეც არის დაამარცხა. ამას ზედ ერთვის შემდეგ ბედნიერი შემთხვევა—ღუნკანის მისვლა მის სახლში და ცოლის გავლენა. ყველა ეს ბუნებრივი წამქეზებელი მოტივი იმდენათ ძლიერია, რომ საერთოთ წარმოადგენს იმ არა-ბუნებრივს ძალას, რომელიც პოეტმა სისხლით და ხორციით შემოსა და დაგვიხატა კუდიანებათ. ამგვართ ბანქოს მეზობლობა ავიწროებს მაკბეტის გენიას ისე, როგორც კეისარი ავიწროებდა ანტონიოსის გენიას; ამიტომ ბუნებრივია ის იქვიანობა და შური, რომელიც აქვს მაკბეტს ბანქოს თავის თანა-მონაწილესადმი — ამბოხების მოსპობის საქმეში და რომელიც ძლიერდება და იზრდება შემდეგ ბანქოს ჩამომავლობისათვის სასარგებლო წინასწარმეტყველობის გავლენით: საკუთარი გრძნობა ეუბნება მაკბეტს (საჭირო არ არის, რომ კუდიანებმა უთხრან ეს), რომ დედამიწაზედ არ უნდა ერიდებოდეს ქალისაგან შობილს ადამიანს, გარდა ერთის-მაკდუფისა, რომელსაც მაკბეტი ერიდებოდა ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე ბოროტი სულეები გააფრთხილებდნენ. კუდიანები აღვიძებენ მაკბეტში მხოლოდ იმ ძალებს, რომლებიც უკვე არსებობენ მის სულში; როდესაც ისინი უჩვენებენ გზას ტახტისაკენ, ამით თამაშობენ მის პატივმოყვარეობის სიმებზე, როგორც არფაზე. ამიტომ კუდიანები თავის პირველის გამოცხადებით არ გარდაქმნიან მაკბეტს; მაკბეტი რჩება ისეთად, როგორათაც აგვიწერა იგი მისმა ცოლმა. როგორც ჰამლეტში მამის აჩრდილი ან, რაც იგივეა—შინაგანი ლოდინი აღვიძებს სუსტს ნებას; ამგვართვე მაკბეტში კუდიანები—მის პატივმოყვარეობის მოჩვენებანი—აცთუნებენ მის მუდამ სამოქმედოთ მომზადებულს

ნებას და ამდენ ხანს უმწიკვლო ხასიათს. მათ მიერ შეცდენის შემდეგ მაკბეტი დგას იმავე ჯვარედინ გზაზე, რომელზედაც ნახა იგი ცოლმა, ჯერ ვიდრე კუდიანები რასმე ეტყოდნენ. მაკბეტი ყოყმანობს, არ იცის, რა უწოდოს ამ ლანდებს— ბორცოს თუ კეთილის სულების სახელი, მაშინ როდესაც ბანქო პირდაპირ აღიარებს მათ ჯოჯოხეთის იარაღათ; თმა ყალბზე დაუყენა მაკბეტს მეფის მოკვლის ფიქრმა, მაგრამ მაშინათვე მოაგონდება, რომ თუ შემთხვევას სურს მისი გამეფება ამას თვითონვე მოახერხებს თავის თავათ ისე, როგორც მინიჭა მას კავდორის თენობა.

მაკბეტი უცხადებს ბანქოს თავის გულის ფიქრებს, როდესაც მათ ორივემ მონღოლმეს გული გაეხსნათ ერთმანეთისათვის მოჩვენების გამო; ეს იყო ერთად-ერთი საშუალება— დარჩენილიყვნენ უმწიკვლოთ.

მაგრამ ამ კეთილს განზრახვას არ უღალატა მხოლოთ ბანქომ. ბანქო დაუპირდაპირა შექსპირმა მაკბეტს, როგორც დამატებითი ხასიათი; ეს დაპირდაპირება ყველაზედ უწინარეს სჩანს იქიდან, თუ როგორ შეხედა ერთმაც და მეორემაც კუდიანების ცთუნებას. ბანქო მაკბეტსავით გმირია, მის გვარი ღირსებები აქვს და წადილები და სრულიად ბუნებრივია რომ მასში მოძრაობს ისეთივე პატივმოყვარეობა, როგორიც მაკბეტში. მაგრამ ბანქო უფრო წყნარის ბუნების ადამიანია მშვიდობიანობის მოყვარე, ამიტომ პატივმოყვარეობა ვერ იმონებს მას ისე, როგორც მაკბეტს.

იქ სადაც მაკბეტი ღებულობს მეფისაგან ჯილდოთ მოწყალებას, წარმატებას, ტიტულს და ხარისხს, ბანქო ღებულობს მადლობას ნიშნათ მხოლოთ გადახვევას და გულზედ მიკვრას. „მოდო აქ, ტკბილათ მოგეხვიო, გულზედ მიგიკრა“, ეუბნება მეფე, რაზედაც წყნარი ბანქო უპასუხებს: „ოუ მე თქვენს გულში ადგილს ვპოებ და აღვიზრდები, ნაყოფი თქვენივ უნდა იყოს“. ბანქო მადლობის ნაყოფსაც მეფეს სწირავს. შემდეგ, როდესაც მარტო არის მეფესთან, შეაქებს მაკბეტს, რომელიც შურის თვალით უყურებს მას იმ ბედნიერები-

სათვის, რომელიც კუდიანებმა უწინასწარმეტყველეს მის შემკვიდრეს. როგორც აქ დავგიმტკიცა ბანქომ თავისი კეთილშობილობა, ისე წინათ გვიჩვენა თავისი ხასიათის სიმტკიცე წინასწარმეტყველობის გამო. თავიდანვე ეჭვი შეეპარა, თვალები ხომ არ მატყვილებენო, და ეს მოჩვენება ხომ ისეთი ბუშტები არ არის, რომელთაც მიწა წყალივით აისვრის ხოლმე ზოგჯერო; მაკბეტი კი დაიმორჩილეს ამ გრძნეულმა დებმა და იგი ნდობით უგდებს ყურს მათ სიტყვებს. მაკბეტი არ ეტყოდა კუდიანებს ბანქოსავით, რომ არც წყალობას გთხოვთ, არც მეშინის თქვენის მტრობისაო. მაკბეტს არ ესმის ბანქოს გაფრთხილება, რომ „ჩვენს დასაღუბათ მართლით გვიხვევენ თვალს ქვესკნელით წარმოგზავნილნი და რა გვაცდენენ უბრალო რამ ახდენილ ამბით, მას უკან გვყრიან ღრმა უფსკრულსა.“

მეგრამ თუ ბანქოს უფრო მშვიდი სისხლი აქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას სრულებით არ ქონდეს სისხლი. მასაც აწუხებენ ბოროტი ფიქრები, მხოლოდ მედგრათ ებრძვის მათ. ბანქოს აქვს მატყური სიზმრები, რომელთაც დევნის ლოცვებით, რომ კვლავ არ დაუბრუნდენ. მარტო ლოცვითაც არ კმაყოფილდება, არც იძინებს, რათა თავი დააღწიოს ამ სიზმრებს. როდესაც ფხიზელია, დამორჩილებული ყავს ცთუნება, მაგრამ როდესაც სძინავს, მისი სისხლი ბოროტ ლანდებს მისდევს. ამგვარათ შეწუხებული ბანქო შეხვდება მაკბეტს. უბრალო ბანქო ეუბნება თავის სიზმრებს; დამნაშავე მაკბეტი კი უარს ამბობს, მე კიდევ დავივიწყე გრძნეული დებო, ვინც წინათ თვითონ ეძებდა თანამოსაუბრეს, ეხლა გაურბის აზრების და ფიქრების განაწილებას. მაკბეტს ემძიმება, რომ ბანქომ იცის მისი საიდუმლო; უსინდისოს ავაწროებს სინიდისიერის მეზობლობა ისე, როგორც ბოროტს ემძიმება კეთილის ადამიანის მეზობლობა, შურიანს—გამარჯვებულისა. ბანქოს შეეძლო ყოფილიყო მაკბეტის კეთილი ანგელოსი, მაგრამ მაკბეტი გაურბის ბანქოს და სრულიათ ემონება თავის ბოროტს გენიას და ცოლს. ბანქო მონაწილე იყო მაკბეტის სამხედრო სახელისა

და პატივის, მაგრამ ბედმა დაიხსნა იგი უფრო მეტის მაცთურის გაძლიერებისაგან, დაიხსნა ისეთ ბედნიერ შემთხვევისაგან როგორც იყო მაკბეტისათვის ღუნკანის სტუმრობა; ბანქო აცდა ძლიერ ცთუნებას ცოლის მხრივაც.

შემთხვევა, რომელიც მოევლინა ამის შემდეგ მაკბეტს, იყო ისეთი, რომ აქაც ყოყმანობდა და ვერაფერს ბედავდა. მეფე ეწვია მას სტუმრათ. მეფე შედის სრულის ნდობით და სიხარულით მაკბეტის სახლში, სადაც მერცხალს მოუპოვებია უშიშარი ბინა. იგი—სათნო მეფეა, აღიარებული ხალხისაგან წმინდა და ყველაზედ უფრო ღირსეულ ადამიანათ; მეფე—ახლობელი ნათესავია მაკბეტის, მისი მაქები, კეთილის მყოფელი, რომელმაც მიანიჭა მას წინაღობით კავდორის თენობა, ღირსება, რომელიც ეკუთვნოდა დამარცხებულს მემამოხეს—ფარისეველს და მოღალატეს თავის კეთილ ბატონისას; ღუნკანი ჰპირდება მაკბეტს კვლავაც არ მოგაკლებ წყალობასაო, შენგან იმდენათ დავალებული ვარ, რომ ვერასოდეს ვერ გადაგიხდი სამაგიეროსო. გამხიარულებული ღუნკანი მეფურათ აჯილდოებს საჩუქრებით მაკბეტის ცოლს და მსახურებს. მაგრამ რალაც საუბედუროთ მეფემ მაკბეტის თან დასწრებით გამოაცხადა თავისი ძე ტახტის მემკვიდრეთ და ამან ძლიერ აღუძრა მაკბეტს სურვილი, შეაჩეროს ბედის ტრიალი, დეზი შემოკრას თავის ბოროტს განზრახვას და გადაახტეს დაბრკოლებას; მაკბეტს ავიწყდება, რომ ასეთ გადახტომის დროს ადვილათ მოსალოდნელია დაცემა. იგი ისე შორს მიდის, რომ მზათ არის ჩაიდინოს შესაზარი საქმე, თუ ცოტაც არის იმედი ექნება გამარჯვებისა. მაგრამ მაკბეტმა იცის, რომ ასეთ საქმეებისათვის არსებობს მოუსყიდველი სამართალი, და იგი მას მიაწოდებს იმ ფიალას, რომელიც თვითონ ალავსო მოსაწამლავის შხამით. ყოველგვარი მოსაზრება ხელს უშლის დანაშაულობის შესრულებას ისე, როგორც ყველაფერი აქეზებდა სამოქმედოთ ჰამლეტს. მაგრამ მის პატივმოყვარეობას ვერ დასძლევს სინიღისი. ცოლის ჩაგონება გადაიბირებს ბოროტისაკენ. ყველაფერი ეს ნამდვილათ იმიტომ ხდება, რომ მაკბეტში

გაიღვიძა თვითმომქმედმა ძალამ და პატივმოყვარეობის წყურვილმა მამაკაცის სახელის მოსახვეჭათ, რაიც ვერ აღძრა ჰამლეტში ვერავითარმა ძლიერმა მაგალითმა და წაქეზებამ. მაკბეტის ცოლი გაკვრით აქვს დასურათებული შექსპირს, როგორც ეს არის გოლინშედის ქრონიკაში, სადაც დონვალდის ცოლი აქეზებს ქმარს მეფე დუფფის მოსაკლავათ. პირველის შეხედვით ლედი მაკბეტი მოგვაგონებს კლიტემნესტრას თავის სიამაყით, სასტიკობით და უსინდისობით, ძლიერს ქალს, რომელიც უფრო შიშს აღძრავს ჩვენში ვიდრე სიძულვილს, ქალს, რომელიც შეგვაძრწუნებს თავის განსაზღვრულ და გამორკვეულ ნებით, ქალს, რომელსაც აქვს შეურყვეველი გამბედაობა. იგი სრული წინამდევობაა თავის ქმრის, ოცნების მოყვარეა და აღსავე ფანტაზიით: მას ცივი გონება აქვს და წყნარი სისხლი. არავითარი ზესთაბუნებითი ცთუნება არ შეხებია მას, შეეხო მხოლოდ ფხიზელი და უბრალო ცთუნება, რომელიც მოიპოვებოდა ქმრის წერილში. მას არ ეშინია მაკბეტსავით ავკაცობის, არ გაუბრბის საშინელის შედეგების ფიქრებს, არ თრთის სინდისის ხმის წინაშე. დანაშაულობის დროს მოქმედობს წინდახედულათ და მოფიქრებულათ, სახე გამოცვლილი აქვს; დანაშაულობის შემდეგ შეუძლია სრულიათ დაივიწყოს ჩადენილი საქმე. იგი კარგათ გრძნობს, თავის საქმეებს რომ ჩაუფიქრდეს, ჭკუიდან შეიშლებოდა, ამიტომაც ურჩევს ქმარს ამას ნუ შვრებიო, და იმდენათ გულგრილია, რომ შეუძლია განახორციელოს თავისი წინდახედულობა. როგორც ძლიერის ნების და არა ჩვეულებრივის ინსტიქტიურ სიმაგრის პატრონს ადვილათ შეუძლია თავის თავის დაჭერა. მას შეუძლია კიდევ ჩაიდინოს საშინელი საქმე და კიდევ დაფაროს თავის ეშმაკობისა და წინდახედულობის შემწეობით. სრულიადაც არც კი ფიქრობს, რომ ბოროტს საქმეს ვერ ჩაიდენს, და მართლაც ისე მშვენიერათ ასრულებს განზრახვას, რომ არავითარი ეჭვი არა შეაქვთ მასზედ. მხოლოდ პირველ წუთს, როდესაც შეატყობინებენ დუნკანის მოსვლას, და ამ შემთხვევაში ხედავს კარგის მომასწავებელს ნიშანს, იგი სიხარულისაგან

წამოიძახებს: „ხომ არ გაგიჟდიო!“ და ამ სიტყვებით უნებურათ გვიჩვენებს, თუ რა ხდება მის გულში. შემდეგ-კი ამის მსგავსი მას არაფერი არ გაუმეორებია. ლედი მაკბეტი კარგათ გრძნობს თავის ღირსებას, რის გამოც შეუძლია ასეთის საქმეების განხორციელება, ამიტომ აგულიანებს თავის გაუბედავ ქმარს ბოროტის საქმისათვის, ურჩევს, შენი სურვილი ერთს საგანზე დაამყარეო. ქმარი მოსწონს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას (ქმარს) დაებადა პირველი აზრი, როდესაც თვითონ უნდოდა მოეპოვებინა ის შემთხვევა, რომელიც მერე თავისთავათ მივიდა. მტკიცეთ მოითხოვს ქმრისაგან, ხელში ჩაიგდეს როგორც რომ დავლა ის, რაც შეიძლება ყოფილიყო შემთხვევის საჩუქარიო, და ბუნებრივი მჭერმეტყველობა და დამაჯერებელი სიმხნევე, გამბედაობა და შინაგანი ჰარმონია იმორჩილებს სიტყვით ძუნწს, გაუბედავს და ჩაფიქრებულს ქმარს. ასეთის მჭერმეტყველობით ლედი მაკბეტი წარმოგვიდგენს განხორციელებულს სატანას, მოკლებულს ყოველგვარ ქალურ და ადამიანურს ფვისებას. მეც იმ გვარად რომ დამეფიცა, როგორც შენ დასდე ფიცო, ეუბნება მაკბეტს: „მზა ვიყავ მაშინ ამომეგლიჯა ძუძუ შეილის ღრძილებიდან და ვიდრე იგი ღიმილითა შემომტკეროდა, ძირს დამენარცხა, კეფით ტვინი გადმომენტხია“, თუმცა ვიცო, თუ რა არის შეილის სიყვარული. მაგრამ აქაც, სადაც ლედი მაკბეტის ვნება და სასტიკობა უკიდურეს არა-ბუნებრივ ხარისხამდეა მისული, აქაც არ მოსპო პოეტმა მასში სრულიათ ადამიანობა, თუმცა მთელი მისი არსება აღძრულია სამოქმედოთ, თუმცა სრულიათ უკუაგდო თავისი სქესი, მაგრამ მაინც თავიდანვე ძალას ატანს თავის ბუნებას. მოდით სულნო, მოუწოდებს ჯოჯოხეთის ძალებს: და განმაშორეთ ეს ჩემი სქესიო! უნდა, რომ ბოროტმა სულებმა ავკაცობით აღავსონ თავით ფეხამდე, შეუდღონ თხელი სისხლი. და გზა დაუბზონ, რომ სინიდისის ტანჯვამ და ქენჯნამ არ დააბრკოლოს მისი მძვინვარე ზრახვა და ფიქრი. და რადგან კარგათ იცნობს თავის ქმარს, თვითონ იკისრებს მამაკაცურ საქმეს, გაბედავს მკვლელობის შესრულებ-

ბას. მაკბეტს ეუბნება, შენ მხოლოდ მხიარული სახე გქონდეს და სხვა ჩემი საქმე იყოსო. თვითონ შეადგინა პლანი; დაათრო მეფის მსახურები და შეუგდო მათ გასისხლიანებული ხანჯლები. თვით სჭირია, დალიოს ის დამათრობელი წამალი, რომელიც დააღვეინა დარაჯებს, რომ მოიპოვოს სიმხნევე და გამბედაობა. მზათ იყო დაეცა მახვილი, მაგრამ უკანასკნელ წუთს უცებ შესუსტდა მისი მეტად აღელვებული ბუნება. როდესაც ხედავს, რომ მიძინარე მეფე მამა მის ჰგავს, კვლავ უბრუნდება ის ადამიანური სინიღისის ქენჯნა, რომელიც ისეთის წყვეა-კრულვით განდევნა და იძულებულია ადგილი დაუთმოს მამაკაცს იმ საქმის შესასრულებლათ, რომლისათვის საჭიროა უფრო ძლიერი არსება, ვიდრე მამაკაცია.

ამგვარათ შემდეგაც შეარყია იგი სინიღისის ხმამ, თუმცა წინათ ავსულებს ეხვეწებოდა, გზა დამიხშეთ სინანულისაკენო. მაგრამ როგორც კი წარმოიდგენს საშინელებას, რომელიც მოელის, თუ გაიგეს დანაშაულობა, მაშინათვე მოიპოვებს სიმშვიდესაც, წინდახედულობასაც და გამბედაობასაც, და საყვედურით დასცქერის მაღლიდან იმ ადამიანს, რომელიც ყოყმანობს და ვერ ბედავს განზრახვის შესრულებას. თავიდანვე ლედი მაკბეტი იჩენს მეტს გულდაჯერებულობას, როგორც მაყურებელი, რომელიც ესწრება მოქმედებას; ამ გულდაჯერებულობას ჰკარგავს, როგორც კი საქმეს კიდებს ხელს, და კვლავ მოიპოვებს, როგორც კი დაუბრუნდება თავის წინანდელს ადგილს. მაგრამ იგი შეეხო თავის ხელით საქმეს ჯერ კიდევ მანამდის, ვიდრე საქმე დაიწყებოდა. დიდი ხანია, ესიზმრებოდა მას პატივმოყვარეობის სიზმრები, და როდესაც მოვიდა ბედნიერი შემთხვევა, ეს სიზმრები გარდაექცა ნამდვილ განზრახვათ უფრო ადრე, ვიდრე მაკბეტს. გამბედაობას ამ განზრახვისა და მის შესრულებისათვის ჰპოებს იმ უსაზღვრო რწმენაში, რომელიც აქვს ამ ძლიერ ადამიანისადმი. მაკბეტს სთვლის ყოველათ შემძლებელ კაცათ, რომელსაც შეეფერება ყოველივე დიდება და რომლის უპირატესობაზე არის თვითონ დამყარებული. ეს შეადგენს მის ბუნების არსებას, ეს არის მთელი მისი ისტო

რია, და ამისგამო იმდენათ ურჯღღებით ლედი მაკბეტს, რომ მთლათ არ გვეკარგება სიბრალოლი მისდამი. ბევრი კრიტიკოსი ცდილობდა დაენახა ლედი მაკბეტში კარგი თვისებები, მაგრამ მხოლოდ რამდენიმემ შესძლო მათი დანახვა ჯეროვანს ადგილს და ჯეროვანს სამზღვრებში. მისი ქმარი მანამდის ბედნიერი და სახელოვანი ბავში იყო, ქმართან იგი უშიშრათ სთვლიდა თავის თავს, უშიშრათ სთვლიდა და ყველაფერში გამარჯვებულათ ქმარსაც. მაკბეტზე მეტს თვითონ ფიქრობდა, თუ რათ შეეძლო ყოფილიყო ან უნდა ყოფილიყო მისი ქმარი. დარწმუნებულია, რომ მაკბეტი ყველაზე უფრო ღირსია პატივის და ძალის, და ცდილობს დაავიროვნოს მისი ღირსებანი. ქმრის მამაცური ბუნება—მისი სიამაყეა. სადაც ქმარი ხედავს საშიშ შედეგებს, მის გონებას წარმოუდგება უეჭველი გამარჯვება და ბედნიერება: წინასწარ გრძნობს მომავალს უეჭველს და გაბრწყინებულს; იგი დამოკიდებული ქალია, ვიდრე თავისუფალი, კაცის მსგავსი ქალი იმ მხრივ, რომ უნდა ოქროს გვირგვინი თავისთვის კი არა, არამედ ქმრისთვის, მთელი მისი პატივმოყვარეობა შეეხება მარტო ქმარს, ებადება მხოლოდ მისთვის, ერთს სიტყვასაც არ ამბობს საკუთარ თავის ამაღლებაზე. ცხოვრობს მხოლოდ ქმრით და მის დიდებით. რა ტრიუმფით მიესალმება ქმარს შემდეგის სიტყვებით: „დიდო გლემის, ღირსო კავდორო!“ მიესალმება იმას, რომლის სამეფო გვირგვინით წინდაწინვე ამაცობს. ამ ცოლქმრობაში გამოიხატება პატივისცემა, ღრმა პატივისცემა ერთის მეუღლისა მეორისადმი, ვიდრე მათი სულიერი გაერთება. ჩვენს პოეტს განმარტებული აქვს ამის მიზეზი. ლედი მაკბეტს ყავდა შვილები, მაგრამ მოუყვდა, ამას უეჭველია კიდევ უფრო მეტი სიძულვილი უნდა აღეძრა მაკბეტში ბანქოსადმი; მაგრამ ყველაზედ უფრო ამის ბუნებრივი შედეგი ის იყო, რომ ცოლ-ქმარმა მეტი ყურადღება მიაქციეს ერთმანეთს და იძულებულნი შეიქმნენ ერთმანეთში მოეპოვებინათ დაკარგული კმაყოფილება. გერმანელი რომანტიკები სათნოების გმირად სთვლიდნ ლედი მაკბეტს, და გეტყვს სრული უფლება ჰქონდა სასაცილოდ აეგდო ის საშუალება,

რომლითაც ისინი ცდილობდნენ მოსიყვარულე შეუღლის და დიასახლისის ღირსებები გამოენახათ მასში. მაინც ყველა ზემო-თქმულის შემდეგ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ცოლ-ქმარს გულწრფელი და ნაზი დამოკიდებულობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ის საალერსო სიტყვები, რომლითაც მაკბეტი მიმართავს ცოლს (ჩემო ძვირფასო მტრედო), სრულიად არა ჰგავს იმ სიტყვებს, რომლითაც ქმრები მიმართავენ ხოლმე თავის იუნონებს და კლიტემნესტრებს. ის ცოლი, რომელიც ამდენს სიძულვილის და გულის მომწყვლელ სიტყვას ამბობს მაკბეტის წასაქვებლად და მის განსაცდელისაგან დასახსნელად ნადიმის სცენის ბოლოში, ერთის სიტყვასაც ვერ ჰპოებს მის გასაკიცხავად და საყვედურისათვის. მაგრამ თუ ამ თვისებებიდან ცხადად არა სჩანს, რომ ქალობა ლედი მაკბეტში მთლად მოსპობილი არ არის, ეს ნათლად გამოაშკარავდება მოქმედების ბოლოში. როდესაც დანაშაულობა უკვე შესრულდა, იგი გაჩერდება, — მაშინ, როდესაც მაკბეტი კვლავ განაგრძობს დანაშაულის გზით სიარულს. როდესაც ყველაფერ ნამოქმედარის შემდეგ არც ერთი მისი მოლოდინი არ ასრულდა, როდესაც ყველაფრის შედეგი ბედნიერი დიდება კი არ იყო, არამეთქვეყნის და ქმრის შეწუხება, მაშინ სრულიად ეკარგება ძალღონე. მაკბეტის იმედით მას ყოველთვის შეეძლო წინააღმდეგობა სინიდის, თავის ბუნებას, საშინელ მოჩვენებას, მაგრამ რაკი ქმარში მოტყვილდა, — საკუთარის თავის რწმენაც დაეკარგა. როგორც რბილი ფათალო გარს შემოეხვია მეფურ ხის ტოტებს და როდესაც შეირხა ხე, იგი ჩამოვარდა ძირს: ამ მწუხარების და გაცრუებულ იმედის ცეცხლში დადნა მისი რკინის გული. კრიტიკოსები სწუხდნენ, რისთვის არ აგვიწერა პოეტმა დაწვრილებით ლედი მაკბეტის მამაკაცურ სიმაგრის დაკარგვაო. მაგრამ ლედი მაკბეტს ხომ თან-და-თან ღრ დაუკარგავს სიმაგრე, არამედ ერთბაშად დაეცა. მან აღძრა მაკბეტში ვაჟკაცობა უფრო მეტი, ვიდრე აიტანდა მისი ბუნება, და თვითონ მოიპოვა გმირული ძალა. მაკბეტი შეუდგა საქმეს, როგორც მამაკაცი, მოქმედობდა ისე, რამდენად ამის ნებას აძ-

ლევდა მამაკაცური პატივმოყვარეობა, მხოლოდ შემდეგ გადადის სამზღვარს, მასში აღიძრება ის გულდაჯერებული მოუღრეკელობა, რომელიც ღუპავს. ლედის მაკბეტის ქალური ბუნება კი თავიდანვე უზომოდ არის აღძრული და შემდეგ ერთბაშად დაეცემა. მაკბეტის გამბედაობა და მამაკაცური სიამაყე იმდენათ ძლიერი იყო, რომ შეეძლო კიდევ უფრო განვითარებულიყო პირველ დანაშაულობის შემდეგ და იძულებულ ექმნა მაკბეტი, ძალით მოეპოვებინა გამარჯვება, რომელიც ხელიდან უსხლტებოდა; ლედი მაკბეტს კი სრულიათ ეკარგება გამბედაობა, როგორც კი წარმატებამ გვერდი აუქცია. და აი ის ლედი მაკბეტი, რომელმაც ოდესმე ისე გაბედულათ დაიწყო მოქმედება, დგას ეხლა განმარტოებული, ერთბაშად ფოთლებ დაცვენილი და ქარიშხალი ახმობს მის ფოთლებს; გულის სიღრმიდან იყო ნათქვამი მისი რჩევა, რომელიც მისცა მაკბეტს: მარტო არ დარჩეო. როგორც კი განშორდა იგი მაკბეტის პლანებს, მის პიროვნებას, მას მოუვიდა ის, რასაც ამბობს მალკოლმი: „ბოლმა ერთ არ თქმული ათრთოლებულს გულს ჰკბენს უსიტყვოდ და შუა გაჭხეთქს“. ეხლაც მისი ხასიათი და ნების ძალა, ძალა წინააღმდეგობისა, გამოიხატება მის ტანჯვაში, როგორც წინათ გამოიხატებოდა მის მოქმედებაში. დღითი იგი კიდევ ბატონია თავის თავის, მხოლოდ ღამე „სინიდისი შებლალული თავის საიდუმლოთ ანდობს მხოლოდ ყრუ თავსადებელს“; შექსპირის პოეტიურ ფიზიოლოგიისა და ფსიხოლოგიით, ლედი მაკბეტის შებორკვილი და დამორჩილებული სინიდისი შურს უძიებს მას ძილში: სომნამბულიზმის დროს. ლედი მაკბეტი წინ გადაგვიშლის თავის ბორბტ საქციელებს. იგი ფიქრობდა ოდესღაც, რომ რამდენიმე მუჟა წყალი საკმარისია დანაშაულობის კვალის მოსასპობლათ, ეხლა კი საშინლათ იტანჯება, ოხრავს, სწუხს, რომ ვერასოდეს ვერ მოიშორებს სისხლის სუნს. მისი სიცოცხლე თავდება თავის მოკვლით.

ამ გვარად ეს ქალი, რომელიც უზომოდ ერთგული ცოლია და სულით და ხორციით შეერთებულია ქმართან, მეტად

საშიშია მაკბეტისათვის; ეს ქალი აღვიძებს მაკბეტში დამღუპველ გამბედაობას იმ საშუალებით, რომელიც ყველაზედ უფრო ნამდვილათ მიაჩნია: იგი შეეხება მაკბეტის მამაკაცურ ბუნებას და პატივმოყვარეობის გაღვიძებით აღუძრავს სამოქმედო ძალას. როდესაც უსაყვედურებს ქმარს სიყვარული არა გაქვსო, მაკბეტი არ აქცევს ყურადღებას; როდესაც ჰპირდება გამარჯვებას, მაკბეტი უფრო ყოყმანობს: მაგრამ როგორც კი შეეხება მის მამაკაცურ ღირსებას, ეს სძლევეს მაკბეტს. „რად გეშინიან, ეუბნება ქმარს: შენი სიმხნე, გაბედულობა შენსა საწადელს შეუფერო! გსურს, გქონდეს იგი; რასაც უწოდებ ამ ცხოვრების ძვირფასს საუნჯეს და ლაჩრად რჩები შენსავე თვალში. სიტყვას „მსურს იგი“ თანვე აყოლებ „ვერა ვბედავ“-ს, ვით ანდაზაში კატაზედ არის ნაამბობი.“ აქ მაკბეტი ჯერ კიდევ აღსავსე იმ პატიოსნებით, ზნეობრივის სიფაქიზით და კეთილშობილობით, რომელიც ამშვენებდა მას აქამდის, უპასუხებს ცოლს: „ყოველივე შემძლიან მე, რაც კაცს შეჰფერის; ვინც ამაზედ მეტს მოიქმედებს, იმას კაცობა აღარ ეთქმის.“—„მაშ, მითხარ, აბა, რომელმა მხეცმა ეგ ამბავი გაგამხელინა!“ სარკასტიულად უპასუხებს ამაზე ლედი მაკბეტი, და რომ შეუცვალლოს შეხედულობა, ყვედრებით ეუბნება: „როცა ბედავდი შესრულებას, შენ კაცი იყავ და თუ იქნები მასზედ მეტი, მით უმეტესის უფლებით გეთქმის შენ კაცობა“. აი ეს იყო ის დეზები, რომლებიც მოხვდა მაკბეტს ორსავე მხრიდან და აიძულეს განშორებოდა მამაკაცობას და ადამიანობასაც. კიდევ და კიდევ შეეხება ცოლი ამ სიმებს და მაკბეტი უპასუხებს ერთის ხმით-კი არა, მთელის აკკორდით *). მართლაც, რა-კი დასძლია მაკბეტმა პირველი შიში მეფის მოკვლის დროს და ამის შემდეგ, მისთვის საკმარისია ერთი მოგონება ცოლის მხრით ბანქოს აჩრდილის გამოცხადების დროს: მკვლელობის ჩადენის შემდეგ მაკბეტი გადავიდა ცოლის განზრახვის საზღვრებს. ჯერ მაშინ როდესაც თრთის ჩადენილის მკვლელობის დროს, ცო-

*) აკკორდი—ჰარმონიული შეერთება რამდენხისამე მუსიკალურ ხმისა.

ლი ბოროტათ უსაყვედურებს გაუბედაობას და ეუბნება, რომ მხოლოდ ბავშის თვალს ეშინიან მკვდრისა და მიძინარის, ან დახატულის ეშმაკისაო. უჩვენებს ხელებს: აი, ჩემი ხელებიც აგრევე გასისხლიანებულია, მაგრამ სირცხვილი დამწვავდა, რომ შენი მკრთალი გული ჩემ მკერდ ქვეშ იყოსო. მალე ამის შემდეგ მაკბეტი მოქმედობს ცოლის წაუქეზებლად: მოჰკლავს მსახურებს, რომელთაც უნდა დაჰბრაოდეს მეფის მოკვლა. ამის შესახებ არც კი უფიქრნია ლედი მაკბეტს; მას ეგონა, ყველაფერი შევასრულე, რა-კი ხანჯლები მიუგდე დარაჯებსო; მაგრამ მაკბეტმა რა დაინახა დარაჯები და ცოლის შიში, უცებ მოიპოვა ახალი მკვლევლობა იქ, სადაც ცოლს მხოლოდ გული უწუხდება. მაკბეტი კიდევ მეტს შვრება; სრულდება ის წყევლა, რომელიც მუდამ თან დასდევს ბოროტს საქმეს: რომ ერთმა სიბოროტემ უნდა დაბადოს ახალი ბოროტი საქმე; მაკბეტს უნდა „გაამაგროს ცუდად დაწყებული საქმე ცუდის საქმის შემწობით.“ წინათ ეშინოდა ცუდის შედეგების, ეხლა თვითონ წინ ეგებება მათ. გული აღეცება უნდობლობით წინასწარმეტყველობის საიდუმლოს მონაწილესადმი: ტყვილად არ აიღო ექვი ბანქომ მის შესახებ, თუმცა ამ ექვს არავის არ უმხელს. ყველაზედ უფრო მაკბეტს აწუხებს ის სამკვიდრო, რომელიც გულთმისანმა დებმა უწინასწარმეტყველეს ბანქოს. დანაშაულობის გამარჯვება არ იყო უზრუნველყოფილი, ვიდრე ამ წინასწარმეტყველობას ჰქონდა ძალა; პატივმოყვარეობა არ იყო მაძლარი, ვიდრე არ იყო მოსპობილი ეს ბედის წინააღმდეგობა. აქ მაკბეტი ამალღდება იმ ზესთაბუნებით ძალამდის, რომელიც ბედავს წინააღმდეგს ბედს. მას თუ სჯერა კუდიანების წინასწარმეტყველობა—არც აქვს საბუთი, არ სჯეროდეს,—უნდა სჯეროდეს ის წინასწარმეტყველობაც, რომელიც სასარგებლოა ბანქოსათვის. მაგრამ მაკბეტს უნდა ძალით წაართვას ბედს ბედნიერება და დაღუპოს ბანქო. და აი იწვევს ბედს საბრძოლველად,—საბრძოლველად უკანასკნელ წუთამდის (III, 1). გაგზავნის მკვლევლებს ბანქოსა და მისის შვილის წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ თვითონაც იმგვარსავე წასაქეზებელ

საშუალებას იხმარს, რომლითაც აქეზებდა. ცოლი მას: იგი მიმართავს მკვლელების კაცობას. ცოლს უკვე იბრალებს, ათაფისუფლებს სხვა დანაშაულობისაგან და არც კი ატყობინებს ბანქოს მოკვლის ამბავს. ღედი მაკბეტიც ფიქრობდა ამ მოკვლის შესახებ, მაგრამ მაკბეტი მოქმედობს უმისოთ.

(დასასრული იქნება)

უცხოეთის მიმოხილვა

1. რუსეთი და ჩინეთი. 2. ალზას-ლორენი და საფრანგეთი.
3. ირლანდია. 4. სლოვენები. 5. კრამარეის წერილი. 6. ერთი იუბილე.

მკითხველს ემახსოვრება, თუ რითი გათავდა რუსეთის იმპერიის მაცადინობა მანჩჯურიის ხელში ჩაგდების შესახებ. როგორც ვიცით, ბოლოს რუსეთმა უარი სთქვა მანჩჯურიაზე, რომელიც მეტად ძვირად დაუჯდა მას. (ზოგიერთი საგანგებო გადასახადი, რომელიც მანჩჯურიის დაპყრობის გამო შემოიღო რუსეთის მთავრობამ, დღესაც ძალაშია). და ეს იყო პირდაპირი შედეგი ინგლის-იაპონიის შეთანხმებისა და მათ შორის ხელშეკრულების დადებისა. ეხლა, როგორც ისმის, რუსეთი სხვაგან ეძებს კომპენსაციას (სამაგიეროს აღებას). არა თუ ეძებს, კიდევ უნდა მიაღწიოს მიზანს, თუ ევროპის გავლენიან გაზეთებს დაუუჯერებთ: რუსეთი ახალის პირობით უნდა შეეკროდეს ჩინეთს და ეს ხელშეკრულება უნდა ეხებოდეს ჩინეთის უდიდეს პროვინციას—ტიბეტს. გერმანიის მთავრობის ერთი გაზეთის სიტყვით, „რუსეთსა და ჩინეთ შორის რაღაც მეტად სერიოზული საქმე უნდა კეთდებოდეს. მოგვივიდა თუ არა ამბავი, რომ რუსეთმა ჯარები გაიყვანა მანჩჯურიიდანო, თან ისიც შევიტყვეთ, რომ ჩინეთსა და რუსეთ შორის მოხდა ახალი შეთანხმება, რომლის საშუალებით რუსეთი კიდევ უფრო მეტად გამაგრდება აზიაში. ამ შეთანხმების საგანი ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი და ყვითელ ზღვის ნაპირები კი არ არის,

არამედ ჩინეთის სამხრეთ დასავლეთი ნაწილი—ტიბეტის რომელიც ინდოეთისა და ავღანისტანის საზღვრებამდე მიდის. კანტონის გაზეთების მიერ მოყვანილი ცნობები ახალ შეთანხმებაზე, შეიძლება, სავსებით მართალი არ იყოს, მაგრამ არსებითი მხარე კი ექვს გარეშეა. რასაკვირველია, ჯერ აღრეა ლაპარაკი ტიბეტის გადაცემაზე; ჩინეთი არც ისე უმწეოა, რომ სხვა სახელმწიფოს გადასცეს უდიდესი და უმდიდრესი თავისი პროვინცია. გარდა ამისა, დამოკიდებულება ჩინეთსა და ტიბეტ შორის ისეთია, რომ ამგვარ გადაცემას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნებოდა: ტიბეტის ნამდვილი მმართველი ჩინეთის იმპერატორი კი არ არის, არამედ ტიბეტის საკუთარი მთავარი—დალაილამა, რომლის მოვალეობა ჩინეთის იმპერატორისადმი მხოლოდ ხარკის გადახდაა. ამიტომაც არის, რომ ჩინეთის მთავრობის მხრივ ტიბეტის დათმობას ფასი არ ექნება, თუ თვით ტიბეტი არ დასთანხმდება. რუსეთმა ეს კარგად იცის და ამიტომაც მოხდა, რომ უკანასკნელ წლებში რუსეთსა და ტიბეტ შორის დაახლოვება მოხდა. ტიბეტმა ორჯელ გზავნა დესპანები რუსეთში: ერთი 1900 წელს და მეორეც 1901-ს. ტიბეტის დალაილამას მხრივ ასეთი ყურადღება რომელიმე სახელმწიფოსადმი არა ჩვეულებრივია—ეს პირველი შემთხვევაა, რომ ტიბეტი ევროპაში გზავნის დესპანებს, რასაც მთელმა ევროპამ მიაქცია მაშინ ყურადღება. რუსეთმა მოახერხა აზიის მიუდგომელ მფლობელის ნდობის შოვნა და მასთან პირდაპირ დამოკიდებულების შექმნა. ეს დიდი დიპლომატიური გამარჯვებაა. ინგლისლები მეტად აღელვებული არიან ტიბეტის ხელშეკრულების ამბების გამო: ხელიდან უსხლტება მათ მხარე, რომელიც თავისად მიაჩნდათ; გარდა ამისა ტიბეტი მშვენიერი სამხედრო გზაა ინდოეთისაკენ. ინგლისლები ხედავენ, რომ ინგლის-იაპონიის კავშირის მიუხედავად, რუსეთის მდგომარეობა ჩინეთში მტკიცეა. მომავალი გვიჩვენებს, თუ როდის და რა გზით გასცემს ინგლისი პასუხს რუსეთს“.

რუსეთის დიპლომატია ამ ბოლოს დროს ბევრს მუშაობს, ხერხიან კომბინაციებს იგონებს და ხშირად უახლოვდება კიდევ

მიზანს, მაგრამ საქმე საქმეზე მაინც არ მოდის. მანჩჯურია რუსეთს ხელში ჰქონდა; ორას ათასამდე ჯარი ჰყავდა აქ დაბანაკებული, მაგრამ ბოლოს მაინც თავი მიანება. ეხლა ტიბეტი ჰყავს მიზანში ამოღებული; ამტკიცებენ, ხელსაყრელი ხელშეკრულებაც აქვს ჩინეთის მთავრობასა და ტიბეტის დაღლილამასთანო, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. თუ მანჩჯურიის საქმეში ფაქტიური დაპყრობა და ორასი ათასი ჯარის კაცი ვერას გახდა, ცალიერი ხელშეკრულება რა უნდა იყოს, მით უმეტეს ეხლა, როცა ინგლისი თავისუფალია სამხრეთ-აფრიკის საშინელ ომიანობისაგან.

*
*
*

გაზეთის მკითხველს ეცოდინება სოციალისტ ჟორესის ერთი ახალი სიტყვა, რომელშიაც ცნობილმა დეპუტატმა ის აზრი გამოთქვა, ვითომც საფრანგეთის ერს უარი უნდა ეთქვას საბოლოოდ ალზას-ლორენის ოდესმე დაბრუნებაზე.

ფრანგული გაზეთი „ტან“-ი ეხება ამ კითხვას და მოჰყავს საფრანგეთის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეების შეხედულება ამ საკითხის შესახებ. ჩვენთვის აქ უფრო საინტერესოა სოციალისტ მილიერანის აზრი, რადგან იგი სოციალისტია და ჟორესის მეგობარიც. მილიერანის სიტყვა ერთი 1895 წელსაა ნათქვამი და მეორე 1898 წელს. იგი ლაპარაკობდა მთელ პარტიის სახელით. მოგვყავს ის ადგილები ამ სიტყვებიდან, რომელნიც პირდაპირ ეხებიან ალზას-ლორენის საქმეს: „...ფიქრობ, რომ უსარგებლო არ იქნება გავახსენო გამბეტას ეგრედ წოდებულ მემკვიდრეებს, როგორ ესმოდა მას საფრანგეთის მოვალეობა იმ დიდ კლიენტელის წინაშე, რომელიც მას ჰყავს. ვფიქრობ, რომ აუცილებელია ასეთი გახსენება მას შემდეგ, რაც გერმანიის იმპერიის კანცლერმა იმედი გამოაცხადა ერთ ჟურნალისტთან ლაპარაკის დროს, რომ გერმანიის მთავრობას შეუძლია მჭიდროდ დაუახლოვდეს რესპუბლიკის მთავრობას, საფრანგეთმა ალზასლორენის კითხვას თავი დაანებოს და გერმანიასთან ერთად ებრძოლოს დემოკრატიის იმედებსა და მოქმე-

დებას.... ჩვენ, სოციალისტები, მთელი ჩვენი ძალდონით ვსცდილობთ, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვეს; ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ ამ მშვიდობიანობისათვის აუცილებლად საჭიროა უარ ვყოთ პროვოკაცია (გამოწვევა), მაგრამ ასევე უნდა უარყოთ დათმობა და მორჩილებაც, რომელიც ნაკლებ საშიში არ არის.... ისეთ პოლიტიკას, რომელსაც თუნდ მარტო გარეგნად აქვს ამ დათმობისა და მორჩილების ხასიათი, ორი დამღუპველი შედეგი მოჰყვება: ან შეასუსტებს ეროვნულ ღირსების გრძნობას და გახდის ამ ქვეყანას მტრის კერძად, ან და უკიდურესობამდე მიიყვანს ეროვნულ გრძნობას და გარდუვალ ორმოს ამოთხრის მთავრობასა და ერს-შუა....“

1898-ში, როცა საფრანგეთის ესკადრა დაესწრო კილის არხის კურთხევას, იმავე მილიერანმა გაჰკიცხა მთავრობის ასეთი მოქმედება, რადგან ასეთი ქცევა თაყვანის ცემაა ისეთის მთავრობისა, რომელთანაც „ჩვენ (ფრანგებს) უნდა გვექონდეს ზრდილობიანი საერთაშორისო დამოკიდებულება, მაგრამ რომელთანაც მთავრობას ყოველთვის უნდა ახსოვდეს ერის საიდუმლო ფიქრიო“. ვიმეორებთ, რომ მილიერანი ორივე შემთხვევაში სოციალისტების სახელით ლაპარაკობდა.

ასე ძლიერია ეროვნული გრძნობა საფრანგეთის სოციალისტებ შორის, იმ საფრანგეთის, რომელიც არა თუ სრულიად დამოკიდებული და თავისუფალია, პირველ ხარისხიანი ძლიერი სახელმწიფოა. სხვას რაღა უნდა ეთქმოდეს!?...

*
* *

გამწვავებული ეროვნული ბრძოლაა, როგორც ვიცით, ირლანდიაშიაც. მიუხედავად ათასგვარ გაჭირვებისა, ათასჯერ გაცრუებულ იმედებისა, ირლანდიის ერი იმედსა და სასოებას არ ჰკარგავს და მხნედ და გაბედულად იბრძვის ეროვნულ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

ინგლისის კონსერვატორული მთავრობა ძველ ზომებს დაუბრუნდა ირლანდიელების ეროვნულ მოძრაობის წინააღმდეგ — საგანგებო კანონები განაახლა და საპატიმროებით უნდა მოჰკ-

ლას ირლანდიის ერის მისწრაფება კეთილდღეობისა და თავისუფლებისადმი. ხუთი გაზეთის რედაქტორი ციხეში ზის, იქვე არის შვიდი ირლანდიელი დეპუტატი. ირლანდიელები მაინც მხნედ არიან, გულს არ იტიხენ და დარწმუნებული არიან, რომ მომავალი მათია.

ირლანდიელების გაბედულმა და თავგანწირულმა ბრძოლამ, როგორც სჩანს, გონს მოიყვანა კონსერვატორების ერთი ნაწილიც. ერთ ინგლისურ გავლენიან ჟურნალში („მეცხრამეტე საუკუნე“) დაბეჭდილია სიღნეი ლოოლს წერილი. სიღნეი ლოოლს წარმომადგენელია არისტოკრატების მთელის ჯგუფისა. ამ არისტოკრატიულ ჯგუფის დემოკრატიულ პროგრამაში შედის, სხვათა შორის, ისეთი მუხლები, რომელთაც არისტოკრატია ძალიან შორს გაუბოდა; საკანონმდებლო და აღმასრულებელი დაწესებულებანი შოტლანდიისა, უელსისა და ირლანდიისათვის; ე. ი. საკუთარი პარლამენტები ხსენებულ ნაწილებს დიდი ბრიტანიისას. ირლანდიის ეხლანდელი მდგომარეობა არანორმალური და აუტანელია და იგი უთუოდ უნდა შეიცვალოს, თხოულობს სიღნეი ლოოლ, არისტოკრატი.

ირლანდიის მამულისშვილებს მედგარ ბრძოლის მაგიერ რომ გულზე ხელი დაეკრიფათ და სხვისაგან შევლის ლოდინში ყოფილიყვნენ, ან იმის შიშით, რომ ინგლისის მთავრობა არ გაეჯავრებინათ, პირზე ხელი დაეფარათ და უპირველეს საჭიროებათა დაკმაყოფილების სურვილი გულშივე ჩაეკლათ, ირლანდიის ერი ეხლა ყოვლად დაბეჩავებული იქნებოდა და უკეთეს მომავლის იმედი უნიადაგო. ეს კარგად ესმოდათ ირლანდიელ მოღვაწეთ და ამიტომ იყო, რომ აშკარა და გაბედულ ბრძოლას არ უფრთხოდნენ, ამ ბრძოლაში ხალხიც გაფოლადდა და თან მოწინააღმდეგეს პიტივისცემაც დაიმსახურა.

*
* *

ავსტრიაში სლავიანთა ერთი ტომი სცხოვრობს, რომელზედაც ჯერ საუბარი არ გვექონია მკითხველთან, ჩვენ აქ სლოვინები გვყავს მხედველობაში („პეტერბ. ვედ.“).

1848-ში, როცა ჰუნგრეთი და ლიბერალი გერმანელები ავსტრიის მთავრობას ებრძოდნენ, მთავრობის ერთგული დამხმარე სლავიანები იყვნენ. ამათის დახმარებით სძლია ავსტრიამ 1848 წლის რევოლუციონური მოძრაობა. პოლიტიკურად განუვითარებელი სლავიანები ჰფიქრობდნენ, რომ მთავრობისათვის ასეთის სამსახურის გაწევით ისინი ემსახურებიან თავიანთ ეროვნულ ინტერესებს—ერთგულებისათვის მთავრობა დაგვაჯილდოებს, მეტ თავისუფლებას მოგვანიჭებს და ჩვენც წელში გავმავრდებითო. ამ იმედებით იყო, რომ სლავიანები თავ განწირული ებრძოდნენ თავისუფლების მაძიებელ ჰუნგრელებსა და გერმანელ ლიბერალებს.

პირველ ხანებში თითქოს იმედებიც გაუმართლდათ სლავიანებს; მთავრობა თითქოს მზად იყო მიენიჭებია სლავიანებისათვის ბევრი უპირატესობა. მაგრამ მოითქვა თუ არა სული მთავრობამ, სისტემატიურად შეუდგა ნაბოძებ უპირატესობათა მოსპობას. ავსტრიის მთავრობის აზრით, სახელმწიფო ინტერესებისათვის აუცილებელი საჭიროება იყო „შეერთება ერთ დიდ სახელმწიფო სხეულად მონარხიის ყველა პროვინციებისა და ერებისა“.

ამ დროიდან იწყება მთავრობის ბრძოლა სლავიანების წინააღმდეგ „სახელმწიფოს გაერთიანებისა და გამაგრებისათვის“. მაგრამ ამ ბრძოლამ, როგორც ვიცით, ვერ შეაფერხა ავსტრიის ერების აღორძინება და გაძლიერება. პირიქით, ბევრი იმ აზრისაა, რომ ეს აღორძინება და გაძლიერება იყო შედეგი მთავრობის ცენტრალისტურ ძალმომრეობით. პოლიტიკისა.

სლოვინებმაც სხვა ავსტრიელ სლავიანების ბედი განიცადეს. 48-წლის რევოლუციის შემდეგ მთავრობამ დევნა დაუწყა სლოვინურ ეროვნულ მიმართულებას—მთავრობის ყოველ დაწესებულებიდან და სკოლებიდან სრულებით განდევნეს სლოვინური ენა, ახლად დაწყებულ სლოვინურ ლიტერატურას დევნიდნენ და ავიწროებდნენ. და მერე რა მოჰყვა შედეგად ასეთ ძალმომრეობით პოლიტიკას?

ორმოცდა ათის წლის განმავლობაში (მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში) სლოვინებმა განდევნეს გერმანული ენა სახალხო სკოლებიდან და ეხლა სლოვინები სლოვინურ ენაზე სწავლობენ სახალხო სკოლაში და გიმნაზიებშიაც, გარდა უკანასკნელ კლასებისა, სლოვინური ენაა საგნების სწავლების ენა; უფროს კლასებში თუ არ არის შემოღებული ჯერ სლოვინურ ენაზე სწავლება, ამისი მიზეზი რიგიან სახელმძღვანელოების უქონლობაა. ასე რომ ძალიან მალე გიმნაზიის ყველა კლასები გახდება ნამდვილი სლოვინური. სახალხო სკოლებიდან 141—სლოვინურ-გერმანულია და 656 წმინდა სლოვინური. სლოვინების ეროვნული თვითცნობიერება და ეროვნულ ნიადაგზე სწავლა-აღზრდის მიღება იმდენად განვითარებული და გაძლიერებულია, რომ მალე უმაღლესი სასწავლებელიც ექნებათ სლოვინური.

სლოვინების ეროვნულ ზრდის საუკეთესო მაჩვენებელი ჟურნალ-გაზეთების განვითარებაა. 1848-ში სლოვინურ ენაზე გამოდიოდა მხოლოდ ერთი პატარა საკვირაო გაზეთი. ეხლა კი სლოვინებს სამი დიდი ყოველდღიური გაზეთი აქვთ; გარდა ამისა არსებობს რამდენიმე პატარა გაზეთი და საკვირაო ჟურნალები. ეს პერიოდიული გამოცემანი, რასაკვირველია, სხვა და სხვა მიმართულებებისა, მაგრამ ერთში ყველანი არიან თანახმა—ეროვნობის და ეროვნულ თავისუფლების დაცვის საქმეში.

გარდა პოლიტიკურ ჟურნალ-გაზეთებისა სლოვინებს სპეციალური პერიოდიული გამოცემებიც აქვთ; სლოვინურ ენაზე გამოდის—იურიდიული, არხეოლოგიური, სავაჭრო, რამდენიმე პედაგოგიური, საყმაწვილო და საღვთისმეტყველო გამოცემანი. სიტყვა-კაზმულ მწერლობასაც აქვს საკუთარი პერიოდიული გამოცემანი. არსებობს ქალების ჟურნალიც—„სლოვიანელი ქალი“, რომელიც სლოვიანელ ქალის განთავისუფლებას თხოულობს. არის კიდევ ერთი საგანგებო გამოცემა, სადაც საზოგადოათ სლოვიანების მწერლების თხზულებებს თარგმნიან. და სულ სლოვინების რიცხვი 1,300,000 სულს არ აღემატება!

სლოვინელების კულტურულ-ზრდაში უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სლოვინურ საზოგადოებათ და კავშირებს. ამ საზოგადოებათა ერთ წილს მატერიალური მიზანი აქვთ—კრედიტის გაიაფება და გაადვილება, მეურნეობის განვითარება და სხვა; მეორეს—ხალხის გონებრივი განვითარება. პირველ ხასიათის საზოგადოებათა შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს „მეურნეთა კავშირს“; ამ კავშირშია—1) ოთხმოცდა ჩვიდმეტი შემნახველ-გამსესხებელი კასა, რომელთაც ოცი ათასზე მეტი წევრი ჰყავს და რომელნიც თექვსმეტ მილიონ მანეთს წლიურად ატრიალებენ, და 2) ორმოცდა ჩვიდმეტი სხვა-და-სხვა სამეურნეო კავშირი, რომელთაც თორმეტ ათასამდე წევრი ჰყავთ.

გარდა ამისა არსებობს კიდევ 127 შემნახველ-გამსესხებელი კასა, რომელთაც 77 ათასი მონაწილე ჰყავთ და რომელნიც წლიურად 34 მილიონ მანეთს ატრიალებენ, და 85 სამეურნეო ამხანაგობა. როგორც ვხედავთ, ეროვნული საურთიერთო დახმარება მეტად განვითარებული ყოფილა სლოვინებ შორის.

იმ საზოგადოებათა შორის, რომელნიც ერის განვითარებაზე ზრუნავენ, პირველი ადგილი უკავია „წმ. მახორის ძმობას“. ეს საზოგადოება დაარსებულია 1852 წელს კარინტიაში იმ მიზნით, რომ აღზარდონ ხალხი ეროვნულ ნიადაგზე. ეხლა ამ ძმობას ჰყავს 76 ათაზე მეტი წევრი, რომელნიც ოთხ აბაზს იხდიან წელიწადში და სამაგიეროდ იღებენ ექვს წიგნს; თითოეული წიგნი შეიცავს სამას გვერდს. ამ გვარად ყოველ 17-20 სლოვინელს ოთხაბაზად მოუღდის წელიწადში 1800 დაბეჭდილი გვერდი. რა შინაარსისა ეს წიგნები? პირველ წიგნში, გარდა საკალენდრო ცნობებისა და წევრების სიისა, მოთავსებულია ბელეტრისტიული ნაწერები ილუსტრაციებით; მეორეში და მესამეში მოთავსებულია საზოგადო ხასიათის მოთხრობები და ამბები, რომელნიც აცნობენ ხალხს დაწინაურებულ და განათლებულ საზოგადოების ცხოვრებას და მოქმედებას; მეოთხე წიგნში არის სამეურნეო, ჰიგიენური, საბუნებისმეტყვე-

ლო და ისტორიული წერილები, მეხუთეში გეოგრაფიული და ეტნოგრაფიული და მეექვსეში რელიგიურ შინაარსის წერილები.

სიაფის გამო ეს გამოცემები ძალიან გავრცელებულია. წერა-კითხვის მკოდნეც შედარებით ძალიან ბევრია; მაგალითად, კრაინაში 86 ათას სასკოლო ასაკის ბავშვთაგან 73 ზთასი სკოლაში სწავლობს; სკოლის გარეთ მხოლოდ 13 ათასი რჩება. (ჩვენში უკუღმა პროპორციაა).

მეორე საზოგადოებას („მატიცა სლოვენსკა“) იგივე მიზანი აქვს. მაგრამ სახეში საზოგადოების უფრო განათლებული ნაწილი ჰყავს. სლოვენების „მატიცა“ დაარსებულია 1864 წელს, და ჰყავს ეხლა 3000 წევრი. ყოველი წევრი იხდის წლიურად 1 მ. და 60 კ. და სამაგიეროდ იღებს ყოველ წელს ოთხ წიგნს. პირველ წიგნში მოთავსებულია ცნობები თვით საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ და გარდა ამისა წერილები ისტორიული, ეტნოგრაფიული და ლიტერატურული; მეორე წიგნი უთუოდ მთლიანი თხუზულებაა სამეცნიერო შინაარსისა; მესამე — ლიტერატურული კრებულია; მეოთხე წმინდა ბელეტრისტიული წიგნია.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის განვითარებისათვის სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებს. და ბევრიც დაიარსეს სლოვენებმა. მაგრამ რა ხასიათს აძლევენ ამ დაწესებულებებს? მიზანი სლოვენურ ბიბლიოთეკებისა არის გაეცნოს ხალხი სლოვენების და სხვა სლავიანების ეროვნულ პოლიტიკას. მხოლოდ პოლიტიკურად შეგნებულ ხალხს შეუძლია გამაგრდეს და იბრძოლოს არსებობისათვის, ამბობენ სლოვენელი მოღვაწეები. ამიტომაც არის, რომ სლოვენურ სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების უმთავრესი მიზანი პოლიტიკურ გამოცემების გავრცელებაა. გარდა ამისა ყოველ წელს იმართება ასეთ დაწესებულებასთან ეროვნული დღესასწაულები.

როგორც ჩეხებსა და პოლონელებს, სლოვენებსაც აქვთ გიმნასტიური საზოგადოება „სოკოლი“ (შევარდენი). ფიზიკური უარჯიშობა, ამბობენ საქმის მეთაურები, აფოლადებს ახალგაზღვრებას, აჩვევს თავდაჭერილობას და შრომის მოყვარეობას.

„სოკოლმა“ ისე უნდა მოამზადოს ახალგაზდობა, რომ შემდეგ უშიშრად გამოვიდეს ომის ველზე ერის დასაცველადო. ეს საზოგადოება თავის წევრების გონებრივ განვითარებაზედაც ზრუნავს, რასაკვირველია, ეროვნულ ნიადაგზე.

სლოვინებს აქვთ აგრეთვე „დრამატიული საზოგადოება“, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ერის წინაშე. მიზანი ამ საზოგადოებისა არის ეროვნულ სცენის სამსახური, რისთვისაც მას სამაგალითო თეატრალური სასწავლებელი აქვს. სლოვინებს მშვენიერი თეატრი აქვთ ლიუბლიანში; სადაც ბევრი დახელოვნებული არტისტი ამშვენებს ეროვნულ სცენას. ამავე საზოგადოებამ დაიწყო სლოვინურ ოპერის საქმეც; ეხლა ბევრი ნათარგმნი და ორგინალური ოპერები აქვთ სლოვინებს.

არსებობს სლოვინური მუსიკალური საზოგადოებაც, რომელიც სცემს მუსიკალურ ნაწარმოებებს ეკლესიის, სკოლისა ოჯახისათვის და აგროვებს და ამუშავებს სახლხო სიმღერებსა და მიტოვებს. ამ საზოგადოებასაც აქვს საკუთარი მუსიკალური სკოლა, სადაც ეხლა სამასამდე მოსწავლეა. მიუხედავად გერმანულ „ფილარმონიულ საზოგადოების“ წინააღმდეგობისა და კონკურენციისა, ხსენებულმა საზოგადოებამ ისე მშვენიერად მოაწყო საქმე, რომ მისი კონცერტები განთქმულია მთელ ჰესტრიაში.

ბევრი სხვა კულტურული დაწესებულება აქვს სლოვინთა ერს, მაგრამ ამათ შორის დავსახელებთ კიდევ ორს—„ეროვნულ მუზეუმს“ და „ეროვნულ სახლს“. მუზეუმში უმთავრესად მოთავსებულია ისტორიის წინა დროების შესანიშნავი კოლექცია; აქვეა სხვა კოლექციებიც—ეტიანოგროფიული, ისტორიული, საბუნებისმეტყველო და ხელოვნებისა. მშვენიერად და მდიდრულად მოწყობილი მუზეუმი დიდათ უწყობს ხელს ახალგაზდობის სამეცნიერო აღზრდას.

„ეროვნული სახლი“ ის ადგილია, სადაც თავს იყრის სლოვინების ინტელიგანცია ერთმანერთისათვის აზრის გასა-

ზიარებლად. მშვენიერ შენობაში მოთავსებულია-ბიბლიოთეკა—სამკითხველო, საკონცერტო და სამეჯლისო ზალა, ვრცელი გიმნასტიური ზალა და რესტორანი.

ვიმეორებთ, სლოვენების რიცხვი სულ 1. 300,000-ია და ამ პატარა ერმა შესძლო გამკლავებოდა ავსტრიის მთავრობის ძალ-მომრეობას და მრავალგვარ კულტურულ დაწესებულებათა საშუალებით უზრუნველ ეყო ხალხის ნორმალური განვითარება ეროვნულ ნიადაგზე.

* * *

არა ერთხელ გვითქვამს, როცა ჩეხიის საქმეს შევხებივართ, რომ ჩეხელი მოღვაწეები არ კმარობენ სახლში მოქმედებას; ისინი გამოდიან ევროპაში, თავის ვინაობას აცნობენ დიდ კულტურულ სახელმწიფოებს; აცნობენ არა მარტო გაცნობისათვის, რასაკვირველია, არამედ იმიტომ, რომ ეს სახელმწიფოები დააინტერესონ ჩეხიის ერის მდგომარეობითა და ბედით. ჩეხიის ერს სწამს, რომ მას თვისი ისტორიული დანიშნულება აქვს და რომ ამ ისტორიულ დანიშნულების აღსრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის სახელმწიფოებისათვისაც.

ეხლა ხან ჩეხიის ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ კრამარჟმა დაბეჭდა ინგლისურ გავლენიან ჟურნალში (National-Review) მეტად საყურადღებო წერილი—„ევროპა და ჩეხიის საქმე“. კრამარჟი აცნობს ევროპის საზოგადოებრივ აზრს „იმ უხილავ ძაფებს, რომელიც უკავშირებს ჩეხიის ეროვნულ საქმეს ევროპის პოლიტიკის საერთო მექანიზმს.

პატარა, მაგრამ მაღალ კულტუროსანი ჩეხიის ერი ეხლაც, ისე როგორც წინეთ, მტკიცედ ადგია თავის ისტორიულ დანიშნულებას; მაგრამ თანამედროე ეპოქაში, როცა გაბატონებული არიან დიდი სახელმწიფოები და თავის მსოფლიო მნიშვნელობას მატერიალურ ძალაზე ამყარებენ, ჩეხები დიდათ საჭიროებენ, რომ მათი ხმა მივიდეს განათლებულ ერების ყურებამდე, რათა ჩეხიის ისტორიული როლი და დანიშნუ-

ლება მიუდგომელად და სამართლიანად დაფასდეს ავსტრიის საზღვრებ გარედაც.“

კრამარეი დაწვრილებით მოუთხოვს მკითხველს ბრძოლას ბიუროკრატიულ—გერმანულ სახელმწიფოსა და ახალ პრინციპ შუა, რომელიც ყველა ერების თანასწორობაზეა დამყარებული. 1848-1849 (ნაციონალური რევოლუცია ჰუნგრეთში და ლიბერალური ვენაში) და 1866 (ომი პრუსიასთან) წლების ამბების შემდეგ ვენაში დაჰკარგეს იმედი „ისტორიის მიერ ჩადენილ შეცდომის“ გასწორებისა და საჩქაროდ შეადგინეს 1867 წლის კონსტიტუცია, რომელიც ეწინააღმდეგება არა-გერმანულ ერებს და ხელოვნურად აბატონებს ავსტრიაში გერმანულ ელემენტს.

მალე პრუსია და საფრანგეთი შეიტაკნენ (1871) და ევროპაში დიდ-მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა.

მაგრამ ავსტრიის ბიუროკრატია ვერ მიხვდა, რომ სედანს (საფრანგეთის დამარცხებას) უნდა შეექმნა არა მარტო ახალი გერმანია, არამედ ახალი ავსტრიაც, რომელსაც საბოლოოდ უნდა ეთქვა უარი დიდ გერმანულ სახელმწიფოდ ყოფნაზე. როგორც სჩანს უმაღლესს სფეროში მიძხვდარი იყვნენ ამ ცვლილებას: გრაფ ჰოჰენვარტის პირველ მინისტრობის დროს გამოაქვეყნეს ცნობილი რესკრიპტი ბოჰემიის სეიმისადმი; რესკრიპტი ჰპირდებოდა ჩეხიას ავტონომიასა და წმ. ვიაჩესლავის გვირგვინით კურთხევას, როგორც ჰუნგრეთში წმ. სტეფანეს გვირგვინს იღვამს ხოლმე ავსტრიის იმპერატორი. მაგრამ მალე ისევ ბიუროკრატიულმა მიმართულებამ გაიმარჯვა და ავსტრია-მაც დაიწყო მუშაობა pour le roi de Prusse (პრუსიის მეფისათვის). ვენაში ვერ გრძობდნენ, რამდენად საშიში იყო ავსტრიისათვის გერმანელების ხელოვნურად შექმნილი ჰეგემონია, თუმცა იმ დროს ავსტრიის გერმანელები ჯერ კიდევ ავსტრიის პატრიოტები იყვნენ. მაგრამ ახალ გერმანიის იმპერიისა და მის მსოფლიო მდგომარეობის გავლენასა და სახელს ავსტრიის საზღვარი ვერ შეაჩერებდა. გერმანიის მოულოდნელმა განდიდებას გაიტაცა ახალგაზდობა, რომელიც ჯერ თაყვანს

სცემდა გერმანულ ეროვნობის იდეას და შემდეგ ჰანგერმანის-მის სამსახურს მიეცა მთელი თავის ძალ-ღონით. ამ გვარი იყო ეროვნულ გრძნობის ლოლიკა. ხელოვნურად შექმნილმა, ოფიციალურ-გერმანულმა ავსტრიამ ვერ დააკმაყოფილა გერმანელების ეროვნული იმედები; ის კი მოახერხა, რომ შექმნა დიდი საშიშროება თავის სახელმწიფოსათვის; ავსტრიელი გერმანელები საქმეთა მიმდინარეობის ძალით ისწრაფვიან სხვა გერმანელებთან შეერთებას. მაგრამ ეს გერმანელები უკვე შეერთდნენ ჰოპენცოლერების სკიპტრას ქვეშ დიდ სახელმწიფო კავშირში, რომელშიაც ავსტრიას შეეძლო მხოლოდ ისეთი ადგილი ჰკავებოდა, როგორც ბავარიას ან საქსონიას უკავია ეხლა. ავსტრიამ ვერ გამოიყვანა ერთად ერთი ბუნებრივი დასკვნა 1870 წლის ამბებიდან — ვერ დაემყარა თავის ისტორიულ ფედერატიულ საფუძველს და თანასწორობის მაგიერ უპირატესობა მიანიჭა გერმანელებს.

ორ გერმანულ იმპერიის არსებობა მეზობლად ნამდვილი აბსურდია. დარჩენილა ასეთ მდგომარეობის აუცილებელ შედეგების გამოყვანა: მჭიდრო კავშირი გერმანიასთან, დამოუხნის გაერთიანება, პოლიტიკური და ეკონომიური გაბატონება უფრო ძლიერ გერმანიისა ავსტრიაზე, რომელსაც დამოუკიდებლობის აჩრდილილა შერჩება. ავსტრიელი გერმანელები დღესაც მზად არიან სისრულეში მოიყვანონ ყველაფერი ზემოდ ნათქვამი, მაგრამ სხვა ავსტრიელი ერები წინააღმდეგობას უწევენ და არ აძლევენ გერმანელებს ამის ნებას. ერთად-ერთი ხსნა ავსტრიისა და მის დინასტიისა ის არის, რომ გერმანელები უმცირესობას შეადგენენ სახელმწიფოში; და სწორედ ეს არის ავსტრიის ცალკე არსებობის ერთად-ერთი საბუთი. ავსტრიის ცალკე, დამოუკიდებელი არსებობა კი აუცილებელია ევროპის პოლიტიკისათვის, აუცილებელი პირობაა თანამედროვე ევროპისათვის. თუ ავსტრია არ იქნა, გერმანიას გაეხსნება

გზა ისეთ უზარმაზარ იმპერიის შექმნისათვის, როგორც ჯერ ისტორიას არ უნახავს: განუზომელი ერთიანი ტერიტორია, სამხედრო შეძლების მხრივ უძლეველი, ეკონომიურად ძლიერი; ერთის სიტყვით ისეთი მსოფლიო სახელმწიფო, რომელსაც გერმანელი ეხლა ოცნებობს. სადღა იქნება მაშინ ევროპის სახელმწიფოების სწორ-წონაობა?

ერთად-ერთი იარაღი პანგერმანისმის წინააღმდეგ საბრძოლველად—ავსტრიის ერების ფედერაციაა; ოფიციალური ავსტრია კი კათოლიკურ კლერიკალისმს ემყარება პანგერმანისტებთან ბრძოლის დროს.

ჩეხიის ერთი და მისი მეთაურნი პოლიტიკურად გაწვრთნილი და განვითარებული არიან. ეს გაწვრთნა და განვითარება გამოიჩინეს ჩეხებმა არა მარტო გერმანელებთან და ავსტრიის მთავრობასთან, ბრძოლის დროს, არამედ ეხლანდელ საერთაშორისო დამოუკიდებულების ცოდნითა და ღირსეულად დაფასებით. ასეთი ერის მომავალი უზრუნველ ყოფილია.

*
* *

ბალგარიის განთავისუფლების შემდეგ რუსეთის გავლენა ამ პატარა სამეფოში ყოველის შემძლე იყო. ბალგარიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა უფრო ცალიერი სახელი იყო, ვიდრე სინამდვილე. ბალგარიის მთავარი ალექსანდრე ბატენბერგი და შორს მხედველი პოლიტიკური მოღვაწეები ხედავდნენ სამთავროს ასეთ მდგომარეობას და სცდილობდნენ ბალგარია მართლა დამოუკიდებელი გაეხადნათ. პირველი პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც ახალგაზდა სამთავრომ გადასდგა რუსეთის მთავრობის წება დაურთველად, რუმელიის შემოერთება იყო. სამაგიეროდ ხალხის სურვილის ამყოღმა და აღმსრულებელმა ალექსანდრე ბატენბერგმა ტახტი დაჰკარგა-იგი განდევნილ

იქმნა ბალგარიიდან. ბატენბერგის საქმე მეტის ენერგიითა და გაბედულობით განაგრძო სტამბულოვმა. სტამბულოვი სასტიკი და შეუბრალებელი კაცი იყო, მიზნის მისაღწევად იგი არავითარ საშუალებას არ აუვლიდა გვერდს, მაგრამ მიზანი კარგი ჰქონდა—ბოლგარიის ნამდვილი დამოუკიდებლობა. ბევრი სი-სასტიკე და მტარვალობა ჩაიდინა ბოლგარიის „გამბეტამ“, როგორც მას ზოგიერთები უწოდებენ, მაგრამ ის მაინც ჰქნა, რომ ახალ გაზდა სამთავრო სხვის ნება-დაურთველ ცხოვრებას შეაჩვია.

როცა სტამბულოვი გადააყენა პირველ მინისტრობიდან ბოლგარიის ეხლანდელმა მთავარმა ფერდინანდმა, მასთან მივიდა „ნოვოე ვრემია“-ს საგანგებო კორესპონდენტი და ბალგარიის საქმეებზე ლაპარაკი ჩამოუვლო. სტამბულოვს სხათა შორის ეთქვა—ძველი დროის დაბრუნება ბოლგარიისათვის შეუძლებელია; იგი ვერ გახდება რუსეთის გუბერნიად; რუსეთსა და ბოლგარიას შორის ჩემი მოღვაწეობაა და მისი გადავლა შეუძლებელიაო (მოგვყავს ეს სიტყვები დაახლოებით, ისე, როგორც გვახსოვს).

სტამბულოვის გადაყენებისა და სიკვდილის შემდეგ ბოლგარიისა და რუსეთის დამოკიდებულება თან და თან უმჯობესდებოდა და ბოლოს სრულებით გამოკეთდა, როდესაც ბოლგარიის ტახტის მემკვიდრე პრინცმა მართლმადიდებლობა მიიღო. მაგრამ სტამბულოვის წყალობით ძლიერ სახელმწიფოს ასეთი დაახლოვება წინანდებურად საშიში აღარ არის პატარა ბოლგარიისათვის, მით უმეტეს, რომ რუსეთის იმპერიას ჯერ-ჯერობით ახლო აღმოსავლეთისათვის არ სცალია: მთელი მისი ყურადღება ჩინეთისაკენ არის მიქცეული. ამიტომაც არის, რომ დიდი ყურადღება არ მიუქცევია ევროპის სახელმწიფოებსა და პრესას შიშკის ბრძოლის ოცდა ხუთი წლის იუბილეს დღესასწაულისათვის, რომელზედაც მიწვეული იყვნენ დიდი მთავარი

ნიკოლოზ ნიკოლოზისძე, სამხედრო მინისტრი კუროპატკინი და რუსეთის სხვა წარჩინებული პირები. „მას შემდეგ, რაც დიდი მეზობელი (რუსეთის იმპერია) აზიაში გადავიდა, რუსების მოხვევნა პირდაპირ საშიში არ არის ბალგარიის სამთავროსათვისო“, ამბობს ერთი გავლენიანი ავსტრიელი ჟურნალი.

4. საზღვაო ან დელოსის ლიგის ორგანიზაცია. ახალ ლიგის ორგანიზატორი იყო არისტიდეს, რომელმაც მასამფიკტიონის ფორმა მისცა. ლიგის რელიგიური ცენტრი იყო დელოსის კუნძული, რომელიც ერთნაირად იყო დაშორებული საბერძნეთისა და მცირე აზიის ნაპირებისაგან. ახალი ფედერაციის მიზანი იყო სპარსელებისაგან თავის დაცვა და ბერძენთა ზღვის თავისუფლება. არისტიდეს, როგორც მიუდგომელ კაცს, მიანდევს თვითეულ წევრის შეძლების გამოკვლევა და თანახმად ამ გამოკვლევისა დაედოთ მათ ხარჯი, რომელიც უნდა მოხმარებოდა განზრახულ მიზნის განხორციელებას. ფულს იხდიდნენ მხოლოდ წვრილი თემები, რომელთაც საკუთარი ფლოტი არ ჰყავდათ, დიდი თემები კი მოვალენი იყვნენ ჯარის კაცებისა და ფლოტის განსაზღვრული რაოდენობა წარმოედგინათ. ფედერაციის კასა ინახებოდა აპოლონ დელოსელის საკურთხეველში. აქვე იმყოფებოდა ფედერაციის საბჭო, რომელიც შესდგებოდა ლიგის წევრების წარმომადგენელთაგან და რომელსაც უნდა გადაეწყვიტა კითხვები შესახებ სამხედრო ოპერაციებისა, ფულის მოხმარებისა და სხვა. ფედერაციის თავმჯდომარეობა ეკუთვნოდა ათინას, რომლის შეძლება ბევრად აღემატებოდა დანარჩენ წევრების შეძლებას; იგი ახდენდა და ხელ-მძღვანელობდა საზოგადო კრებებს, კრებდა გადასახადს, თვალყურს ადევნებდა საერთო ინტერესებს, ნიშნავდა სარდლებს და საზოგადოთ მართავდა სამხედრო ოპერაციებს *).

5. კიმონი. მოქმედების დაწყებისათანავე ლიგას შესანიშნავი სარდალი ჰყავდა-მილტიადეს შვილი კიმონი, რომელიც თვითონ მოხუცებას მიწეულ არისტიდემ წარუდგინა ათინე-

*) დელოსის ლიგა მალე ისე გადიდა, რომ პერიკლესის დროს შეიცავდა არა მარტო ეგეის ზღვის კუნძულებს, არამედ ყველა მის ნაპირებსაც, რომელნიც გაყოფილი იყვნენ რამდენიმე მაზრად. ეგეის ზღვა ათინის „საბრძანებლის“ ნაწილი იყო: ლაკედემონელ ფლოტის პელოპონეზის ჩრდილოეთით ყოფნა ათინის ტერიტორიის დარღვევად ითვლებოდა.

ლებს. კომონის ახალგაზდობა უბედური იყო; რადგანაც მას არ შეეძლო გადაეხადა ის ჯარიმა, რომელიც მამა მისს დაადევს, იგი, კანონის ძალით, მოკლებული იყო ყოველ მოქალაქობრივ უფლებას, სანამ ერთმა მდიდარმა მოყვარემ არ უგადაუხადა ეს ვალი და არ დაუბრუნა იგი პოლიტიკურს და მოქალაქობრივ ცხოვრებას. სანამ ეს მოხდებოდა, იგი ყველას მოუხეშავი და გულჩათხრობილი ეგონა, უფრო სპარტანელის მზგავსი ვიდრე ათინელი; აქედან კი მან ნამდვილი თავის სახე გამოიჩინა: გულახდილი, სულგრძელი და მართალი გულის პატრონი, რაც მის მამაზე არ ითქმოდა. იგი უყოყმანოდ შეუერთდა თემისტოკლეს აზრს შესახებ ათინის მიტოვებისა: კომონი და რამდენიმე მისი ამხანაგი აღვირით ხელში მხარულად ავიდნენ აკროპოლისზე და შესწირეს აღვირი ათინას. ამითი მას უნდა ეჩვენებინა ათინელებისათვის, რომ ეხლანდელ მდგომარეობაში ათინასთვის საჭირო აღარ იყო ცხენოსანი ჯარი; ამასთანავე ეს იყო ნიშანი, რომ ათინელი არისტოკრატია, რომელიც აქამდე მხედრობით თავმომწონებოდა და ფლოტს ზიზლით უყურებდა, ბოლოს მიხვდა, თუ საითკენ იწევდნენ სამშობლოს ინტერესები. შემდეგ კომონი თავის ფარით გემზე ავიდა.

6. თრაკიაში გალაშქრება. სპარსელებთან ომიანობის დროს კომონი, რასაკვირველია, პირველ ადგილს ვერ დაიჭერდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც არისტიდე მოხუცდა და თემისტოკლეს ათინელები ეჭვის თვალით უცქეროდნენ, კომონი წინ წამოიწია. მოკავშირეებმა, რომელთაც მეტად მოეწონათ კომონის გულლია ხასიათი და მისი მოხდენილი ქცევა, ლიგის ჯარების უფროსობა მისცენ და არც მოტყვილებულან. პირველად იგი წავიდა თრაკიაში, სადაც ჯერ კიდევ სპარსელების გარნიზონები იდგნენ; ყველაზედ უწინ თრაკიის უდიდესი ქალაქი სტრიმონის ეიონი აიღეს (469). მისი ტერიტორია დარჩა ათინელებს, რომელთაც აქ ახალშენი გააშენეს. თრაკიის ზღვისპირული ქალაქები—აკანთა, საგირი და ოლინთი—ლიგაში შემოვიდნენ. ამ გალაშქრებამ შესძინა კომონს დიდ სახელთან

დიდი სიმდიდრეც, რომელსაც იგი გულ-უხვად ხარჯავდა, რომ შური არ აღეძრა თანამემამულეთა გულში. ყოველ დღე მისას სუფრა მზად იყო მის უბნის ღარიბებისათვის; ქუჩაში მას ყოველთვის თან დაჰყვებოდა ერთი მონა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოწყალება დაერიგებია ყველა იმ ღარიბებისათვის, რომელთაც გზაზე გადაეყრებოდა. ამ სიმდიდრემ ნება მისცა მას უანგაროდ ემსახურნა მამულისათვის და არ გაესვარა თავისი სახელი თემისტოკლესავით ანგარებით, ამ საბერძნეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა სენით.

7. **თემისტოკლეს გამეგება.** იმ დროს, როცა კიმონის გავლენა ხალხზედ უაღრეს წერტილამდე ავიდა, ბედი მეორე დიდებულ კაცისა უკუღმა დატრიალდა. მამულის დამხსნელი, სალამინის ომში გამარჯვებული სრულებით დაეცა ხალხის თვალში. ერთის მხრივ ეს უეჭველად შედეგი იყო ათინელების მოძრავ და დაუდგარ ხასიათისა, მაგრამ მეორეს მხრივ თემისტოკლე უფრო თვითონვე იყო თვის დაცემის მიზეზი: უზომო სიამაყე; თანასწორობის აბუჩად ავლება და უსაზღვრო ანგარება ზირქსა სცხებდა მის ბრწყინვალე ნიქს. ერთ წელიწადს, ოლიმპიის დღეობაზედ, თემისტოკლე ამაყის და მბრძანებლობითის კილოთი ითხოვდა მოსამართლე ჟიურისაგან არ დაეჯილდოებიათ ჰიერონ სირაკუზელის ცხენები, რადგან სირაკუზმა არ მიიღო მონაწილეობა სპარსელებთან ბრძოლაში. თვით ათინაში მან აუგო ტაძარი არტემიდა არისტობულეს (ღმერთი საუკეთესო რჩევისა) და საკურთხეველში დადგა საკუთარი ადრიანტი. თავის ქებითა და თავის ნაღვაწზე გამუდმებულ ლაპარაკით თავი მოაბეზრა ყველას. გარდა ამისა იგი შურის თვალით უყურებდა მეტოქეებისაგან შეძენილ გავლენას, მას არ შეეძლო სხვისთვის დაეთმო ათინის გამგეობა. ყველა ეს საკმარისზე მეტი იყო იჭვიან და დაუდგრომელ ათინელ დემოკრატიისათვის და კიდევ უფრო თემისტოკლეს მეტოქეებისათვის, რომელნიც, რასაკვირველია, უფრო იმის მაცადინი იყვნენ შეერჩინათ ათინის მართვა-გამგეობა, ვიდრე დაეთასებინათ ღირსეულად თემისტოკლეს წარსული ღვაწლი. კიმონ-

ნისა და მის მომხრეების მაცადინობით თემისტოკლე განდევნეს სამშობლოდან ოსტრაქისმის საშუალებით (470).

8. **თემისტოკლეს თავ-გადასაცავად გადახვეწის შემდეგ.** თავდაპირველად თემისტოკლე არგოსში წავიდა, მაგრამ რადგანაც მას პავზანიასის საქმის გამო საბერძნეთის ლალატი დასწამეს და მოსთხოვეს სპარტაში მისულიყო ბერძენთა სამსჯავროს წინაშე თავის გასამართლებლად, იგი აქედან გაიქცა. ამ დღიდან დაწყებული სიკვდილამდე ბევრი რამ საკვირველი, რომანტიული გადახდა თემისტოკლეს თავს. მთელი თავისი გამჭირიანობა, ხასიათის სიმტკიცე, მოქმედების უნარი, ყველაფერი, რაც კი წინეთ თავის ქვეყანას ამსახურა, ეხლა მის მდევნელ პოლიციელების გზა-კვალის დასაბნევად დასჭირდა. სპარტისა და ათინის აგენტები კვალ-და-კვალ მისდევდნენ მას და ერთის წუთის მოსვენებას არ აძლევდნენ. იგი ხან კორცირაზეა, ხან ეპირში მეფე ადმეტესთან, რომელიც ერთ დროს მისი მტერი იყო, ხან მაკედონიაში, სადაც იგი მივიდა უსაშინელებს გზით მთებში. პიდნაში თემისტოკლე სხვისის სახელით გემში ჩაჯდა, მაგრამ აქაც ბედმა უღალატა: ამოვარდა ქარიშხალი და მისი გემი გააქანა ნაქსოსიკენ, სადაც ათინელების ფლოტი იდგა. ამათ რომ იგი ხელში ჩავარდნოდა, სიკვდილს ვერ გადარჩებოდა. ყოყმანის დრო აღარ იყო და დევნილი პირდაპირ გემის უფროსთან მივიდა: „მე თემისტოკლე ვარ; თუ თქვენ ნაქსოსთან გაჩერდით, დავილუპები, მაგრამ თქვენც იგივე მოგელით, რადგანაც ვიტყვი, რომ თქვენ ჩემი ნამდვილი სახელი იცოდით, როცა გემზე მიმიღეთ“. გემის პატრონი შეშინდა და მიუხედავად ქარიშხალისა, ნაქსოსს გვერდი აუარა. ბოლოს აზიაში ქ. ეფესში მივიდა, მაგრამ აქაც დიდ განსაცდელში იყო. აზიაში მეფობდა მისი უსაშინელებსი მტერი; სპარსეთის მეფემ დიდი ჯილდო დაუნიშნა, ვინც თემისტოკლეს თავს მიუტანდა და ამ ჯილდოს დამსახურების მსურველი ცოტა არ იყო. მაგრამ თემისტოკლე ამ ხიფათსაც დაუძვრა ხელიდან. ერთმა მდიდარმა ეოლიელმა, ნიკოგენესმა, რომელიც მისი მეგობარი იყო, თავშესაფარი მისცა თავისთან და ხერხიც მოი-

გონა, რომლის საშუალებით შეიძლებოდა მისი სუზაში გაგზავნა. სპარსელები და საზოგადოთ აღმოსავლეთელები ხმარობდნენ და ეხლაც ხმარობენ ჩარდახიან, ყოველის მხრიდან დახურულ ურემს თავიანთ ცოლშვილისათვის. თემისტოკლეც ამისთანა ურემში ჩაჯდა და, დაფარული ცნობის მოყვარე თვალთაგან, როგორც რომელიმე სპარსელის ცოლი, მიზიიდან სუზაში მივიდა. სუზაში მან მიმართა ერთ მხედართაგანს და მის საშუალებით ისე მოაწყო საქმე, რომ სპარსეთის მეფესთან, არტაქსერქსესთან შეეშვეს. შესვლისათანავე თემისტოკლემ აღმოსავლეთის ჩვეულებისამებრ დაიჩოქა მეფის წინ და ხმა არ ამოუღია, სანამ მეფის თარჯიმანმა ვინაობა არ ჰკითხა. „დიდებულო მეფევ, მე თემისტოკლე ათინელი ვარ; ბერძენთაგან დევნილი მოვედი შენთან თავშესაფარის საშოვნელად.“ ამასთანავე მან აუხსნა მეფეს მიზეზი, რომელმაც მოიყვანა იგი სპარსეთის მეფის სასახლეში. არტაქსერქსეს არაფერი არ უთქვამს: აღმოსავლეთელის ჩვეულებრივ სიღინჯის ქვეშ მან დამალა, თუ რას გრძნობდა; მაგრამ სიხარული სულის თქმას უჭირვებდა. ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და დიდი ნადიმი გამართა. იმ ღამეს ძილში თურმე სამჯერ წამოიძახა: „მე თემისტოკლე ათინელი მყავსო“.

9. თემისტოკლეს უკანასკნელი დღეები. მეორე დღეს მეფემ კარგად მიიღო თემისტოკლე და გულკეთილად უთხრა: მე შენი ორასი ტალანტი მმართვეს; მე ხომ ეს ჯილდო დავუნიშნე, ვინც შენს თავს მომიყვანდა და სამართალი მოითხოვს, რომ შენ მოგცე იგი. შემდეგ სთხოვა მას გამოეთქვა თავისი აზრი საბერძენეთის საქმეებზე. თემისტოკლემ უარი სთქვა ამ წინადადებაზე. ჯერ მე სპარსული უნდა ვისწავლო და გთხოვთ ერთის წლის ვადა მომეცითო, უთხრა მეფეს. ესეც თანახმა შეიქნა. მართლაც წლის განმავლობაში თემისტოკლემ საკმარისად შეისწავლა სპარსული და თან დიდი გავლენა მოიპოვა სასახლეში. მეფემ სარჩოდ მისცა სამი ქალაქი—მაგნეზია, ლამფსაკი და მიონტი. საცხოვრებელ ადგილად თემისტოკლემ მაგნეზია აირჩია, სადაც იგი კარგა ხანი სცხოვრო-

ბდა, როგორც სატრაპი. ჩვენამდე მოუღწევია ფულს, რომელიც თემისტოკლეს მოუჭრევინებია მაგნეზიაში თავის სახელით. მაგნეზიაშივე მოკვდა იგი, ზოგის თქმით ავადმყოფობის მიზეზით, სხვები კი ამბობენ, რომ მან თვითონვე მოიკლა თავი, რათა რა შეესრულებინა ის პირობა, რომელიც მეფეს მისცა და რომლის შესრულება მას არ შეეძლო.

10. კიმონის სახლი გამაჩჯგებანი. ევრიმედონის ბრძოლა. თემისტოკლეს გაძევების შემდეგ პირველობა კიმონს ხვდა და ღირსეულადაც ასრულებდა ამ პირველობას. მან წაართვა სპარსელებს თრაკია. მაგრამ ამათ კიდევ შეეძლოთ საშიში გამახდარიყვნენ ოდესმე, რადგან ჯერ კიდევ მათ ხელში იყო იონიის სამხრეთით მდებარე კარია და ამით ეგეის ზღვის ერთი კუთხეც. ორასის გემით გასწია კიმონმა მდ. ევრიმედონის (პამფილია, ლიკიის აღმოსავლეთით) შესართვისაკენ, სადაც სპარსეთის ფლოტი იდგა. სპარსელებს თითქმის წინააღმდეგობაც არ გაუწევიათ. ბერძნებმა ერთი ნაწილი მათის ფლოტისა ხელთ იგდეს და მეორე ნაწილი ზღვის ძირს ასტუმრეს, ბანაკი კი იერიშით აიღეს; ომის ველზე გვიან მოსული ფინიკიელების ფლოტი გააბნიეს (469).

11. უთანხმოება დელფისს ღაგის წევრთა შორის. ლიგა გამარჯვებული იყო და სპარსელები განდევნილი ეგეის ზღვიდან; კარია და ლიკია ათინის გავლენის წრეს შემოუერთდნენ; მაგრამ თვით ლიგის წევრთა შორის თავი იჩინა განხეთქილებამ, რადგან მათ შორის თანასწორობა დაირღვა: ათინა უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ლიგაშიაც თან-და-თან მეტი ადგილი დაიკავა. მოკავშირენი, რომელნიც ათინის ხელში უბრალო იარაღი შეიქნენ, ჩიოდნენ თავიანთ მდგომარეობას. ამას მიემატა იონიელების ბუნებრივი მოძრავი ხასიათი და დაუდევრობა. თუ რამ საჩივლელი ჰქონდათ მოკავშირეებს, ეს უფრო ხშირად მათივე ბრალი იყო. ბევრი ამათგანი გაურბოდა ომის ველს და რჩეობდა ფული ეხადა გემებისა და ჯარის კაცების მაგიერ. ათინამ ისარგებლა ამ გარემოებით თავის ფლოტის გაძლიერებისათვის და როცა მოკავშირეებმა სცადეს სა-

ქმის მობრუნება, გვიან-ლა იყო—მათ ძალა აღარ ჰქონდათ. პირველად სცადა ბედი ნაქსოსმა და სასტიკადაც დაისაჯა: ათინელებმა ალყა შემოარტყეს მას და აიღეს; ნაქსოსი იძულებული შეიქნა მოკავშირეობა ქვეშევრდომობაზე გაეცვა-ლა და ეხადა წინანდელზე მეტი ხარკი. ნაქსოსის ბედმა ვერ გააჩერა თაზოსი, ამანაც იარაღს მოჰკიდა ხელი, მაგრამ კიონმა სამის წლის ალყის შემდეგ აიღო იგი და დაანგრია, მიითვისა ფლოტი და პანგეის ოქროს მადანი კონტინენტზე, რაც უფრო მეტი ღირდა ვიდრე ფლოტი.

12. კიონა და დემოკრატული შარტია. ამ გვარად ათინა ყველგან გამარჯვებული შეიქნა. და ეს მისი ასეთი გამარჯვება მეტ წილად კიონის საქმე იყო. 470 წლიდან იგი თითქმის განუწყვეტლივ სარდლობდა ათინის ფლოტს. არისტიდეს სიკვდილის შემდეგ კიონი იყო ის კაცი, რომელსაც შეეძლო სახელმწიფო საქმეების გაძლოლა. მთელს თავის გავლენას იგი ახმარდა კონტინენტზე მშვიდობიანობის დამყარებას და სპარტასთან მეგობრულ განწყობილების ჩამოგდებას. ეს პოლიტიკა გონიერი პოლიტიკა იყო, მაგრამ იგი არ მოსწონდა იმ უკიდურესს დასს, რომლის მეთაური თემისტოკლე იყო და რომელსაც ეხლა მეთაურობდნენ ეფიალტე და პერიკლესი, ქსანტიპეს შვილი: „მშვიდობიანობა ძმებთა შორის, ომი ბარბაროსების წინააღმდეგ“, ამბობდნენ კიონი და მისი მომხრეები. „ათინის ჰეგემონია ხმელეთზე და ზღვაზე და სპარტას შესუსტება“, იყო დევიზი პერიკლესისა და მის მომხრეების.

კიონის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო იმითი, რომ მას უსაყვედურეს, თუ რათ შესცვალა თაზოსის კონსტიტუცია თავისით, მთავრობისაგან ბრძანების მიუღებლად. ამ საქმის გამო კიონს დიდი ჯარიმა გადაახდევინეს. შემდეგ პერიკლესის მეთაურობით მოსთხოვეს აეხსნა, თაზოსის აღების შემდეგ რატომ მაკედონიაზე არ გაილაშქრა. კიონმა თავი გაიმართლა, მაგრამ მის გავლენას და სახელს თან-დათან საფუძველი ეშლებოდა. არ მოსწონდათ კიონის სპარტასადმი სიმპატია, რომელ

საც იგი არ მალავდა, სწამებდნენ სპარტის მიდგომას, მისთვის უპირატესობის მიცემას. კომონს ჩვეულებად სჭირდა, როცა ათინელების დარიგება და ჭკუის სწავლება უნდოდა, იტყოდა ხოლმე „ეგრე არ იქცევიან სპარტანელები“-ო. სპარტაში მომხდარ მიწის ძვრამ და ამაზედ მოყოლებულმა ჰილოტების აჯანყებამ ხელი შეუწყო კომონის მეტოქეების გამარჯვებას. მოუძლოურებული სპარტა ვერას გახდა აჯანყებულებთან, რომელნიც ითომის მთას შეფარებოდნენ, და იძულებული შეიქნა იმდენათ დაემდაბლა თაუი, რომ დახმარება ეთხოვა ათინისათვის. „არ გახსოვთ, სპარტანელებო, უთხრა ერთხელ ლიზასტრატამ, პერიკლადე ლაკედემონელი ფერ-მკრთალი და პორფირით გამოწყობილი რომ მოვიდა და ათინელებს დამხმარე ჯარები სთხოვა? მაშინ მესენია გაწუხებდათ თქვენ და ღმერთი არყევდა თქვენს მიწას“.

ეფიალტე და პერიკლესი წინააღმდეგი იყვნენ რაიმე შემწეობა აღმოეჩინათ სპარტასათვის; მაგრამ კომონი ურჩევდა ათინელებს, საბერძნეთი კოჭლი არ გაეხადათ და ათინისათვის არ წაერთმიათ აუცილებლად საჭირო მეტოქე. ხალხმა კომონს დაუჯერა და სპარტანელებს გაუგზავნეს ოთხი ათასი ჯარისკაცი, რომელნიც დაესწრენ მესენიის ალყის შემორტყმას და მალე შინ დაბრუნდნენ, რადგან სპარტანელებმა ბოლოს აღარ ინდომებს შთაი დახმარება. საქმის ამ გვარმა დაბოლოებებამ კომონის გავლენა სრულებით მოსპო და იგი განაძევეს სამშობლოდან.

13. ომა პელოპონეზებსა და ათინელებ შუა. კომონის დაბნულება და სიკვდილი. როცა ორ სახელმწიფოს შორის ასეთი განწყობილებაა, სრულ განხეთქილებამდე ბევრი აღარ დარჩენილა; და ესეც მალე მოხდა. ეს განხეთქილება გამოიწვია პელოპონეზის ზღვისპურულ ქალაქების შურიანობამ ათინისადმი. როგორც ყოველთვის, ამ შეტაკების დროსაც ზღვაზე ათინელებმა გაიმარჯვეს და ეგინას ალყა შემოარტყეს; მაგრამ ხმელეთზე, ბეოტიაში, ტანაგრას ახლო ისინი დამარცხდნენ, სპარტანელებმა ამ გამარჯვების ნიშნად ოქროს ფარი მიაკიდეს ოლიმ-

პიის ძეგლის ტაძარს. ათინელების მდგომარეობა კრიტიკული იყო; ელოდნენ პელოპონეზლების შემოსევას. პერიკლესმა, რომელიც მეთაურობდა პარტიას ეფიალტეს მოკვლის შემდეგ, თვითონ მოითხოვა კიმონის დაბრუნება. ათინელების საქმე გამობრუნდა: ქ. თება მარტო დარჩა, დანარჩენი ბეოტიის ქალაქები კი ათინას მიემხრენ; ეგინამ თვითონვე დაანგრია თავის კედლები (456), დაანება გემები ათინას და თანახმა გახდა ხარკის გადახდაზე. ამასთანავე დაასრულეს თემისტოკლესაგან დაწყებული საქმე-შეაერთეს ორის დიდის კედლით ქალაქის ზემო და ქვემო ნაწილები. ბოლოს კიმონი ხუთის წლის ზავით შეეკრა პელოპონეზლებს (450). რამდენიმე ხნის შემდეგ კიმონი მოკვდა კიპროსის წინააღმდეგ გალაშქრების დროს.

14. 30 წლის ზავი სპარტასთან. ზავი სპარსელებთან. კიმონის სიკვდილის შემდეგ პერიკლესმა 30 წლის ზავით შეეკრა სპარტას და დაასრულა თავის საქმე სპარსელებთან ომის გათავებით. ათინის ვაჭრობა საჭიროებდა მშვიდობიანობას და უზრუნველყოფას. ხანგრძლივ ომიანობის მიზეზით ერის სიმდიდრე იღუოდა; პერიკლესი მიხვდა ამას და სუზაში გაგზავნა დესპანები სპარსეთის მეფესთან ხანგრძლივ ზავის ჩამოსაგდებად (449 ან 445). იყო თუ არა ნამდვილი ორივე მხრისაგან ხელ-მოწრილი ხელშეკრულება, ის ხელ-შეკრულება, რომელსაც კიმონის სახელს უწოდებენ, თუმცა იმ დროს კიმონი ცოცხალი აღარ ყოფილა? საეჭვოა. თუკიდრე არას ამბობს ამაზედ და ისინი, ვინც იხსენიებს ამ ხელ-შეკრულებას, სულ სხვა და სხვა დროს უჩვენებენ ზავის ჩამოგდებისას. როგორც უნდა იყოს, აი როგორ გადმოქვეყმენ ხელ-შეკრულების უმთავრეს პირობებს: სპარსეთის მეფე ცნობილობს იონიის ქალაქების დამოუკიდებლობას და პირობას სდებს, რომ მისი ჯარი სამი დღის სავალზე მეტს არ მიუახლოვდება ეგეის ზღვის ნაპირს და მისი ფლოტი არ გადასცდება, ჩრდილოეთით შავის ზღვის შესავალს, და მცირე აზიის სამხრეთით ხელიდონის კუნძულებს. იყო ეს ხელ-შეკრულება თუ არა, ეს კი ნამდვილია, რომ ნახევარ საუკუნის ომიანობის შემდეგ დადგა ხანამშვიდო-

ბიანობისა ან, თუ გნებავთ, ხანა ნეიტრალიტეტისა და თავის შეკავებისა; და ეს მოხდა მხოლოდ ათინელების წყალობით.

თ ა ვ ი მ-XV-ბი.

პერიკლესი—ათინის კონსტიტუციის რეფორმა.

საჩქევი: 1. პერიკლესი.—2. პერიკლესის პოლიტიკურ მოღვაწეობის დასაწყისი.—3. მისი გავლენა ათინელებზე.—4. ცვლილებანი სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობილებაში.—5. დემოკრატიული რეფორმები; წილის ყრით თანამდებობის პირების არჩევა;—6. ფულის დარიგება ხალხისთვის.—7. სასამართლოს რეფორმა; ჰელისტიების ინსტიტუტი.—8. არეოპაგის ფუნქციების განაწილება.

I. პერიკლესი. პერიკლესი მდიდარ და დიდის გვარის ოჯახის შვილი იყო. მამა ქსანტიპესი, რომელმაც მიკალესთან ასე გაიმარჯვა მტერზე, ენათესავებოდა პიზისტრატიდებს; დედა აგარისტა ახლო ნათესავი იყო ალკმეონიდ კლისთენესისა. როგორც ვხედავთ პერიკლესმა აკვანშივე იპოვა დიდი სახელი, რომელსაც მოვლა უნდოდა, და ის თან-დაყოლილი გრძნობა ნამდვილ არისტოკრატიულ ოჯახებისა, რომ თუ ქვეყანას უფლება აქვს მოსთხოვოს მათ სამსახური, ამათაც თავის მხრივ უფლება აქვთ წილი ჰქონდეთ ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

პერიკლესი ნამდვილი არისტოკრატი იყო დაბადებით, გარეგან შეხედულებით და გემოვნებითაც, მაგრამ დემოკრატიულ პრინციპების აღმსარებელი შეიქნა, რადგან ამას მოითხოვდა გონიერება და პირადი სარგებლობაც. მიუხედავად ამისა და ბრბოსთან დაახლოვებისა პერიკლესს სიკვდილამდე შერჩა ნამდვილი დიდ-კაცური სიამაყე და გარეგნობა, რომელიც ჩამომავლობამ და აღზრდამ შესძინა. იგი კარგი ტანადი და ლამაზის სახის კაცი იყო; ცოტა თავი კი ჰქონდა მოზრდილი და ამიტომაც თანამედროვე კომიკები ხშირად დასცინოდნენ მას ამ ნაკლს; ერთი ამათვანი კრატინოსი „ხახვ-თავა ძვესს“ ეძა-

ხოდა; თვალებისა და ტუჩების გამომეტყველება მტკიცე და სასტიკი ჰქონდა, მიხვრა-მოხვრა და მანერები დინჯი და აუჩქარებელი. პერიკლესი უფროხილდებოდა თავის ღირსებას და



პერიკლესი

ამიტომ იგი არასოდეს არ იტყოდა მეტ სიტყვას და არასოდეს არ აჩქარდებოდა, ისე ყველაფერი მოზომილი ჰქონდა.

სანამ სახელმწიფოს მართვა-გამგეობას შეუდგებოდა, პერიკლესმა მეტად ვრცელი განათლება მიიღო. მის დროის საუკეთესო მასწავლებელნი ასწავლიდნენ მას: სოფისტი და მუსიკის მცოდნე დამონი, რომელიც ოსტრაკისმის მსხვერპლი შეიქმნა, ელეელი ფილოსოფოსი ზენონი, აბდერელი პროტაგორასი და განსაკუთრებით სახელოვანი ანაქსაგორასი, რომელიც კლაძომენიდან იყო. ასეთის მასწავლებლების წყალობით პერიკლესი საკვირველად ვცელის განვითარების პატრონი შეიქმნა და მისი გონება სრულებით თავისუფალი იყო იმ დროის ხალხის ცრუ-შეხედულებისა და ცრუ-მორწმუნეობისაგან. ერთხელ, როცა პერიკლესი ნავით მიდიოდა, მზემ დაბნელება იწყო; ზღვაოსნები შიშმა აიტანა. პერიკლესმა თავის მოსახურავი ჩამოუთარა თვალ-წინ ერთ მათგანს და ჰკითხა—„არის აქ რამე სა'მიში?—“—არა, უპასუხა. ზღვაოსანმა,—„კარგი და რა განსხვავებაა ჩემ მოსახურავსა და იმას შუა, რაც მზეს აბნე-

ლებს, თუ არ ის, რომ მზის დაბნელების მიზეზი უფრო დიდია ჩემს მოსახურაზე!“ პერიკლესი არ შესდგომია სამეცნიერო კვლევა-ძიებას, შეძენილი ცოდნა მისთვის საჭირო იყო როგორც საშუალება თანამემამულეებზე გაბატონებისა და ათინის მართვა-გამგეობისა.

2. პერიკლესის პოლიტიკურ მოღვაწეობის დასაწყისი.
 პერიკლესის პირველი ნაბიჯები პოლიტიკურ ასპარეზზე მოზომილი და მეტად ფრთხილი იყო: მას მოქმედების დაწყებამდისაც ეჭვის თვლით უყურებდნენ; როცა მოხუცი ათინელები მის სახეს უკვირდებოდნენ და მის ლაპარაკს ყურს უგდებდნენ, პიზისტრატე აგონდებოდათ და თავს აქნევდნენ. ამასთან იგი მდიდარი იყო და ძლიერი მეგობრებიც ჰყავდა. ყველა ეს სრულებით საკმარისი საბუთები იყო, რომ პერიკლეს მოქმედების დაწყებამდისაც შიში ჰქონოდა ოსტრაკისმის მსხვერპლად გახდომისა. არისტიდემ მოკვდა, თემისტოკლესი განდევნეს, კიმონი მუდამ ომის ველზე იყო და ამ გვარად ათინის ასპარეზი სრულებით თავისუფალი იყო ახალის მოღვაწეებისათვის, მაგრამ პერიკლესი მაინც დიდის სიფრთხილით იქცეოდა. როდესაც იგი საბოლოოდ დემოკრატიულ პარტიას მიეკედლა, მიხვდა, რომ ყველაზედ უფრო იგი უნდა უფრთხოდეს შურს, ამ ნაკლს დემოკრატიისას. ამიტომაც სცდილობდა არსად საზღვარს არ გადასულიყო და მესი ქცევა ყოველად უნაკლო ყოფილიყო. მას ჰქონდა ერთი ღირსება, რომელიც აკლდა ყველა მის წინამორბედ მოღვაწეებს, გარდა არისტიდესა: იგი შეუსყიდავი და ყოველად უანგარო კაცი იყო და ეს იყო ერთი მიზეზთაგანი მისი ძლიერებისა. მეორე თვისებაც დიდ მსახურს უწევდა მას: იშვიათად გამოდიოდა ხალხში და სახალხო კრებებში, რისთვისაც მას ოხუნჯები სახელმწიფო გემს „სალამინს“ ადარებდნენ: „სალამინი“ მხოლოდ დიდ შემთხვევებში გამოჩნდებოდა. მჭერმეტყველება მისი ანაქსაგორას ხელმძღვანელობით, ადვილად აღიოდა სილიადემდე რამაც მას ოლიმპიელის სახელი დაუმსახურა. როცა სახალხო კრებაზე ლაპარაკობდა, გრგვინვა და ელვა-ქუხილი ის-

მოდა. მაგრამ გარდა ამ გატაცებისა და სიძლიერისა, რომელიც უკან ახევინებს მოპირდაპირეს, პერიკლესს ჰქონდა მეორე ღირსებაც—გამძლეობა, რომელიც ღალავს მოპირდაპირეს. „როცა მე ვებრძვი მას და დავსცემ კიდევ ძირს, ამბობდა ერთი მისი მეტოქეთაგანი, იგი ამტკიცებს, რომ წაქცეული არ არის და ბოლოს მსმენელთაც დააჯერებს.“

3. მისი გავლენა ათინელეებზე. ესეთი იყო კაცი, რომელიც მართავდა ათინას 40 წლის განმავლობაში და რომელმაც სამართლიანად მთელი საუკუნე მონათლა თავის სახელით. მაგრამ საკვირველი ამ პოლიტიკურ მოღვაწის ცხოვრებაში ის არის, რომ მას არასოდეს არ ჰქონებია არც ერთი მალალი თანამდებობა სახელმწიფოში და ათინის მთელი პოლიტიკა და ადმინისტრაცია კი სრულს მის გავლენის ქვეშ იყო. ერთად ერთი თანამდებობა, რომელიც მას ხედა, იყო თავის უბნის სტრატეგობა. თუკიდრემ რამდენიმე სტრიქონით ახსნა ბუნება პერიკლესის საკვირველის გავლენისა ათინელებზე: „უმაღლესად კეთილშობილი ხასიათი, ღრმა და ვრცელი გონება და სრული უანგარობა იყო მიზეზი პერიკლესის ასეთის გავლენისა ათინელებზე. იგი მმართველი და ხელმძღვანელი იყო ბრბოსი, მაგრამ თვითონ კი თავისუფალი იყო.“ გარდა ამისა პერიკლესს ხელს უწყობდა ას გარემოებაც, რომ მას მალალი თანამდებობა არ ეჭირა: ამით იგი დამოუკიდებელი იყო თავის პარტიისაგან, არ ემონებოდა მას, იმ დროის სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებსავე. პერიკლესი ამით ყველა მათზე მალლა იდგა.

4. ცვლილებანი სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობილებაში. პერიკლესი მონაწილეობას იღებდა ყველა იმ ცვლილებებში, რომელიც ამ დროს განიცადა ათინის სახელმწიფო წყობილებაში; მაგრამ ძნელია გამოიჩვენო, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს მონაწილეობა იმ შინაურ რეოლიუციაში, რომელიც გარემოებათა მიზეზით აუცილებელი შეიქნა. დემოკრატიული მიმართულება, რომელსაც ფრთხები შეასხა სპარსელებზე გამარჯვებამ, რასაკვირველია, ვერ აიტანდა უპი-

რატესობას და პირველობას იმ არისტოკრატიისას, რომელიც ხშირად ვერ ასწვდებოდა ხოლმე თავის მდგომარეობას. გარდა ამისა ათინა თან-და-თან სრულებით ზღვის ქალაქად გადაიქცა და თავიდან იშორებდა ძველ ბერძნულ ტრადიციების გავლენას; პირვის მცხოვრებთა რიცხვი და მნიშვნელობა შესამჩნევად გაიზარდა. სპარტასთან ბრძოლა ცალსა ატანდა ათინას იმ გზას დამდგარიყო, რომელიც ასე არ მოსწონდა მის მეტოქეს.

5. დემოკრატიული რეფორმები: მაგისტრატების წილის ერთ აჩქევა. ძველ წყობილების შეცვლა პირველად არისტიდესმა დაიწყო. მისის ინიციატივით მოსპეს წესი, რომლის მიხედვით მაგისტრატისათვის საჭირო იყო ქონებრივი ცენზი. ამის შემდეგ ყოველ ათინელს, თუ იგი კანონიერად იყო შეტანილი მოქალაქეთა სიაში, შეეძლო მაგისტრატად ყოფნა; ეს იყო პოლიტიკურ თანასწორობის დაარსება. დიდ-კაცობისა და მდიდრების მთავრობას ადგილი უნდა დაეთმო დემოკრატიისათვის ან ხალხის მთავრობისათვის (478 წელს); მაგრამ კანონი ხომ იმას ვერ იზამდა, რომ სიმდიდრეს მაინც თავის გავლენა არ შეერჩინა ღარიბ და ღატაკ ხალხზე. ხალხის სრულის განთავისუფლებისათვის საჭირო შეიქნა სხვა ზომებიც; ამ ახალ ზომების შემომღებნი იყვნენ პერიკლესი და ეფიალტე, რომელთაც, პლატონის სიტყვით, უზომოთ ასვეს ხალხს თავისუფლების ფიალა.

ახალის წესით, არხონტებსა და სხვა მაგისტრატებს ირჩევდნენ წილის ყრით და არა თვით ათინელები; ნაკლი ამ სისტემის არჩევანისა ის არის, რომ უბრალო შემთხვევას აქვს მინდობილი თანამდებობის პირის არჩევანი; მისი კარგი მხარე ის არის, რომ იგი სპობს საარჩევანო ინტრაგებსა და შფოთს, რომელიც ასე ხშირია სახალხო არჩევნებში. გარდა ამისა სახალხო კრებებზე ხომ ყველას შეეძლო ლაპარაკი და თუ შემთხვევა მაგისტრატის გარეშე სტოვებდა ვინმე ღირსეულ პირს, აქ შეეძლო მას გამოეჩინა ძალა და ეს თუ ის მიმართულება მიეცა ხალხის გადაწყვეტილებისათვის. პერიკლესი არასოდეს არხონტი არ

ყოფილა, მაგრამ იგი ათინის სრული ბატონი იყო დიდის ხნის განმავლობაში.

6. ფულის დარღვევა ხალხისათვის. მაგისტრატის წილის ყრით არჩევასა და დემოკრატიულ წყობილების დამყარებას მოჰყვა მძელი წყება დემოკრატიულ ღონისძიებათა, რომელიც პერიკლესმა და მის შემდეგმა მოღვაწეებმა შემოიღეს. პოლიტიკურ თანასწორობის არსებობა მანამდე საეჭვო იყო, სანამ ღარიბი მოქალაქე დამოკიდებული იქნებოდა მდიდარ ხალხის ჯიბისაგან. საჭირო იყო ღარიბის განთავისუფლება ამ დამოკიდებულებისაგან და ამის შესრულება არც ისე ძნელი იყო. ათინის ჰავა სასტიკი არ იყო და ათინელს ბევრი მოთხოვნილება არ ჰქონია; ამიტომაც ასე ადვილი იყო უღარიბეს ათინელისაგან უბედნიერეს რანტიესა *) და ნამდვილ მოლაცხის შექმნა. სახელმწიფომ მიიღო თავის თავზე ხორბლისა და პურის არსებულ ფასებზე დაბლა გაყიდვა. დღესასწაულებზე, რომელთა რიცხვი გამრავლდა, უფასოდაც ურიგებდნენ ხალხს სანოვაგეს; დღესასწაულებთან ერთად მოიმატა სარწმუნოებრივ ნადიმების რიცხვმაც და ამ ნადიმებზე ხალხს უფასოდ ეძლეოდა შეწირულ მსხვერპლების ხორცი. კიდევ უკეთესი და უარესი ღონისძიება შემოიღეს: ჯერ მარტო დიონისიოსის დღესასწაულზე, შემდეგ უფრო ხშირადაც ურიგებდნენ ხალხს ორ-ორ ობოლს (11 კაბ.) და მეტსაც. ეს იყო ის „თეორიკა“ ან დღესასწაულებზე თეატრში შესასვლელი ფულის დარიგება, რომელის შემოღებას ასე უსაყვედურებდნენ პერიკლესს, რომელიც მხოლოდ საშუალება იყო ღარიბის მდიდრის გავლენისაგან განთავისუფლებისა.

თუ ხალხს სიამოვნებისთვის აძლევდნენ ფულს, საჭირო იყო ეგრეთვე მისი დაჯილდოვება იმ სამსახურისათვის, რომელსაც იგი სახელმწიფოს უწევდა. ამიტომაც შემოიღეს ჯამაგირი ჯარის კაცისათვის—4 ობოლი (22 კაბ.) და სახალხო კრებაზედ დასწრებისათვის, ჯერ ერთი და შემდეგში სამი ობოლი (16 კ.).

*) უზრომლად, მხოლოდ თანხის სარგებლით მცხოვრები.

ეს პატარა ჯილდო დახარჯულ დროისა და შრომისათვის ღირბს შეძლების აძლევდა მეტის ბეჯითობით მოჰკიდებოდა საქმეს; ეს ზომა ჰგავს საფრანგეთის პარლამენტის წევრებისათვის ჯამაგირის დანიშნას; და რას წარმოადგენდა ათინაში სახალხო კრება, თუ არ იმავ პარლამენტს, რომლის წევრები იყვნენ ყველა ნამდვილი ათინელები (ჩამომავლობით და დაბადებით); ათინელებზე დაბლა იდგნენ მოკავშირენი, რომელთა წარმომადგენლები და მმართველნი ისინი იყვნენ, ამიტომ არც საკვირველია, რომ ათინელის თვალში მოკავშირე არ იყო მისი თანასწორი.

7. საძმართლის რეფორმა; ჰელიასტების ინსტიტუტი. თუ დასაჯილდოებელი იყო სახალხო კრებაში შრომა, ასევე დასაჯილდოებელი იყო მოსამართლეობაც. თავდაპირველად თვით სახალხო კრება იყო ერთად-ერთი სასამართლო; შემდეგ კი, როცა ცხოვრება გართულდა და სასამართლოსაც საქმე მოემატა, სახალხო კრება გადაიქცა სასამართლოს უმაღლეს ინსტანციად—სააპელაციო დაწესებულებად. ჩვეულებრივ სასამართლოს კი წილისყრით არჩეული მოქალაქენი შეადგენდნენ. მოსამართლე 30 წელზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. სასამართლოს წევრი ფიცს სდებდა, რომ იგი იქნებოდა კანონის მიუდგომელი დამცველი. სასამართლოს სახელი იყო ჰელიეია და წევრსაც ჰელიასტს ეძახოდნენ. ჰელიასტები 10 ნაწილად იყვნენ გაყოფილი და თითოეულ ნაწილს დიკასტერია ერქვა. დიკასტერიები ან ცალკ-ცალკე მოსამართლეობდნენ ან ერთად შეერთებულნი. სათადარიგოდ 1000 მოსამართლე იყო დანიშნული იმ შემთხვევებისათვის, თუ ვინმე ან ავად გახდებოდა, ან მოკვდებოდა. როგორც ვხედავთ, ჰელიასტები როგორც ჩამომავლობით, ისე თავის დანიშნულებითაც ევროპეელების ნაფიცთა სამსაჯულოა.

მაგრამ ჰელიასტები მარტო მოსამართლეები არ ყოფილან: მათ ხელთ იყო აგრეთვე ხელშეკრულებათა დამტკიცება, განსაზღვრა მოკავშირეთა გადასახადის რაოდენობისა, სახალხო კრების მიერ მიღებულ კანონების განხილვა და აზრის გამო-

თქმა იმაზედ, ღირსია თუ არა არჩეული ათინელი თავის თანამდებობისა. არჩეულ პირებისათვისაც შეეძლოთ ჰელიასტებს ანგარიშის მოთხოვნა. ჰელიასტებს ფინანსიურ კითხვებშიაც ჰქონდათ ხმა და ამათი თანხმობა იყო საჭირო ყოველ იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ვისმე ხანგრძლივის პირობით ეკვრებოდა. ამ გვარად ჰელიასტები წარმოადგენდნენ მუდმივ და განუწყვეტელ მაგისტრატურას, რომელსაც ჰყავდა საგანგებო კომიტეტი—ნომეტეტები.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ათინელ მოსამართლეებსავე ეხებოდა პოლიტიკური და სისხლის სამართლის საქმეებიც, ადვილად წარმოვიდგენთ, რომ ისინი ყელამდე საგვ ეყვნენ სხვა-და-სხვა საქმეებით. დილით, როცა მოსამართლეთა ჯარი (მცხოვრებლების მეთაფი) დაიძროდა სასამართლო ადგილებისაკენ, ქალაქი ვრცელ სასამართლოს დაემგავსებოდა. არისტოფანეს, რომელსაც არ მოსწონდა სამართლის ახალი წესი, სიამოვნებით გამოჰყავს ისინი თავის კომედიებში მათხოვრებად ან გამოსულელებულ ბებრებად. მისი კომედია—„კრაზანები“ მწარე დაცინვაა ჰელიასტებისა და სამართლის ახლის წესისა: ფილოკლეონი, ხსენებულ კომედიის ჰელიასტი, განუწყვეტელ მოსამართლეობით გამოსულელებული მეტიჩარაა. „განა არის ვინმე ისეთ ნეტარებაში, როგორც მოსამართლე? ვინ არის ისეთი ამ ქვეყანაზე, რომ მისოდენა სიტკბოება იგემოს ან მასავით საშიშარი იყოს? ავდგები თუ არა დილით, ძლიერნი ამა ქვეყნისანი სასამართლოს კარებზე მელიან; რაც უნდა შორიდან შემამჩნიონ, ჩემსკენ მოისწრაფვიან, ტკბილად ხელს მართმევენ, დაბლა თავს მიკრავენ და ხვეწნის კილოთი მემუდარებიან—ჩვენო მამავ, შეგვიბრალე, გაფიცებთ იმ სარგებლობას, რომელსაც შენ თვით ნახავდი, რომ თანამდებობის პირი ან ჯარის სურსათის იჯარადარი ყოფილიყავი—და იმას, ვინც ასე მელაპრაკება, არცაჲ ეცოდინებოდა ჩემი არსებობა, რომ პირველად იგი არ გამემართლებია“. მაგრამ არისტოფანესს ბევრი არ დაეჯერება—იგი არისტოკრატების ვეჟი

ლია. ყველა ჰელიასტი ფილოკლეონს როდი ჰგავდა. რაც შეეხება ჯილდოს, რომელსაც მოსამართლე იღებდა, აქ ასაშფოთებელი არა არის რა. მთელის დღის მოსამართლეობაში ათინელი 3 ობოლს (16 კაპ.) იღებდა—ერთს ფქვილის ან პურის საყიდლად, ერთს შეჭამანდისათვის და ერთსაც შეშისათვის, რომ თვითონვე მოემზადებინა თავისი სადილი. ეს ფული, უქვევლია, საკმარისი იყო ათინელ მოსამართლესათვის, მაგრამ საექვო კია რომ თვით არისტოფანესი, რომელიც მუდამ დასცინის ამ სამ ობოლს, დაკმაყოფილებულიყო ასეთის მცირედის სასყიდელით.

8. არეოპაგის ფუნქციების დანაწილება. რეფორმა, რომელმაც ასე განაგრძო ჰელიასტების სამოსამართლო და საპოლიტიკო მნიშვნელობა, შევსებულ იქმნა ერთის ახალის ზომით, რომელიც იმავ დემოკრატიულ მიმართულების შედეგი იყო. არეოპაგი, რომელსაც იმ თავითვე არისტოკრატიული და რეტროგრადული მიმართულება ჰქონდა, აღარ დარჩა ათინის უაღრეს საბჭოდ; საზოგადო და კერძო ცხოვრების ყოველ მოვლენის ცენტურისა და თვალყურის გდების უფლება მას წაერთვა; შერჩა მხოლოდ მოსამართლეობის უფლება სასისხლო საქმეებში. ამ შემთხვევებში ცოდვის გამოსყიდვა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერინიების კულტის საიდუმლო წესების აღსრულებით და არეოპაგის წევრები კი ამ ღმერთების მსახურები იყვნენ. არეოპაგის მაგიერ სენატის, სახალხო კრებისა და თანამდებობის პირთა თვალ-ყურის მგდებელი შეიქნა ახალი კოლეგია ნომოფილაკებისა (კანონის დარაჯები), რომელთა რიცხვი შვიდი იყო.

თ ა ვ ი მ-XVI-მ

პელოპონეზის ომიანობა პერიკლესის სიკვდილამდე.
(431—429).

საჩჩევა. 1. პელოპონეზის ომიანობის შკაცრი და სასტიკი ხასიათი. 2. მებრძოლთა ძალები. 3. ომიანობის დაწყება. 4. პოტიდეას საქმე. 5. კორინთი და პელოპონეზის ლიგა. 6. პერიკლესი აიძულებს ათინელებს ომის გამოცხადებას. 7. თებელების შეპარვა პლატეაში. 8. ათინაში იგრძენეს ომიანობის პირველი სიმძიმენი. 9. პელოპონეზლების შემოსევა ატიკაში. 10. შავი ჭირი ატიკაში. ხალხი უკმაყოფილოა პერიკლესისა. 11. პერიკლესის უკანასკნელი დღეები.

1. პელოპონეზის ომიანობის შკაცრი და სასტიკი ხასიათი. პელოპონეზის ომიანობა გაგრძელდა, თითქმის შეუწყვეტლად, 431 წლიდან 404-მდე. მიზეზი ომიანობისა იყო სპარტასა და ათინას ცილაობა პირველობისათვის, საპერძნეთის ჰეგემონიისათვის; მაგრამ მონაწილეობას ღებულობდნენ მასში არა მარტო ეს ორი ქალაქი—თითქმის მთელი ჰელადა ჩერია გატაცებით ამ ბრძოლაში. ძველმა შურმა დორიელებსა და იონელებ შუა, ბერძნების სიყვარულმა განხეთქილებისადმი, დავლის შოვნის სურვილმა აღმართა ბერძენი ბერძნის წინააღმდეგ. 27 წლის განმავლობაში საბერძნეთის მიწა ირწყვებოდა ბერძნის სისხლით; ბრძოლა შკაცრი და შეუბრალებელი იყო, როგორც ყოველი შინაური ბრძოლა, რომელშიაც მეომარი უფრო შურისძიების სურვილის დაკმაყოფილებას ეძებს, ვიდრე მოვალეობის მტკიცე ასრულებას.

2. მებრძოლთა ძალები. სპარტას მხარე ეჭირა პელოპონეზის თემებს გარდა არგოსისა და აქაიისა, რომელნიც ბრძოლის გარე დარჩნენ; მისივე მხარეზე იყვნენ შუა საბერძნეთის

პატარა თებებიც აკარნანის, ნაუპაკტის და პლატეას გარდა; ათინას მიემხრნენ ეს უკანასკნელნი და მისი მოკავშირენი და ქვეშევრდომნი ეგეის ზღვაზე და მცირე აზიაში. ძნელი მისახვედრი იყო, თუ რითი გათავდებოდა ეს ომიანობა: თუ სპარტას ხმელეთის ჯარი ძრეელი ჰყავდა (60,000), ზღვაზე პირველობა ათინასი იყო (300 ტრირემა). რაც შეეხება ფინანსებს, მებრძოლთა შეძლება ერთნაირი არ იყო. ათინა უფრო მდიდარი იყო: მის განკარგულებაში იყო დიდ ძალი ქონება (16¹/₂ მილიონი მანეთი). სპარტა ღარიბი იყო, მაგრამ სპარსეთის მეფის ქისა მისთვის ღია იყო. და რწორედ ეს იყო უმავნებელესი შედეგი ამ ომიანობისა, რომელიც ასე მდიდარი იყო უბედურებით.

3. ომიანობის დასაწყისი. ომი პირდაპირ სპარტასა და ათინას შუა არ დაწყებულა: სპარტას ეზარებოდა მშვიდობიანობის დარღვევა და ათინას კი შიში ჰქონდა პასუხის გებისა— არაფერ იცოდა, როდის ან როგორ გათავდებოდა ომი. საბერძნეთის მეორე ზღვისპირული ქალაქი კორინთი ორმოცი წლის განმავლობაში შურით უყურებდა ათინის ზრდასა და განვითარებას. სავაჭრო კონკურენციამა და ლიგის დაარსებამ განდევნა კორინთი ეგეის ზღვიდან; მას დარჩა მხოლოდ დასავლეთი. მაგრამ აქაც გაუჩნდნენ მას მეტოქეები: მესენიელების ახალშენი ნაუპაკტი კორინთის უბის შესავალის ბატონი იყო და თვით კორინთელების უდიდესმა ახალშენმა იონიის ზღვაში-კორცირამ დაივიწყა თავისი მოვალეობა მეტროპოლის (დედაქალაქი) წინაშე—უმადური კორცირელი ვაჭრები არ აგზავნიდნენ ჩვეულებრივ საჩუქრებს კორინთის დღესასწაულებზე და არ ირჩევდნენ კორინთელ ქურუმს თავმჯდომარედ თავიანთ დღეობების დროს. ასეთი საქციელი შურის ძიებას თხოულობდა; მაგრამ საჭირო იყო მოჭერხებული შემთხვევა. ამისთანა შემთხვევაც 435 წ. იშოვეს. ახალშენი ეპიდამნი, რომელიც კორცრელებმა და კორინთელებმა ერთად დაარსეს ილირიის ნაპირზე, დიდ განსაცდელში იყო ამ დროს და დაიღუპებოდა კიდევ, რომ კორინთი არ ჩარეულიყო საქმეში. შურთანა კო-

რცირამაც აისხა იარაღი კორინთელების წინააღმდეგ და ომიც გაჩაღდა. ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომ ომიანობა მარტო მეტროპოლისა და მის ახალშენს შეხებოდა. კორცირა გრძნობდა თავის სისუსტეს და დახმარების საშოვნელად ათინაში ელჩები გაგზავნა; ამათ უკან გაჰყენენ კორინთის ელჩებიც. სახალხო კრებაზე ილაპარაკა ორივე მხარემ და თითოეული მათგანი სცდილობდა თავისი გაეტანა. კამათიდან გამარჯვებული კორცირა გამოვიდა და ათინელების სამხედრო ფლოტმა მონაწილეობაში მიიღო კორინთელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს თითქმის ამგვარივე ამბავი საბერძნეთის მეორე კუთხეში მოხდა.

4. **პოტიდეას საქმე.** პოტიდეა კორინთის ახალშენი იყო ხალკიდის ნახევარ კუნძულზე, თრაკიაში. ამ ახალშენის მდგომარეობა გარკვეული ვერ იყო: ერთის მხრივ, იგი იყო წყვირი ატიკის კონფედერაციისა, მეორეს მხრივ, კორინთი უგზავნიდა მას ყოველ წელს უმაღლესს მაგისტრატს, რომელიც სათემო კრების საპატიო თავმჯდომარე იყო. ათინისა და კორინთის დამოკიდებულება იმდენად გამწვავებული იყო, რომ პოტიდეა იძულებული იყო გადაწყვეტილი არჩევანი მოეხდინა. მიკედონიის მეფეს პერდიკას დიდი ინტერესი ჰქონდა განედევნა ათინელები ამ მხრიდან და ამიტომ იგი იმდენს ეცადა, რომ პოტიდეამ მეტროპოლი აირჩია. ეს მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს ათინელები და კორინთელები და კორინთელები ეხლაც დამარცხდნენ. ეს მეტი იყო და კორინთელებმაც სპარტას მიჰმართეს.

5. **კორინთი და შეფოპონეზის ლიგა.** სპარტა თავის ჩვეულებისამებრ არ ჩქარობდა. პირველად მან მოიწვია ყველა უკმაყოფილონი თავ-თავიანდ; საჩივარის სათქმელად: ეგინელები, მეგარელები, რომელთაც ათინელები არ უშვებდნენ მათ ბაზარზე, და კორინთელები. განსაკუთრებულის სიმწარით ჩიოდნენ ათინაზე. „დაგვეხმარეთ, ლაკედემონელებო; თქვენ მეგობრებსა და ძმებს ნუ მიგვცემთ თქვენს უსაშინელეს მტრის ხელში. ნუ გვაიძულებთ, რომ სასოწრკვეთილებმა სხვა მო-

კავშირე მოვსძებნოთ!“ ზთინის ელჩებმა, რომელიც შემთხვევით სპარტაში იყვნენ, ცხარედ უპასუხეს კორინთელებს; მაგრამ სპარტიატებს საქმე გათავებული ჰქონდათ; ათინელები დამნაშავედ იცვნეს და მაშასადამე მორიგებაც დარღვეული იყო. სპარტიატებმა გაგზავნეს კაცი დელფში საკითხავად, დაიწყონ ომიანობა თუ არა. დელფის მისანმა, რომელიც ამ დღეს „ლაკონელობდა“, დაარწმუნა სპარტა, რომ იგი გაიმაჯგვებს. მისწის ამ წინასწარმეტყველებამ, ლაკედემონელების ქცევამა და კორინთელების მხურვალე სურვილმა აიძულეს მოკავშირეები ომის დაწყების მომხრენი გამხდარიყვნენ.

6. პერიკლესი აიძულებს ათინელებს ომის გამოცხადებას. მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო და ამას კარგად გრძნობდნენ ათინაში. ზოგიერთებს კიდევ იმედი ჰქონდათ, რომ შესაფერის დათმობით შეიძლებოდა მშვიდობიანობა კიდევ არ დარღვეულიყო. ომის მომხრენი და პერიკლესი კი ამტკიცებდნენ, რომ ეგ შეუძლებელი იყო. პერიკლესმა ყველასათვის ცხადათ და გარკვეულად ილაპარაკა ამ საგანზე. მე ომის მომხრე ვარო, განაცხადა მან, რადგან ომის თავიდან აცილება შეუძლებელია და ერთი დათმობა მეორეს გამოიწვევს; მეორე მესამეს და სხვა. რაც შეეხება ომისთვის მზად ყოფნას, ათინას მოწინაღმდეგეზე მეტი ფლოტი და ფული აქვს; ათინის ზღვის პირული და თითქმის კუნძულოვანი მდებარეობა ხომ უეჭველ უპირატესობას აძლევს მას მომავალ ბრძოლაში. მაგრამ პერიკლესი პირფერი და ხალხის მომტყუებელი თავის დღეში არ ყოფილა და ამიტომ მან პირდაპირ სასტიკის სიმართლით გამოუცხადა მას, რომ ყანები და სახლები ატიკის ტერიტორიისა გადამწვარ-გადაბუგული იქნება: „ნუ ივიშებთ ყანების გაოხრებასა და სახლების დანგრევის გამო; იფიქრეთ და გახსოვდეთ ადამიანები; ქონება როდი იძენს ადამიანს, არამედ ადამიანი ქონებას; რომ ვიცოდეთ დამიჯერებდეთ, გირჩევდით თქვენისავე ხელით აგეოხრებინათ ყანები და გეჩვენებინათ ლაკედემონელებისათვის, რომ ამისთანა რამეებისათვის თქვენ მათ არ დაემორჩილებით“.

7. **ოქებლების შეზანგა ზღატკაში.** ათინელებმა მოიწონეს პერიკლესის რჩევა და ომიანობაც დაიწყო. საქმე დაიწყო პირველად შუა საბერძნეთის ქალაქმა თებამ, რომელსაც საშინლად სძულდა ათინელები და რომელშიაც ბატონობა ამ დროს არისტოკრატებს ეკუთვნოდა. გაზაფხულის ერთ ბნელ ღამეს (431 წ.) 300 თებელი პოპლიტი გაემართა პლატეასაკენ, რომელიც ათინას მოკავშირე იყო; ღამე მეტად ბნელი იყო, თან კოკისპირული წვიმა ასხამდა და თებელებსაც სრული იმედი ჰქონდათ გამარჯვებისა. პლატეას კარიც მოღალატემ გაუღო მათ და შუა მოედანზე გაჩნდნენ; მაგრამ აქ თებელებს ვაჟკაცობამ უღალატა—არ იცოდნენ საით წასულიყვნენ, რა დაეწყათ. ამასობაში პლატეელებმა ყველაფერი შეიტყვეს და დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყველა თებელებს ეცა. თებელებმა გაქცევა დააპირეს, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა—ქალაქის კარები დაკეტილი დახვდათ. ბევრი იმ ღამეს ამოწყდა და დანარჩენი 180 ტყვე მეორე დილას გულ-გრილად და აღვშფოთებულად დახოცეს. ეს იყო დასაწყისი იმ საშინელ ხოცვა-ჟლეტისა, რომელმაც ასეთი ჩირქი მოსცხო მთელ ამ ომიანობას.

8. **ათინელებმა იგრძნეს ომიანობის შინგელი სიმწელება.** უკან დახევა შეუძლებელი ღა იყო; ათინამ გაგზავნა გარნიზონი პლატეაში, მოუწოდა მოკავშირეებს და ფლოტი საომარ ფეხზე დააყენა. მაგრამ ომიანობის სიმწარემ უკვე აგრძნობინა მას თავისი თავი. პერიკლესის რჩევით, ატიკელმა გლეხებმა თავი მიანებეს შოსახლობას და ათინისაკენ გაეშურნენ. სანოვაგით და ავეჯეულობით დატვირთული ურმები ყოველ დღე მიდიოდნენ ქალაქში. შემოხიზნული ხალხი—მოხუცები, ქალები, ბავშვები—ათინის მოედნებზე იყვნენ დაბანაკებული. ჩვეულებრივ ცხოვრებასა და სოფლის ჰაერს მოწყვეტილთ ატიკელი ცუდად გრძნობდა თავს ათინაში; მისთვის ამ გვარი მდგომარეობა მარტო გაღარიბებას როდი მოასწავებდა, მას სიკვდილიც მოელოდა. რამდენი მათგანი ამბობდა ოხვრით არისტოფანის კომედიის მომქმედ პირთან ერთად: „სურვილი ცეცხლს

მიკიდებს წავიდე სოფელში და შევანძრიო ამდენის ზნის მიტოვებული მიწა. გახსოვთ, მეგობრებო, ის ბედნიერი ცხოვრება, რომელიც მშვიდობიანობის დროს გვქონდა? გახსოვთ ინდის ხურმით სავსე კალათები, მირტი, ტკბილი ღვინო, ნაზი იაწყაროსა და ზეთის ხილი, რომელიც ასე გვენატრება?“

ქალაქში დიდი ხმაურობა და მოუსვენარობა იყო; გზათინასა და პიერეის შუა გაჭედილი იყო ყოველგვარ ურმებით, თვით ნავსადგურში განუწყვეტლივ გახურებული მუშაობა იყო; „აქ ყოყოჩა ჯარის-კაცების ბრბო, იქ კამათი ტრიერქასის არჩევის გამო, მესამე ადგილს ჯამაგირის დარიგება ან ათინის ძეგლის მოოქვრა; ბრბო საშინლად ხმაურობს ბაზარში, სადაც დიდძალი პური, ტიკები, სანავოსნო ნიჩბების თასმები (ღვედები), ბოჭკები, ნიორი და ხახვი და ზეთის ხილი ჰყრია; ყველგან გვირგვინები, სარდინიის თევზი და მოქანცული ფლეიტის დამკვრელი ქალები სჩანან! არსენალში ლურსმების მიჭედვა, ნიჩბების ნაგებზე მიკვრა; ყურთა სმენა აღარ არის სტვენისა და ფლეიტის და სალამურის ხმისაგან, რომელიც მუშებს ამხნევენს“.

9. ჰელოპონეზლების შექმნევა ატიკაში. პერიკლესის წინასწარმეტყველება მალე ასრულდა. მტრის რაზმები შემოესია ბარს, სადაც ყანები უკვე სამკალი გამხდარიყო. ციხის ზემო ნაწილიდან ათინელი ხედავდა სოფლებში დაბანაკებულ ჯარებს. გლეხები სიმწარისაგან ხელებს იმტვრევდნენ, როცა მოაგონდებოდათ, რომ სახლები ეწვისთ, რომ ყანები და ვენახები წელს მათ არას შემოუტანდა. შეურყეველი პერიკლესი ნებას არა ძლევდა ათინის ჯარს ქალაქიდან გასულიყო და მტერს შეებოდა. დიდებულ მოღვაწეს აგინებდნენ, საშინლად შეურაცხყოფდნენ და ცილს სწამებდნენ. ამის მიზეზი გარდა უვიცობისა და სასოწარკვეთილებისა, შურიც იყო. ყველაზე მალლა ჰყვიროდა დემოკრატი კლეონი, რომელიც თავის თავს პერიკლესზე მაღლა აყენებდა. მტერმა მხოლოდ მაშინ დაანება თავი ათინას, როცა გაიგო, რომ ათინელების ფლოტი პელოპონეზის ნაპირებისაკენ გაემართა, სადაც მან ელიდის მდიდარი მემამულე-

ები გაძარცვა, და კუნძულ კეფალონიასთან მივიდა. ამავე დროს ათინელებმა სასტიკი ზომები იხმარეს ეგინის წინააღმდეგ, რომელსაც პერიკლესი „პირის თვალის ბისტს“ ეძახდა: მცხოვრებნი სულ განდევნეს და მათ მაგიერ ათინელები დაასახლეს.

ომიანობის პირველი წელიწადი მაინც და მაინც ცუდათ არ გათავებულა ათინელებისათვის. ძველ ჩვეულებისამებრ ათინამ საზოგადო ხარჯით დასაფლავა ომში დახოცილი ათინელები. ამ შემთხვევის გამო პერიკლესმა წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელშიაც მან დიდი ქება შეასხა ათინის რესპუბლიკას და მის დემოკრატიულ (წყობილებას) კონსტიტუციას, გრძნობით მოიხსენა სამშობლოსათვის თავგანწირული და მათი ნათესავები.

10. შავა ჭინი ატიკაში. ხალხი უკმაყოფილოა პერიკლესისა. მეორე წელს პელოპონეზლები ისევ შემოესიენ ატიკას, მაგრამ დიდხანს არ დარჩენილან აქ შავი ქირის შიშით, რომელიც ათინაში გაჩნდა და მუსრი გაავლო ხალხს. ამ საშინელომა სენმა, რომელიც ალბად აღმოსავლეთიდან მოიტანეს, კარგი ნიადაგი იპოვა ათინაში, სადაც ამოდენა ხალხი იყო თავმოყრილი. იმ დროის მეცნიერება უძლურო იყო ამ სენის წინააღმდეგ, რომლის მიზეზად ხალხს ხან ქების მოწამვლა მიაჩნდა და ხან სპარტიატების მომხრე აპოლონის რისხვა. პერიკლესის მტრებმა თავი უფრო მალლა ასწიეს და იერიში მიიტანეს მასზე; შეშინებულმა მეგობრებმაც თავი დაანებეს და ხალხიც ეჭვის თვალთ უცქეროდა ერთ დროს გაღმერთებულ მოღვაწეს. პერიკლესმა თვითონ შეჰყარა ხალხი, რომ თავი გამართლებინა. არასოდეს იგი ასე დიდებული არ ყოფილა, როგორც ამ მისდამი მტრულად განწყობილ ხალხის კრებაზე. მას არ მოუყვანია ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებანი. იგი ამაყად იღებდა თავზე თავის მოქმედების სრულ პასუხის გებას და ბრალდებულისაგან ბრალმდებელი შეიქნა: „რა გაქვთ ჩემი საყვედურო? მე იგივე ვარ, რაც ვიყავი; გამოიცვალეთ თქვენ, რომელნიც ბედნიერ დღეში ჩემი თანამოაზრენი იყავით და უბედურებაში კი მტოვებთ“. პერიკლესმა დაანახვა კრებას, რომ

ნებისთ და უნებლიეთ ომის გაგრძელება აუცილებელი იყო და რომ ხალხი ვერ იტყვის უარს წინაპართაგან სამკვიდროდ მიღებულ სახელზე და დიდებაზე. ლაპარაკი შემდეგის ამაყის სიტყვებით დაასრულა პერიკლესმა: „მძულვარების საგნად გახდომა ბედია ყველა იმათი, ვისაც-კი სხვების მართვა მოუსურვებია. დიდ საქმეების გამო შურის გამოწვევა კეთილშობილური საქმეა. მძულვარება მოკლე ვადისაა, სამაგიეროდ სახელსა და დიდებას არასოდეს არ დაივიწყებენ. თქვენი მისწრაფება უნდა იყოს ცოდნა იმისა, რაც უმჯობესია მომავლისათვის და რაც სამარცხვინო არ არის აწმყოსათვის. ხალხებშიაც და კერძო პირებშიაც ის უფრო სახელოვანია, ვინც უფრო მედგრად ებრძვის გაჭირვებას.“

11. პერიკლესის უკანასკნელი დღეები. სულის ასეთმა სიდიადემ ათინელები ვერ დააკმაყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ პერიკლესის პოლიტიკას დაადგნენ, თვით პერიკლესი არ მოასვენეს. იგი სამართალში მისცეს და ისეთი ჯარიმა დაადგეს, რომლის გადახდა მას არ შეეძლო. მაგრამ პერიკლესის სტოიკური (მტკიცე) სული არ შემდრკალა, სანამ უბედურება არ ეწვია იმათ, ვინც მას უყვარდა. ზედიზედ შავმა ჭირმა წართვა მას საუკეთესო მეგობრები, საყვარელი და, უფროსი ვაჟი და ბოლოს უმცროსიც, რომელიც მას გაგიჟებით უყვარდა. ეხლა კი უბედურების სიმწარე მის რკინის გულსაც სწვდა: როცა იგი მიუახლოვდა შვილის გაცივებულ გვამს გვირგვინის დასადებად, სულის სიმტკიცემ უღალატა და ტირილი წასკდა, რაც მთელ მის სიცოცხლეში არ მოსვლია.

ამ წუთიდან პერიკლესის სიცოცხლე სიცოცხლე აღარ იყო. გონს მოსულმა ათინელებმა დაუბრუნეს მას ყველა ჯარების მთავარ-სარდლობა, მაგრამ იგი ფიზიკურადაც და სულიერადაც თავისივე თავის აჩრდილი-ლა იყო და შავმა ჭირმაც ხელი მოჰკიდა მის დაუძლურებულ სხეულს. აღსასრულის დროს შეკრებილი მეგობრები იგონებდნენ მის შესანიშნავ პოლვაწეობას და საგმირო საქმეებს; პერიკლესმა ერთხელ კიდევ მოიპოვა ძველებური სიმტკიცე და სთქვა: „თქვენ გავიწყდებათ

ჩემის სიცოცხლის უდიადესი და უსახელოვანესი მხარე: არც ერთ ათინელისათვის შავი არ ჩამიცმევენებია“ (429).

თ ა შ ი 80-XVII-ე.

შელოზონესის ომიანობა. ზერიკლესის სიკვდილიდან ნიკიასის ზავამდე. (429—421*)

საძჩევი. 1. ათინელების პოლიტიკისა და ზნე-ჩვეულების გამოცვლა: დემაგოგები და სიკოფანტები.—2. ნიკიასი.—3. პლატეას აღება.—4. მიტილენეს საქმე.—5. სამხედრო მოქმედების ცვლილება. სფაკტერის საქმე (425).—6. ბრაზიდასი თრაკიაში; მისი გამარჯვება. კლეონისა და ბრაზიდასის სიკვდილი ამფიპოლისთან.—7. ნიკიასის ზავი.

1. ათინელების პოლიტიკისა და ზნე-ჩვეულების გამოცვლა. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ დაინახეს ცხადად, თუ რა იყო ათინისათვის დიდებული პერიკლესი. ახალ თაობის ასპარეზზე გამოსვლასთან ერთად იცვლება ზნე-ჩვეულებაც. ფუფუნებამ და სიამოვნებამ დაიკავეს სახელისა და პატრიოტიზმის ადგილი: ათინაში გაჩნდა ეგრედ წოდებული „ოქროს ახალგაზდობა“, მოხდენილად გამოწყობილი, გემოვნება განვითარებული და თან გარყვნილი, რომელიც ზიზლით უყურებდა ძველ ათინელების საღსა, მაგრამ თან მოუხეშავ სოფლურ ცხოვრებას. ბევრი წვრილი მესაკუთრე იძულებული შეიქნა ქალაქში ჩამოსულიყო. აქ მან გემო გაუღო ქალაქის უსაქმო ცხოვრების სიტკბოებას და ადვილად მიეჩვია მბედნებზე და ქუჩებზე უსაქმურად ლოღვას; შრომის სიყვარული თანდა-თან დაიკარგა. ძველმა სარწმუნოებამ ადგილი დაუთმო აღმოსავლეთის კრუმორწმუნეობას, მაგალითად, აღონისის კულტს, რომელიც გუ-

*) ბიბლიოგრაფია. ძველი ავტორები: პლუტარხოსი—ნიკიასის ცხოვრება, თუკიდიდე—წიგ. III და IV, 2. ახალი ავტორები: გროტი—საბერძნ. ისტ. ტ. VIII, კურციუსი ტ. III წ. IV, დიურუი თ. XXIV.

ლისთქმას უფრო ასაზრდოებდა, ვიდრე გონებას. ამ უსაქმურ, დამცინავ და მეტად მოძრავ ბრბოს ესაჭიროებოდა ისეთი ბელადი, რომელიც შესძლებდა მისთვის გასაგებ ენაზე და საგანზე ლაპარაკს. პერიკლესი, მიუხედავად ყველაფრისა, დროზე მოკვდა: ძველ არისტოკრატობას, რომელსაც იგი ეკუთვნოდა მიუხედავად თავის დემოკრატიულ აზრებისა, არავითარი ძალა და გავლენა არ ჰქონდა. სწორედ ამ დროს ათინელ ბრბოს წიალიდან გამოვიდნენ ყოყოჩა და თავხედი დემაგოგები, რომელნიც ხარბად სცდილობდნენ მთავრობის ხელში ჩაგდებას და ამ მიზნის მისაღწევად არავითარ სისაძაგლეს გვერდს არ აუვლიდნენ; ხალხის ყურადღების დასამახურებლად ერთი მეორეზე განსაცვიფრებელი პროექტები მზად ჰქონდათ; კამათის დროს მათი არგუმენტი ვისიმე პიროვნება იყო და მსჯელობა—ლანძღვა-გინება; აღწევდნენ კიდევ მიზანს, მაგრამ მათი გამარჯვება ყოველთვის მოკლე-ვადინი იყო.

დაბალ წრიდან გამოსულ ამ ახალ პირებ შორის ყველაზე ცნობილი იყო კლეონი, ათინელ მდიდარ დაბალის (მეტყავე) შვილი. არისტოფანესთან ერთად ჩვენ ვერ გავკიცხავთ კლეონს მამის ხელობისათვის; რაც სასაცილოდ მიაჩნდა კომედიების შესანიშნავ ავტორს, რომელიც იმ დროინდელ არისტოკრატობის შეხედულების გამომთქმელი იყო, ჩვენ იგი სრულებით კანონიერად გვეჩვენება და უფრო ამაღლებს კლეონის პიროვნებას. მაგრამ თუ ნიჭით კლეონი ბევრად მალა იდგა თავის წრეზე, ამ წრემ მაინც თავისი ბეჭედი დაასვა მას. გაუთლელი, მოუხეშავი და სასტიკი კლეონი ჰფიქრობდა, რომ ხალხის ინტერესების დაცვას იგი შეიძლებდა მხოლოდ ამ გაუთლელობითა და მოუხეშავობით. ამ გვარი პიროვნება სრული ანტიპოზია პერიკლესისა, რომელიც ყველაზედ უწინ ზრდილობს განხორციელება. ამის სიკვდილის შემდეგ კლეონი ყოველის შემძლებელი იყო ათინაში. ხალხის გულის მოსაგებად მან წინადადება შექოიტანა მოსამართლეების ჯამაგირის მომატების შესახებ; ხალხი, რასაკვირველია, აღტაცებით მიეგება ამ ზომას და კლეონიც ერთბაშად დროის გმირი და ათინელების კეთილმყოფელი

ფელი შეიქნა. ამ ახალ ზომას შედეგად ის მოჰყდა, რომ ათინელმა შრომას თავი მიანება და სასამართლო პოლიტიკურ პარტიების იარაღი გახდა. გაჩნდა განსაკუთრებული წრე პირებისა, რომელნიც სთხზავდნენ დანაშაულს და მიჰყავდათ თანამოქალაქენი სასამართლოში. ამ კეთილშობილ ხელობის პირებს სიკოფანტებს (დამბეზღებლები) ეძახოდნენ. სიკოფანტები სარგებლობდნენ ხალხის ექვიანობით იმ პირების წინააღმდეგ, რომელნიც მას ემსახურებოდნენ; დიდის მოხერხებით აღვივებდნენ ხალხის ბუნებრივ შიშს არისტოკრატის წინაშე და ამ საშუალებით ხაფანგს უგებდნენ ყველას, ვინც კი ათინაში პატიესაცემი პირი იყო. შანტაჟიც მათ ხელთ იყო და დიდ-ძალ ფულებს ართმევდნენ თავის მსხვერპლებს, რომელთაც ეშინოდათ სასამართლოში წაყვანისა. კლეონის დიდი დანაშაულიც ის არის, რომ თვისი პოლიტიკური როლი სიკოფანტის ხელობით დაიწყო. მაგრამ მიუხედავად ამდენ ნაკლისა, უსამართლობა იქნება არ დავაფასოთ მისი მჭერმეტყველური ნიჭი, საქმიანობა, ნების სიმტკიცე და გაბედული მიხვედრილობა საქმის დროს: იშვიათია ისეთი პირი, რომელიც ნათქვამს ასრულებს და თუ ვერ ასრულებს, კვდება, რომ ტყველი არ გამოუვიდეს; კლეონიც ეს იშვიათი პირი იყო და ეს, მიუხედავად ყველაფრისა, საკმარისია მის სახელოვნობისათვის.

2. ნიკიასი. მიუხედავად დემაგოგების გავლენისა, სიმდიდრეს კიდევ შერჩა მნიშვნელობა: ათინა ვაჭრებისა და ზღვაოსნების ქალაქი იყო. ნიკიასის წარჩინებული მდგომარეობა მის სიმდიდრის შედეგი იყო. იგი უმდიდრესი იყო თანამოქალაქეთა შორის; მას დიდი მამულები ჰქონდა ლავრიონში, სადაც ათასი მონა ამუშავებდა მისთვის ვერცხლის მადნებს. ამასთან იგი სულგრძელი და გულუხვი იყო: ეწეოდა ღარიბებს და ხალხს ბრწყინვალე წარმოდგენებს უმართავდა. ნიკიასს სამხედრო საქმე უყვარდა და პერიკლესის სიკვდილის შემდეგ ხუთჯერ იყო სტრატეგად. მაგრამ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის! ნიკიასი პატიოსანი კაცი იყო და არც მხდალი ეთქმოდა მას, მაგრამ მოკლეხული იყო სრულებით ინიციატივას და

ამიტომ საქმის დროს, როგორც ხელმძღვანელი მეთაური, გაუბედველი და შშიშარა იყო. იგი ბუნებით რანტღე იყო და არა ისეთი პირი, რომელსაც შეუძლია ქყეყნის მართვაში მონაწილეობა მიიღოს.

3. ჰლატკას აღება. დადგა პელოპონეზის ომიანობის მესამე წელი; სპარტანელებმა ალყა შემოარტყეს ათინის ერთგულ მოკავშირე პლატეას. რადგან იერიშით აღება ვერ მოახერხეს, ქალაქს კედელი და თხრილი შემოავლეს, რომ პლატეელებს არსაიდან სურსათი არ მისვლოდათ. ქალაქში შიმშილობა დაიწყო; ვინც მარჯვე იყო, ქალაქიდან გაქცევა მოახერხა, დანარჩენები იძულებული შეიქნენ მტერს დანებებოდნენ. სპარტანელებმა სულ ერთიან გაყლიტეს დანებებული პლატეელები და ქალაქი, გარდა ტაძრებისა, ძირიანად დაანგრიეს.

4. მიტილენეს საქმე. ომი უფრო და უფრო მკაცრი ხდებოდა. ერთი უსაშინელესი ეპიზოდი ამ ომიანობისა პლატეას აღების შემდეგ მიტილენეს საქმე იყო. ომიანობის მეოთხე წელს კუნძული ლესბოსი გამოვიდა ათინის კავშირიდან. ამ ამბავმა თავხარი დასცა ათინელებს, რომელთაც პირველად არც კი დაიჯერეს იგი. სპარტა რომ უფრო მომქმედი ყოფილიყო, საქმეს კიდევ ეშველებოდა, მაგრამ ათინელებმა გაუსწრეს მას და მიტილენეს ზღვიდან და ხმელეთიდან ალყა შემოარტყეს. ქალაქი იძულებული შეიქნა მტრისათვის კარი გაეღო, ათინაში ხალხის აღშფოთებას და გაბრაზებას საზღვარი არ ჰქონდა. მიტილენეს გადადგომა აფინელებისათვის იმის ნიშანი იყო, რომ იონია მათ ღალატობდა; მტრის ფლოტი მცირე აზიის ნაპირებზე გაჩნდა: ყველგან აჯანყების ნიშნები იყო; სპარსელებმაც ისარგებლეს შემთხვევით, ისევ სცენაზე გამოვიდნენ და კოლოფონი დაიპყრეს. შეშინებულ ათინელს უკვე წარმოდგენილი ჰქონდა ათინის დიდების შენობის დანგრევა. კლეონმა იკისრა ამ აღშფოთებისა და შიშის თარჯიმანობა და წინადადება მისცა სახალხო კრებას, სიკვდილით დასჯილიყო ყველა მამრობით სქესის მიტილენელი, ქალები და ბავშვები.

კი მონებად გაეხადნათ. კრებამ მიიღო კლეონის წინადადება და მაშინვე გაუგზავნეს ეს გადაწყვეტილება ათინელების სარდალს აღსასრულებლად.

მაგრამ ღამე ხალხის გუნება შეიცვალა; ყველანი, ვინც კი კრებაზე ველურმა გულისთქმამ გაიტაცა, გრძობდნენ ეხლათვის ქცევის უადამიანობას. ათინელების ხასიათის სასახლოდ ხალხი მიხვდა თავის შეცდომას და პრიტანებმა, ჩვეულების წინააღმდეგ, ხელახლავ უყარეს კენჭი კითხვას, რომელიც ერთხელ უკვე გადაწყვიტა სახალხო კრებამ. კლეონი ერთხელ კიდევ წამოდგა, რომ აესრულებინა ეშაფოტის (სიკვდილით დასჯის ადგილი) მზრუნველის მოვალეობა. დემაგოგმა უსაყვედურა ათინელებს, რომ ისინი ისე მოდიან სახალხო კრებაზე, როგორც თეატრში; ყოველი მისი სიტყვა სისხლსა და სიკვდილს თხოულობდა, „მოეპყარით მიტილენლებს ისე, როგორც ისინი მოგეპყრობოდნენ თქვენ. შეთქმულების გადარჩენილები შეთქმულებზე ნაკლებ არ უნდა გრძობდეთ შეუტაცხოფას. იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდნენ ისინი, რომ თქვენზე გაემარჯვნათ. დასაჯეთ დამნაშავენი სამართლიანად და უჩვენეთ ამ მაგალითით მოკავშირეებს, რომ ღალატის სასჯელი სიკვდილია. თუ ეს ეცოდინებათ მათ, მაშინ იშვიათად დაგჭირდებათ მტრის თავის დანებება მოღალატე მეგობრების დასასჯელად.“

კლეონის გამხეცვებამ არ გასჭრა, სიბრალულის მომხრეებმა გაიმარჯვეს და დააჩქარეს მეორე საგანგებო ტერიემის გაგზავნა მიტილენეში, რომ პირველს არ მიესწრო: პატიება სწორედ იმ დროს მოვიდა, როცა ათინელ ჯარის სარდალი პირველ დეკრეტს კითხულობდა. მიტილენე გადაარჩა, მაგრამ ათასი მიტილენელი მაინც დახოცეს. გული ეწურება კაცს, რომ ამ საშინელ სისხლის ღვრის ამბავს კითხულობს. და მერე ვინ ჩაიდინა ეს საშინელება? გონიერმა და გულკეთილმა ერმა, უკელილშობილეს და უფაქიზეს გრძობების პატრონმა; თითქო შინაურმა ომიანობამ სრულობით შეუცვალა მას ბუნება. გული სტკივა ადამიანს იმ კონტრასტის გამო, რომელსაც

ათინელების ცხოვრება წარმოადგენს ამ დროს: იმ დროს, როცა საუკეთესო ხელოვანები და მწერლები სამარადისოდ შეუღარებელ ბრწყინვალებას ჰყენდნენ საბერძნეთს, მისი ნიადაგი გადაქცეული იყო ხოცვა-ჟლეტის ვრცელ მოედნად. ზნე-ჩვეულება ისევ ველურდებოდა. ბრძოლა-ჟლეტისა და სხვაზედ გაბატონების სურვილი სისხლით რწყავდა ბერძენთა მამულის ყოველ კვალს.

5. სამხედრო მოქმედების ცვლილება. სფაკტერიას საქმე (425). ომიანობის მეშვიდე წლამდე სამხედრო ოპერაციები ორივეს მხრივ მარტივი იყო, მაგრამ თანდათან მეტ მიხვედრას იჩენდნენ. გონებითა და მოქმედებით წარჩინებული სპარტანელი ბრაზადსი შეუდგა ძველ ქალაქ ტრახისის აღდგენას. ეს ქალაქი მდებარეობდა ეტას მთის ძირში და საშიში იყო როგორც ეგებესათვის, ისე ათინის ახალშენებისათვის თრაკიაში. სამაგიეროდ ათინელების სარდალმა დემოსთენესმა დაიპყრო მესენიის ნაპირზე მითოვებული ნავსადგური პილოსი, რომელიც თითქმის დაკეტილი იყო პატარა კუნძულ სფაკტერიით. ჯერ სიგიჟეში ჩამოართვეს დემოსთენესს ესეთი ქცევა და მხოლოდ შემდეგ მიხვდნენ, თუ რა დიდი ხერხი იყო იგი. შემოთეებულმა სპარტანელებმა ატიკიდან ჯარი გამოიყვანეს და პილოსისაკენ გაგზავნეს. აქეთკენვე წამოვიდა მათი ფლოტი, რომელიც კორელისასთან იყო. ფლოტიდან ჯარის კაცები გადასვეს სფაკტერიაზე და მოემზადნენ დაეკეტათ გემების საშუალებით პატარა სრუტე, რომელიც პილოსსა და სფაკტერიას შუა არის, და თვით პილოსიც. მოულოდნელად პილოსის წყალში გაჩნდა ათინის ფლოტი, ბრძოლა აუტეხა სპარტანელებს და განათავისუფლა პილოსი ზღვის მხრივ. სფაკტერიაზე გადაყვანილი სპარტანელები გაებნენ მახეში, საიდანაც თავის დაღწევა არ შეეძლოთ, მიუხედავად იმისა, რომ გაღმა მხარეს სპარტანელების ჯარი იდგა და მათ მდგომარეობას ხედავდა. ამ ამბავმა მეტად ააღელვა სპარტა. სფაკტერიაზე დამწყვდეულ ჯალის კაცებ შორის იყო ოთხას ოცი სპარტიატი, რომელნიც სპარტას პირველ ოჯახებს ეკუთვნოდნენ. რა ფასი